ერთი თვის განმავლობაში ტენიან გარემოში მოთავსებული მოდიფიცირებული და არამოდიფიცირებული შალის ბოჭკოს ზედაპირის შეფასებისას აღმოჩნდა, რომ მოდიფიკატორში A დამუშავებული ბოჭკო, პრაქტიკულად, დაზიანების გარეშე, უცვლელი სახით იქნა შენარჩუნებული. მისი მდგრადობა მიკროორგანიზმების ზემოქმედების მიმართ შეიძლება მაქსიმალურად შეფასდეს - 5 ბალით. დაუმუშავებელი და მოდიფიკატორში B დამუშავებული შალის ბოჭკო კი - ნაწილობრივ დაზიანდა და მათი მდგრადობა 2-3 ბალის ფარგლებშია.

ჩრჩილის მიმართ მოდიფიცირებული შალის მდგრადობის შესწავლამ ცხადჰყო, რომ მოდიფიცირების პოზიტიური შედეგი მნიშვნელოვანია. კვლევის პროცესში მოდიფიცირებული ბოჭკოები ბუნებრივ პირობებში ერთი წლის განმავლობაში შენახულ იქნა დაზიანებულ ბოჭკოებთან ერთად. როგორც მოსალოდნელი იყო, დაუმუშავებელი შალი მნიშვნელოვნად დაზიანდა ჩრჩილის მიერ, მოდიფიკატორებში A და B დამუშავებული შალი კი - ჩრჩილის მიერ დაზიანების მიმართ მაღალი მდგრადობით გამოირჩევა და იგი მაქსიმალური 5 ბალით შეიძლება შეფასდეს.

მიღებული შედეგი მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ მოდიფიკატორებში დამუშავება როგორც ბოჭკოზე, ასევე გარემოზე (ადამიანსა და ბუნებაზე) „რბილი“ ზემოქმედებით გამოირჩევა და უსაფრთხოა.

კვლევებმა აჩვენა, რომ მოდიფიცირებული შალის ნაწარმის მოხმარება ეკოლოგიურად უსაფრთხოა. მას ზეზორის შემცველი ნაერთების რაოდენობა ადამიანისათვის აუცილებელ დღიურ ნორმას არ აღემატება და სისხლში მოხვედრის შემთხვევაშიც კი - იგი უსაფრთხო იქნება ადამიანისათვის [4].

საგულისხმოა, რომ ბორის ნაერთების შალის ბიოდესტრუქციისადმი მდგრადობის ასამაღლებლად გამოყენება ეკონომიკურადაც მიზანშეწონილია.

შეუღებავი შალისთვის პროდუქციის თვითღირებულებაში ცვლილება ანტიმიკრობული და ანტიბაქტერიული პრეპარატების ხარჯვის ნორმების ცვლილებას უკავშირდება. 1 კვლევაში მაღალი ანტიმიკრობული დამუშავებისთვის ბორის შემცველი ნაერთების, ნაფტალინისა და ფტორიდების გამოყენებისას აუცილებელი დანახარჯები, კომპონენტების საბაზრო ფასების გათვალისწინებით, მოცემულია ცხრილში 1 და ცხრილში 2.



ცხრილიდან 1 ჩანს, რომ თუ შალის ბიოდესტრუქციისაგან დასაცავად სტანდარტული დამუშავებისას ნაფტალინი გამოიყენება, მოდიფიკატორისათვის A 1 კგ შალის დამუშავება 0,3 თეთრით ძვირდება, ხოლო მოდიფიკატორისათვის B - 0,05 თეთრით იაფდება. ფტორიდების გამოყენების შემთხვევაში კი - მოდიფიკატორისათვის A 1 კგ შალის დამუშავება 1,1 თეთრით, მოდიფიკატორისათვის B - 0,85 თეთრით იაფდება (ცხრილი 2). როგორც ვხედავთ, ეკონომიკური ეფექტურობა განსაკუთრებულად მაღალი არ არის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ მოდიფიკატორების გამოყენება ეკოლოგიურად უფრო უსაფრთხოა და შალის ხარისხიც უკეთესი, შეიძლება ითქვას, რომ მოდიფიკატორების გამოყენება ეკონომიკური თვალსაზრისითაც მიზანშეწონილია.

ცხრილი 1

1 კგ შეუღებავი შალის ანტიმიკრობული დამუშავების დანახარჯები ნაფტალინისა და ბორის ნაერთების გამოყენებისას

ქიმიკატების დასახელება	ერთეულის ფასი, ლარი	რეცეპტურა არამოდიფიცირებული შალისთვის		რეცეპტურა მოდიფიცირებული შალისთვის	
		რაოდენობა, კგ	ფასი, ლარი	რაოდენობა, კგ	ფასი, თეთრი
მოდიფიკატორი A	2,5	-	-	0,01	2,5
მოდიფიკატორი B	2,75			0,01	2,75
ნაფტალინი	2,2	0,01	2,2	-	-
სულ		2,2		2,5 / 2,75 თეთრი	
ეკონომიური ეფექტი მოდიფიკატორისათვის A		გაძვირება 0,3 თეთრით			
ეკონომიური ეფექტი მოდიფიკატორისათვის B		გაიაფება 0,05 თეთრით			

ცხრილი 2

1 კგ შეუღებავი შალის ანტიმიკრობული დამუშავების დანახარჯები ფტორიდებისა და ბორის ნაერთების გამოყენებისას

ქიმიკატების დასახელება	ერთეულის ფასი, ლარი	რეცეპტურა არამოდიფიცირებული შალისთვის		რეცეპტურა მოდიფიცირებული შალისთვის	
		რაოდენობა, კგ	ფასი, ლარი	რაოდენობა, კგ	ფასი, თეთრი
მოდიფიკატორი A	2,5	-	-	0,01	2,5
მოდიფიკატორი B	2,75			0,01	2,75
ფტორიდები	3,6	0,01	3,6	-	-
სულ		3,6 თეთრი		2,5 / 2,75 თეთრი	
ეკონომიური ეფექტი მოდიფიკატორისათვის A		გაიაფება 1,1 თეთრით			
ეკონომიური ეფექტი მოდიფიკატორისათვის B		გაიაფება 0,85 თეთრით			

ამრიგად, ბორის შემცველი ნაერთებით მოდიფიცირებული შალის ბიოლოგიური დესტრუქციისადმი მდგრადობის კვლევამ აჩვენა, რომ მოდიფიცირებული შალი მიკროორგანიზმებისა და ჩრჩილის მიერ დესტრუქციისადმი გაუმჯობესებული მახასიათებლებით გამოირჩევა. კერძოდ, მოდიფიკატორში A დამუშავებული შალის მდგრადობა მიკროორგანიზმების ზემოქმედების მიმართ შეიძლება შეფასდეს მაქსიმალური 5 ბალით; დაუმუშავებელი



და მოდიფიკატორში B დამუშავებული შალის ბოჭკო კი - ნაწილობრივ ზიანდება მიკროორგანიზმების მიერ და მათი მდგრადობა 2-3 ბალის ფარგლებშია. მოდიფიკატორებში დამუშავებული შალი ჩრჩილის მიერ დაზიანების მიმართ კარგი მდგრადობით გამოირჩევა და დაუზიანებლად ინარჩუნებს სტრუქტურას ბუნებრივ პირობებში ერთი წლის მანძილზე შენახვისას. ამასთან, შალის ბორის შემცველ მოდიფიკატორებში დამუშავება როგორც ბოჭკოზე, ასევე გარემოზე (ადამიანსა და ბუნებაზე) „რბილი“ ზემოქმედებით გამოირჩევა და ეკოლოგიურად უსაფრთხოა. მნიშვნელოვანია, რომ შალის ბიოდესტრუქციისადმი მდგრადობის ამალეების მიზნით ბორის ნაერთების გამოყენება ეკონომიკური თვალსაზრისითაც მიზანშეწონილია.

ლიტერატურა

1. Кукин Г.Н., Соловьев А.И. Текстильное материаловедение (исходные материалы) – М.: Легпромбытиздат, 1985 г.
2. [Maja Kaisersberger-Vincek, JanezŠtrancar, VanjaKokol. Antibacterial activity of chemically versus enzymatic functionalized wool with ε-poly-L-lysine. //Textile Research Journal, vol. 87, 13: pp. 1604-1619. , July 5, 2016.](#)
3. [ParthibanManickam, G Thilagavathi: A natural fungal extract for improving dyeability and antibacterial activity of silk fabric. // Journal of Industrial Textiles, vol. 44, 5: pp. 769-780. , December 17, 2013.](#)
4. ელექტრონული რესურსი: <http://xcook.info/makrojelementy/bor.html#content>. უკანასკნელი ნახვა 16.02.2018

RESEARCH OF THE STABILITY OF THE MODIFIED WOOL TO BIODESTRUCTION

K. Goginovi, L.Khivadagiani, M.Sharabidze

AkakiTsereteli State University

Summary

The study of the resistance of the modified wool to biodestruction showed that the modified wool has improved resistance to microorganisms and moths. In particular the resistance of wool modified in a modifying agent A to the influence of microorganisms can be assessed maximally a 5 rating; but the wool fiber unprocessed and processed in a modifying agent B were damaged partially, and their stability was given a 2-3 rating. Wool processed in the modifying agents is characterized by a good stability to damage by moths, and preserves the structure undamaged when storing in natural conditions during the year. The use of modified wool environmentally safe in terms of both human and environmental is impacts. Technology is the modification of wool with boron-containing compounds is the soft terms of the impact on the person and the nature. It is noteworthy that from an economic point of view, the use of boron compounds to increase the resistance of wool to bio destruction is appropriate.

ახალი კონსტრუქციის ქულების მუშაობის კვლევა საჩქ მანქანაზე

მ.გოგოლაძე, ქ.გოგინოვი

აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დიდი რაოდენობით სართავი ბოჭკოების დაკარგვის მიზეზად ითვლება არსებული ქულები ნემსებიან ზედაპირით 22 მმ განით. ამ ქულებს აქვთ უნარი ჩაიჭირონ და გაუშვან ანაჩქში ნებისმიერი მაქსიმალური სიგრძის ბოჭკო. არსებული კონსტრუქციის ქულები, დიდი რაოდენობით გრძელი



ბოჭკოების ჩაჭერისას ჩქარა ივსება და კარგავს ჩეჩვის უნარიანობას. როგორც იდეალური პირობებიც არ უნდა შეუქმნთ საჩეჩ მანქანას მუშაობისათვის, მაინც გვაქვს ძვირფასი ნედლეულის დანაკარგი ქუდების ანაჩეჩის სახით, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით სართავ ბოჭკოებს. ჩვენ განვიხილეთ ცალკეული შემთხვევები, როდესაც ბოჭკო ჩაჭერილია უკანა რიგის ნემსების მიერ და წინა რიგის ნემსებით.

სხვადასხვა მუშა განის ქუდების მუშაობის გამოცდის შედეგად არჩევანი შევაჩერეთ ორრიგიან ნემსებიან ქუდებზე, ქსოვილის უკანა ნაწილში, რადგანაც მათ აქვთ ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები. იმისათვის, რომ დავამტკიცოთ ოთხრიგიანი ვიწრო ქუდების უპირატესობა სხვებთან შედარებით, შევეცადოთ მივცეთ შესაბამისი ახსნა-განმარტება.

როგორც ცნობილია, ჩვეულებრივი ქუდების სიგანე არის 34,2მმ, რომლისგანაც $S=22$ მმ ითვლება მუშაგანად.

ქუდების დამაგრებისას საბოლოო ფუძეზე ისინი ერთმანეთს ჩამორჩებიან 0,5÷5 მმ და მეტით. ადრე ეს დაშორება (მანძილი - სიდიდე ქუდებს შორის) მიღებული იყო 1,8 მმ ტოლად. დაშორება ერთი ქუდის უკანა ნემსების რიგს შორის (მეზობელი) წინა ქუდებს შორის მიღებულია 36 მმ-ის ტოლად. ქუდების მუშა განი (22 მ) იკავებს ელასტიური მხების 10 რიგს. როგორც იდეალური პირობებიც არ უნდა შეუქმნთ საჩეჩ მანქანას მუშაობისათვის, მაინც გვაქვს ძვირფასი ნედლეულის დანაკარგი ქუდების ანაჩეჩის სახით, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით სართავ ბოჭკოებს არსებული განის ქუდების ნემსებიანი გარნიტურის დროს ქუდების ანაჩეჩში შეიძლება მოხვდეს ბამბის ბოჭკო ნებისმიერი სიგრძის. თუ ჩეჩვის პროცესში ბოჭკო ჩამოეცმევა პირველი რიგის ნემსს, რომელთა სიგრძე $l = 3$ მმ თავისუფალი ნაწილი განაწილდება მთელი მუშა განზე, და ბოჭკოს მალული სიგრძე, რომელიც შეუძლია არ შეეხოს ამ პირობებში გადასამუშავებელი პროდუქტის ბოჭკოს დასწორებულობა $\eta = 0,55$, გვექნება

$$L_1 = \frac{S + l}{\eta}, \quad (1)$$

თუ ჩავსვამთ რიცხვით მნიშვნელობას გვექნება

$$L_1 = \frac{22 + 3}{0,55} = 45,5 \text{ მმ.}$$

იმისათვის, რომ მსგავსი მდგომარეობის ბოჭკოები გადავიდნენ ქუდების ნემსებიდან მთავარი დოლის ნემსებზე, საჭიროა მათ ქონდეთ სიგრძე

$$L_2 = \frac{S + l + b}{\eta}, \quad (2)$$

სადაც b - არის დაშორება ბოჭკოების შერევის წერტილიდან მთავარი დოლის ზედაპირის შეხების წერტილამდე.

როგორც ცნობილია, ანაჩეჩი ძირითადად წარმოიქმნება მუშაობის დაწყების მომენტში, როდესაც ნემსები სუფთაა და ბოჭკო გაწედლილია ქუდების მთელ მუშა განზე, ე.ი. ანაჩეჩში შეიძლება მოხვდეს ნებისმიერი სიგრძის ბოჭკო.

ჩვენ განვიხილეთ ცალკეული შემთხვევები, როდესაც ბოჭკო ჩაჭერილია უკანა რიგის ნემსების მიერ და ანაჩეჩში ხვდება მაქსიმალური სიგრძის ბოჭკოები. თუ ბოჭკოები ჩაჭერილია წინა რიგის ნემსებით და გვაქვს ქუდების პირდაპირი გადაადგილება ქუდების შესვლი-



სას მუშა ზონაში იზრდება ჰაერის წნევა, ამასთანავე ჰაერი მიისწრაფის გაიაროს ქუდებს შორის ღრეჩოში, ჰაერთან ერთად აიწევა ამ ბოჭკოების თავისუფალი ბოლოები და ისინი იკავებენ უკანა რიგის ნემსებს შორის ადგილს. მამასადამე, ამ შემთხვევაში მიცემული ბოჭკოები ყოველგვარი პობლემის გარეშე იკავებენ თავის ადგილს ანაჩეჩში.

ბოჭკოების შეერთებას ორი მეზობელ ქუდებს შორის ვუწოდებთ ანაჩეჩის „ხიდს“, რომლის მუშა მდგომარეობაში შედგება (14,0 მმ) ნაწილის და ორი (საწყისი და საბოლოო) ნაწილისაგან.

მუშა ქუდებზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ თუ მუშა ზონიდან ამოვიღებთ ერთ ქუდს, მაშინ წინა რიგის ნემსებზე უკანა მიმავალ ქუდებზე თითქმის არ დარჩება გრძელი ბოჭკოები, ისინი გადადიან ნაჩეჩში. რაც იმაზე მეტყველებს, რომ მეზობელი ქუდების ნემსები არ შეიძლება იყოს ერთმანეთისაგან დაშორებული ℓ სიგრძეზე ნაკადად (ℓ ბოჭკოს საშუალო სიგრძე მმ).

ბოჭკოვანი მასალისჩეჩვისა და განცალკევების პროცესის დროს ბოჭკოების გარკვეული ნაწილი სწორდება სრულად, თუმცა ამას აქვს დროებითი ხასიათი. თუ ეს ბოჭკოები იქნებიან თავისუფალი საჩეჩი ძალების მოხსნის შემდეგ, ისინი ცდილობენ მიიღონ საწყისი მდებარეობა. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ გასწორებულ მდგომარეობაში ბოჭკოები ჩამოეცმევა მეზობელი რიგის ნემსებს, მათ აქვთ შესაძლებლობა დარჩნენ ნაჩეჩში. გამოვდივართ, რა აქედან, დაშორება მეზობელ ქუდების ნემსებს შორის არასაკმარისია, ე.ი. მცირე.

მამასადამე, რომ დავიცვათ გრძელი ბოჭკოები ანაჩეჩში მოსახვედრად, წინა რიგის ნემსების მხრიდან საჭიროა გავზარდოთ დაშორება მეზობელი ქუდების ნემსებს შორის.

თუმცა ქუდების ანაჩეჩში გრძელი ბოჭკოები ხვდება არა მარტო არასაკმარისი დაშორების გამო მეზობელი ქუდების ნემსებს შორის, არამედ ქუდების გარნიტურის ზედაპირის დიდი სიგანის გამო. როგორც უკვე ნაჩვენები იყო ანგარიშით და პრაქტიკული ანალიზით, გრძელი ბოჭკოები, რომლებიც არსებობს ქუდების ანაჩეჩში განლაგდებიან მის ნებისმიერ განიკვეთში.

გრძელი ბოჭკოების დანაკარგის შემცირების მიზნით, ქუდების ანაჩეჩში ერთდროულად უმჯობესდება ქუდების ნემსების ჩეჩვის უნარიანობა.

ცნობილია, რომ ჩეჩვის ინტენსივობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ქუდების ნემსების შევსების დროზე ანაჩეჩის ფენით, იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელი ბოჭკოები, რომლებიც ჩაჭერილია უკანა რიგის ნემსებით ეწყობა ყველა რიგის ნემსებს შორის და იკავებენ გარკვეულ მდებარეობას, ჩქარდება ამ ნემსების შევსება ანაჩეჩით, თუმცა დართვისათვის გამოყენებადი ბოჭკოების სიგრძე ქუდების ანაჩეჩში შეადგენს 70-75 %, საყურადღებოა, რომ ნემსების მუშა ნაწილის სიმაღლეს ძირითადად იკავებენ სართავი ბოჭკოები ანაჩეჩის ფენის სახით. ამ ბოჭკოების გადაცემით ნაჩეჩში ნემსების მუშა სიმაღლის დიდი ნაწილი თავისუფლდება და ისინი (ნემსები) აგრძელებენ ჩეჩვის პროცესს. ე.ი. ახალი ბოჭკოების ნაკადის მიღებას მიეწოდოს ჩვეულებრივად გრძელი ბოჭკოები, დარჩეს ღინდლი, მოკლე ბოჭკოები და მანკები სრულ შევსებამდე. რაც იწვევს ჩეჩვის პროცესის გახანგრძლივებას.

სხვადასხვა მუშა განის ქუდების მუშაობის შესწავლამ მოგვცა საშუალება გავაკეთოთ შემდეგი დასკვნა:

ყველა ქუდებისაგან, რომლებზეც იქნა ჩატარებული ცდები, საუკეთესო მაჩვენებლები აღმოაჩნდა ნემსების 4 რიგიან ვიწრო ქუდებს, რომელსაც უკანა ნაწილში აქვს განლაგებული



გარნიტურა. ამიტომ რიკულის განი და გარნიტურა ძირითადად რჩება იგივე, კერძოდ:

1) ვიწრო ქუდები 1,8-ჯერ ნაკლებ სართავ ბოჭკოებს ჩაიჭერენ (რომელთა სიგრძე 20მმ და მეტია), საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ბლუჯები, რომელიც შედგება სართავი ბოჭკოებისაგან წარმოიქმნება ქუდების მუშაობის საწყის ზონაში, ნემსების შევსების ტენდენცია მათი მუშაობაში შესვლისას რამდენადმე მეტია, ვიდრე დადგენილ მდებარეობაში. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ვიწრო ქუდებზე ნემსების შევსების ინტენსივობა დასაწყისში 45%-ით მცირეა, ვიდრე ჩვეულებრივი ქუდების შევსების ინტენსივობა. ე.ი. ვიწრო ქუდების ნემსების შევსების პროცესი ხანგრძლივია და ნემსები ინარჩუნებენ ჩეჩვის უნარიანობას.

2) ვიწრო ქუდები მათი ნებისმიერი მიმართულებით მოძრაობისას მიაჭერენ ღინღლს (დიდ რაოდენობით) მოკლე ბოჭკოებს, მანკებსა და მინარევებს.

3) აღნიშნული კანონზომიერებით, მაქსიმალური სიგრძის ბოჭკოებს, რომელსაც აქვთ შესაძლებლობა მოხვდნენ ქუდების ანაჩეჩში ჩვეულებრივი ქუდებისათვის ტოლია 45,5 მმ, ვიწრო ქუდებისათვის 21,4 მმ.

4) ვიწრო მუშა განის ქუდებისათვის ნემსების წინა რიგის არ არსებობის გამო არ წარმოიქმნება ანაჩეჩის შიგა შრე.

ლიტერატურა

1. მ. გოგოლაძე. დართვის ტექნოლოგია. ლექციების კურსი, სახელმძღვანელო, ქუთაისი., 2001, გვ. 152
2. Бозунов И., Бадалов К. и др., Прядение хлопка и химических волокон. М., М. Легпромбытиздат., 1986, стр. 392
3. Валиева З. Ф., Садиков Ф. С. Исследование влияния параметров приемного барабана чесальной машины на качество полуфабрикатов прядения // Молодой ученый. — 2017. — №20. — С. 13-16. — URL <https://moluch.ru/archive/154/42625/>

NEW NEEDLE DESIGN RESEARCH ON CARDING MACHINE

M. Gogoladze, N. Abesadze

Ak. Tsereteli State University

Summary

The reason for the large amount of waste of the process of carding are needles with a width of 22 mm. They have the ability to trap and discard any fiber of maximum length. The needles of the existing structure are quickly filled with fibers and can not carry out the process of carding. Whatever ideal conditions would be created on a carding machine, towing after the needles makes up a large number. We have considered individual cases where the fibers are retained by the back and front rows of needles.

საჩივი მანქანის ბრტყელი ქუდების ზობიერთი კონსტრუქციული ხარვეზები

მ. გოგოლაძე, ნ. აბესაძე

აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სართავი წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფა ამზადებს ფუნდამენტს გამოყენებული იქნას ავტომატური მანქანები, რომლებიც შეამცირებენ ტექნოლოგიურ გადასვლებს გამოსაშვები ნართის ხა-




რისხის დაუქვეითებლად. ეს არის ერთ-ერთი ძირითადი პირობა უწყვეტი მრავალპროცესიანი აგრეგატების შექმნისა. ამ მიზნით ბოჭკოვანი მასალების ჩეჩვის პროცესი, კერძოდ, ბამბის ჩეჩვა, იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს. მრავალრიცხოვანი კვლევების ჩატარების შედეგების და პრაქტიკული საწარმოო მაჩვენებლების საფუძველზე ვღებულობთ დასკვნებს, რომ მრავალფაქტორიანი გამოვლინებები, რომლებიც წარმოიქმნება ჩეჩვის დროს, არ არის საკმარისად შესწავლილი, და ბოჭკოვანი მასალების წმენდის რეზერვები სრულად არ არის გამოყენებული. ჩვენ შევაჩერეთ ყურადღება საჩეჩი მანქანის ბრტყელი ქუდების ზოგიერთ კონსტრუქციულ ხარვეზებზე.

საჩეჩი მანქანის ქუდები შედგება ფოლადის რიკულებისა და ნემსებიანი ფირფიტებისაგან, რომელიც მაგრდება ფოლადის რიკულზე სარკების დახმარებით.

ფოლადის რიკულის მუშა მხარე დამუშავებულია უხეშად, ამიტომ მისი ზედაპირი ძალიან ხაოიანია. ხაოიანობა არ იძლევა საშუალებას განხორციელდეს მჭიდრო მიახლოება ნემსებიანი ფირფიტისა რიკულების მთელ ფართობზე, რის გამოც რიკულის მეტალურ ნაწილსა და ნემსებიან ფირფიტის ფუძეს შორის წარმოიქმნება თავისუფალი სივრცე. რიკულის მუშა ზედაპირის უთანაბრობა წარმოადგენს ქარხნულ ხარვეზს, რომლის გამოსწორებაზე არ უფიქრიათ არც მწარმოებლებს და არც მომხმარებლებს.

ჩვეულებრივ ნემსებიანი ლენტის საფუძველი შედგება ქსოვილის რამოდენიმე ფენისაგან, რომლებშიც ჩამაგრებულია წვრილი, მოღუნული მეტალს ნემსები კავის ფორმით. მთავარი და მომხსნელი დოლების ნემსები ლენტის საფუძვლისაგან განსხვავებით (ნახ. 1), ქუდებიანი ტილოს საფუძველში არ არის რეზინებიანი შრეები.



ნახ.1. მთავარი და მომხსნელი დოლების ნემსების ლენტის საფუძველი

როგორც აღვნიშნეთ ქუდებიანი გარნიტურის საფუძვლის შემადგენლობაში არ შედის რეზინიანი ფენა, რაც წარმოადგენს მოცემული ზედაპირის სერიოზულ ნაკლს. რეზინიანი ფენის არ არსებობის გამო წარმოიქმნება ნახვრეტი. თვალთ ის შეუმჩნეველია, მაგრამ ის, რომ ნემსები მტკიცედ არ მაგრდება მკაცრად განსაზღვრულ ადგილზე, გვაძლევს საფუძველს, რომ ვივარაუდოთ ნახვრეტის სიდიდე. რეზინიანი ფენის არსებობის შემთხვევაში ნემსები იძენენ დიდ დრეკადობას. რეზინის ფენა მტკიცედ ჩაიჭერს ნემსებს და უზრუნველფს მათ თავისუფალ სვლაზე. ნემსებიან საფუძველსა და რიკულებს შორის წარმოქმნილი ღრე-



ჩოს სიდიდე დიდია ქუდებსა და დოლს შორის დადგენილ დაცილებაზე. რეზინიანი შრის არ არსებობის გამო, ცალკეული ნემსები ღებულობენ თავისუფალი სვლის შესაძლებლობას და მოცემული ძალის მიმართულებაზე დამოკიდებულებით, ეს ნემსები ხან აიწევა ზევით და იფარება თავის საფუძველში, ხან გამოდის მისგან.

როგორც ცნობილია, ნემსებიანი ზედაპირის გამოთანაბრების მიზნით ქუდების ნემსები პერიოდულად გაილესება სიმაღლის მიხედვით. ამიტომ დასაწყისში, ანუ წერტილამდე ამოწმებენ ყველა ქუდის სიმაღლეს, მიუხედავად იმისა, იმყოფებოდა თუ არა ეს ქუდები ექსპლუატაციაში, და მხოლოდ ქუდების ნემსებიანი გარნიტურის მინიმალური სიმაღლის განსაზღვრის შემდეგ მიდიან ნემსების წერტილამდე და მათ გამოთანაბრებამდე. ნემსებიანი გარნიტურები მოცემული კომპლექსის ყველა დანარჩენი ქუდებისათვის ილესება მანამ, სანამ მათი ნემსების სიმაღლე არ გაუთანაბრდება იმ მინიმალურ სიმაღლეს, რომელიც იყო გამოვლენილი მოცემული კომპლექტის ქუდებისათვის. გამოთავისუფლდება სინამდვილეში ნემსები მათი მახვილი ბოლოდან მოხსნის ხარჯზე მოცემული წერტილისათვის. გამოთანაბრება ნემსებისა სიმაღლეში რამდენადმე უმნიშვნელოა, რისგანაც შეიძლება თავი დავიზღვიოთ.

ცხრილი 1

ნემსების სიმაღლიდან გადახრა ჩვეულებრივი კონსტრუქციის ქუდებზე წერტილამდე და წერტილის შემდეგ

№	ჩვენების დასახელება	I მანქანა						II მანქანა					
		წერტილამდე			წერტილისშემდეგ			წერტილამდე			წერტილისშემდეგ		
		მარცხენა	შუა	მარჯვენა	მარცხენა	შუა	მარჯვენა	მარცხენა	შუა	მარჯვენა	მარცხენა	შუა	მარჯვენა
1	საცდელი ქულების რიცხვი	108	108	108	108	108	108	100	100	100	100	100	100
2	საშუალო სიმაღლე (დაყოფთა რიცხვი) ხელსაწყოს მიხედვით	37,02	42,01	44,09	21,81	21,81	22,02	45,93	42,36	47,79	31,4	31,57	32,29
3	უთანაბრობა სიმაღლის მიხედვით (%-ში)	17,56	11,89	14,52	8,48	6,78	8,06	13,26	12,56	12,29	5,64	7,25	6,56
4	ვარიაციის კოეფიციენტი (%-ში)	25,0	17,7	20,9	14,4	12,17	14,15	22,9	20,42	18,39	17,6	16,9	13,7
5	ვარიაციის კოეფიციენტის საგარანტიო შეცდომა (%-ში)	3,4	2,5	2,9	2,0	1,7	2,0	3,2	2,8	2,6	2,5	2,4	1,9
6	ნემსების საშუალო სიმაღლე ქუდების მთელ სიგრძეზე ზედა ნაყოფთა რიცხვის მიხედვით		41,04			21,92			45,36			31,75	



მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ მონაცემები, რომლებიც ახასიათებენ ნემსების უთანაბრობას სიმაღლის მიხედვით და მათ გამოთანაბრებას წერტილის შემდეგ. ნემსების სიმაღლე წერტილამდე და მის შემდეგ სხვადასხვა მანქანისათვის მოყვანილია ცხრილში 1 (ხელსაწყო მარჯვენა მხარის მიხედვით).

როგორც ჩანს, ცხრილი 1-დან, წერტილამდე ნემსების საშუალო სიმაღლე შეადგენს 41,04 დანაყოფს, წერტილის შემდეგ 21,92 დანაყოფს. ანუ პროცესში ნემსების გათანაბრება შემცირდება საშუალოდ 19,12 დანაყოფით, ანუ $19,12 \times 0,05 = 0,96$ მმ.

ჩვენი მაგალითისათვის ნემსების დამოკლება 0,96 მმ-ით ვრცელდება ნემსების მთელ სიმაღლეზე, დაწყებული ფოლადის ზედაპირიდან, ხოლო სახელმძღვანელოში მოყვანილი ლესვის სიდიდე 0,015 მმ. ეხება მხოლოდ ნემსების ზედა მუხლს.

ბუნებრივია, გამოთანაბრება რომ ხდებოდეს გალესვის 0,96 მმ ხარჯზე, მაშინ წერტილის რეჟიმის დროს 1000-1500 სთ-ის და ლესვის 4 მმ სიგრძის შემდეგ ქუდები იკმარებს $4:0,96=4$ წერტილისათვის და მომსახურეობის ხანგრძლივობა შეადგენს $4 \times 1200 = 4800$ სთ, ანუ ორცვლიანი მუშაობისათვის $4800:(14 \times 25) = 14$ თვეს.

ზოგადად ქუდები წარმოებაში მუშაობს არა უმეტეს 4-5 წლისა. საქმე იმაშია, რომ ნემსებიანი გარნიტურის წერტილისათვის ნემსების გამოთანაბრება სიმაღლის მიხედვით ხდება არა ნემსების ლესვის ხარჯზე, არამედ სალესი ლილვის ნემსების დაბოლოებაზე წნევის გამო, რის საშუალებითაც ნემსები შედის ფუძეში, ანუ ნემსების კავი აიწევა და ეყრდნობა რიკულის ზედაპირს. ამრიგად, გადაჭიმვის შემდეგ ნემსებიანი გარნიტურის ფუძე რჩება მოლუნული, და მასზე ჩასმულ ნემსებსაც აქვთ მოლუნული ფორმა. წერტილის და გამოთანაბრების შემდეგ საკუთრების ზედაპირის ხაოიანობის გამო ნემსების წვეტიანი დაბოლოებები რჩება შედარებით უთანაბრო, თუმცა წერტილამდე უთანაბრობათან შედარებით ნემსების სიმაღლეში თანაბარიანობა წერტილის შემდეგ საგრძობლად უმჯობესდება.

ამრიგად, ქუდების ნემსების დამოკლება 0,96 მმ აღმოჩნდა უმოქმედო, ანუ ეს სიდიდე წარმოადგენს „მოჩვენებითს“.

დასასრულს შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ნემსებიანი ფირფიტების არამჭიდრო მიდების გამო რიკულების ზედაპირთან, ნემსებიანი გარნიტურის ფუძის არასაკმარისი სიმტკიცის, ფოლადის რიკულებზე გადაჭიმული ზედაპირის ხაოიანობის გამო ქუდების, ნემსებს აქვთ თავისუფალი სვლა, რაც ნემსების გამოთანაბრების ნიშნის ქვეშ გალესვის ხარჯზე ზრდის დონეს მოჩვენებითი წერტილისას.

ლიტერატურა

1. მ. გოგოლაძე. დართვის ტექნოლოგია. ლექციების კურსი, სახელმძღვანელო, ქუთაისი., 2001, გვ. 152
2. Бозунов И., Бадалов К. и др., Прядение хлопка и химических волокон. М., М. Легпромбытиздат., 1986, стр. 392
3. Валиева З. Ф., Садиков Ф. С. Исследование влияния параметров приемного барабана чесальной машины на качество полуфабрикатов прядения // Молодой ученый. — 2017. — №20. — С. 13-16. — URL <https://moluch.ru/archive/154/42625/>



SOME STRUCTURAL DEFECTS OF NEEDLES OF CARDING MACHINES

M.Gogoladze, N.Abesadze
Ak.Tsereteli State University

Summary

Fluid production technology prepares the fundamental to use automated machines that reduce technological transitions to eliminate the quality of the yarn yarn. This is one of the basic ones for the creation of continuous multiprocessor aggregates. For this purpose, the carding process of fiber materials, in particular the cotton chewing, causes special interest. The results of a large number of surveys show that the reserves of fibrous materials are not fully utilized. We will look at some structural defects of needles of carding machines.

საქართველოს ბუნებრივი ფილიპსიტის ბაზაზე
მიკროელემენტუმცველი ცეოლითური მასალების შემქნა

ნ.დოლაბერიძე, ნ. ხაზარაძე, მ.ნიჟარაძე, ნ.მირძველი, თ. შარაშენიძე,
ზ.ამირიძე, ზ.ჩუბინიშვილი

თსუ, პეტრე მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შემუშავებულია საქართველოს მინერალური ნედლეულის, ბუნებრივი ფილიპსიტის ბაზაზე მიკროელემენტუმცველი სორბენტების მიღების მეთოდიკა. მიღებულია სორბენტები მიკროელემენტების მაქსიმალური შემცველობით. გამოვლენილია მათი ადსორბციის უნარიანობა წყლის ორთქლის მიმართ, რაც მათი მიკროელემენტუმცველი სასუქების სახით გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

დაბალსილიციუმშემცველი ცეოლითი ფილიპსიტი ვულკანოგენურ-დანალექი წარმოშობის მინერალია, რომელიც ხასიათდება მაღალი იონმიმოცვლითი მაჩვენებლებით და ამჟღავნებს სელექტიურობას მაღალი პოლარიზებადობის მქონე გარდამავალი ლითონების კატიონების მიმართ.

კვლევა ითვალისწინებდა ბუნებრივი ფილიპსიტის (საქართველო, შუხუთი - PSH) მიკროელემენტების ($Cu^{+2}, Co^{+2}, Mn^{+2}$) შემცველი ფორმების მიღებას იონმიმოცვლითი სინთეზის გზით, რაც ერთის მხრივ წარმოადგენს ნიადაგის წყლიანი ფაზიდან ცეოლითით აღნიშნული კატიონების თანმიმდევრული ფიქსაციის პროცესის მოდელს, მეორეს მხრივ იძლევა ამ მეთოდით მიღებული მასალების, როგორც მიკროელემენტუმცველი სასუქების გარკვეული დოზით იმ ნიადაგებში გამოყენების საშუალებას, რომლებიც მათ ნაკლებობას განიცდიან.

ფილიპსიტის სხვადასხვა მიკროელემენტუმცველი ფორმების მიღება აქტუალურია და გამოყენება სასარგებლოა, ნიადაგში მცენარისათვის აუცილებელი მიკროელემენტების მისაწოდებლად.

ფილიპსიტის სტრუქტურის ცეოლითში მოძრავი კატიონების ($Na^+, K^+, Ca^{+2}, Mg^{+2}$) ნაკრების არსებობის გამო, რომელთაც გააჩნიათ იონმიმოცვლის კინეტიკური მახასიათებლების განსხვავებული აბსოლუტური მნიშვნელობები და აქედან გამომდინარე, სხვადასხვა მობილობაშესაძლებელს ხდის კატიონური შედგენილობის ცვლილებით მოვახდინოთ დიფერენცირებული ფიქსირება ცალკეული კატიონების მიხედვით.

იონმიმოცვლითი სინთეზი მიმდინარეობდა ხსნარის მუდმივი ძალების პირობებში და კატიონების მუდმივი აქტივობისას[1]. დაწვრილმანებული, ფხვნილის სახის ბუნებრივი



ფილიპსიტი მუშავდებოდა სპილენძის, კობალტის და მანგანუმის ქლორიდების 15. წყალ-ხსნარებით. იონმიმოცვლა ტარდებოდა სტატიკურ პირობებში, მყარ ფაზასა და ხსნარს შორის, თანაფარდობით 1:6, წყლის აბაზანაზე, თითოეული დამუშავების დრო 0,5 სთ.

ექსპერიმენტი შესრულებული იყო კომბინირებულ ორბიტალურ/ხაზოვან წყლის აბაზანაზე- Grant Instruments OLS26 Aqua Pro(2014). იონმიმოცვლითი სინთეზის გზით მიღებული მოდიფიკაციების რენტგენული დიფრაქტოგრამები ტიპურია ფილიპსიტისათვის, რაც ადასტურებს იონმიმოცვლით რეაქციებში ალუმინსილიკატური კარკასის მდგრადობას. აღნიშნული ნიმუშების ალუმინსილიკატური კარკასის მდგრადობის შენარჩუნება დასტურდება Agilent Technologies Cary 630 FTIR (2013) სპექტრომეტრზე გადაღებული ინფრაწითელი სპექტრებითაც. ტეტრაედრთაშორისი, როგორც დეფორმაციული, ასევე სავალენტო რხევების ზოლების ინტენსივობა უცვლელი რჩება. ასევე არ იცვლება შიგატეტრაედრული რხევების სიხშირეები. ამ კვლევებით დადგენილია, რომ გარდამავალი კატიონების განაწილება ფილიპსიტის სტრუქტურაში სხვადასხვა პოზიციებზე ხდება კატიონების ზომების მიხედვით. პოზიციები განსაზღვრულია ფილიპსიტის სტრუქტურის თანამედროვე აღწერის თანახმად [2,3]. Mn^{+2} კატიონი, როგორც დიდი ზომის კატიონი თავსდება I ან II პოზიციაზე, Co^{+2} და Cu^{+2} კი მეტწილად II და II¹ პოზიციაზე.

ცხრილი 1. კატიონების განაწილება ფილიპსიტის სტრუქტურის პოზიციაზე

ნიმუში	კატიონი	პოზიცია		
		I	II	II ¹
MnPSH	Mn^{+2}	+	+	—
CoPSH	Co^{+2}	—	+	—
CuPSH	Cu^{+2}	—	+	+

შესწავლილია საკვლევი ნიმუშების ქიმიური შედგენილობა კლასიკური და ატომურ-აღსორბციული მეთოდების გამოყენებით. ცხრილში 2, მოტანილია საწყისი და მოდიფიცირებული ფილიპსიტების სრული ქიმიური ანალიზის საფუძველზე გამოთვლილი ელემენტარული უჯრედების შედგენილობა.

ცხრილი 2. ბუნებრივი და მოდიფიცირებული ფილიპსიტების ქიმიური შედგენილობა და აღსორბცი-ისუნარიანობა წყლის ორთქლის მიმართ.

ნიმუში	ფორმულა	Si/Al	a, მმოლ/გ
PSH	$(Na_{0.9} K_{4.5} Ca_{0.84} Mg_{0.64})(Al_{8.76} Si_{22.88} O_{64}) \cdot 18.87 H_2O$	2.62	6.98
CuPSH	$(Na_{2.00} K_{0.60} Ca_{0.40} Mg_{0.40} Cu_{1.10})(Al_{8.40} Si_{22.70} O_{64}) \cdot 19.82 H_2O$	2.81	6.90
CoPSH	$(Na_{1.7} K_{0.50} Ca_{0.30} Mg_{0.36} Co_{1.9})(Al_{8.50} Si_{22.64} O_{64}) \cdot 9.85 H_2O$	2.66	6.75
MnPSH	$(Na_{1.60} K_{0.50} Ca_{0.40} Mg_{0.34} Mn_{1.50})(Al_{8.50} Si_{22.70} O_{64}) \cdot 19.8 H_2O$	2.69	6.06



საკვლევი ლითონების მარილხსნარებთან ფილიპსიტის მრავალჯერადი ურთიერთქმედებისას აღინიშნება მანგანუმის, სპილენძის და კობალტის კატიონების ჩანაცვლების ხარისხების მონოტონური ზრდა, ანუ ფილიპსიტის სტრუქტურაში აღნიშნული კატიონების კონცენტრირება. აღნიშნული კატიონებით გამდიდრება ხდება ნატრიუმისა და კალიუმის ხარჯზე, კალციუმი და მაგნიუმი ძირითადად არ მონაწილეობენ იონმიმოცვლის პროცესში.

ექსპერიმენტულად განსაზღვრულია მოდიფიცირებული ფილიპსიტების ადსორბციული ტევადობა წყლის ორთქლის მიმართ, განხილულია გარდამავალი ლითონების კატიონების შეყვანის გავლენა ფილიპსიტის ადსორბციულ თვისებებზე.

დადგენილია, რომ კატიონების შეყვანა ფილიპსიტის კრისტალის სტრუქტურაში იწვევს წყლის ადსორბციის სიდიდის არსებით ცვლილებას. კარკასის უაროფითი მუხტის მაკომპენსირებელი კატიონის რადიუსის შემცირებით, წყლის პოლარული მოლეკულები 2.8 დიამეტრით იოლად აღწევს ფილიპსიტის მიკროფორებში და ადსორბირდება მიმოცვლით კატიონებზე იონ-დიპოლური ურთიერთქმედებით. მიღებული მონაცემების საფუძველზე, მოდიფიცირებული ფილიპსიტებისათვის ადსორციის უნარიანობა წყლის ორთქლის მიმართ მცირდება რიგით:



ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველს ბუნებრივი ფილიპსიტი წარმოადგენს, გახანგრძლივებული ქმედების, წყლისშემცველ, ეფექტური-ონმიმოცვლელს მიკროელემენტების, (სპილენძი, კობალტიდამანგანუმი) კონცენტრირებისათვის. მიღებული ცეოლითური მასალები კი ასევე წარმოადგენენ პერსპექტიულ მიკროელემენტშემცველ სორბენტებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ნიადაგის გასანაოყიერებლად.

ლიტერატურა

- 1.V.Tsitsishvili, N.Dolaberidze, S.Urotadze, M.Alelishvili, N.Mirdzveli, M.NiJaradze. Ion Exchange Properties of Georgian Natural Zeolites. Chemistry Journal of Moldova, 2017, v.12, No 1, p. 95-101, DOI: <http://dx.doi.org/10.1926/cjm.2017.413>.
- 2.Natural Zeolites for the Third Millenium. Editor Carmine Collelaand Frederik A. Mu-mpton. De Frede Editore Napoli, 2000, 481p.
- 3.H.Van Bekkum, E.M.Flanigen, P.A. Jacobs and J.C.Jansen (editors).Elsevier 2001, Amsterdam-London, New York-Oxford-Paris-Tokio,1062p.

CREATION OF MICROELEMENT-CONTAINING ZEOLITE MATERIALS BASED ON NATURAL PHILLIPSITE GEORGIA

N.Dolaberidze, N.Khazaradze, M.Nijaradze, N.Mirdzveli, T.Sharashenidze, Z.Amiridze, Z.Chubinishvili
Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry,
Akaki Tsereteli State University

Summary

A technique has been developed for the preparation of microelement-containing sorbents based on Georgia's mineral raw materials, natural phillipsite. Sorbents containing the maximum amount of microelements were obtained, their adsorption capacity for water vapor was revealed, which allows using microelement-containing minerals as fertilizers.



საქართველოს ბავშვთა ტანადობის ანთროპომეტრული კვლევა

ნ.დოლიძე, ქ.ჩირგაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია ბავშვთა ანთროპომეტრული კვლევის მნიშვნელობის შესახებ ჯან-მრთელი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში. საქართველოს ბავშვთა ანთროპომეტრულმა კვლევებმა გამოავლინა ბავშვთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში ტანადობის დარღვევის შემთხვევები და აჩვენა, რომ განსაკუთრებით ხშირია ტანადობის დარღვევის რაოდენობრივი მაჩვენებელი უმცროსი სკოლის ასაკის ბავშვებში. შესაბამისად დიდი მნიშვნელობა აქვს 6 - 13 წლის ბავშვებში აღნიშნული დარღვევის დროულად გამოვლენას და მათი აღმოფხვრის ღონისძიებების გატარებას შემდეგი გართულებების თავიდან აცილებისა და დღეისათვის მსოფლიოში ბავშვთა დაავადებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული დაავადების - სქოლიოზის პროფილაქტიკისათვის.


ბავშვის ორგანიზმის განვითარების პროცესი ზრდასრული ადამიანის ორგანიზმისაგან განსხვავდება მასში მიმდინარე რიგი ანატომიურ-ფიზიოლოგიური განსაკუთრებულობებით. ბავშვი ზრდის პროცესში განიცდის ტანაგებულების, ტანადობის, სხეულის პროპორციების ცვლილებებს, რაც ხშირად იწვევს ბავშვის ტანადობის ცვლილებას - ნორმალურიდან გადახრას. გარდა იმისა, რომ კარგი ტანადობა კარგ შთაბეჭდილებას ახდენს გარემომოყვებულზე, ის აგრეთვე ჯანმრთელობის საწინდარია. ბავშვებში ტანადობის დარღვევის მიზეზი შეიძლება იყოს თანდაყოლილი ან შეძენილი. კვლევებით დადგენილია, რომ უფრო ხშირად ტანადობის დარღვევა შეძენილია. მიზეზები, რომლის გამოც ხდება ბავშვის ტანადობის დარღვევა შეიძლება იყოს სოციალური პირობები, კერძოდ: ნაკლებად მოძრავი ცხოვრების წესი, მოუხერხებელი ავეჯი, რომელიც არ შეესაბამება ბავშვის სიმაღლეს, სამუშაო მაგიდის არასაკმარისი განათება, ზურგჩანთის ტარება ცალ მხარეზე ან მის ნაცვლად ჩანთის და პაკეტის გამოყენება. არასწორი ტანადობა ბავშვებში, მაშინ როცა ორგანიზმი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია, იწვევს მთელ რიგ დარღვევებს. სტატისტიკით დადგენილია, რომ დღეისათვის მსოფლიოში 6-13 წლის ასაკის ბავშვების 80-85%-ში გამოვლენილია ტანადობის დარღვევის სხვადასხვა სახის შემთხვევა. სტატისტიკის შედეგები შემაშფოთებელია და შესაბამისად აღნიშნული პრობლემის დროულად გამოვლენას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეისათვის მსოფლიოში ბავშვთა დაავადებებს შორის ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გავრცელებული დაავადების - სქოლიოზის პროფილაქტიკისათვის. ზემოაღნიშნული პრობლემის გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ბავშვთა ანთროპომეტრულ კვლევას. ჩატარებული კვლევების შედეგებმა აჩვენეს, რომ ტანადობის დარღვევის რაოდენობრივი მაჩვენებელი ბავშვთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფებისათვის შეადგენს - უმცროსი სკოლის ასაკის ბავშვებში 48 %, უფროსი სკოლის ასაკის ბავშვებში 18%, ხოლო მოზარდებში - 34% (ნახ. 1 ა.ბ.გ.).

ბავშვთა ანთროპომეტრული კვლევის მიზანს წარმოადგენდა, აგრეთვე, ბავშვთა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში ტანადობის დარღვევის ტიპების გამოვლენა და მათი პროცენტული მაჩვენებლების განსაზღვრა.


კვლევის დროს განიხილებოდა ბავშვთა ტანადობის დარღვევის სამი ტიპი: მოხრილი ზურგი, მხრების უთანაბრობა და გასწორებული ზურგი. კვლევის შედეგებმა აჩვენეს, რომ (ნახ 2.3.4) ტანადობის დარღვევის ტიპებიდან ყველაზე მეტად გვხვდება ტიპი - „მოხრი-



ლი ზურგი”, რომლის რაოდენობრივი მაჩვენებელი შემდეგნაირად განაწილდა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით : უმცროსი სკოლის ასაკის ბავშვებში - 25%, უფროსი სკოლის ასაკის ბავშვებში - 21%, ხოლო მოზარდებში 9 %.




ა




ბ

გ


ნახ.1 ტანადობის დარღვევის რაოდენობრივი მაჩვენებლები: ა.- უმცროსი სკოლის ასაკი, ბ.- უფროსი სკოლის ასაკი, გ.-მოზარდი ასაკი.



ნახ.2 უმცროსი სკოლის ასაკის ბავშვთა ტანადობის დარღვევის ტიპების განსაზღვრის შედეგები %- ში



ნახ.3 უფროსი სკოლის ასაკის ბავშვთა ტანადობის დარღვევის ტიპების განსაზღვრის შედეგები %-ში



ნახ.4 მოზარდი ასაკის ბავშვთა ტანადობის დარღვევის ტიპების განსაზღვრის შედეგები %-ში

ამრიგად, საქართველოს ბავშვთა ანთროპომეტრული კვლევის შედეგებმა აჩვენეს, რომ განსაკუთრებით ხშირია ტანადობის დარღვევის შემთხვევები უმცროსი სკოლის ასაკის ბავშვებში. ჩატარებული კვლევის შედეგები მნიშვნელოვანია 6 - 13 წლის ბავშვებში აღნიშნული პრობლემის დროულად გამოვლენისა და მისი აღმოფხვრისათვის შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით, შემდეგი გართულებების თავიდან აცილებისა და დღეისათვის მსოფლიოში ბავშვთა დაავადებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული დაავადების - სქოლიოზის პროფილაქტიკისათვის.

ლიტერატურა

1. Година Е.З. Динамика процессов роста и развития человека. Москва. Медицина. 2001. 346 ст.
2. Задорожная Л.В. Влияние некоторых факторов окружающей среды на формирование особенностей соматического развития детей и подростков. Вопр. антропологии. 1990. Вып. 184 ст.
3. **Нарушение осанки** <http://www.life-ergo.ru/information/articles-and-materials/advantage-for-health/posture/postureflu> 15.11.2012.

ANTHROPOMETRIC RESEARCH OF THE POSTURE OF GEORGIAN CHILDREN

N.Dolidze, K.Chirgadze

Akaki Tsereteli State University

Summary

The article discusses the importance of children's anthropometric research as a guarantee of healthy future of the generation. Georgian children's anthropometric surveys revealed cases of abnormalities in posture of children of different age groups and showed that some are especially common in younger age. The results of the research are very important in children of the age 6-13 in order to timely reveal and eradicate developmental abnormalities, to prevent complications and scoliosis which is one of the widely spread diseases all over the world.



ИСПОЛЬЗОВАНИЕ КОМПЬЮТЕРНО-ОРИЕНТИРОВАННЫХ ТЕХНОЛОГИЙ В ДИЗАЙН-ПРОЕКТИРОВАНИИ ЮВЕЛИРНЫХ ИЗДЕЛИЙ

М.С.Винничук, Д.В.Выдолоб, Н.В.Остапенко
Киевский национальный университет технологий и дизайна

В статье проанализированы характеристики 3D принтера Pulse DLP и фрезерного станка WM-1400 украинского производства JS Mill с целью дизайн-проектирования ювелирных изделий. Охарактеризованы этапы работы оборудования, их преимущества и недостатки.

Развитие инновационных технологий, в том числе, в ювелирной промышленности обусловлено повышением уровня жизни населения, индивидуальности и самовыражения через разнообразие в дизайне, влияние процессов глобализации и информатизации общества, динамикой развития мирового рынка продукции ювелирной промышленности.

Наиболее перспективным направлением усовершенствования компьютерных технологий в ювелирной промышленности является 3D дизайн-проектирование. Появление компьютерно-ориентированных технологий привело к использованию 3D продуктов в производстве ювелирных изделий не только на крупных, но и на небольших частных предприятиях. В Украине дизайн-проектирование и прототипирование ювелирных изделий с использованием 3D технологий на сегодняшний день представляет собой особый сегмент коммерческих услуг. Их конечным продуктом может выступать готовый для печати *.stl файл, выполненная в воске или полимере, либо изготовленная в металле мастер-модель, либо готовое изделие. При этом в Украине, в отличие от, например, Великобритании, еще не созданы объединения или ассоциации ювелиров, специализирующихся на 3D технологиях.

Среди оборудования, применяемого для моделирования ювелирных изделий с использованием 3D технологий, широко используются соответствующие принтеры и многоосевые фрезерные станки.

Особого внимания заслуживает недавно появившийся на рынке 3D принтер украинского производства Pulse DLP, работа которого основана на технологиях SLA и DLP проекций. Аппараты, работающие по этим технологиям, имеют среди других составляющих небольшую ванну с жидким полимером, а DLP проектор передает изображение целого слоя на дно ванны до затвердевания полимера. После изготовления одного слоя, платформа с деталью поднимается вверх, жидкий полимер заполняет пустоту, засвечивается следующий слой и так далее.

С позиции эргономичности принтер Pulse DLP украинского производства компании JS Mill (г. Харьков) оснащён встроенным процессорным блоком, в нем отсутствует большое количество проводов для подключения к персональному компьютеру (ПК), что позволяет автономно работать. Сетевое подключение к Internet или WiFi необходимо для загрузки файлов в память принтера. Скорость печати зависит от характеристик используемого полимера, а точность настраивается и составляет 30-50 мкм по осям XY и более чем 5 мкм по оси Z (рис.1).

Фотополимеры для печати различаются производителями, характеристиками и ценой. Благодаря использованию 2-х видов ванн, в Pulse DLP возможно применение более широкого спектра полимеров.

Технология 3D печати предполагает различные способы построения модели по осям XY и оси Z. Применяемые материалы дают разную усадку по этим осям, что приводит к изменению



Рис. 1. Внешний вид 3D принтера Pulse DLP

размеров особенно больших по площади тонких изделий. Кроме этого 3D модель предполагает наличие поддерживающих конструкций, которые в некоторых случаях неотделимы.

Украинские принтеры отличаются более низкой ценовой политикой по сравнению с зарубежными аналогами более низкой.

Одним из основных альтернативных видов оборудования, применяемых при 3D моделировании ювелирных изделий, являются многоосевые фрезерные станки – 5-ти, 4-х и 3-х осевые (портальные), каждый из которых имеет свои особенности. Так, например, 3-х осевой станок режет только по видимой части заготовки, поворот осуществляется с помощью оператора вручную, что способствует снижению качества из-за человеческого фактора. Преимуществом является увеличение размера рабочего поля, простота, цена. Известно, что универсальный 4-х осевой станок работает автономно с поворотом (редуктора) по «оси А» на 180°, и 360°, но ограничен в размере рабочего поля за счет самой конструкции. Надо отметить, что преимуществом 5-ти осевого станка является фрезеровка изделия со всех сторон, включая внутренние элементы, но при этом он имеет еще более чем 4-х осевой ограничения в размере рабочего поля.

На сегодняшний день наиболее распространен 4-х осевой станок WM-1400 компании JS Mill (Украина, г.Харьков), состоящий из 4 осей (X,Y,Z) и поворотной части (A) и укомплектованный ПК со встроенным блоком питания и программой Mach3 (рис. 2). Рабочий ход оси X составляет 180 мм, оси Y-110 мм, оси Z-160 мм. Поворотная часть A (редуктор) с рабочим ходом 360°.



Рис. 2. Фрезерный станок WM-1400: *a* – внешний вид составляющих: 1 – шпиндель, 2 – градусная сетка, 3 – датчик нуля, 4 – задняя бабка; *b* – оси перемещения рабочих зон: 5 – ось А – с рабочим ходом 360°, 6 – ось X с рабочим ходом 180 мм, 7 – ось Y с рабочим ходом 110 мм, 8 – ось Z с рабочим ходом 160 мм

Фрезерные станки приспособлены для моделирования не только мастер-моделей из воска, а и для изготовления ювелирных изделий из более твердых материалов, таких как кость (бивень



мамонта, клык моржа, олений рог) и камень (бирюза, лазурит, малахит, коралл, янтарь) (рис. 3, 4). Так же есть возможность гравировки по металлу с помощью алмазных инструментов. Обработка ювелирных изделий из твердых материалов без потери качества является основным отличием фрезерных станков по сравнению с 3D принтерами.

3D принтер и фрезерный станок построены на одних и тех же принципах – превращение исходного материала в готовую модель. Только 3D принтер создает модель, используя расходные материалы, а фрезерный станок – обрабатывает заготовку, убирая все лишнее. Недостатком фрезерного станка является невозможность выполнить сразу объемную модель, как это может сделать 3D принтер, то есть, фреза имеет физические размеры и угол заточки, может резать только по внешней (видимой) для нее части, тем самым, оставляя отрицательный угол от градуса самой фрезы.



Рис. 3. Примеры выполнения фрезеровки для различных материалов:
а – янтарь, б – бирюза, в – бивень.



Рис. 4. Фрагмент фрезерного станка с деталью из пластика

- Различают следующие способы фрезеровки:
- с поворотом на 360° , используется для простых колец, статуэток, и иногда подвесов;
 - с поворотом на 180° (обработка с двух сторон), наиболее часто используется для плоских изделий (подвесы, накладки и пр.);
 - с поворотом на 180° , и 360° , применяется для фрезеровки колец с кастами по боковой части шинки, и кастами по внешней части благодаря дополнительной оснастке;
 - с поворотом шпинделя под 90° , используется для площадок мужских перстней;
 - под углом шпинделя от 30 до 50° , применяется для фрезеровки внутренних элементов и надписей внутри шинки, кольца.
 - гравировка по вектору, которая задается по линиям, в основном используется на плоских поверхностях.
 - фрезеровка по растру, применяется для фрезеровки по рисунку, фотографии, разделяя рисунок на темные, и светлые оттенки, тем самым отделяя высоты.

Проанализированы основные характеристики современного оборудования для прототипирования моделей ювелирных изделий, включающих в состав 3D принтер и фрезерный станок. Обосновано выбор компьютерно-ориентированных технологий в дизайн-проектировании ювелирных изделий, как наиболее прогрессивных на сегодняшний день. Проведен сравнительный анализ способов фрезеровки мастер-моделей, каждый из которых используется для определенных ювелирных изделий и их составляющих.



USE OF THE COMPUTER FOCUSED TECHNOLOGIES IN DESIGN DESIGN OF JEWELRY

M.S. Vinnichuk, D.V. Vydolob, N.V. Ostapenko
Kiev national university of technologies and design

Summary

The main characteristics of modern equipment for prototyping jewelry models that include a 3D printer and a milling machine are analyzed. The choice of computer-oriented technologies in the design of jewelry, as the most progressive to date, is substantiated. Comparative analysis methods milling master models, each of which is used for certain jewelry and its components.

ტანსაცმლის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის როლი
წარმოების მენეჯმენტისათვის

ნ. თხელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროდუქციის ხარისხის კონტროლის თანამედროვე მეთოდები სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს და საშუალებას იძლევა ხარისხის მაჩვენებლების მაღალ სტაბილურობას მივაღწიოთ მინიმალური დანახარჯებით. წარმოებული პროდუქციის მაღალი ხარისხი იწვევს ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდას. დასმული ამოცანის გადასაჭრელად გამოყენებულ იქნა ექსპერტული მეთოდები. განხილულია ტანსაცმლის ხარისხის კვლევის შედეგები. გამოკვლეული იქნა 25 ნიმუში, დადგენილი იქნა ტანსაცმელში ყველაზე მეტად გავრცელებული წუნის სახეები და მზა ნაწარმის წუნის სახეები.

თანამედროვე ბიზნესში ყველა რგოლის მენეჯერისთვის მნიშვნელოვანია ხარისხის მართვის იმ ძირითადი კონცეფციების ცოდნა, რაც მათ მისცემს საშუალებას ერთი მხრივ, გაზარდონ პროდუქტის კონკურენტუნარიანობა გლობალურ ბაზარზე, ხოლო მეორე მხრივ კი, თავიდან აიცილონ უხარისხობით გამოწვეული ხარჯები.

პროდუქციის ხარისხის სრულყოფის გზების ძიება თანამედროვე კომპანიების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საზრუნავია. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების თანახმად ეს პრობლემა ეროვნული ეკონომიკური უსაფრთხოების ფაქტორთა რიგშია. სტაბილური ხარისხის, მომხმარებელთა მოთხოვნილებებთან შესაბამისობის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის ინტეგრირება მსოფლიო მეურნეობასთან და მასში ღირსეული ადგილის დაკავება.

დღეისათვის მნიშვნელოვანია პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება საბაზრო პირობებში. მწარმოებლის წარმატებას ბაზარზე განსზღვრავს პროდუქციის ხარისხი, ამიტომაც აუცილებელია ხარისხის როლის გაძლიერება საბაზრო ურთიერთობათა პირობებში. დღეს საქართველოში, როგორც შიდა ასევე გარე ბაზარზე მომხმარებლისათვის ბრძოლა მოითხოვს ჭეშმარიტად კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოებას.

საბაზრო ეკონომიკის დროს უდიდესი ყურადღება ეთმობა კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობით განპირობებულ ხარისხის პრობლემას.

ხარისხის უზრუნველყოფის საერთო გეგმის შემუშავებისას მთავარია მისი კონტროლის ორგანიზება.

დიდი ხნის განმავლობაში ორგანიზაციებში ხარისხზე პასუხს აგებდა ხარისხის მარ-



თვის განყოფილება. სამრეწველო საწარმოებში ხარისხის მართვის მთავარი იარაღი იყო დეფექტების და შეცდომების აღმოჩენისთვის ჩატარებული შემოწმებები. მასობრივი წარმოების სისტემებში, რომელთა ხანგრძლივი შეჩერება ეკონომიკურად წამგებიანია, ამგვარი შემოწმებები ტარდებოდა საწარმოო პროცესის დასრულების შემდეგ, რის გამოც დეფექტთა უმრავლესობის თავიდან აცილება ვერ ხერხდებოდა.

ხარისხის მართვის თანამედროვე მიდგომა ეფუძნება არა დეფექტების აღმოჩენას და გამოსწორებას, არამედ მათ პრევენციას. ეს ხორციელდება პროცესების, ნაკეთობების, მომსახურების ყოველმხრივ და გულდასმით შემოწმების ფონზე. ხშირად ტესტირება ტარდება არა წუნის გამოსავლენად, არამედ იმის დასადასტურებლად, რომ საქონელი ხარისხიანია. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფა არ არის ერთი სტრუქტურული ერთეულის პრეროგატივა და ის მთელი ორგანიზაციის საზრუნავად იქცა.

პროდუქციის ხარისხის კონტროლის თანამედროვე მეთოდები სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს და საშუალებას იძლევა ხარისხის მაჩვენებლების მაღალ სტაბილურობას მივაღწიოთ მინიმალური დანახარჯებით. კონტროლის ეფექტური სისტემა საშუალებას იძლევა განხორციელდეს გამოშვებული პროდუქციის ხარისხის დონეზე დროული და მიზანმიმართული ზემოქმედება, თავიდან იქნეს აცილებული ყველა შესაძლო ნაკლოვანება და შეფერხება მუშაობაში და რესურსების უმცირესი დანახარჯებით უზრუნველყოფილი იქნას ოპერატიული ზემოქმედება და წუნების ლიკვიდაცია. ხარისხის მოქმედი კონტროლის დადებითი შედეგები რაოდენობრივად შეიძლება განისაზღვროს პროდუქციის დამუშავების, წარმოების, ექსპლუატაციის (მომხმარებლის) და აღდგენის (შეკეთების) სტადიაზე [1, 2].

მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის წუნის ექსპერტიზა ნაკეთობის სახეების მიხედვით განსხვავებულია. მასალების ხარისხის ექსპერტიზა დამოკიდებულია გამოყენებული მასალების სახეებზე [2, 3]. საერთო საჯარიმო ქულები მიიღება ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლების, გარეგანი და ადგილობრივი წუნების ქულების ჯამით. გავრცელებულია წუნი, რომელიც მასალის მთელ ფართობზე გავრცელებული, ხოლო ადგილობრივი მხოლოდ განსაზღვრულ მონაკვეთში. მაგალითად, ქსოვილების შემთხვევაში: I ხარისხის ქსოვილებში შესამჩნევი წუნები არ დაიშვება. II ხარისხის ქსოვილებში დასაშვებია არაუმეტეს ერთი გავრცელებული წუნისა. ადგილობრივი წუნისათვის საჯარიმო ქულების რაოდენობას ითვლიან პირობით სიგრძეზე [2]:

$$B_f = \sum B \frac{L_g}{L}$$

სადაც: $\sum B$ -საჯარიმო ქულების ჯამია, გარეგანი სახის წუნისათვის L სიგრძის მასალაში;

L_g - ქსოვილის პირობითი სიგრძე (ქსოვილის განის მიხედვით).

მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში გამოყენებული მასალებისათვის წუნების დასაშვები რაოდენობა განისაზღვრება სტანდარტით. მაგალითად, ქსოვილებისათვის წუნის რაოდენობა 3 მ^2 პირობით ფართობზე იანგარიშება შემდეგი სახით:

$$n_f = n_a \frac{3 \cdot 10^3}{LS}$$

სადაც: n_a -ფაქტიური წუნის რაოდენობაა;

L - სიგრძე;



ს -ქსოვილის ფართობია.

მზა ნაწარმის ხარისხის განსაზღვრა ხდება სამი მეთოდით – გარეგანი დათვალიერებით, ხაზობრივი ზომების გაზომვით და ლაბორატორიული გამოკვლევით [2, 3]. გარეგანი დათვალიერება წარმოებს ზედაპირის ან სარჩულის მხრიდან, რისთვისაც ახდენენ წყვილი დეტალების შედარებას, ცალკეული დეტალების გაზომვასა და გვირისტის სიხშირის განსაზღვრას ცალკეულ მონაკვეთზე მისი რაოდენობის დათვლით.

ლაბორატორიული გამოკვლევით ხარისხის განსაზღვრისათვის ნიმუშის შერჩევა წარმოებს უშუალოდ ექსპერტის მიერ, ნაკეთობის სხვადასხვა ადგილებიდან და ნიმუშების რაოდენობა დამოკიდებულია საქონლის პარტიის სიდიდეზე. კონტროლს ექვემდებარება: წარმოებაში შემოტანილი ნედლეული, ძირითადი და დამხმარე მასალები, ნ/ფაბრიკატები, მაკომპლექტებელი ნაკეთობები; წარმოებული ნაკეთობები, დეტალები, ასაკრები ერთეულები; მზა ნაწარმი; მოწყობილობები, აღჭურვილობა, პროდუქციის დამზადების ტექნოლოგიური პროცესები.

მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის ხარისხის შეფასებისათვის ჩატარებული კვლევების დროს (განხილულია ტანსაცმლის ხარისხის კვლევის შედეგები. გამოკვლეული იქნა 25 ნიმუში, დადგენილი იქნა ტანსაცმელში ყველაზე მეტად გავრცელებული წუნის სახეები (ცხრილი 1) და მზა ნაწარმის წუნის სახეები, წუნის სახეების მიხედვით შედარების შედეგი ნაჩვენებია ცხრილში 2, რომელთა საფუძველზეც აგებულ იქნა განაწილების დიაგრამები (სქემა 1).

ცხრილი 1.

წუნის სახეების მაჩვენებლები

წუნის სახეების მაჩვენებლები	ნიმუშის წუნის რაოდენობა	მზარდი ჯამი $\sum n_i$	$\Delta I = n_i / \sum n_i * 100\%$	მზარდი ჯამი $\sum n_i$ %
საყელოს ლაცკანის არასწორი გადაკეცვა	3	3	5	5
ჩამაგრების ნაკერის გამრუდება	9	12	14	19
კალთქვედის სიგრძეთა სხვადასხვაობა	2	14	3	21
სახელოს არათანაბარი განაწილება ჭრილში	2	16	3	24
ჯიბის ჭრილის ჩარჩო მოჭიმულია	5	21	8	32
შარვლის წელის სარჩული ჩანს წადმა მხარეს	2	23	3	35
შარვლის ბოლოზე თასმა არ არის დადებული	3	26	5	40
შუასადების მასალის დეფორმაცია	7	33	11	51
გასაფორმებელი ნაკერის გადახრა	8	41	12	62
ნაკერში ძაფების დაწყვეტა	4	45	6	68
ძაფის გასქელება	3	48	5	65
ქსელწყვეტილი	2	50	3	68
სურათის აცდენა	3	53	5	73
შეუღებავი ადგილები	4	57	6	79
ლაქები	8	65	11	100



ჩატარებული კვლევიდან ჩანს, რომ ყველაზე მეტად გავრცელებულია 1. ჩამაგრების გვირისტის არარსებობის წუნი (9), 2. ლაქები (8) და გასაფორმებელი გვირისტის გადახრა (8), 3. შუასადები მასალის დეფორმაცია (7), 4. ჯიბის ჭრილის ჩარჩოს მოჭიმულობა (5), 5. შეუღებავი ადგილები (4) და ნაკერში ძაფების დაწყვეტა (4), 6. შარვლის ბოლოზე თასმა არ არის დადებული (3) და ძაფების გასქელება (3), სურათის აცდენა (3), საყელოს ლაცკანის არასწორი გადაკეცვა (3), 7. კალთქვედის სიგრძეთა სხვადასხვაობა (2), სახელოს არასწორი განაწილება ჭრილში (2).

ცხრილი 2

მზა ნაწარმის წუნის სახეები.

#	მზა ნაწარმის წუნის სახე	წუნის რაოდენობა n_i	მზარდი ჯამი Σn_i	$\Delta I = n_i / \Sigma n_i * 100\%$	მზარდი ჯამი $\Sigma n_i \%$
1	გარეგნული წუნის სახეები	32	32	47	47
2	ნიმუშ-ეტალონთან შეუსაბამობა	1	33	2	49
3	დაბალი ფიზიკო-მექანიკური მაჩვენებლები	9	42	14	63
4	მარკირებისა და შეფუთვის დარღვევა	18	60	26	89
5	სხვადასხვა	7	67	11	100



სქემა 1. მზა ნაწარმის წუნის სახეები.

ნაშრომში ბეჭდვით მედიაში. ბეჭდვითი პროდუქციის კონსტრუქციის პროცესშია უცვლელად მომენტების გათვალისწინება, ნაჩვენებია რეკლამის როლი რომლებიც სამომავლოდ, აგვარიდებს შესაძლო დეფექტებსა და ხარვეზებს. განხილულია ჩვენს მიერ კონსტრუქციული პროსპექტი, ლოგო და პლაკატი, განკუთვნილი "ქართველმედიკინეთა ასოციაციის" მიერ ორგანიზებული ღვინის ფესტივალისთვის; მათი ბეჭდვის ტექნოლოგიური პროცესების შერჩევის გზები და გაანგარიშებულია ღვინის სარეკლამო ნაწარმის ბეჭდვისთვის მისაღები ეკონომიური ეფექტი. აღნიშნული ეკონომიკური



ეფექტი გამოიხატება ღვინის სარეკლამო პროდუქციის გაიაფებაში, რომელიც შეეხება უპირველეს ყოვლისა პოლიგრაფიულ წარმოებას.

ჩვენი საუკუნის ადამიანს რეკლამა ყველგან თან სდევს. ჩვენ გამუდმებით რეკლამის სამყაროში ვიმყოფებით. როგორც მარკეტერები და პიარის სპეციალისტები ფიქრობენ, ნახევარ საქმეს კარგად შეფუთული და მომხმარებელამდე ეფექტურად მიტანილი რეკლამა აკეთებს. რეკლამა - ეს არის ინფორმაცია გავრცელებული ნებისმიერი მეთოდით, ფორმით და ხერხით, მიმართული საზოგადოების ფართო მასებისთვის, რეკლამირების ობიექტის მიმართ მათი ყურადღების მიპყრობის ან დაინტერესების მიზნით.

ბეჭდვითი პროდუქციის კონსტრუირების პროცესში აუცილებელია იმ მომენტების გათვალისწინება, რომლებიც სამომავლოდ, აგვარიდებს შესაძლო დეფექტებსა და ხარვეზებს. შემდეგ იწყება წარმოებითი პროცესი, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე პოლიგრაფიული მანქანა-მოწყობილობების წარმატებულ ფუნქციონირებას, აგრეთვე იმ პოლიგრაფიულ ტექნოლოგიურ პროცესებს, რომლებიც მათი შექმნისთვისაა საჭირო. აქედან გამომდინარე, ჩვენს დარგში სამეცნიერო კვლევითი შრომები მიმართულია იმ მანქანებისა და მოწყობილობების კვლევისა და კონსტრუირების საკითხებისადმი, რომლებიც ქმნიან ბეჭდვით პროდუქციას.

პოლიგრაფიულ ბიზნესში სხვა წარმატებულ მიმართულებასთან ერთად ერთ-ერთი პოპულარული აპლაკატის, ბუკლეტის, პროსპექტის და სხვა სარეკლამო პროდუქციის დამზადება.


მოცემულ სტატიაში განხილულია ჩვენს მიერ 12 გვერდიანი (1 ყდა და 11 სარეკლამო ფურცელი) სარეკლამო პროსპექტის ორი გვერდი, რომელიც განკუთვნილია "ქართველ მეღვინეთა ასოციაციის" მიერ ორგანიზებული ღვინის ფესტივალისთვის.

ყოველ სარეკლამო ფურცელზე განთავსებულია ინდივიდუალური მეწარმის ფოტოსურათი, ფონად გამოყენებულია იმ ვაზის ნაირსახეობა, რომლისგანაც დამზადებულია მოცემული ტიპის (მარკის) ღვინო. სარეკლამო ფურცლის ქვედა მარჯვენა კუთხეში მოთავსებულია აღნიშნული ინდ. მეწარმის სავიზიტო ბარათი, სადაც მითითებულია მეწარმის სახელი, გვარი, შესაძლებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი, ელ. ფოსტა, საკონტაქტო ტელეფონი. მეტი ფუნქციური დატვირთვისთვის სავიზიტო ბარათის უკანა მხარეს განთავსებულია მოცემული წლის კალენდარი. აღსანიშნავია, რომ სავიზიტო ბარათის ზედა ნაწილზე (სეგმენტზე) დაყოლებულია წებვადი ელემენტი და სპეციალური ლენტის ახევის შემდეგ ომ-შესაძლებელია „ვიზიტკა“- კალენდრის დამაგრება მომხმარებლის სამუშაო სივრცეში არსებულ ნებისმიერ საგანზე - კომპიუტერზე, კედელზე, მაგიდაზე და სხვ. საინტერესოა ისიც, რომ სავიზიტო ბარათი გარშემო შემოფარგლულია წერტილოვანი პერფორაციით, რაც დამატებითი საჭრელი ინსტრუმენტების გარეშე ბარათის მარტივად და დაუზიანებლად მოხვევის საშუალებას იძლევა. ნახ. 1.


აღსანიშნავია, რომ პროსპექტის ყდის ფონს წარმოადგენს მხატვრული ფოტოსურათი, სადაც გამოსახულია ღვინის კასრი, რომელზეც განთავსებულია ღვინით სავსე ჭიქა და ყურძნის მტევანი. ფურცლის ზედა ნაწილში მოცემულია პროსპექტის დასახელება "ღვინისფესტივალი 2018", როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. მთლიანობაში გვერდი ფერადოვანია, შრიფტები მრავალფეროვანი, სახვითი ელემენტები ისეა განლაგებული, რომ დაცული



იყოს გვერდის კომპოზიციური მთლიანობა. ნახ.2



ნახ. 1. სარეკლამო პროსპექტის გვერდი



ნახ.2 სარეკლამო პროსპექტის ყდა

სტატიაში აგრეთვე წარმოდგენილია ლოგო "ქართველ მეღვინეთა ასოციაციისთვის". როგორც ცნობილია, ქართულ ქვევრსა და ქვევრშიდ ვინის დაყენების ქართულ მეთოდს იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა. ლოგოს ცენტრალურ ელემენტს წარმოადგენს თიხისფერი ქვევრი, რომლის დაფერვა ნაწილობრივ გაცრეცილია, რაც მის სიმკვლეუსა და ანტიკურობაზე მიუთითებს. (ნახ.3)



ნახ.3 ლოგო "ქართველმეღვინეთაასოციაციისთვის"

ზემოთაღნიშნული ნაწარმის დასაბეჭდად გამოყენებულია ბეჭდვის ერთ-ერთ-სახეობა - ტრაფარეტული ბეჭდვა. ტრაფარეტული ბეჭდვის შესასრულებლად გამოიყენება საბეჭდი ფორმა, რომელიც შეკრულია ძალიან თხელი ძაფისაგან, რომლის ლინიატურა უნდა იყოს 48 ხაზიდან 54 ხაზამდე. ასეთი ფორმის შერჩევა გადაწყვეტით ქაღალდის ხარისხიდან გამომდინარე. (რაც უფრო ხარისხიანია ქაღალდი, მით უფრო წვრილი ძაფებისაგანაა შეკრული ბადე) საბეჭდი ფორმის დასამზადებლად ბადე უნდა გადაიჭიმოს და დამაგრდეს სპეციალურ დანადგარზე - ხის ან ალუმინის ჩარჩოზე.

ტრადიციულად შუქმგძნობიარე ფენა სათანადო სისქით თავსდება ბადეზე. ჩვენ გთავაზობთ საბეჭდი ფორმის დამზადების ყველაზე თანამედროვე მეთოდს, რომელიც ჯერჯერობით დანერგილია მხოლოდ ევროპულ პოლიგრაფიულ მრეწველობაში და რომელიც გამოვიყენეთ ჩვენს მიერ შერჩეული ტექნოლოგიური ბეჭდვისას. ამ უახლესი მეთოდით საბეჭდი



ფორმის დამზადებისათვის შევისყიდეთ შუქმგრძობიარე ფირი და დავაწებეთ ბადეზე. ამის შემდგომ ტექნოლოგიური პროცესის თანმიმდევრობა ტრადიციულის იდენტურია. ასეთი მეთოდით დამზადებული საბეჭდი ფორმა იძლევა ეკონომიას, რომელიც გამოიხატება ღვინის სარეკლამო პროდუქციის გაიაფებაში, რომელიც შეეხება უპირველეს ყოვლისა პოლიგრაფიულ წარმოებას. ძირითადი ეკონომია, განპირობებულია ფორმების შექმნასა და ტრანსპორტირებაზე.

ჩვენს მიერ აგრეთვე ჩატარებულია ეკონომიკური ანალიზი ამ ბეჭდვითი ტექნოლოგიის შესასრულებლად, საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლიგრაფიული მრეწველობისათვის შეთვისებული ტექნიკური გადაწყვეტა ეფექტურია და დანარჯების გამოსყიდვის ვადაც დადგენილია შესაბამისად.

ლიტერატურა

1. ჯ. უფლისაშვილი, მ. ყიფშიძე - "ბეჭდვითირეკლამა" გვ. 31-39; "ტექნიკური უნივერსიტეტი", 2009 წელი;
2. E.B. Ромат – "Реклама" стр. 173-196; Санкт-Петербург 2001 г.
3. V. Kerry Smith. Environmental Resources and Applied

CONSTRUCTION OF ADVERTIZING PRODUCTS AND MODERN TECHNOLOGIES

N. Natbiladze, M. Pshashidze, K. Egorishvili

Georgian technical university

Summary

The principal objective of the advertisement in print media is shown in the work; specifically, loading packing means in product sorting, transporting and in selling is discussed. The work discusses the logo designed by us and the poster for packing of children's product. The design characters and the advantages of the technological procedures of chosen printing are also discussed. Economical effectiveness of producing advertizing packing materials for children's food is also grounded. The work conducted by our calculations confirm the effectiveness of the technical solution.

გაზის მომხმარებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოწყობილობის შექმნის საკითხები

ნ.იაშვილი, ა.ფრანგიშვილი, ი.ხუტაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განხილულია საცხოვრებელ ბინებში და სახლებში ბუნებრივი და მხუთავ იაირების გაჟონვის, დაგროვების, დაფიქსირების, გამაფრთხილებელი ხმოვანი და მანათობელი სიგნალების გამომუშავებისა და ელექტრომაგნიტური სარეკელის მართვის მოწყობილობის შექმნის საკითხები. შემოთავაზებული მოწყობილობა განკუთვნილია გაზის მომხმარებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის. არსებული სხვადასხვა ტიპის მოწყობილობებისაგან იგი განსხვავდება რამდენიმე ნიშნით, რაც განპირობებს მის მაღალ მგრძობიარობას და სიზუსტეს.

საყოფაცხოვრებო და მხუთავი ირების გაჟონვისა და დაგროვების აღმოჩენის და ადამიანთა გაფრთხილების მნიშვნელობა ყველასთვის ცხადია. სწორედ ამ პრობლემის გადაწყვე-



ტის და ადამიანთა უსაფრთხოებისთვის არის განკუთვნილი საცხოვრებელ ბინებში აირების გაჟონვის სიგნალიზატორები, დეტექტორები და მონიტორინგის მოწყობილობები და სისტემები.

დღეისთვის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აწარმოებენ აირების გაჟონვის აღმოსაჩენ სხვადასხვა მოწყობილობებს. მათ შორის დიდი ადგილი უკავია საცხოვრებელ ბინებში აირის გაჟონვის ხელსაწყოებს. ევროპის და ამერიკის (აშშ, კანადა) ქვეყნებში საცხოვრებელი ბინების და სახლების გაყიდვა ან გაქირავება იკრძალება, თუ ისინი სახანძრო უსაფრთხოების სისტემებთან ერთად აღჭურვილნი არ არიან გაზის გაჟონვის სიგნალიზატორებით, დეტექტორებითა და სისტემებით.

ბოლო დროს ჩვენში გახშირებულმა შემთხვევებმა დღის წესრიგში დააყენა ამ საკითხების მოგვარების აუცილებლობა, რათა თავიდან ავიცილოთ აფეთქებები, ხანძრები, ადამიანთა მოწამვლა და დაღუპვა. 2014 წ. საქართველოში ბუნებრივი აირით მოიწამლა 2089, ხოლო 2015 წ. კი 3356 ადამიანი. ამ ორ წელიწადს აირით დაიღუპა 27 ადამიანი. ყოველივე ეს მიუთითებს აირების გაჟონვის აღმოჩენის და ამის შესახებ ადამიანთა გაფრთხილების აქტუალობასა და აუცილებლობაზე. აირის გაჟონვის სიგნალიზატორების, დეტექტორების და მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში მონიტორინგის სისტემების ფართოდ დანერგვა პრაქტიკულად გადაწყვეტს აღნიშნულ პრობლემას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომატიზაციის სამეცნიერო-კვლევითი და საინჟინრო-ტექნიკური ცენტრისა და AG Telecom-ის საქართველოს წარმომადგენლობის მეცნიერთა და სპეციალისტთა ჯგუფის მიერ შექმნილი გაზის მომხმარებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ახალი მიკროპროცესული მოწყობილობა. იგი შედგება სამი ძირითადი კვანძისაგან: 1. ნახევარგამტარული სენსორი (გადამწოდი); 2. მიკროპროცესორული ელექტრონული ბლოკი; 3. ჩამკეტი ელექტრომაგნიტური სარქველი (კლაპანი). დამუშავებული და დამზადებულია მოწყობილობის საცდელი ნიმუშები, ჩატარებულია მეთანის გაჟონვის აღმოსაჩენი ხელსაწყოს ლაბორატორიული გამოცდა, დაწყებულია სამუშაოები საცხოვრებელ ბინებში საყოფაცხოვრებო და მხუთავი აირების გაჟონვის და დაგროვების შემთხვევების დაფიქსირების მოწყობილობების სერიული წარმოებისათვის.

დამუშავებულ იქნა სისტემის ელექტრონული სქემის რამდენიმე ვარიანტი. ამ ეტაპზე შერჩეულ იქნა სქემა, რომელიც აგებულია ერთი მიკროკონტროლერის ბაზაზე; დამზადებულია სისტემის საცდელი ნიმუშები რომლებშიც გამოყენებული იქნა PIC12F675 ტიპის მიკროკონტროლერი.

შემოთავაზებულ ახალ მოწყობილობას, სხვა არსებულ სიგნალიზატორებთან, დეტექტორებთან და მოწყობილობებთან შედარებით გააჩნია შემდეგი უპირატესობები:

- სენსორის გახურებისათვის სტაბილიზირებული დენის გამოყენება ამცირებს სენსორის დეგრადაციის ტემპს და ზრდის მისი მუშაობის ხანგრძლიობას;
- ორ დიაპაზონიანი გამზომი სქემა უზრუნველყოფს მოწყობილობის მაღალ მგრძობიარობას ჰაერის როგორც მცირე, ისე დიდი დაგაზიანებისას;
- სენსორის ნახევარგამტარის მიერ მოხმარებული სიმძლავრე თითქმის 100-ჯერ ნაკლებია დასაშვებ მნიშვნელობაზე;
- ავტომატიური პერიოდული კალიბრება იძლევა მუშაობის საშუალებას მცირე დაგაზიანებისას და არ საჭიროებს ყოველწლიურ პერიოდულ დამოწმებას და კალიბრებას.



- დამატებით ავტომატიური პერიოდული კალიბრება გამორიცხავს სენსორის დეგრადაციისა და დაზიანებების პროცესის უარყოფით გავლენას, რაც ზრდის მისი მუშაობის რესურსს.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის გამოყენებული იქნება სისტემური მიდგომა, რაც ითვალისწინებს პრობლემის სამი კომპონენტის გამოყოფას. პირველი კომპონენტი („წარმოება“) გულისხმობს ბუნებრივი აირის (და შემდეგში სხვა აირების) გაჟონვის აღმოსაჩენ სიგნალიზატორების წარმოებას. აქ ჩვენ მიერ გამოყენებული იქნება აუტოსორსინგის მეთოდი. აუტოსორსინგი (Outsourcing) ზოგადად ნიშნავს გარე რესურსების გამოყენებას. ეს ტერმინი პირველად 1989 წელს გამოიყენეს სხვა ფორმაზე, კომპანიაზე, რომელიმე კონკრეტული საქმიანობის ან ფუნქციის გადაცემის აღსანიშნავად. აუტოსორსინგის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: „დაავალე სხვას გააკეთოს ის, რასაც ის უფრო კარგად და იაფად გააკეთებს“. აუტოსორსინგმა თითქმის ყველა სფეროში მოიკიდა ფეხი. განსაკუთრებით ფართოდ გამოიყენება ის ლოგისტიკასა და ხელსაწყოთმშენებლობაში, აგრეთვე საინფორმაციო ტექნოლოგიებში. იმისათვის, რომ ხელსაწყოთმშენებლობაში მუშაობა, საჭიროა პროგრამირებად მიკროკონტროლერში მოვათავსოთ (ჩავტვირთოთ) ჩვენ მიერ შექმნილი პროგრამული პროდუქტი (ე.წ. ხელსაწყო „ტვინი“). ყოველივე ამის შემდეგ მოხდება ხელსაწყოების აწყობა, ტესტირება და პირველადი შემოწმება. ამის შემდეგ მუშაობაში ჩაერთვება პრობლემის მეორე კომპონენტი „სერტიფიცირება“ („სერტიფიცირების მეტროლოგიური სტენდი“).

ამგვარად, პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია სპეციალური მეტროლოგიური სტენდის დამუშავება და დამზადება, რომელზეც მოხდება პირველ ეტაპზე დამზადებული ხელსაწყოების გამოცდა, დამოწმება და მათზე სერტიფიკატების გაცემა. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მოხდეს წარმოებული ხელსაწყოები სავაჭრო ქსელში. ჩვენს მიერ შექმნილ სტენდზე შესაძლებელი იქნება არა მარტო ბუნებრივი აირის გაჟონვის სიგნალიზატორების, არამედ სხვა აირების ხელსაწყოების გამოცდაც. ასევე, ამავე სტენდზე გათვალისწინებული იქნება ჩამკეტი სარქველების გამოცდა-შემოწმებაც. რათა მომხმარებლებს და პირველ რიგში მოსახლეობას არ შეექმნას დისკომფორტი, პრობლემის სრულად გადაჭრისათვის აუცილებელია ისეთი სამსახურის შექმნა, რომელიც უშუალოდ ბინებში, სახლებში და შენობებში დააყენებს (დაამონტაჟებს) ხელსაწყოებს, გაუწევს მათ შემოწმება-დამოწმებას ტექნიკური პირობებით განსაზღვრული პერიოდულობით. ყოველივე ამ სამუშაოებს შეასრულებს გათვალისწინებული პრობლემის მესამე კომპონენტით („მომსახურება“), შეიქმნება სპეციალიზებული სერვისული სამსახური (ტექნიკური მომსახურების ცენტრი). აღნიშნული კომპონენტები მთლიანად ფარავს საკითხთა იმ ფართო სპექტრს, რომელიც გადასაწყვეტია აირების გაჟონვით გამოწვეული ავარიების, ხანძრების, აფეთქებების, ადამიანთა დაშავებისა და შესაძლო მსხვერპლთა თავიდან აცილების მიზნით.

ახალ მოწყობილობას ქვეყნის შიდა ბაზარზე კონკურენტი არ გააჩნია; მისი გამოყენება შესაძლებელია სხვა მეზობელ ქვეყნებშიც; მოწყობილობა ძირითადი ტექნიკური პარამეტრებით შეესაბამება თანამედროვე ევროპული წარმოების ანალოგებს;

ლიტერატურა

1. იაშვილი ნ., ხუტაშვილი ი. (2016). ბუნებრივი აირის გაჟონვის კონტროლის, სიგნალიზაციისა და ჩამკეტი სარქველის მართვის ახალი მიკროპროცესორული სისტემა. თბ., მეცნიერება და ტექნოლოგი-



ები“. N3, გვ. 59-65.;

2. იაშვილი ნ., ხუტაშვილი ი. (2015). ბუნებრივი აირის გაჟონვის დაფიქსირების და ჩამკეტი სარქველის მართვის სისტემა. საერთაშ.სამეც.კონფ. „საინფორმაციო ტექნოლოგიები, მოდელირება, მართვა“. შრ.კრებ., სტუ. თბ. გვ.349-351.;

3. იაშვილი ნ.,(2017) ბუნებრივი აირის გაჟონვის პრობლემისადმი სისტემური მიდგომის შესახებ. სტუ.შრ.კრ. „მას“. No 1(23).;

4.იაშვილი ნ.,აზმაიფარაშვილი ზ. და სხ. (2014). ბუნებრივი აირის გაჟონვის სიგნალიზატორებით საცხოვრებელი ბინების და მონიტორინგის სისტემებით მრავალსართულ-ლიანი კორპუსების აღჭურვის აუცილებლობის შესახებ. სტუ.შრ.კრ. „მას“. N 1(17), გვ. 105-110.;

5. გამოგონების პატენტი #2253108 (2004).;

6. Виноградов Ю. Н. Контроль взрывчатых газов. М,Радио, № 10, 2000 г.;

7. Суров В. В. Сигнализатор загазованности воздуха. Москва, журнал "Радио", № 9,2009 г.;

8. www.figaro.co.jp.

SECURITY DEVICE CREATION ISSUES GAS CONSUMERS

N. Iashvili ,A.Prangishvili, I. Khutashvili
(Georgian Technical University)

Summary

A new system of gas leakage control and valve control is proposed. The system is intended to fix the gas leaks in homes, issuing a warning sound and light signals. In case of gas leakage, microprocessor unit enables the electromagnetic switch off valve and shuts off gas supply.

The proposed system distinguishes from existing devices and systems with several features that provide high sensitivity and accuracy. Besides, the cost of the system is being significantly reduced.

АНАЛИЗ СПОСОБОВ НАНЕСЕНИЯ ИНФОРМАЦИИ НА ЗАЩИТНУЮ ОДЕЖДУ

Г.Н. Токарь, А.И. Рубанка, Т.В. Луцкер, Н.В. Остапенко, В.О. Дубчак
Киевский национальный университет технологий и дизайна

Аннотация: проведен сравнительный анализ распространенных способов нанесения информации на защитную одежду и фурнитуру, освещены особенности технологии изготовления, преимущества и недостатки каждого способа. Перечислены основные требования к качеству наносимого изображения.

Большую популярность на сегодняшний день приобретает нанесение информации в виде эмблем, логотипов, брендов, профессий, знаков, пиктограмм, символов, штрих-кодов или их комбинаций на защитную одежду и ее детали, товарные ярлыки, этикетки, например, для идентификации товаров или услуг различных компаний и организаций, в качестве наименования опасности или области применения (рис.1). Информация должна наноситься непосредственно на изделие, его части, этикетку на одежде и быть хорошо видимой, легко читаемой, стойкой к чистке, стирке и их количеству, гарантийному сроку хранения, транспортировке, реализации и использованию защитной одежды по назначению в течение всего срока службы [1].

При нанесении текстовой информации размер шрифта изображения должен обеспечивать простоту понимания и не препятствовать использованию защитной одежды. Рекомендуется применять цифры высотой не менее 2 мм и пиктограммы размером не менее 10 мм, выполненные черным цветом на белом фоне.



Рисунок 1 – Разновидности нанесения информации на защитную одежду:
 а – этикетка; б – товарный ярлык; в, г – изделие

При нанесении информационного изображения придерживаются определенных правил: размещение в пределах видимости с учетом размера детали, исключая швы в месте нанесения (спинка, верхняя часть полочки или рукава, лобная часть кепки и т.п.).

В зависимости от состава, плотности материала, условий эксплуатации и требований к защитной одежде, вида изделия, количества продукции в партии необходимо выбрать соответствующий способ нанесения информации, соответствующий назначению изделия в целом, не ухудшая его защитные характеристики. Для нанесения информации на материал применяются прямой (нанесение изображения непосредственно на ткань) и непрямой (предполагает нанесение через промежуточный носитель) способы печати (рис. 2), каждый из которых имеет свои особенности, технические требования, преимущества и недостатки [2].



Рисунок 2 – Разновидности способов нанесения информации на защитную одежду

При эксплуатации изделия в условиях плохой видимости для предотвращения травматизма при выполнении трудовой деятельности, целесообразно с помощью нанесенной символики усилить действия идентификации человека в рабочей среде. Изображение в таких условиях будет выполнять не только информационную, но и сигнальную функцию.

Одним из известных способов является шелкография, что означает отображение любого изображения с помощью трафаретной печатной формы (вырезанной, рисованной, фото трафарета), сквозь которую краска проникает в ткань. Выполняется на специальном оборудовании (ручном или автоматическом). Главное преимущество – низкая стоимость, недостаток – недолговечность нанесения изображения [2].

Термотрансфер на защитной одежде может быть различных размеров и тематики. Благодаря использованию особенных материалов и краски такой способ идеально переносится на любую ткань. При этом стирка, химчистка и механическое трение не влияют на его внешний вид в течение продолжительного времени. Для печати трансферов используют самые разные краски и



клеи: водные, пластизольные или на основе растворителей. Комбинируя их можно получить различные технологии [3]:

- texilac lucido трансфер разработана для получения изображения с высокой стойкостью к стирке и пригодна для термопереноса на грубой ткани широкой цветовой гаммы;
- «combi трансфер» позволяет получить трансфер с использованием матовых виниловых красок на основе растворителей, переносится на различные ткани, в том числе эластичные: хлопковые, смешанные, синтетические (лайкра);
- для эластичных тканей, трансфер с использованием эластичной краски на основе растворителей, а также водных красок и трансферного клея на водной основе, имеет высокую адгезию к хлопковым тканям и полиэстеру, а благодаря своей гибкости может переноситься на лайкру и хлопок/лайкру;
- texilac PO трансфер наносится на различные типы тканей: хлопковые, смесовые, синтетические (полиэстер; и используются только материалы на водной основе (изображение имеет стойкость к стирке при температуре до 95°C и к химической чистке);
- texilac AF трансфер наносится на различные типы тканей: хлопковые, смесовые, синтетические (полиэстер); используются только материалы на водной основе (изображение имеет стойкость к стирке при температуре до 60°C);
- mytex трансфер нанесения изображения на различные типы неэластичных тканей путем переноса на них блестящей металлизированной фольги; полученное изображение яркое и блестящее, стойкое к стирке при температуре до 40°C

Также широко используется способ флокирования, при котором на поверхность изделия наносят волокна химически обработанного текстиля (мелко нарубленные или нарезанные активированные волокна). Преимуществом является устойчивость к стирке, низкая стоимость при нанесении небольших простых логотипов, при сложных рисунках – увеличивается время на изготовление, что приводит к повышению стоимости изделия, недостатком так же является жесткая клеевая система на тонких тканях [2].

При нанесении информации с помощью флексографии [2] изображение получается стойкое и яркое, срок службы которого при правильной эксплуатации практически не ограничен. Применяются пленки флекс, имитирующие серебро, золото, а также флуоресцентные и световозвращающие. Недостаток такого способа нанесения – одноцветные изображения, сложность нанесения мелких деталей.

Нанесение информации на любые материалы различного сырьевого состава с широким спектром цветовой гаммы возможно при использовании машинной вышивки [2]. Применение такого способа обеспечивает точную передачу цветового решения изображения, экологичность, устойчивость к воздействию солнечного излучения, стирки и химчистки, долговечность, универсальность выполнения на разных материалах – трикотажных полотнах, коже, натуральных и синтетических тканях, не ухудшает гигиенические показатели основного материала изделия. Недостатком такого способа нанесения является использование изделий, которые можно закрепить в пальцах или бордюрных рамках. Целесообразно в таком случае изготавливать символику в виде шевронов, изображение на которых вырезается по границе с окантовкой при помощи лазера или вручную, крепится к изделиям разными способами – ниточным, клеевым с помощью термоклеевой основы, на текстильную застежку.

Под сублимационной печатью подразумевают использование струйных принтеров, применение термического переноса, офсетной печати, печати на монохромных лазерных принтерах. Преимущество – высокое качество, получение насыщенных цветов, к недостатку следует отнести возможность нанесения только на синтетических тканях [3].



Также возможно нанесение изображения сразу при изготовлении текстильного материала. Преимущество – получение полноцветной печати и долговечность изображения, главный недостаток – целесообразность использования при очень больших партиях (ткань принтируют от 1000 м).

Еще одним прямым способом передачи информации служит тиснение – нанесения изображения с помощью клише, нагретого до определенной температуры. Преимущество этого способа в высокой производительности при минимальных затратах, для изготовления не требуется высококвалифицированного мастера. Недостаток – нанесение возможно не на всех видах материалов, требуется изготовление пробного образца.

Также в последнее время набирает популярности нанесение информации на фурнитуру [4]. Помимо одежды изображение наносится на пуговицы из различного материала (рис. 3, а) (полиэфир, дерево, металл, растительные волокна прочее), тесьму (рис. 3, б) (атлас, сатин, хлопок, нейлон, полиэфир, шелк, эластичная тесьма или репсовая), хольнитены. Распространенным является использование тесьмы на бегунках застежек-молний, что служит дополнительной рекламой и обеспечивает удобство при застегивании или расстегивании (рис. 3, в, г). Экономически целесообразно наносить логотипы, бренды, знаки, пиктограммы и прочее на фурнитуру только большими партиями, что указывает на дороговизну процесса.




Рисунок 3 – Примеры нанесения информации на фурнитуру: а – пуговицы; б – тесьму; в – бегунок; г – пуллер для бегунка

При использовании новых видов инновационных, термохромных красок, меняющих первоначальный тон под воздействием повышенной температуры, можно создать информационные изображения в системе «изделие – рабочая среда», которое будет информировать окружающих об изменениях температуры рабочей среды, опасной для человека за счет изменения цвета и тона [3, 5].

Литература

1. Одяг захисний. Загальні вимоги: ДСТУ EN ISO 13688:2016 (EN ISO 13688:2013, IDT; ISO 13688:2013, IDT), – [чинний від 2016-10-31]. – (Національний стандарт України).
2. Остапенко Н. В., Колосниченко М. В., Луцкер Т. В., Колосниченко О. В., Рубанка А. И. Дизайн-проектирование изделий специального назначения: науч. пособ. – К.: КНУТД, 2016. – 320 с.
3. Васильева, Н.Г. Нанотехнологии в текстильной промышленности / Н.Г.Васильева // Вестник Казан. технол. ун-та. – 2011. – Т. 14, № 8 – С. 358-360
4. Бренди́рование спецодежды. [Электронный ресурс]. Режим доступа: <http://www.tango-workwear.com.ua/brendirovanie-spetsodezhdy>
5. Фурнітура для виробів легкої промисловості. Застібки-блискавки пластмасові. Загальні технічні умови: ДСТУ 4146–2003, - [чинний від 2003-07-01]. – (Національний стандарт України).



THE ANALYSIS OF WAYS OF DRAWING INFORMATION ON PROTECTIVE CLOTHES
G.N. Tokar, A.I. Rubanka, T.V. Lutsker, N.V. Ostapenko, V.O. Dubchak
Kiev national university of technologies and design

Summary

Abstract: the analysis of common methods of applying information on protective clothing is carried out, the features of manufacturing techniques, the advantages and disadvantages of each method are described. The main requirements for applying the image are listed. The versions of images printed on the fittings are outlined.

სამედიცინო დანიშნულების ტრიკოტაჟის საფენისათვის
საჭირო ხლართის დამზენა

ნ. ფაილოძე, ნ. აბესაძე, ზ. ვადაჭკორია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა ახალი სამედიცინო საფენისათვის ტრიკოტაჟის ტილოს შერჩევა. სამედიცინო დანიშნულების ტრიკოტაჟული ტილო მისი ბოჭკოვანი შემადგენლობისა და გამოუმუშავების მეთოდებზე დამოკიდებულებით, მეტ-ნაკლები სიხისტით უნდა ხასიათდებოდეს. საზოგადოდ ცნობილია, რომ ტრიკოტაჟული ტილოები ხასიათდებიან სიხისტის მნიშვნელოვნად დაბალი მაჩვენებლით. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ გამოგვემუშავებინა მაქსიმალურად მცირე სიხისტის მქონე ტრიკოტაჟული ტილო. სამუშაო სწორედ ამ კვლევას მიეძღვნა. კერძოდ, ჩატარდა კვლევები სამედიცინო დანიშნულების ტრიკოტაჟული ხლართის სახეობის დასადგენად.

მნიშვნელოვანია სირბილის მინიჭება იმ საფეიქრო მასალებისათვის, რომელიც სამკურნალო დანიშნულების საფენების დასამზადებლად არის გამოიზნული, ვინაიდან ხისტი, ხეშეში და უხეში საფენის სხეულის მტკივნეულ და დაზიანებულ ნაწილებზე მოთავსება, კიდევ უფრო გააძლიერებს და გაამწვავებს ტკივილისა და დისკომფორტის შეგრძნებას. რბილი საფენი იოლად დეფორმირდება, ადვილად ეფინება სხეულის ამა თუ იმ ნაწილზე და ზუსტად იღებს სხეულის ფორმას.

ყველა ჩამოთვლილი ძირითადი თვისება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნედლეულის სახეზე და ხლართზე, სიხისტეზე.

არსებული ლიტერატურული მონაცემების ანალიზის შემდეგ ჩვენ შევჩერდით ბამბის ბოჭკოზე, რომელიც უძველესი დროიდან გამოიყენება მედიცინაში სხვადასხვა ნაწარმის სახით და გამოირჩევა ბუნებრივად კარგი თვისებებით, არ შეიცავს მავნე ნივთიერებებს, ხოლო ბუნებრივი მინარევები სცილდება მას გამოხარშვის გზით, რაც არ წარმოადგენს სირთულეს. დადგა მეორე საკითხი – ქსოვილის წარმოების რომელ მეოდთს მივმართოთ – ქსოვის თუ ტრიკოტაჟულს. მეთოდის შერჩევისას ყურადღება უნდა მივაქციოთ, რომ მიღებული საფენი უნდა იყოს ელასტიური, ჰიგროსკოპული და მაღალი კაპილარობის მქონე. ამიტომ ჩვენ ცდა ჩავატარეთ ორივე მეთოდით მიღებულ ქსოვილზე. ბამბის ქსოვილზე – მიტკალზე და სხვადასხვა ხლართის ტრიკოტაჟულ ტილოზე, კერძოდ: წნეხოვანი-მისაქსელიანი კულირული სადა, ლასტიკი 1:1, ლასტიკი 2:2.

კულირული სადა და ლასტიკის ხლართები შესრულებული იყო 8 და 10 კლასის ტრიკოტაჟულ მანქანაზე, ხოლო წნეხოვანი-მისაქსელიანი ხლართი – ქსელსაქსოვ მანქანაზე.



ცნობილია, რომ ტრიკოტაჟის ქსოვის თეორიის მნიშვნელოვანი საკითხია მისი სტრუქტურის ძირითადი პარამეტრების ურთიერთკავშირი. პროფ. ა. კობლიაკოვმა თავის სამუშაოში აღნიშნა, რომ ტრიკოტაჟის წარმოებაში ამ ურთიერთკავშირის განსაზღვრისათვის ყველაზე ფართოთ გამოიყენება გეომეტრიული და ემპირული მეთოდები.

გეომეტრიული მეთოდი იძლევა შედეგებს, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ფაქტიურისაგან, რადგან დაფუძნებულია რთული მარყუჟის გამარტივებაზე ნახევრადწრფივი, ხაზობრივი და ელასტიკური ნაკვეთების სახის მოდელამდე.

ემპირული მეთოდი უფრო ზუსტია, მაგრამ დამოკიდებულების შერჩევა ხანგრძლივია და თხოულობს დიდ ექსპერიმენტალურ მუშაობის ჩატარებას ხლართის, ნედლეულის სახეობის და მასალის გათვალისწინებით.


უნდა აღინიშნოს, რომ ტრიკოტაჟისათვის A, B (მარყუჟის ბიჯი, რიგის სიმაღლე) და ℓ (მისაქსელის ძაფის დიამეტრი) პარამეტრების ურთიერთკავშირი ერთმნიშვნელოვანია, რადგან ფორმა და ზომები ხისტადაა დაკავშირებული ძაფების ხლართების ხასიათსა და დიამეტრზე.

ჩვენს მიერ სამკურნალო ტრიკოტაჟისათვის შესწავლილი იყო, წნებ-მისაქსელიანი ხლართი. ამ ხლართის გრუნტში არის მაუდი, დაფარული მარყუჟებით და შემხვედრი წყობის მისაქსელით და დაწნეხვით ერთი რიგის გამოტოვებით.

ძაფების ხლართი, ასეთ ტრიკოტაჟში, ნაჩვენებია ნახ. 1. ხლართის სქემის გრაფიკულად გამოსახვის სირთულე მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ სწრაფად უნდა წარმოვიდგინოთ, რომელი უბანი გადაფარავს სხვა უბნებს უკუღმა პირიდან, ე.ი. გრაფიკულად უნდა «დავინახოთ» ქსოვის პროცესი. ჩვენ შემთხვევაში მარყუჟებს 1 (ნახ. 1. ა) წარმოქმნის შემდეგ პირველ ციკლში სავარცხელი Γ_{sp} გადაადგილდება მარჯვნივ, ხოლო Γ_{y} – მარცხნივ (ნახ. 1 ბ).

მისაქსელის ძაფი (2) გადაფარულია ხუთი განაზბით (3), რაც შეესაბამება სავარცხლების ჯამურ გადაადგილებას ნემსების უკან ხუთი ნემსის ბიჯით, როგორც ნაჩვენებია ნახ. 1. ბ. შემდეგ სრულდება გრუნტის ძაფების წყობა მეორე ციკლის ნემსებზე, მაგრამ ძაფები ნემსებიდან არ იხსნებიან და წარმოქმნიან ყულფებს (4).

მხოლოდ ამის შემდეგ ხდება Γ_{sp} სავარცხლის მარცხნივ, ხოლო Γ_{y} სავარცხლის მარჯვნივ გადაადგილება. ამის შედეგად განაზბები (5) და მისაქსელის ძაფების (6) უბნები გადაიხლართებიან იმავე მარყუჟის რიგში. ამავე დროს თვითეული ნასკვითი (6) გადაიფარება ხუთი განაზბით (5). განაზბები (3) და (5) ფარავენ ხუთ-ხუთ მისაქსელის უბნებს (2) და (6). ნახ. 1. ბ სიმარტივისათვის ნაჩვენებია მხოლოდ ერთი მისაქსელის ძაფი.




ნახ.1 ტრიკოტაჟის წნებ-მისაქსელიანი ხლართის სქემა და წყობის გრაფიკი



ხლართის მოდელირების შემდეგი ნაბიჯი არის ხლართის გამოსახვის სისწორის შემოწმება სპეციალურად დამზადებული ნიმუშის მიხედვით, რომელიც ამ შემთხვევისათვის მოქსოვილია დაბალი კლასის მანქანაზე. შემდეგ ხლართის სქემის მიხედვით გამოისახება გეომეტრიული მოდელი, რომელშიც გათვალისწინებულია უბნების ყველა განლაგება და ფორმა.

ნახ. 2-ზე ასეთი სქემა მოცემულია მისაქსელის ძაფების განლაგებისათვის ერთ სიბრტყეში. მისაქსელის უბნები განლაგებული არიან ერთი მეორის თავზე ისე, რომ ერთად განსაზღვრავენ მარყუჟის რიგის სიმაღლეს. ამ სქემით მისაქსელის ძაფის სიგრძე გრუნტის ერთ მარყუჟზე ოპტიმალურია. მისაქსელის ძაფი არ იწვევს მარყუჟის განაბმის და გრუნტის ყურფის დეფორმაციას. ტუმით შევსებულია გამჭოლი ნახვრეტები ტრიკოტაჟის სტრუქტურაში.



ნახ. 2 ტრიკოტაჟის მჭიდრო წნებ-მისაქსელიანი ხლართის სქემა

ცხადია, რომ გრუნტისა და მისაქსელის ძაფების ელემენტების ასეთი განლაგება შეიძლება მიღწეული იყოს მათი დაჭიმულობის განსაზღვრული შეფარდების შემთხვევაში. გრუნტის ძაფების დაჭიმულობის გაზრდით, შეიძლება ყულოების მოჭიმვა კვანძში და ამით მისაქსელის უბნების განლაგება არა სიბრტყეში, არამედ ერთი მეორის თავზე ტრიკოტაჟის სისქით. ამ დროს რიგის სიმაღლე მცირდება.

მისაქსელის ძაფების დაჭიმულობის გაზრდით მივიღებთ გრუნტის მარყუჟის დახრას და ამით მცირდება მისაქსელის ძაფის შეკლება ორივე შემთხვევაში მოხდება ფორების გაზრდა.

ხლართის მოცემულ სქემისათვის მიღებულია შემდეგი აღნიშვნები:

l_{zp}, l_Y – გრუნტისა და მისაქსელის ძაფების საანგარიშო დიამეტრები

A, B – მარყუჟის ბიჯი და მარყუჟის რიგის სიმაღლე.

ხლართის რაპორტში გრუნტის და მისაქსელის ძაფების სიგრძის ფორმულის გამოყვანის სიმარტივისათვის დაუშვათ, რომ ყველა ძაფი განლაგებულია ნახატის სიბრტყეში.

მისაქსელის მარყუჟში ძაფის სიგრძე შეიძლება ვიანგარიშოთ როგორც 1-2, 2-3, 3-4, 4-5 და 5-6 უბნების სიგრძის ჯამი.

რკალის უბნებზე მისაქსელის ძაფები შემოევლებიან გრუნტის ორ ძაფს. ამიტომ რკალის დიამეტრი უდრის $(2d_{zp} + d_Y)$. 1-2, 3-4 და 5-6 რკალის სიგრძე $\pi = (2d_{zp} + d_Y)$, ხოლო 2-3 და 4-5 უბნები შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამკუთხედის ჰიპოტენუზები, რომლებიც უდრის $2A$ და $(0,5B - 2d_{zp} + d_Y)$ მამასადამე, თითოეულის სიგრძე უდრის



$$\sqrt{4A^2 + (0,5B - 2d_{ep} + d_y)^2}$$

აქედან მისაქსელის ძაფის სიგრძე 1-6 უბანზე უდრის

$$\pi(2d_{ep} + d_y) + 2\sqrt{4A^2 + (0,5B - 2d_{ep} + d_y)^2}$$

გრუნტის ერთ მარყუჟზე მოდის ასეთი ერთი უბანი, მაშასადამე

$$\ell_y = \pi(2d_{ep} + d_y) + 2\sqrt{4A^2 + (0,5B - 2d_{ep} + d_y)^2} \quad (1)$$

ხლართის რაპორტში არის ერთი მარყუჟი და ერთი ყულფი გრუნტის ძაფისაგან. სქემაზე ეს ელემენტები მონიშნულია 7-8-დან 14-15 უბნებით. ეს უბნები ასევე შეიძლება განვიხილოთ როგორც წრფივი ან განსაზღვრული დიამეტრის რკალები.

7-8 და 9-10 უბანი ერთად უდრის $22\sqrt{B^2 + d_{ep}^2}$, რკალებს 8-9, 11-12 და 13-14 აქვთ

$3d_{ep}$, d დიამეტრი, ჯამში ისინი უდრან $3,75\pi d_{ep}$. წრფივი უბანი 12-13 უდრის $(0,5B - 1,5d_{ep})$. B და $(2A - d_{ep})$ კათეტებიან სამკურთხედის ჰიპოტენუზა 10-11 უდრის $\sqrt{B^2 + (2A - d_{ep})^2}$. ჰიპოტენუზა 14-15 უდრის $\sqrt{0,25B^2 + (2A - 0,5d_{ep})^2}$. აქედან გრუნტის ძაფის სიგრძე მარყუჟში და ყულფში უდრის:

$$\ell_{ep} = 3,75\pi d_{ep} + 0,5B - 1,5d_{ep} + 2\sqrt{B^2 + d_{ep}^2} + \sqrt{B^2 + (2A - d_{ep})^2} + \sqrt{0,25B^2 + (2A - 0,5d_{ep})^2} \quad (2)$$

ნახ. 2-დან ჩანს, რომ ქსოვის მაქსიმალური სიმჭიდროვისას რიგის სიმაღლე $B = \sigma d_y + 2d_{ep}$, მარყუჟის ბიჯი $A = 4d_{ep}$. ერთი ნედლეულიდან ტრიკოტაჟის ქსოვისას გრუნტისათვის და მისაქსელისათვის ($d_y = 2d_{ep} = d$). ფორმულები (1) და (2) მიიღებენ შემდეგ სახეს:

$$\ell_y \cong 26d \quad (3)$$

$$\ell_{ep} \cong 49d \quad (4)$$

ℓ_y და ℓ_{ep} -ს შეფარდება დაახლოებით 2-ის ტოლია. ეს დაკავშირებულია ტრიკოტაჟის სიმჭიდროვის სიმაღლესთან და ხლართის რაპორტში გრუნტის ძაფისაგან და ორი ასეთი უბნის მისაქსელისაგან შემდგარი 4 მაღალორიენტირებული უბნების არსებობასთან. აქედან გამომდინარე გვაქვს: $\ell_y \cong 2,42$ მმ და $\ell_{ep} \cong 4,56$ მმ, რაც შეესაბამება სამკურნალო ტრიკოტაჟის ნიმუშების პარამეტრებს.

ანალოგიურად შეიძლება გამოვიყვანოთ წნეხ-მისაქსელიანი ხლართის მოდელების ფორმულები სხვა ვარიანტის ტრიკოტაჟისათვის.

ნახ. 2-ზე ნაჩვენებია ტრიკოტაჟში ელემენტების სტრუქტურების ურთიერთგანლაგება. ჩანს, რომ გამჭოლი ნახვრეტების რიცხვი ოთხია თითოეული გრუნტის მარყუჟში. ცხადია, რომ ასეთი მასალის წყალგამტარიანობა და ფორიანობა იქნება მინიმალური, როდესაც $d = 0,003$ მმ მარყუჟის ბიჯი უდრის 0,372 მმ, ხოლო რიგის სიმაღლე – 0,744 მმ. სიმკვრივე შესაბამისად უდრის: $\Pi_{ep} = 1,35$, $\Pi_y = 68$. ნიმუშის ფორების საერთო რაოდენობა 100 მმ² ფართზე 1460. ფორების ზომები მინიმალურია.

მაქსიმალური სიმკვრივის ტრიკოტაჟის მიღება მანქანაზე პრაქტიკულად შეუძლებელია იმ მიზეზების გამო, რომ მარყუჟის რიგის მინიმალური სიმაღლის დროსაც, მარყუჟის ბიჯი




ამ რიგში არ იქნება $4d$ -ს ტოლი. ის ნემსის ბიჯის ტოლია მანქანიდან ტილოს ჩამოხსნისას, მისი სიგანის შეკლების შემდეგ, მარყუჟის ბიჯი მცირდება, მაგრამ ამ დროს იზრდება რიგის სიმაღლე. პარამეტრები იქნება უფრო მეტი, ვიდრე $A_{\min} = 4d$; $B_{\min} = 8d$. მაშასადამე მნიშვნელოვანია საკითხი, თუ როგორ იცვლება ფორების რიცხვი სიმკვრივის შემცირებისას და გრუნტის და მისაქსელის მარყუჟებში მარყუჟის სიგრძის გაზრდისას.

რაც უფრო თხელია ტრიკოტაჟი, მით ნაკლებია მარყუჟის რაოდენობა 1000 მმ^2 ფართზე. ამის გამო ფორიანობა მცირდება, მაგრამ გავანალიზოთ ნახ. 3, სადაც ნაჩვენებია იგივე სტრუქტურა, რაც ნახ. 2-ზე, მაგრამ $A > 4d$ და $B > 8d$. A და B გაზრდით იზრდება ფორების რიცხვი. ჩვენი სქემით ხლართის რაპორტში (გრუნტის ერთ მარყუჟზე) განლაგებულია 10-12 ფორა.


მაგრამ რაც უფრო თხელია ტრიკოტაჟი, მით უფრო უთანაბროდია განლაგებული ფორები ფართზე, რადგან იზრდება ძირითადი ფორების ფართი (ნახ. 2) და წარმოიქმნებიან ახალი, მცირე ფართით. ამის გარდა, ცხადია, რომ მცირდება მასალის ფორმამდგრადობა. ამიტომ გრუნტის მარყუჟში ძაფის სიგრძის გაზრდა მათი ფორმულით (1) და (2) მნიშვნელობებთან შედარებით უნდა მოხდეს განსაზღვრულ ზღვრებში, რომელიც დამოკიდებულია ძაფის სიმსხოზე და ფორების მაქსიმალურად საჭირო ზომებზე.

ნახ. 3-დან ჩანს, რომ სიმტკიცის შესამცირებლად, ნახ.2-ზე მოცემულ სტრუქტურასთან შედარებით, უნდა გაიზარდოს არა მარტო ძაფის სიგრძე გრუნტის მარყუჟში, არამედ მისაქსელის უბნის სიგრძეც.

მისაქსელის მონაკვეთების სიგრძის შემცირება არ გვადლევს გრუნტის მარყუჟის დახრას, როგორც მისაქსელიან ტრიკოტაჟში მაუდის ბაზაზე, რადგან წნეხ-მისაქსელიან ხლართში მისაქსელის ძაფები ყოველ რიგში შემოუვლიან ერთი და იგივე მხარიდან მარყუჟის განაბმებს.



ნახ. 3 ტრიკოტაჟის ძაფების შემცირებული სიგრძით წნეხ-მისაქსელიანი ხლართი.



ნახ. 4. ტრიკოტაჟის ძაფების გაზრდილი სიგრძით წნეხ-მისაქსელიანი ხლართი.

ასეთ შემცირებისას ყულფი გადაადგილდება მარჯვნივ, როგორც ნაჩვენებია ნახ.4. ამ დროს მკვეთრად იზრდება გრუნტის ძაფის სიგრძე ყულფში და მით მეტად, რაც უფრო მცირე იქნება მისაქსელის უბნის სიგრძე.

დიდი დაჭიმულობის დროს მისაქსელის ძაფები შეიძლება განალაგდნენ ვერტიკალურად, მაშინ ტრიკოტაჟის ზედაპირის შევსება იქნება მიღწეული ამ უბანში მოხრილ ყულფების ხარჯზე. მაშასადამე მისაქსელის ძაფების მინიმალური სიგრძის მქონე სტრუქტურაც შე-



იმღემა იყოს გამოყენებული სამკურნალო ტრიკოტაჟისათვის.

ანალიზმა ცხადყო, რომ წნებ-მისაქსელიანი ხლართების მქონე სამკურნალო ტრიკოტაჟის პარამეტრების შერჩევის საკითხს არ შეიძლება მიუდგეთ ერთმნიშვნელოვნად.

ცხრილი 1.

ვარიანტები	მაფების დაჭიმულობა (გს/მაფი)	
	გრუნტი	მისაქსელი
1	6,5	2
2	6,5	6,5
3	10	6,5

ამის გათვალისწინებით სამკურნალო ტრიკოტაჟისათვის ჩვენ ვაძლევთ რეკომენდაციას სამი ვარიანტის ტრიკოტაჟის ტილოს. ვარიანტები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან იმით, რომ მოქსოვილი არიან სხვადასხვა დაჭიმულობის მქონე ქსელის მაფებით. ცხრილი 1.

ლიტერატურა

1. ნ. ფაილოძე, ე.ზუაძე, რ.ბოჭორიშვილი. ჰკვიანი ინტერაქტიული მრავალფუნქციური. ტექსტილი. საქართველოს საინჟინრო სიახლენი, 2017, №2(82), 53-57
2. ნ. ფაილოძე. სამკურნალო საფენების შექმნის პრინციპი და სახეობები. სამეცნიერო ჟურნალი "ნო-ვაცია". 2014, №13, 64-68.
3. Поспелов Е. П. Методы получения новых структур трикотажных полотен. М., Легкая индустрия, 1979. с.155

CHOICE OF INTERWEAVING FOR KNITTED NAPKINS FOR MEDICAL PURPOSES

N. Pailodze, N. Abesadze, Z.Vadachkoria
 Akaki Tsereteli State University

Summary

The purpose of the study is to choose interweaving for medical napkins of a new type. Depending on the raw material composition and method of production, the knitted fabric for medical purposes must have a certain stiffness. It is known that knitted fabrics are characterized by lower stiffness. That is why the purpose of the study is to develop a knitted fabric with low stiffness. Were investigated several types of interweaving for further use.

საზღვაო გადაზიდვებში გამოყენებული ტანკემების მოწყობილობა

გ. ფურცხვანიძე, ა. ვარშანიძე, თ. თურმანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია: ინტერმოდალური გადაზიდვების სისტემა და მისი ერთ-ერთი რგოლი საზღვაო გადაზიდვები წარმოადგენს გადაზიდვის რთულ ვარიანტს, რადგან ის უკავშირდება საერთაშორისო მიმოსვლებში მიზიდვის კომერციულ-სამართლებრივ, ფინანსურ-ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-ტექნოლოგიურ და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების საკითხების გადაწყვეტას. სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს საპორტო სისტემის მიმოხილვა და საზღვაო გადაზიდვებში გამოყენებული ტანკემების სტრუქტურა და მოწყობილობა.



საქართველო წარმოადგენს ევრაზიის სატრანსპორტო დერეფანის შემადგენელ ნაწილს. საქართველოს ადგილმდებარეობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების უნიკალურ შესაძლებლობებს ქმნის: ზღვისპირეთი შესაძლებლობას გვაძლევს ინტენსიურად განვითაროთ საზღვაო ტრანსპორტი, პორტები, ზღვის პროდუქციის - თევზჭერის მიმართულება, ტურისტულ - რეკრეაციული ინფრასტრუქტურა. ქართული პორტების დატვირთვა გარანტირებულია ევრაზიის უზარმაზარ არეალზე მიმდინარე სავაჭრო-ეკონომიკური და სატრანსპორტო პროცესით.

საქართველოს საპორტო სისტემა შედგება ფოთისა და ბათუმის 2 პორტისგან, ასევე სუფსისა და ყულევის სპეციალიზებული ნავთობტერმინალისაგან [1.2].

ფოთი და ბათუმი წარმოადგენს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ინტერმოდალურ კარიბჭეს, საიდანაც დასავლეთისკენ მიემართება გზა - შავი ზღვის, თურქეთის და ევროპისაკენ და აღმოსავლეთით - კავკასიისა და აზიისკენ. ორივე პორტი ემსახურება რეგულარულ საბორნე და კონტეინერულ მარშრუტებს, რომლებიც დაკავშირებული შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის სხვა პორტებთან.

პორტები სატრანსპორტო ქსელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კვანძია, ისინი წარმოადგენენ სასაზღვრო კონტროლის პუნქტებს და ტვირთების გადატვირთვის ადგილს, ადმინისტრაციული მომსახურების ცენტრებს, სავაჭრო პროცედურების განხორციელების ადგილს, აგრეთვე სახმელეთო და საზღვაო მარშრუტების დამაკავშირებელს. საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციონირება დიდადაა დამოკიდებული პორტების და საზღვაო სექტორის გადაზიდვების ეფექტურობაზე [3].

მიუხედავად მნიშვნელოვანი ინვესტიციებისა, პორტის ოპერაციები და გემები ძირითადად არსტანდარტულია, რაც აფერხებს საზღვაო გადაზიდვის სექტორის განვითარებას. დიდი მნიშვნელობა აქვს თუ როგორი ტანკერით ხდება ტვირთების გადაზიდვა[4].

ტანკერი - არის ტვირთის გადაზიდვისთვის განკუთვნილი ზღვის ან მდინარის სატვირთო ხომალდი. ტანკერის სხეული (კორპუსი) არის მყარი ლითონის ჩარჩო, რომელსაც შემოკრული აქვს ლითონის ფირფიტა. სხეული დაყოფილია ტიხრებით კუპებად (ტანკებად), რომლებიც ივსება ნაყარი ტვირთებით. დიდ ტონაჟიანი ტანკერებისათვის ერთი ტანკის მოცულობა შეიძლება იყოს 600-დან 10 000 მ³ -მდე და მეტი.

ყველაზე გავრცელებულია ტანკერები ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისათვის, მაგრამ ტანკერები აგრეთვე გამოიყენება სხვა თხევადი ტვირთების, მათ შორის საკვები პროდუქტების (მაგალითად, ღვინო ან სასმელი წყალი) გადასაზიდად. მსოფლიოში პირველი ტანკერი - სახელით "Zoroaster" - აშენდა 1877 წელს, მისი დედვეიდი იყო 15000 ფუთი (დაახლოებით 250 ტონა).

XX საუკუნის დასასრულს, რამდენიმე დიდი ავარიის შემდეგ, რომელთაც ფართო რეაგირება მოჰყვა, აკრძალულია ერთკორპუსიანი ტანკერების აშენება.

მსოფლიოში ყველაზე დიდი ტანკერი იყო ნორვეგიის სუპერტანკერი Knock Nevis. მისი ისტორია 1976 წელს იაპონიაში დაიწყო, რომელიც აშენდა სერიული ნომრით "1016", ის გადაეცა საბერძნეთის გემთმფლობელს, რომელმაც დაარქვა სახელი " Seawise Giant". 1981 წელს, "Knock Nevis" გადააკეთეს. შედუღებულმა დამატებითმა სექციებმა გაზარდა მისი დედვეიდი (ტევადობა) 480 ათასი ტონიდან 565 ათას ტონამდე. მისი სიგრძე 458 მეტრია, სიგანე 68.8 მეტრი, ტვირთით დაჯდომა 24.61 მეტრი. 2010 წელს გემი დაშალეს და ჯართში ჩააბარეს.



ტანკერების კატეგორიები - დედვეტიდან დამოკიდებულებით შემდეგია:

- GP (General Purpose) - დაბალი ტონაჟის ტანკერი (6000-16 499 ტონა); გამოიყენება სპეციალური ტრანსპორტირებისთვის, მათ შორის ბიტუმის ტრანსპორტირებისთვის;
- GP- ზოგადი დანიშნულების ტანკერები (16 500-24 999 ტონა); გამოიყენება ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისთვის;
- MR (Medium Range) - საშუალო ტონაჟის ტანკერები (25000-44999 ტონა); ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებისათვის;
- LR1 (Large/Long Range1) - oiler - დიდი სიმძლავრის 1 კლასის ტანკერები (45000-79 999 ტონა); გამოიყენება მუქი ნავთობის ტრანსპორტირებისათვის;
- LR2 - დიდი სიმძლავრის მე-2 კლასის ტანკერები (80 000-159 999 ტონა);
- VLCC (Very Large Crude Carrier) - მე-3 კლასის დიდი სიმძლავრის ტანკერები (160 000-320 000 ტონა);
- ULCC (Ultra Large Crude Carrier) - სუპერტანკერები (320,000 ტონაზე მეტი); ახლო აღმოსავლეთიდან მექსიკის ყურეში ნავთობის ტრანსპორტირებისთვის.
- FSO (Floating Storage and Offloading Unit) - სუპერტანკერები (320,000 ტონაზე მეტი); მცირე ტანკერებისათვის ნავთობის შენახვისა და გადმოტვირთვისთვის.

გემთმშენებლობის საწარმოში, Адмиралтейские Верфи (სანკტ-პეტერბურგი), რომელიც დაფუძნებული იქნა პეტრე I-ის მიერ, აშენდა ტანკერების სერია 8 გემისგან. ამ ტანკერების საფუძველი იყო ხორვატიაში აშენებული ტანკერების მსგავსი სერია, მაგრამ აპარატურა უფრო თანამედროვე ტექნიკით იყო წარმოებული, ძირითადად უცხოური პროდუქტით.

განვიხილოთ ამ ტანკერის მახასიათებლები, გავიაროთ გემბანზე და შევისწავლოთ ტვირთის სატანკო, ძრავის სექცია და სხვა მნიშვნელოვანი მოწყობილობები.

ზოგიერთი ტექნიკური მახასიათებლები:

სიგრძე 182,5 მ; სიგანე 32 მ; დედვეიდი 47199 ტ; მუდმივი ეკიპაჟი - 22 ადამიანი.

ძირითად ძრავად გამოიყენება ბრიანსკის მანქანათმშენებლობის ქარხნის დიზელის ძრავა, რომელიც დამზადებულია MAN B&W 6S50MC-C - ის ლიცენზიით, 8310 კვტ სიმძლავრით.


პრინციპში, ტანკერი არის საკმაოდ მარტივი კონსტრუქციის, რომელიც განკუთვნილია ყველა სახის სითხის ტრანსპორტირებისთვის (ნახ.1). აქედან გამომდინარე, გემის ბაზა შედგება ღრუ კონტეინერ-სატვირთო ტანკებისგან, რომლებიც გარშემორტყმულია სხვა ღრუ კონტეინერ-ბალასტური ტანკებით, რომლებიც ასევე ასრულებენ დამცავ ფუნქციას უბედური შემთხვევის დროს (შეჯახება, დაბრკოლება და სხვ.), რათა შეამცირონ ნავთობის დაღვრის შესაძლებლობა მცირე დაზიანებისას.

ამ ტანკერს აქვს 10 სატვირთო ტანკი, რომელიც მდებარეობს წყვილებში. ასევე არსებობს ორი დამატებითი საბალანსო ტანკები. მათი მთავარი მიზანი სატანკო დასუფთავების პროცესის ტექნოლოგიური მხარდაჭერაა, მაგრამ ჩვეულებრივი ტვირთიც შეიძლება გადავზიდოთ - ეს არის სრული სატვირთო ტანკერი ყველა საჭირო აღჭურვილობით.

სურ. 2-ზე წარმოდგენილია სატვირთო ტანკის შიდა სივრცე. ზედაპირი გლუვია, რათა ადვილად მოხდეს ტვირთის შეცვლისას ტანკების გაწმენდა. შორიდან ჩანს ტანკში ჩასასვლელი კიბე, ხოლო მარჯვნივ არის სატვირთო ტუმბო. ტვირთის სისტემა დამონტაჟებულია ფრამოს ფირმაში, თითოეულ ტანკში დამონტაჟებულია ჰიდრაულიკური შემვსები ტუმბოები.



ამ ტანკის მოცულობა დაახლოებით 5,5 ათასი კუბური მეტრია (ტვირთების საერთო მოცულობა 54 ათასი კუბური მეტრია).



ნახ.1. ტანკერის კონსტრუქცია



სურ. 2. სატვირთო ტანკის შიდა სივრცე

ჩვეულებრივ ტანკერის ტანკებში იშვიათად ჩადიან, მაგალითად, რემონტისთვის, პოსტ-სარეცხი ინსპექტირებისთვის, რუტინული პერიოდული ინსპექტირებისთვის. როგორც წესი, ტანკი ჰერმეტიკულად დალუქულია და შიგნით იგი ყოველთვის ინარჩუნებს ატმოსფეროს დაქვეითებული ჟანგბადით (დაახლოებით 8% და ქვემოთ), ასევე მცირე ჭარბ წნევას, რათა თავიდან იქნას აცილებული "სუფთა ჰაერის" შეწოვა. ეს აუცილებელია სახანძრო პირობების დაცვის უზრუნველსაყოფად.



ტვირთის დატვირთვა და მისი გადმოტვირთვა ხორციელდება მანიფროლების საშუალებით, რომელსაც უკავშირდება შლანგები ან მტვირთავები (სურ. 3). მანიფონები თითოეულ მხარეს დუბლირებულია და "შარვლები" ეწოდება.



სურ. 3. ტვირთის დატვირთვის და გადმოტვირთვის მანიფროლები

ამ გემზე საკმაოდ ბევრი მანიფოლდებია - 5 თითოეულ მხარეს. ეს არის იმის გამო, რომ გემს შეუძლია მიიღოს ბორტზე ხუთი სხვადასხვა სახის ტვირთი ერთდროულად. მაგრამ ეს არ არის შესაძარბელი ნებისმიერ ქიმიურში ტანკერთან, სადაც მანიფოლდების რაოდენობა რამდენიმე ათეულს აღწევს. სხვა მანიფოლდები დამხმარეა, განკუთვნილია, მაგალითად, ბუნკერისთვის (საწვავით შესავსებად), ნაპირზე ორთქლის გადაცემისათვის (ნაცვლად ატმოსფეროში გაშვებისას).

ეკიპაჟის საცხოვრებლად გემბანზე გაკეთებულია შენობა, სადაც განთავსებულია ცალკე კაბინები, დასასვენებელი ოთახი, სასადილო ოთახი, სამუშაო ოფისები და სხვა (სურ. 4). ამ შენობას თავზე მდებარეობს ე.წ. სანავიგაციო ხიდი წრიული ხედვით, საიდანაც ხდება გემის მართვა ზღვაში.

ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებში დიდი გემები ვერ შემოდის. მცირე ზომის გემების დაფრახტვა/დაქირავება კი თითქმის იგივე თანხა ღირს, რაც ბევრად მეტი ტვირთამწეობის გემის მომსახურება. ეს ტვირთმფლობელის გადაზიდვის ხარჯებს ზრდის და შესაბამისად, ფიზიკურად მოკლე მარშრუტის დადებით მხარეს გარკვეულწილად აუფასურებს.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ღრმაწყლოვანი პორტის არსებობის შემთხვევაში, დიდი გემების მიღების შესაძლებლობა, გადაზიდვის ხარჯებს თითო კონტეინერზე დაახლოებით 160 დოლარით შეამცირებს.



სურ. 4. ეკიპაჟის საცხოვრებელი შენობა

ლიტერატურა

1. საქართველოს პორტები. <https://bpn.ge/ekonomika/20177-saqarthvelos-portebi.html?lang=ka-GE>.
2. Prof. Dr. Purtskhvanidze G., Assoc. Prof. Dr. Gvetadze V., Doctoral candidate Varshanidze A. Master Turmanidze T. A PORT COMMUNITY SYSTEM OF GEORGIA AND ITS ROLE IN WORLD MARITIME TRANSPORT. TRANS MOTAUTO WORLD. # 3. ტომი 3. SCIENTIFIC TECHNICAL UNION OF MECHANICAL ENGINEERING INDUSTRY-4.0. 2018. გვ. 131-134.
3. Логистические процессы и морские магистрали II. Проект мастер-плана «LOGMOS» – Приложение 3. Часть I. Октябрь 2013 г. 164 с.
4. გიორგი ფურცხვანიძე, არჩილ ვარშანიძე, თეონა თურმანიძე, ლალი გოგისვანიძე. საკონტეინერო გადაზიდვები და მისი განვითარების ტენდეციები. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერნეტ კონფერენცია, „თანამედროვე საინჟინრო ტექნოლოგიები“. აწსუ. ქუთაისი. 2018 წ.

TANKER EQUIPMENT USED IN CARRIAGE BY SEA Giorgi Purtskhvanidze, Archil Varshanidze, Teona Turmanidze Akaki Tsereteli State University

Summary

Intermodal transportation system and one of its parts – carriage by sea – represent the complex version of transportation, because it is connected to solving the commercial-legal, financial-economical, organizational-technological and development of transport infrastructure questions in international transfers.

Georgia represents the component of transport hall of Eurasia. The functioning of transport hall is strongly dependent on the effectiveness of ports and maritime sector transportation. Despite of significant investments, the operations of the port and ships are non-standard, which delays the development of sea freight sector. What kind of tankers are used in transportation process is an important point.

The article presents the review of Georgian port system and the structure and equipment of tankers used in carriage by sea.



ჯარისკაცთა სპეცფეხსაცმლის ასორტიმენტის ფორმირების პრობლემა და მისი გადაჭრის მეთოდი

ქათამაძე ა. გ.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჯარისკაცთა სპეცფეხსაცმლის სამი სისრულით დამზადება ორგანიზაციული თვალსაზრისით რთული პროცესია. კალაპოტების გრძივი და განივი გეოდეზიური ზომების განაწილების შესწავლით და დიაგრამის აგებით შემუშავდა მხოლოდ საშუალო სისრულის ნამზადებით სპეცფეხსაცმლის სამი სისრულით დამზადების ეკონომიკური მეთოდი.

ჯარისკაცთა სპეცფეხსაცმლის ხარისხის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია მისი მოხერხებულობა ექსპლუატაციის პროცესში, რომელიც განისაზღვრება სპეცფეხსაცმლის შიგა ზომების ტერფის ზომებთან სწორი შესაბამისობით.

სტანდარტი [1] ითვალისწინებს ჯარისკაცთა სპეცფეხსაცმლის შვიდი ზომის, სამი სისრულით დამზადებას, რათა სრულად მოვიცვათ ჯარისკაცთა ტერფების ზომების განაწილების პოლიგონი. თუ ზომების (ნომრების) მიხედვით სპეცფეხსაცმლის ასორტიმენტი დღეისათვის დამაკმაყოფილებელია, სამი სისრულით თვითოეული ზომის სპეცფეხსაცმლის დამზადება საქართველოში საერთოდ არ ხდება (მოეწოდება მხოლოდ საშუალო სისრულის სპეცფეხსაცმლები). ამიტომ ფაქტიურად მოხერხებული ფეხსაცმლით კმაყოფილდება ჯარისკაცთა მხოლოდ 40%, შედარებით სქელი ან თხელი ტერფის მქონე ჯარისკაცები იძულებული არიან ჩაიცვან მეტი ან ნაკლები ზომის სპეცფეხსაცმელი, რათა დაიკმაყოფილონ ტერფის სისრულის მოთხოვნა, რა თქმა უნდა ასეთი ფეხსაცმელი მისთვის მოუხერხებელია და შესაბამისად ეცემა ჯარისკაცის ბრძოლისუნარიანობა. ამგვარად აუცილებელია სპეცფეხსაცმელი დამზადდეს 6-7 ზომითა და სამი სისრულით.


ფეხსაცმლის მწარმოებლები ამ მოთხოვნას უგულვებელყოფენ, რადგან ცნობილია, რომ სამი სისრულით სპეცფეხსაცმლის დამზადება იწვევს ორგანიზაციული და ეკონომიკური ხასიათის სიძნელეებს. დღემდე სამი სისრულით ფეხსაცმელი შესაძლებელია დამზადებულიყო ორი გზით: 1) გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ დიდი სისრულის ნამზადები (ზედაპირები) სამივე სისრულის კალაპოტებზე ფორმირებისათვის ან 2) დამზადებული იქნეს თვითოეული სისრულისათვის შესაბამისი ზომის ნამზადი.

პირველ შემთხვევაში ნამზადის ფართი საშუალო და დაბალი სისრულის კალაპოტზე იქნება საკმაოდ დიდი, რაც გამოიწვევს საზედაპირე მასალების გადახარჯვას [2-4], მეორე შემთხვევაში საგრძნობლად რთულდება წარმოების ორგანიზაცია, იზრდება საჭრისების მეურნეობა, რაც ითხოვს საჭრისების დამზადებისათვის და მათი შენახვისათვის დამატებით ხარჯებს. ამგვარად სპეცფეხსაცმლის სამი სისრულით დამზადების დასაბუთებული მეთოდის შემუშავება, რომლის დროსაც ადგილი არ ექნება ზედმეტ მატერიალურ და ორგანიზაციულ დანახარჯებს - აქტუალური საკითხია.

დიდი ალბათობით ამ ამოცანის შესაძლებელ ამოხსნად უნდა ჩაითვალოს ისეთი მეთოდი, რომლის დროსაც საშუალო სისრულის (O) გარკვეული ზომის (N) კალაპოტის შესატყვისი ნამზადი, გამოიყენება მიმდინარე მაღალი ზომის (პორობითად ავლნიშნით N_{+1}) და დაბალი სისრულის (R_{-1}) კალაპოტზე და დაბალი ზომის (N_{-1}) და მაღალი სისრულის (R_{+1}) კალა-



პოტზე ფორმირებისათვის (ნახ. 1.)




ნახ. 1.

The pressure of the seeds of fruit plants on the planar surface of the foot is estimated, depending on the type and crowding of their placement in the massage insoles and it is proved that the massage effect created by the seeds of fruit plants is within the pressure created by the fingers of the masseur on the reflex points of the foot.

The indexes of hygienic properties of developed massage insoles and footwear are determined, which fully correspond to normative and testify to creation of comfortable conditions for the consumer.

It is proved that the use of massage insoles and shoes improves the indicators of functional state and performance of people, improves blood circulation in the lower limbs, that is, it helps to reduce the symptoms of hypodynamia.

The development of civilization has led to a decrease in the natural stimulation of nerve endings in the human foot. The feet of a modern person are in contact with flat insole, which through the sole rely on a rigid foundation (asphalt, concrete, parquet), causing zonal overload in them. To this must be added the negative consequences of various diseases and injuries. Under the influence of these factors, the foot over time deforms [1].

Wearing shoes even more limiting natural stimulation of nerve endings, which lead to deterioration of blood circulation in the legs. According to the theory of traditional Chinese medicine, in the footsteps there are more than 60 active zones and points stimulation of which allows the natural foot massage through mechanical effects [2].

Influence on the reflex points of the leg can be accessed by a masseur, but this requires special time. The use of massage insoles and shoes is provided at any convenient time for a person the same benefits as a full stop massage.

Now the shoes and insoles massage using natural materials such as birch bark, cortical oak, moss sphagnum, hemp and linen cloth, or seeds, aromatic resins (frankincense, myrrh), extracts of meadow grasses, essential oils of rose, wormwood etc., but out of the attention of both manufacturers and researchers are the seeds of fruit plants.

In our work, the feasibility of using as fillers in massage insoles and shoes of fruit plants is substantiated, which have a living plant structure, positive energy and natural relief. This will provide stimulation of the reflex zones of the leg and the implementation of point massage.

The object of the study is the massage insoles with active influence on the reflex points of the foot and seeds of the fruit trees, which are proposed to be used as a filler of developed insoles.

The developed massage insole contains interconnected two layers of material, between which are located protruding elements, in which the selected seeds of fruit plants. This provides a volumetric form of the insoles with a natural, specific, special profile that forms a surface that causes deformation of the muscles and vigorous rubbing of the foot of a person, even with minor movements. The use of seeds of fruit plants, mainly of cornel or cherry, makes the insole light, natural and capable of rapid accumulation of heat. It is advisable that the material layers are made of genuine leather, or of textile material, or a combination of them. Additionally, there may be flavoring and / or disinfectant material between the layers of the material, which makes it possible to aromatherapy and / or disinfection, especially when



increased perspiration of the foot [3].

Hygienic properties were determined by the following indicators: air permeability (GOST 12088-77) [4], vapor permeability and moisture absorption (GOST 22900-78) [5]. The research was conducted on the basis of an accredited laboratory "Textile-Test" (Kyiv).

To determine the hygienic properties of the developed massage insole, 20 experimental samples were made. For the first 10 of them, the bottom and top layers were made of leather according to GOST 940-81. For the lower layer of the other 10 samples, the linen cloth was selected, and the upper layer was made of genuine leather (GOST 940-81) [6].

For massage insoles according to DSTU GOST 26167: 2009 "Everyday footwear. General technical conditions" and DSTU GOST 1135: 2007 "Home and road footwear. General technical conditions" the substrate skin (GOST 940-81), thickness from 0,6 to 0,9 mm inclusive and the tensile strength, 10 MPa, not less than 1,2 MPa, was used.


To determine the strength seeds of fruit plants developed a device that consists of a casing 1, receiving bowl 2, punch lever 3, punch 4, axis of the punch 5, axis of lever 6, lever counter 7, and the effort indicator 8 (Fig. 1).

This allows measurement results obtained seeds destruction efforts of various fruit plants: blackthorn ($P=577,4$ H), alycha ($P=544,9$ H), acacia ($P=661,6$ H), cherry ($P=427,0$ H) and cornel ($P=531,2$ H).

To compare the mechanical properties of different types of seeds, a physical value such as destructive pressure was used, which was determined by the formula:

$$R_r = \frac{P}{F}, \quad (1)$$

where R_r – destructive pressure, Pa; P – destructive effort, N; F – cross-sectional area, m^2 .



**Fig. 1. Apparatus for determining the strength of seed of fruit plants:
 a - longitudinal section; б - the top view; в - profile view**

Evaluated by means of the ratio (1) destructive pressure for different types of seeds: acacia – 9,52; blackthorn – 8,31; alycha -7,85; cornel - 7,59; cherry - 6,17 MPa. As can be seen, the greatest destructive pressure is the acacia seeds, the smallest - the cherry seeds. In general, the indicators of the destructive pressure of various seeds are in the range of 6-10 MPa.

The destructive pressure of the seeds is at times greater than the pressure on the surface created by a body weighing 70 kg (0.07 MPa). This has led to the assertion that the massage insoles with the seeds are resistant to destruction in those loads that a person creates. Consequently, we can conclude that such natural fillers as the seeds of the blackthorn, alycha, cherry, cornel are strong enough, and if they are in the insole in medium size (for women - 240 size, men - 270 size) in the amount of 50 to 130 pieces,



between which the load of a person's foot will be evenly distributed, will ensure the reliability and durability of the products when used.

It has been experimentally proved that the massage effect and comfort when using insole with the seeds of fruit plants depend on the distance between the centers of the seeds located in the massage insole. When placing the seeds in the insole at a distance between their centers 15 ± 1 mm and more, the accumulation should be considered minimal with a sharp sensation of pressure of the seeds on the plantain foot surface, at 11 ± 1 mm - medium with a comfortable feeling and at 7 ± 1 mm - the maximum with a neutral sensation.

To evaluate the pressure of the filler of the massage insole on the planar surface of the foot, the dependence of pressure on the species and the accumulation of its placement in the insole were determined (Table 1).

Table 1

Dependence of the pressure of the filler on the planar surface of the foot from the type and accumulation of the placement of the seeds in the massage insole

Type of filler	Accumulation (distance between centers of seeds), cm	Number of seeds, pieces	The area of the imprint of the supporting surface of the foot on the insole, cm ²	Pressure, MPa
Missing	-	-	78,5	0,08
Seeds:				
- cornel	minimal (1,5±0,1)	18	2,6	2,1
- cornel	average (1,1±0,1)	46	6,6	0,83
- cornel	maximum (0,7±0,1)	152	21,7	0,25
- cherries	minimal (1,5±0,1)	18	2,3	2,4
- cherries	average (1,1±0,1)	46	6,0	0,92
- cherries	maximum (0,7±0,1)	152	19,8	0,28

Also was calculated the pressure created by the fingers of the masseur on the foot, which was 0.07-0.7 MPa.

From the data obtained, we can draw the following conclusions. First, the pressure with a minimum accumulation of seeds is almost 10 times higher than the pressure at maximum accumulation. Secondly, the pressure of the seeds on the surface of the foot at their maximum accumulation exceeds more than four times the pressure without seeds. However, it is such a difference between the pressures that can be essential for the creation of a massage effect in conditions of comfort that is equal to the pressure created by the masseur's fingers. That is, the filler provides the same massage of the reflex points of the foot, as well as massage, made by the hands of a masseur.

At the next stage, an assessment was made of the conformity of the manufactured massage insoles and footwear with ergonomic indicators, namely compliance with their physiological and hygienic requirements.

The results of the test of the air permeability of the massage insoles showed that the massage products with the filler from the kissel stones with different combinations of the materials of the upper and lower layers of the insole have a greater air permeability with insole the upper and lower layers of which are made of genuine leather and is $102,3 \text{ dm}^3/\text{m}^2\cdot\text{s}$ with pressure 50 Pa and $189,5 \text{ dm}^3/\text{m}^2\cdot\text{s}$ at a pressure of 100 Pa. Also, the air permeability depends on the number of seeds in the insole: as their number increases, the air permeability decreases, as the air space between the layers of the insole decreases.



Table 2

Influence of the type of material of massage insole on moisture absorption and vapor permeability

Version	Material	Moisture absorption, %		Vapor permeability, mg / cm ² ·h	
		without seeds	with seeds	without seeds	with seeds
1	Leather + textiles	0,14	0,14	5,40	4,20
2	Leather + leather	1,90	4,60	5,00	2,60

Thus it is established (Table 2), if the upper layer of massage insole is made of leather according to GOST 940-81, and the bottom - of linen, then the vapor permeability is - 4,2 mg / cm²·h. If both layers are made of leather according to GOST 940-81, this indicator is at 2,6 mg / cm²·h.

Vapor permeability values correspond to the normative values for genuine leather for the top of the footwear (2-8 mg/cm²·h). Moisture absorption in the insole of the skin and textiles without the filler is the same as in the insole with the seeds. If in the insoles with the seeds both layers of leather, moisture absorption is 2,4 times more than without the use of seeds. This is due to the fact that the seeds do not absorb moisture from the tissue, because it passes it, and the skin absorbs, therefore, the seeds in the insole will absorb moisture.

When placing the seeds between two layers of the massage insole, an air layer is formed in which the moisture accumulates. This leads to an increase in the absorption of moisture by the black-backed sides of the insole layers.

Since the study of the basic hygienic properties of the developed massage insole showed that the characteristics of "vapor permeability", "air permeability" and "wet absorption" are consistent with the normative and provide high comfort when worn in shoes, developed massage insoles can be recommended for everyday use.

Investigation of the functional state and work capacity of people was carried out in the laboratory of vocational and labor rehabilitation State Institute of Gerontology, NAMS Ukraine named after. acad. D.F. Chebotarev according to the methodology officially approved by the Ministry of Health of Ukraine. Testing was conducted with the participation of volunteers during the working day for two weeks. The examinations refer to middle-aged people (44-60 years) according to the age classification of the World Health Organization.

After a month of using insoles, the dynamics of comfort and feelings, which were evaluated by the FAN questionnaire, were studied [7]. In parallel, studies were conducted that fully corresponded to the background, with the analysis of dynamics and subjective evaluation of the use of insole.

The dynamics of the obtained indicators of functional state and capacity of people showed improvement of these indicators in the surveyed. In addition, all surveyed observed reduction in symptoms of hypodynamia and congestive events in the lower part of the lower extremities.

Thus it was found that massage of the reflex zones of the leg with the help of created massages is rationally applied in the complex therapy of treatment and prevention of various human diseases, including for the treatment and prevention of pathological deformations of the feet, cardiovascular.

Conclusions

1. On the basis of complex studies of the properties of the seeds of fruit plants and their effects on the reflex points of the foot, the design and technology of the manufacture of massage insole was developed for the improvement of the general state of human health.

2. The estimated pressure of the seeds of fruit plants on the planar surface of the foot, depending on the type and the accumulation of their placement in the massage insole: 2,1 MPa with minimal accumulation of the seeds (15 ± 1 mm between their centers), 0,25 MPa with maximum accumulation (7 ± 1 mm between their centers), which is 3-20 times higher than the pressure without the use of seeds. This



difference is an essential reason for creating a massage effect within the pressure range created by the fingers of a masseur on the reflex points of the foot (0,07-0,7 MPa), with the pressure of one of the seeds on the surface of the foot is 0,12-0,14 MPa.

3. Research of the basic hygienic properties of developed insoles showed that the characteristics of "vapor permeability", "air permeability" and "wet absorption" are consistent with the normative and provide high comfort when worn in shoes, developed massage insoles can be recommended for everyday use.

4. It is proved that the use of massage insoles and footwear improves the functional status and performance indicators of 84% of people, improves circulation of the lower limbs, that is, it helps to reduce the symptoms of hypodynamia.

References

1. William A. Rossi. Why Shoes Make "Normal" Gait Impossible / William A. Rossi – Podiatry management, – march 1999. – P. 50-61.
2. Macheret, Ye. Poverkhneva refleksoterapiia / Ye. Macheret, N. Khanenko, O. Kovalenko, O. Korkushko, T. Parnikoza, H. Chupryna, I. Dovhyi, L. Dryhant // Kafedra nevrolohii i refleksoterapii. Chasopysy. Arkhiv chasopysiv – 2006. – № 3. – S. 4-15.
3. Pat. 56216 Ukraina, MPK A 61 F 5/14. Akupresurna ustilka: Ostapchuk O.I (UA), Ostapchuk I.P. (UA), Ostapchuk N.V. (UA), Pervaia N.V. (UA), Rohoza F.A. (IT); KNUTD. – № u 201006449; Zaiavl. 27.05.2010; Opubl. 10.01.2011r. – 4 s.
4. Materialy tekstilnyie i izdeliya iz nih. Metod opredeleniya vozduhopronitsaemosti. GOST 12088-77 – [Deystvuyuschiy s 01.01.1979]. – M.: IPK Izdatelstvo standartov, 2002. – 11 s.
5. Kozha iskusstvennaya i plenochnyie materialyi. Metodyi opredeleniya paropronitsaemosti i vlagopogloscheniya. GOST 22900-78 – [Deystvuyuschiy s 01.01.1979]. – M.: IPK Izdatelstvo standartov, 1997. – 8 s.
6. Kozha dlya podkladki obuvi. Tehnicheskie usloviya. GOST 940-81 – [Deystvuyuschiy s 30.06.1982]. – M.: Izdvo standartov, 2002. – 7 s.
7. Opis metodiki SAN [Elektroniy resurs]. Rezhim dostupu: <http://wjournal.com.ua/opituvalnik-san.html>

ИННОВАЦИОННЫЙ ПОДХОД К РАЗРАБОТКЕ СПЕЦИАЛЬНЫХ ИЗДЕЛИЙ С АКТИВНЫМ ВЛИЯНИЕМ НА РЕФЛЕКТОРНЫЕ ТОЧКИ СТОПЫ

Прудникова Н.Д., Первая Н.В., Лобанова Г.Е.*

Киевский национальный университет технологий и дизайна

*Хмельницький національний університет

Работа посвящена разработке конструкции и технологии изготовления массажных стелек и обуви на основе комплексных исследований свойств косточек плодовых растений и их воздействия на рефлекторные точки стопы для улучшения общего состояния здоровья человека.

Определено давление косточек плодовых растений на плантарную поверхность стопы в зависимости от вида и скученности их размещения в массажной стельке и доказано, что созданный косточками массажный эффект находится в пределах давления, созданного пальцами массажиста на рефлекторные точки стопы.

Определены показатели гигиенических свойств разработанных массажных стелек и обуви, которые полностью соответствуют нормативным и свидетельствуют о создании комфортных условий для потребителя.

Доказано, что использование массажных стелек и обуви улучшает показатели функционального состояния и работоспособности людей, улучшает кровообращение в нижних конечностях, то есть способствует уменьшению симптомов гиподинамии.

2

მატერიალური კულტურა, ხელოვნება და დიზაინი MATERIAL CULTURE, ART AND DESIGN МАТЕРИАЛЬНАЯ КУЛЬТУРА, ТВОРЧЕСТВО И ДИЗАЙН





სხვადასხვა რიტმისა და მოძრაობის თანხვედრის მნიშვნელობა სამსახიობო ხელოვნებაში

თ. ბერიძე

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მომავალი მსახიობისათვის აუცილებელია გონებისა და სხეულის მართვა. მის მიერ შექმნილი სცენური სახე იყოს საინტერესო, დამუხტული შინაგანი ენერგიითა და ემოციით. ქმედება და მოძრაობა სცენაზე იყოს ზედმიწევნით ზუსტი. მაღალგანვითარებულ ტექნოლოგიურ ეპოქაში ახალგაზრდების შინაგანი რიტმი არ არის თანხვედრი გარე სამყაროს რიტმთან. სხეული მოდუნებულია, ემოცია შენეებული. უმაღლეს თეატრალურ სასწავლებლებში რიტმიკისა და სასცენო მოძრაობის სწავლება ხელს უწყობს მსახიობს განავითაროს საკუთარი სხეული. შესძინოს მას პლასტიურობა და მოქნილობა რათა მისი ქმედება და მოძრაობები სცენაზე იყოს დახვეწილი, გამომსახველი და ბუნებრივი.

დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ცოცხალ არსებას გააჩნია საკუთარი რიტმი. თავად დედამიწა განუწყვეტლივ რიტმულ მოძრაობაშია, რაც უზრუნველყოფს მასზე სიცოცხლეს. შეიძლება ითქვას, რომ რიტმი სიცოცხლის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ყოველი ცოცხალი არსების სხეული რიტმულად არის აწყობილი და რა თქმა უნდა ადამიანის სხეულიც. მისი ყოველი ამოსუნთქვისა და ჩასუნთქვის რიტმულობა განაპირობებს სხეულის სიჯანსაღესა და ემოციურ წონასწორობას. ეს რიტმი ძილშიაც კი არ ირღვევა. გულის კუნთების მუშაობაც რიტმს არის დაქვემდებარებული. გული ძგერს ბიძგებით და ყოველი დარტყმის შემდეგ ისვენებს. მხოლოდ ამის წყალობით ახერხებს ის უწყვეტად მუშაობას, თუ ეს რიტმი ოდნავ მაინც დაირღვა, შეიძლება ფატალური შედეგიც დადგეს. სწორად მოძრაობისა და სიმშვიდის ჰარმონიულობა ქმნის რიტმს. ლ. ს. ვიგოტსკი თავის ნაშრომში „ფსიქოლოგია“ [1] წერდა „ფსიქოლოგიური თვალსაზრისით რიტმი არის მოძრაობისა და სიმშვიდის სინთეზის ყველაზე სრულყოფილი ფორმა ... ის გვევლინება მოძრაობის სრულყოფისა და უწყვეტობის გარანტიად“. აქედან გამომდინარე, რიტმი თავად არის მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი ატრიბუტი და ამავე დროს, მოძრაობათა ორგანიზების ხელშემწყობი. მასში გაერთიანებულია ემოციური (დინამიური) და რაციონალური (სტატიკური) მოძრაობები სწორედ მათი ურთიერთქმედება და ურთიერთმონაცვლეობა წარმოქმნის მოძრაობისა და სიმშვიდის სინთეზს. ნებისმიერი მოძრაობა წარმოუდგენელია რიტმის გარეშე. სხეული შეჩერების დროსაც კი გარკვეული რიტმშია მოქცეული. ჟან პიაჟეს აზრით, „რიტმი ყველა მოძრაობის საფუძველს წარმოადგენს“ [2].

ვილჰელმ ვუნდტი წერს „ჩვენი აზროვნება რიტმულია თავისი ბუნებით“ [3]. აქედან გამომდინარე, ადამიანი სჩადის გააზრებულ და გაუაზრებელ ქმედებებს და მხოლოდ მათი წონასწორობის დაცვა და ამ ქმედებათა რიტმული მონაცვლეობა, იძლევა საშუალებას შეინარჩუნოს სულიერი სიმშვიდე და ნათელი გონება.

ადამიანი გარემოს რიტმებს აღიქვამს როგორც შინაგანი შეგრძნებებით, ასევე ვესტიბულარული აპარატით, რომელიც მყისიერად რეაგირებს რიტმის სულ მცირეოდენ ცვლილებაზეც კი. სწორედ ვესტიბულარული აპარატით ვდებულობთ იმპულსებს მოძრაობის შენეებასა თუ აჩქარებაზე. ის ერთგვარი დირიჟორია, რომელიც ცნობიერებას აუწყებს სხეულის



ტემპო-რიტმის ცვალებადობას და სხეულიც ღებულობს გადაწყვეტილებას თუ როგორი მოძრაობა შეუსაბამოს მას.

ადამიანებს გააჩნიათ სმენითი, მხედველობითი, კუნთოვან-შეგრძნებითი რიტმულობის ალქმის უნარი. სმენითი რიტმი უშუალოდ დაკავშირებულია ბგერებთან, ტექსტთან, მუსიკალობასთან. მსახიობისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია მუსიკალური სმენა და მუსიკალური რიტმი, რადგან მოძრაობები და ქმედებები გაცილებით უფრო მიმზიდველი და დახვეწილია თუკი მსახიობი მათ შინაგანი მუსიკალურობით ასრულებს. მთავარია, რომ მსახიობი გრძნობდეს მუსიკას სხეულით „მნიშვნელოვანია, რომ მსახიობს ჰქონდეს მუსიკალურად განათლებული სხეული, რომელსაც შესწევს უნარი არა მარტო გაიგონოს მუსიკა, არამედ შეუშვას ის საკუთარ სხეულში და შეაკავოს, რათა მოძრაობას მისცეს ემოციური შეფერილობა“ [3].

ვ. ვ. ბელინოვიჩის აზრით, „რიტმით ტკბობა დამოკიდებულია მოძრაობის რიტმის შეგრძნების უნარზე“ [4]. ხშირ შემთხვევაში, მუსიკალური სმენა და რიტმულობა თანდაყოლილია, ანუ დაბადებიდანვეა ადამიანში ჩანერგილი. თუ ეს სუსტად არის გამოვლენილი, მაშინ მომავალ მსახიობებს შეუძლიათ ამ უნარების განვითარება რიტმიკის სწავლების საფუძველზე, განუწყვეტელი წვრთნისა და მუშაობის შედეგად.

ხედვითი რიტმი მსახიობს ეხმარება ზუსტად შეაფასოს პარტნიორის ქცევა სცენაზე, რათა მათი მოძრაობა სინქრონული და თანხვედრი იყოს ურთიერთქმედებასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა ანსამბლურობა და თუ ეს სცენური ტრიუკის, ან მძრაფრი კონფლიქტური სცენის გათამაშების დროს მოხდა - ადვილი შესაძლებელია, მსახიობებმა შეუთანხმებელი არიტმული მოძრაობებით, ერთმანეთს ტრამვაც კი მიაყენონ. ამავე დროს მსახიობთა ურთიერთშეთანხმებული რიტმული ქმედება სწორ და ზუსტ რეაქციას იწვევს მაყურებელში. თავად მაყურებელი, ხშირად გაუცნობიერებლადაც კი, ერთვება ამ ქმედებაში. მისი შინაგანი რიტმი სრულ თანხვედრაშია მსახიობთა ქმედების რიტმთან და სცენასა და დარბაზს შორის სრული ურთიერთგაგება და კონტაქტი მყარდება. ასეთ დროს ინტერესი არ ნელდება და სპექტაკლიც თავიდან ბოლომდე სრულყოფილად აღიქმება მაყურებლის მიერ.

რიტმის კუნთოვან-შეგრძნებითი ალქმა პირდაპირ კავშირშია ვესტიბულარულ აპარატთან. როდესაც სცენაზე არ ისმის არც ტექსტი, არც მუსიკა, ქმედება კი ძალზედ ლაკონური და მკვეთრი რიტმითაა გამოსახული, სწორედ მაშინ ერთვება მსახიობთა ვესტიბულარული აპარატი, რომელიც ზუსტ სიგნალს აძლევს სხეულის კუნთებს, რათა მკაცრად დაცული ხაზგასმული რიტმით შეასრულონ ესა თუ ის მოძრაობა. ასეთი რიტმული ქმედება მეტ დრამატულობას სძენს სცენას. მაგალითად „ჰამლეტის“ ბოლო სცენა, სადაც რამოდენიმე ადამიანს მოაქვს მისი სხეული - სრულ სიჩუმეში, მხოლოდ და მხოლოდ მწყობრი რიტმული მოძრაობა - თანაბარზომიერად გათვლილი ნაბიჯები და ქმედებასაც საოცარი სიმძაფრე ახლავს თან“ [5].

მსახიობს უნდა შეეძლოს სრული მობილიზება სცენაზე, ის მზად უნდა იყოს მყისიერად მოახდინოს რეაგირება ნებისმიერ რიტმულ ცვალებადობაზე, როგორც გონებრივად, ანუ ცნობიერებით, ასევე საკუთარი სხეულით. მობილიზების შედეგად, სისწრაფე, გამძლეობა, მოქნილობა და კუნთების ძალისხმევა საშუალებას მისცემს მას სწორად შეასრულოს ესა თუ ის ქმედება. ყურადღება, მეხსიერება და თვითკონტროლი კი უზრუნველყოფს ამ ქმედებათა ლოგიკურ უწყვეტობასა და აქტიურობას. მსახიობი სცენაზე თავისუფლად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე უნდა გადაადგილდეს. ამავე დროს ყოველი მისი მოძრაობა ისე უნდა



იყოს გათვლილი, რომ მასზე დახარჯული ენერგია და კუნთების ძალისხმევა მხოლოდ და მხოლოდ ამ მოძრაობისათვის იყოს შესაბამისი.

მაღალგანვითარებადმა ტექნოლოგიურმა ეპოქამ, სამწუხაროდ, ხელი შეუწყო არაჯანსაღი ჩვევების ჩამოყალიბებას. თანამედროვე ახალგაზრდების სხეული არა მხოლოდ მოუქნელია, არამედ ვერ უძლებს სულ მცირე ფიზიკურ დატვირთვასაც კი. კომპიუტერის/გაჯეტების ეკრანის წინ ხანგრძლივი დროით ყოფნისა და არასწორი ჯდომის/წოლის შედეგად. მოზარდებს უკვე ადრეულ ასაკში უჩნდებათ ხერხემლის პრობლემები. ხშირია სქოლიოზი, ასევე თვალის მუდმივი დამაბულობის შედეგად ზიანდება მხედველობა. სოციალური ქსელები და ვირტუალური სამყარო მოქმედებს მოზარდთა ცნობიერებაზე და არღვევს მათ ფსიქო-ემოციურ წონასწორობას. მოზარდთა სხეულს არ გააჩნია ფსიქო-ფიზიკურ გამაღიზიანებლებზე სწრაფი რეაქცია. მათი შინაგანი რიტმი არ არის თანხვედრი გარე სამყაროს რიტმთან. სხეული მოდუნებულია, გარე ფაქტორებთან მიმართებით კი ემოცია შენებულია. მომავალი მსახიობისათვის აუცილებელია გონებისა და სხეულის ისე მართვა, რათა მის მიერ შექმნილი სცენური სახე იყოს საინტერესო, დამუხტული შინაგანი ენერგიითა და ემოციით და ამავე დროს მისი ქმედება ან მოძრაობა სცენაზე იყოს ზედმიწევნით ზუსტი. „რომელი სხეული უნდა მართოს მსახიობმა? – ის რომელიც მას გააჩნია! რომელ სხეულს უნდა ფლობდეს მსახიობი? – იმას რომელსაც თავად შექმნის“ [3].

მომავალ მსახიობს სჭირდება განუწყვეტელი წვრთნა. უმაღლეს თეატრალურ სასწავლებლებში სპეციფიური საგნების: რიტმიკა და სასცენო მოძრაობა -სწავლება ხელს უწყობს მსახიობს განავითაროს საკუთარი სხეული. შესძინოს მას პლასტიურობა და მოქნილობა რათა მისი ქმედება და მოძრაობები სცენაზე იყოს დახვეწილი, გამომსახველი და ბუნებრივი.

ლიტერატურა

1. Л. С. Выготский, Психология, М. Апрель Пресс, Эксмо-пресс. 2000 г. 1008 ст.
2. Э. Бутенко, Сценическое перевоплощение. Теория и практика. издание. «Планета музыки», 2017 г. 372 ст.
3. Н.В. Карпов, «Уроки сценическое движение», 2008 г.
http://www.theatre-library.ru/files/k/karpov_n/karpov_n_1.html
4. В. В. Белинович, «Обучение в физическом воспитании. Физкультура и спорт» 1958, 262 ст.
5. Кох И. Э. Основы сценического движения, Глава восьмая, Темпо-ритм физического действия
<http://litresp.ru/chitat/ru/%D0%9A/koh-i-e/osnovi-scenicheskogo-dvizheniya/11>

THE IMPORTANCE OF CONCUR OF THE RHYTHM AND MOVEMENT IN PERFORMING ACT

T. Beridze

Batumi State Teaching University

Summary

The rhythm is the basis for all movements. For the future actor it is necessary to manage the mind and body to make his hero interesting, with inward energy and emotion, at the same time his action or movement on the stage must be perfectly accurate. People have the ability to perceive hearing, visual, muscular-sensitive rhythmicity, which is necessary for the actor to make his movement on the stage synchronous and concur with interaction. The interactive rhythmic movements of the partners promote the assembly and theatricality.

In a highly developed technological epoch, the inner rhythm of the youth doesn't concur with the rhythm of the outer world. The body is relaxed and the emotion in relation to the outer factors are slowed down. Teaching of rhythmic and stage motion in higher theater schools helps the actor to develop his own body, add elasticity and flexibility to make his movements on the stage sophisticated, expressive and natural.



სახვითი ხელოვნება

ა. გვეტაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

როგორც ცნობილია ადამიანისთვის ხელოვნება სულიერი და პრაქტიკული საქმიანობაა, რომელიც მიმართულია მხატვრული უნარების შესათვისებლად. ეს არის მეცნიერება -ადამიანის საქმიანობის სფერო, რომლის მიზანია გარემომცველი სამყაროს შესახებ ობიექტური ცოდნის მიღება, დამუშავება და სისტემატიზაცია. მეცნიერული ცოდნის დაგროვება ხდება ბუნების, საზოგადოების ან სხვა ობიექტის სამეცნიერო მეთოდის საშუალებით შესწავლის შედეგად. ამავე დროს მეცნიერება საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს (სამყაროს მეცნიერული სურათი). საბოლოოდ ამ საქმიანობის შედეგად იქმნება ხელოვნების ნიმუშები.

ხელოვნება —ადამიანის აქტივობების ფართო მცნება, რომელიც გულისხმობს ვიზუალური, აუდიო ან გამომხატველობითი ნამუშევრების შექმნას, ავტორის წარმოსახვის ან ტექნიკური ნიჭის გადმოცემას, რომლის მიზანია მშვენიერების ან ემოციური ძალის შეფასება. ხელოვნება ყველაზე უფრო განზოგადებული ფორმით გულისხმობს: ხელოვნების ნიმუშების შექმნას, ხელოვნების კრიტიკას, ხელოვნების ისტორიის შესწავლასა და ხელოვნების ესტეტიკის გავრცელებას, აღქმას. ხელოვნების უძველეს ნიმუშებს წარმოადგენს ვიზუალური ხელოვნების ქმნილებები, რაც გულისხმობს ნახატებისა და საგნების შექმნას ისეთ სფეროებში, როგორცაა: მხატვრობა, ქანდაკება, გრაფიკა (ბეჭდვა) ფოტოგრაფია და ვიზუალური მედიის სხვა საშუალებები. გრაფიკა — გამოსახულების შექმნა სხვადასხვა სახის ხელსაწყოებისა და ტექნიკის მეშვეობით. ის ძირითადად მოიცავს რაიმე გლუვ ზედაპირზე (მაგ. თაბახზე) ანაბეჭდების შექმნას მასზე ხელსაწყოს ზეწოლითა ან ზედაპირის გასწვრივ მისი მოძრაობით. ძირითადი ხელსაწყოებია გრაფიტის ფანქრები, კალამი და მელანი, მელნის ფუნჯები, სანთლის ფერადი ფანქრები, კრაიონი, ნახშირი, პასტელი და მარკერები. თანამედროვე გრაფიკაში ასევე გამოიყენება ციფრული მედია და ხელსაწყოები მსგავსი ეფექტის მისაღებად.

სახვითი ხელოვნების განვითარების სხვადასხვა ასპექტით განხილვისას თვალნათლივ იკვეთება არა მარტო ის ეტაპები, რომელთაც მხატვრული ცხოვრების შეფასებისათვის განსაზღვრული მნიშვნელობა აქვთ, არამედ მრავალი მხატვრული მოვლენა, სტილისტური მიმართულება, რომელიც შინაგანი წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიაა ხელოვნებაში, რაც ცალკეული ხასიათისა თუ ინდივიდუალური ხელწერის მქონე მხატვართა შემოქმედებით არის გამოხატული. ქანდაკება, სკულპტურა-გამოსახულება, რომლის შექმნასაც აქვს მოცულობითი ფორმა და სრულდება მაგარი ან პლასტიკური მასალებისგან. სკულპტურების სამხატვრო გამოხატულებას მოცულობითი ფორმის შექმნა, პლასტიკური მოდელირება (გამოქანდაკება),სილუეტის შექმნა, ფაქტურის, ზოგიერთ შემთხვევაში ფერისაც კი.

განასხვავებენ მომრგვალო სკულპტურასა (სტატუა, ჯგუფები, სტატუეტი, ბიუსტი, შეიძლება შეხედოთ სხვადასხვა მხრიდან) და რელიეფურს (როცა გამოსახულება მდებარეობს სიბრტყეზე). მონუმენტური სკულპტურა, ძეგლები, მონუმენტები ურთიერთობაშია არქიტექტურულ მხარესთან.

იტალიური რენესანსის დროიდან მოყოლებული მოქანდაკეები ქმნიდნენ რეალური საგნების, რეალური სამყაროს მეტ-ნაკლებად ზუსტ გამოსახულებებს. სკულპტურა ამ პერიოდში ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა თვითგამოხატვის საშუალებას. ეს იყო სახალხო ხელოვნება.



ნება, რომელიც შენობებს, სხვადასხვა დაწესებულებებს დეკორს უკეთებდა. სკულპტურა გამოიყენებოდა სხვადასხვა ისტორიული მოვლენის, დღესასწაულის თუ პიროვნების უკვდავსაყოფად.

XVII საუკუნემდე ხელოვნებაში იგულისხმებოდა ნებისმიერი უნარი ან ხელოვნობა, ისევე როგორც ოსტატობა, ხელოსნობა და მეცნიერება.

XVII საუკუნის შემდეგ თანამედროვე გაგებით, როდესაც ესტეტიკური აღქმა გახდა ძალიან მნიშვნელოვანი, სახვითი ხელოვნება გამოყოფილია და ზოგადად გამოირჩევა სპეციფიკური უნარებით, როგორებიცაა დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნება— დეკორატიული ხელოვნების დარგი, რომელიც ქმნის საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობებს: ავეჯს, ქსოვილებს, შრომის იარაღებს, მიმოსვლის საშუალებებს, ტანსაცმელს და ყველა სახის მორთულობას. XIX საუკუნის II ნახევრიდან მოხდა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებების კლასიფიკაცია როგორც დანიშნულების, ისე მასალის (ლითონი, კერამიკა, ხე) და შესრულების ტექნიკის (კვეთილობა, მოხატულობა, ნაქარგობა, ჩამოსხმა, ინტარსია, მინანქარი) მიხედვით.

ხელოვნების ბუნება და მასთან დაკავშირებული კონცეფციები, როგორებიცაა კრეატიულობა და ინტერპრეტაცია, ესთეტიკის სახელით არის ცნობილი. ბერძნ. *aisthētikos* — გრძნობა, შეგრძნება — ფილოსოფიის დარგი, რომელიც არკვევს ხელოვნებისა და მშვენიერების ბუნებას, ღირებულებასა და საზრისს. ესთეტიკა ცალკე ფილოსოფიურ დისციპლინად ჩამოაყალიბა გერმანელმა ფილოსოფოსმა ალექსანდრე გოტლიბაუმგარტენმა XVIII საუკუნეში, მანვე დაარქვა მას ეს სახელი. მანამდე ესთეტიკის საკითხებს მოსაზღვრე ფილოსოფია (ონტოლოგიურ, გნოსეოლოგიურ, ეთიკურ, ნატურფილოსოფიურ, თეოლოგიურდაა. შ.) პრობლემებთან ერთად განიხილავდნენ.

ხელოვნების ისტორიის კუთხით ნიმუშები იმდენი ხანია არსებობს, რაც არსებობს ადამიანი. დაწყებული პრე-ისტორიული ხელოვნებით, დამთავრებული თანამედროვე ხელოვნებით, თუმცა ზოგი თეორია ეწინააღმდეგება „ხელოვნების ნიმუშების“ შინაარსს, კონცეფციასთან თანამედროვე დასავლურ საზოგადოებებში. ხელოვნების ერთ-ერთი ადრეული განმარტება მჭიდროდაა დაკავშირებული ლათინურ მნიშვნელობასთან, რომელიც უხეში თარგმანით ნიშნავს „უნარს“ ან „ოსტატობას“, რაც ასოცირდება სიტყვასთან „ხელოვანი“.

მეორე და შედარებით უფრო ახალი დახასიათებით, რომელიც შეიქმნა XVII საუკუნის დასაწყისში, სიტყვა სახვითი ხელოვნება ნიშნავს უნარს, რომელიც გამოიყენება მხატვრის კრეატიულობის გადმოსაცემად ან მაყურებლების ესთეტიკური შეგრძნებების დასაკმაყოფილებლად.

ხშირად, თუ ეს უნარი გამოყენებულია პრაქტიკაში, ხალხი მას მიიჩნევს ხელოსნობად, ვიდრე ხელოვნებად, თუ ნიჭი გამოყენებულია კომერციულ ან სამრეწველო სფეროში. ამ შემთხვევაში ის შეიძლება იქნეს მიჩნეული კომერციულ ხელოვნებად სახვითი ხელოვნების ნაცვლად. მეორე მხრივ, ხელოსნობა და დიზანი ზოგჯერ მიჩნეულია გამოყენებით ხელოვნებად, თუმცა სახვით ხელოვნებას გააჩნია ზოგ შემთხვევაში მიზნები წმინდა კრეატიულობის და თვითგამოხატვის მიღმა. ხელოვნების ნიმუშის მიზანი შესაძლოა იყოს იდეათა გაზიარება, სულიერად თუ ფილოსოფიურად მოტივირებული ხელოვნებით, რათა შეიქმნას მშვენიერების აღქმა, გამოვლინდეს აღქმის ბუნება, სიამოვნებისთვისაა თუ ძლიერი ემოციების გენერირებისთვის. შეიძლება მიზეზია რც არსებობდეს.



ხელოვნების თეორია, როგორც ფორმა სათავეს იღებს იმანუელ კანტის ფილოსოფიაში, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში როჯერ ფრაიმ და ქლაივებელმა განავითარეს.

ბიზანტიურ და შუასაუკუნეების ხელოვნებაში, უმეტესად ხელოვნება გადმოს-ცემდა ბიბლიურად არელიგიური კულტურის სუბიექტებს და გამოიყენებოდა სტილი, რომელიც აღწერდა სამოთხისეულ, ღვთიურ დიდებას.

აღორძინების ხანის ხელოვნებამ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა მატერიალური სამყაროს რეალურად გამოსახვას და ადამიანის როლს მასში, რაც აისახა ადამიანის სხეულის რეალისტურ გადმოცემაში და გრაფიკული პერსპექტივის სისტემა ტიური მეთოდის განვითარებაში სამგანზომილებიანი სივრცის სიღრმის გადმოსაცემად.

აღმოსავლეთში, ისლამურ ხელოვნებაში იკონოგრაფიის აკრძალვამ განაპირობა გეომეტრიული ფიგურების, კალიგრაფიისა და არქიტექტურის აქტუალურობა. დასავლეთში კი რელიგია დომინირებდა ხელოვნების სტილსა და ფორმებზე. ინდოეთში და ტიბეტში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს მოხატულ, ფერად სკულპტურებსა და ცეკვას, მაშინ როდესაც რელიგიურმა მხატვრობამ ბევრი რამ ისესხა სკულპტურიდან. ჩინეთში აყვავდა ხელოვნების მრავალი დარგი: ნეფრიტით რელიეფზე კვეთა, ბრინჯაოზე მუშაობა, მეთუნეობა (საგულისხმოა იმპერატორი ქინის გამოგნებელი ტერაკოტის არმია).

აზიისა და ევროპის გზაჯვარედინზე მდებარე საქართველო ოდითგანვე ჩართული იყო მსოფლიო კულტურულ პროცესებში. უძველეს წარსულში ის ძველი აღმოსავლეთის, შემდგომში კი ელინისტური სამყაროს კულტურულ სამყაროში იყო მოქცეული, ქრისტიანობის მიღების შემდგომ ის როგორც მართლმადიდებელი სამყაროს ნაწილი ბიზანტიის კულტურულ წრეში მოექცა. ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ მუსლიმანური ქვეყნების გარემოცვაში მოხვედრილი საქართველო ქრისტიანობის ფორპოსტად იქცა ამ რეგიონში და იძულებული იყო მთელი ძალები ქვეყნის ფიზიკურად გადარჩენისათვის მიემართა XIV საუკუნიდან მოყოლებული ცალკეულ ნაწილებად დაშლილ ქვეყანაში კულტურული ცხოვრება მაინც გრძელდებოდა, შენდებოდა და იხატებოდა ეკლესიები, მინიატურებით იმკობდაწიგნები და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ იმ ძნელბედობის ჟამს ჩვენი კულტურა მოწყვეტილი იყო მსოფლიო კულტურულ ორიენტირებს, ერთგვარად ამოვარდნილი იყო ცივილიზებული სამყაროს განვითარების ერთიანი კალაპოტიდან. ყოველივე ამან გამოიწვია ის, რომ ქართული კულტურა და კერძოდ სახვითხელოვნება - მხატვრობა, XVIII საუკუნის ბოლომდე შუა საუკუნეების მარწუხებში რჩებოდა.

1801 წელს საქართველო იძულებული გახდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესულიყო, რის შემდეგაც ქვეყანამ დაისვენა მუდმივი შემოსევებისა და ომებისაგან, მაგრამ საქართველოს ეს ძვირად დაუჯდა - მან დაკარგა თავისუფლება, პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რუსეთმა გააუქმა ბაგრატიონთა სამეფო ტახტი, საქართველოს ეკლესიას ჩამოართვა ავტოკეფალია. მიუხედავად ყოველივე ამისა ქვეყანაში თანდათან სიმშვიდემ დაიმსახურა, რამაც კულტურული ცხოვრების აღმავლობა გამოიწვია. საქართველოს ქართველ მხატვრებს კვლავ მიეცათ საშუალება დასავლეთიდან მიეღოთ ახალი შემოქმედებითი იმპულსები, სწორედ ამ დროს ეყრება საფუძველი რეალისტურ დაზღურ ფერწერას საქართველოში, ჩნდება მეტად საინტერესო ფენომენი ე.წ. თბილისური პორტრეტული სკოლა. ამ სკოლის სტილისტური სახის დამკვიდრებაში, უდავოდ, არსებითი როლი შეასრულა ევროპული XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ქართულმა პორტრეტმა. ამ სკოლის წარმომადგენლები ქმნიან როგორც



ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ და ოჯახურ პორტრეტებს, რომლებშიც ნათლად სჩანს „მველი“, ანუ ტრადიციული ხელოვნებისა და ახალი ხელოვნების ნიშნები - პირობითობისა და რეალიზმის თანაარსებობა. თბილისური სკოლა წარმოადგენდა ერთგვარ გარდამავალ საფეხურს ძველ და ახალ ხელოვნებას შორის. ის ჯერ კიდევ მჭიდროდ იყო დაკავშირებული შუასაუკუნეობრივ ტრადიციასთან.

ლიტერატურა

1. ე.ს. ლევიტინი, მ.ი.მაისკაია, გ.ს.კისლიხ, ვ.ა.სადკოვი. დასავლეთ ევროპული მხატვრობა. 1991 წ.
2. რატი ჩიბურდანიძე მხატვრული-სტილისტული ტენდენციები XX საუკუნის 70-იანი წლების ქართულ ფერწერაში.

VISUAL ART

A.Gvetadze

Akaki Tsereteli State university

Summary

As we know, the art is spiritual and practical work, that is directed to develop artistic skills of people. This is the science area of human activity, that aims to resieve objective knoweledge about universe. The reservation of cientific knoweledge is based on cientificall resurch of humans, society or other objects. The cience is one of the most important form of public consciousness(The cientific picture of the universe). Finally the result of this activity are the biggest creatures of art.

კაბის დეტალების კონსტრუქტორული დაგეგმარების თანმიმდევრული მეთოდი

მ. დათუაშვილი; ი. ჩარკვიანი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომი ეძღვნება ტანსაცმლის დეტალების კონსტრუქტორული დაგეგმარების საკითხებს. შემუშავებული თანმიმდევრული მეთოდიკა საანგრიშო-გრაფიკული მეთოდის ბაზაზე შექმნილი. მეთოდიკაში გამოყენებული ფორმულები დადგენილია სხვადასხვა ტიპის ფიგურების გაზომვების განზოგადების შედეგად, ხოლო გრაფიკული აგება გაანგარიშების შედეგებზე დაყრდნობით კოორდინატთა სისტემაში ტანსაცმლის დეტალების ხაზების მდებარეობის თანმიმდევრულ განსაზღვრაში მდგომარეობს. ნაშრომში მოყვანილი ქალის კაბის კალთისა და ზურგის დეტალების საბაზისო კონსტრუქციული ნახაზების დაგეგმარების თანმიმდევრული მეთოდი წარმოადგენს გაანგარიშებით გრაფიკული სისტემის ერთერთ ყველაზე გამარტივებულ და სპეციალისტებისათვის გასაგებ ენაზე ჩამოყალიბებულ ნაშრომს. დამუშავებული მეთოდიკისა და კონსტრუქციული მოდელირების ხერხების გამოყენებით შესაძლებელია ნებისმიერი მოდელური თავისებურებების მქონე კაბების კონსტრუქტორული დაგეგმარება.

ტანსაცმლის კონსტრუქციების ქვეშ იგულისხმება ადამიანის სხეულის ზედაპირის განფენილი ნახაზის შექმნა გამოყვანის შესაბამისი დანამატებითა და მოდელური კონსტრუქციით. კონსტრუქციის დამუშავების დროს აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას ტანსაცმლის ესთეტიკური პარამეტრები და დაცულ იქნას ინდივიდუალური ან მასიური წარმოების ტექნიკური მოთხოვნები [1].



თანამედროვე მსოფლიოში თანსაცმლის კონსტრუქტორული დაგეგმარების მიზნით ძირითადად ორ პრინციპიალურ - მულაჟური და საანგარიშო-გრაფიკული სისტემას გამოიყენებენ.

ისტორიულად ტანსაცმლის გამოჭრის პირველ მეთოდს ცოცხალ ფიგურაზე ქსოვილის მიბნევის მულაჟური მეთოდი წარმოადგენდა. აღნიშნული მეთოდი მეორენაირად მაკეტურის სახელითაც მოიხსენიება, იმდენად რამდენადაც იგი ნაკეთობის პირველადი ნიმუშების მაკეტების დასამზადებლად გამოიყენება [2].

ტანსაცმლის კონსტრუქციის აგების საანგარიშო-გრაფიკული მეთოდი მე-19 საუკუნეში წარმოიშვა (1800 წ. Michelle- "Drittell"; ფრანგული ჰორიზონტალური გაზომვების მეთოდი; 1840წ. მიულერი--"Muller & Sohn"). ისინი შექმნეს მკერავებმა, რომლებაც გადაიტანეს ხელით გამოჭრისა და ცოცხალ ფიგურასთან მუშაობის გამოცდილება მარტივ ფორმულებში. საანგარიშო მეთოდების გამოყენება წარმატებით დაიწყო 20-ე საუკუნეში, ინდუსტრიალიზაციის პერიოდში (ЦНИИШП ЕМКО СЭВ) ტანსაცმლის მასიური წარმოების პროცესებში. დღეისათვის სხვადასხვა ქვეყნებს კონკრეტულ გამოცდილებაზე დაფუძნებული ტანსაცმლის კონსტრუქციის საკუთარი მეთოდები გააჩნიათ [3].

ნაშრომში მოყვანილი ქალის კაბის დეტალების კონსტრუქტორული დაგეგმარების თანმიმდევრული მეთოდიკა საანგარიშო-გრაფიკული მეთოდის ბაზაზეა შექმნილი. მეთოდიკაში გამოყენებული ფორმულები დადგენილია სხვადასხვა ტიპის ფიგურების გაზომვების განზოგადების შედეგად, ხოლო გრაფიკული აგება საანგარიშების შედეგებზე დაყრდნობით კოორდინატთა სისტემაში ტანსაცმლის დეტალების ხაზების მდებარეობის თანმიმდევრულ განსაზღვრაში მდგომარეობს.

ქალის კაბის საბაზისო კონსტრუქციული ნახაზის ასაგებად, საჭირო ზომითი ნიშნებად მიჩნეულია: კისრის ნახევარგარშემოწერილობა ($C_{კის}$); გულმკერდის ნახევარგარშემოწერილობა ($C_{ა3}$); წელის ნახევარგარშემოწერილობა ($C_{წი}$); თემოს ნახევარგარშემოწერილობა ($C_{თე}$); ზურგის სიგრძე წელამდე ($L_{ზ.წელ}$); ზურგის სიგანე ($S_{ზურგ}$); კალთის სიგრძე წელამდე ($L_{კ.წელ}$); მკერდის სიმაღლე ($H_{ა3}$); მკერდის ცენტრი ($S_{მკ.ცენტ}$); მხრის სიგანე ($S_{აბ}$); ნაწარმის სიგრძე ($L_{ნაწ}$). გვახსოვდეს, რომ ყველა კონკრეტული შემთხვევისათვის ზომითი ნიშნების მნიშვნელობები აღებული უნდა იქნას უშუალოდ დამკვეთის ფიგურიდან. საბაზისო კონსტრუქციული ნახაზის ასაგებად აღნიშნული ზომების გარდა აუცილებლობა მოითხოვს გავითვალისწინოთ დანამატის მნიშვნელობები გამოყვანაზე. აღნიშნული დანამატების მნიშვნელობები დგინდება დაგეგმილი სილუეტური ფორმის შესაბამისად და ემატება პრაქტიკულად ყველა ზომით ნიშანს.

ქალის კაბის კალთისა და ზურგის კონსტრუქციული ნახაზის აგების თანმიმდევრული მეთოდიკის მიხედვით აგება იწყება ბაზისური ზადის სიგრძისა და სიგანის დადგენით:


კაბის სიგრძე, სიგანე, წელისა და თემოს ხაზები. მილიმეტრული ქალაქის მარცხენა ზედა კუთხეში დასმული A წერტილიდან დაშვებულ ვერტიკალზე გადაიზომება $L_{ნაწ}$ და ვლებულობთ H წერტილს. A და H წერტილებიდან ვატარებთ ჰორიზონტალურ ხაზებს. A და H წერტილებიდან მარჯვნივ გადაიზომება $C_{ა3}+3სმ$ სიდიდის მონაკვეთები და მიიღებული A_1 და H_1 წერტილები. A წერტილიდან ქვემოთ $L_{ზ.წელ}+0,5სმ$ მანძილზე მიღებული C და C_1 წერტილებიდან (წელის ხაზი) ქვემოთ გადაიზომება $1/2 * C_{ზ.წელ}$. DD₁ კონტური თემოს ხაზს წარმოადგენს.



ზურგისა და ილღის სიგანეები. A წერტილიდან მარჯვნივ $S_{ზურ}+1,5$ სმ მანძილზე მიიღება A_2 წერტილიდან მარჯვნივ გადაიზომება $1/4 \cdot C_{a_3}+0,5$ და დაისმება A_3 წერტილი. A_2 და A_3 წერტილებიდან ქვემოთ ვერტიკალურად გატარდება ხაზები მონიშნისათვის (ნახა.1-ა).

კისრისა და მხრის განაჭერი განაჭერი ნაპირები. ჰორიზონტალურად $AA_4=1/3 \cdot C_{კის}+0,5$ სმ ვერტიკალურად ზემოთ გადაიზომება $A_4A_5=1/10 \cdot C_{კის}+0,8$ სმ . A_4 წერტილიდან კუთხის ბისექტრისაზე $1/10 \cdot C_{კის}-0,3$ სმ -ის დაცილებით მიიღება A_6 წერტილი. AA_6A_5 მდორე წირი კისრის განაჭერი ნაპირის კონტურს წარმოადგენს (ნახ.1-ბ).

A_2 წერტილიდან ქვემოთ 2 სმ ის დაცილებით მიღებული I და A_5 წერტილების შემაერთებელ ხაზზე გადაიზომება $S_{აბ}+2$ სმ და დაისმება I_1 წერტილი. A_5 დან 4 სმ ის დაცილებით დასმული V წერტილიდან ვერტიკალურად ქვემოთ გადაიზომება 8 სმ და ვლებულობთ V_1 წერტილს. $VV_2=2$ სმ $V_1V_3=8$ სმ. V_3I_1 მხრის ხაზის დაბოლოების კონტურს წარმოადგენს (ნახ.1-ბ).



ნახ.1. კაბის ზაზისური ზადის: ა-ძირითადი კონსტრუქციული ხაზები; ბ-კისრისა და მხრის განაჭერი ნაპირები

ილღის კონტური ზურგისა დაკალთის დეტალებზე. $IB_2=1/4 \cdot C_{a_3}+7$ სმ. ფიქსირდება B, B_1 და B_3 წერტილები (ნახა.2-ა). $B_2I_2=1/3 \cdot IB_2+2$ სმ. კუთხის ბისექტრისაზე $B_2I_3=1/10 \cdot S_{ილღ}+1,5$ სმ. $B_2B_4=B_3B_4$. B_3 წერტილიდან ზემოთ $1/4 \cdot C_{a_3}+ 5$ სმ - მანძილზე მიღებულ I_4 წერტილიდან მარცხნივ გადაიზომება $1/10 \cdot S_{ილღ}+0,8$ სმ ის ტოლი მონაკვეთი და დაისმება I_5 წერტილი. $B_3I_6=1/3 \cdot B_3I_4$; $I_5I_7=I_6I_7$; აღმართულ მართობზე $I_7I_8=1$ სმ. ბისექტრისაზე $B_3I_9=1/10 \cdot S_{ილღ}+0,8$ სმ,


$I_5I_8I_6I_9B_3I_3I_2I_1$ წერტილების შემაერთებელი მდორე მრუდი წირი ილღის კონტურს წარმოადგენს (ნახ. 2-ა).

კალთაზე ყელის განაჭერი ნაპირი. $B_1A_7 =1/2 C_{a_3}+ 1,5$ სმ. A_7 წერტილიდან გატარებული ჰორიზონტალისა და B_3 წერტილიდან აღმართული ვერტიკალის გადაკვეთაზე დაისმება A_8 წერტილი. $A_7A_9 =AA_4$. $A_7A_{10}=AA_4+1$ სმ. A_7 წერტილისა და $A_9 A_{10}$ მონაკვეთის შუაწერტილის შემაერთებელ ხაზზე გადაიზომება $AA_4+0,5$ სმ და დაისმება A_{11} წერტილი. $A_9A_{11}A_{10}$ მდორე



მრუდი წირი კალთის დეტალზე ყელის განაჭერი ნაპირის კონტურს წარმოადგენს (ნახ. 2-ბ).

მკერდსზედა ამოღებულობა და მხრის ხაზი კალთაზე. $B_1B_5=S_{a_3}$. მიღებულ წერტილზე აღმართული ვერტიკალისა და ზედა საბალანსო ჰორიზონტალის გადაკვეთაზე ვლებულობთ A_{12} წერტილს. $A_{12}B_5$ ხაზზე გადაიზომება H_{a_3} -მკერდის ცენტრის სიმაღლის ზომითი მნიშვნელობა. მიღებული B_6 წერტილი წარმოადგენს მკერდის ყველაზე გამოშვებულ წერტილს (ნახ. 2-ბ). A_{12} წერტილიდან 1 სმ ითქვემით მიღებული A_{13} წერტილი ერთდება A_9 წერტილთან. I_5 და A_{13} წერტილების შემაერთებელ ხაზზე I_5 წერტილიდან $S_{a_6}-A_9A_{13}$ მანძილზე ვლებულობთ A_{14} წერტილს. $B_6A_{15}=B_6A_{13}$; I_5A_{15} და A_9A_{13} მხრის ხაზის კონტურებია კალთის დეტალზე, ხოლო $A_{15}B_6A_{13}$ მკერდსზედა ამოღებულობის კონტური(ნახ.2-ბ).




ნახ.2. ა-კაბის ილღის კონტური; ბ-ყელის უბანი, მკერდსზედა ამოღებულობა და მხრის ხაზი კალთაზე

გვერდის განაჭერი ნაპირი და ამოღებულობა წელის ხაზზე: $B_2B_7= 1/3 \cdot S_{\text{ილღ}}$. B_7 წერტილზე გატარებული ვერტიკალით ვლებულობთ B_8, C_2 და D_2 წერტილებს. წელის ხაზზე ამოღებულობის ჯამური მნიშვნელობა $\sum_{\text{ამოღ}} = CC_1 - C_{\text{წელ}} + 1$ სმ. კალთის დეტალზე ამოღებულობის სიდიდე განისაზღვრება ჯამური ამოღებულობის 20% ით ($0.2 \cdot \sum_{\text{ამოღ}}$); ზურგის დეტალზე ჯამური ამოღებულობის 30% ით ($0.3 \cdot \sum_{\text{ამოღ}}$); ხოლო გვერდის განაჭერ ნაპირში ჯამური ამოღებულობის 50% ით ($0.5 \cdot \sum_{\text{ამოღ}}$).


კაბის დეტალების სიგანეები თემოსა და წელის ხაზზე. $D_2D_3= D_2D_4=1/2(C_{\text{თემ}}+2სმ-DD_1)$; $C_2C_3= C_2C_4=1/2(0.5 \cdot \sum_{\text{ამოღ}})$. B_8 წერტილი ერთდება C_3 და C_4 წერტილებთან. C_4 წერტილი ერთდება D_3 , ხოლო C_3 წერტილი D_4 წერტილებთან. კალთისა და ზურგის გვერდის განაჭერი ნაპირების კონტურები ფორმდება ისე როგორც ეს ნაჩვენებია ნახაზზე 3-ა.

ამოღებულობა ზურგის დეტალზე. $BB_9=B_2B_9$; B_9 გავლებული ვერტიკალით ფიქსირდება C_6 და D_6 წერტილები. $C_6C_7= C_6C_8 = 1/2(0.3 \cdot \sum_{\text{ამოღ}})$; $B_9B_{10}= 1$ სმ; $D_6D_7=3$ სმ; B_{10} და D_7 წერტილები სწორი ხაზებით ერთდება C_7 და C_8 წერტილებთან და ფორმირდება ამოღებულობა ზურგის დეტალზე (ნახ.3-ა).



ნახ.3. ა-გვერდის განაჭერი ნაპირი და ამოღებულობა ზურგისა და ბ- კალთის დეტალებზე

ამოღებულობა კალთის დეტალზე. $A_7C_5 = L_{კალთ} + 0,5\text{სმ}$; მიიღებული C_5 წერტილი მდორე წირით ერთდება C_4 წერტილთან. $D_1D_5 = C_1C_5$; მიიღებული D_5 და D_3 წერტილებიც ერთმანეთთან ერთდება მდორე წირით. $B_6 B_{11} = 1$ სმ; $D_8D_9 = 4$ სმ; $C_9C_{10} = C_9C_{11} = 1/2(0,2 * \sum_{\text{ამოღ.}}$). ამოღებულობა კალთის დეტალზე ნაჩვენებია ნახაზზე 3-ბ, ხოლო კაბის ბოლოს ხაზის ფორმირების პროცესი ნაჩვენებია ნახაზზე 4.



ნახ.4. ქალის კაბის კალთისა და ზურგის დეტალების საბაზისო ნახაზი



ქალის კაბის კალთისა და ზურგის დეტალების საბაზისო კონსტრუქციული ნახაზების დაგეგმარების ნაშრომში მოყვანილი თანმიმდევრული მეთოდი წარმოადგენს გაანგარიშებით გრაფიკული სისტემის ერთერთ ყველაზე გამარტივებულ და სპეციალისტებისათვის გასაგებ ენაზე ჩამოყალიბებულ ნაშრომს. დამუშავებული მეთოდიკისა და კონსტრუქციული მოდელების ხერხების გამოყენებით შესაძლებელია ნებისმიერი მოდელოური თავისებურებების მქონე კაბების კონსტრუქტორული დაგეგმარება. აღნიშნული კვლევის გაგრძელების მიზნით იგეგმება სხვადასხვა სახის სამოსის თანმიმდევრული კონსტრუქტორული დაგეგმარების მეთოდიკების დამუშავება.

ლიტერატურა

1. Конструирование одежды с элементами САПР: Учеб. Для вузов. Е.Б.Коблякова, Г.С. Ивлева, В.Е. Романов и др.-М.: Легпромбытиздат,1988.-464с.
2. დათუაშვილი მ., უგრეხელიძე ი., ჩარკვიანი ი. ტანსაცმლის კონსტრუქციული მოდელირება მიზნების მეთოდით. მონოგრაფია, ქუთაისი. ISBN 978-9941-448-13-3. 2013 წ.
3. <http://fine-craft.ru/index.php/articles/construction/item/86-review-procedures>

CONSISTENT CONSTRUCTIVE METHOD OF DESIGNING WOMEN'S DRESSES

M. Datuashvili, I.Charkviani
Akaki Tsereteli State University, Kutaisi

Summary

The article is devoted to the issues of constructive design of clothes. The technique of sequential design of women's dress was developed on the basis of the computational-graphical method. The formulas used in the method of development are based on the generalization of dimensional signs of typical figures. Graphic construction of the structure is performed in a gradual determination in the coordinate system of the location of the contours of the parts. The sequential method for designing details of a woman's dress given in this paper is one of the most promising variants of a computational-graphical method for designing clothes. For professionals, the main results are presented in plain language. On the basis of the developed methodology and prems of constructive modeling, constructive design of women's dresses of any style is possible.

ტრადიციული სამოსის ინფორმაციული კვლევა

ნ. დოლიძე, ხ. დარსაველიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარებისათვის საჭირო და აუცილებელი ინფორმაციის მისაღებად ჩატარებული მოსახლეობის სოციოლოგიური კვლევის შედეგები, რომლის მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე კოლექციის დამუშავებისას გასათვალისწინებელი ეთნოსამოსის ნიშან-თვისებების, კონსტრუქციულ-კომპოზიციური მახასიათებლებისა და სხვადასხვა ნიუანსების გამოვლენა. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ქართული ეროვნული სამოსის კომპლექსებს შორის ყველაზე ცნობადია მთიულური სამოსი, ყველაზე ნაკლებ ცნობადი კი თუშური, ამასთან ერთად დადგენილ იქნა ის ეთნოკომპლექსები, რომელთაც უპირატესობას ანიჭებს მოსახლეობა. კვლევის შედეგები და რეკომენდაციები გათვალისწინებული იქნება დიზაინერების მიერ ეთნო ელემენტების გამოყენებით თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარების დროს.

ქართული ტრადიციული სამოსი ჩვენი ქვეყნის მატერიალური და მხატვრული მემკვიდრეობის ფასდაუდებელი ძეგლია, სულიერი კულტურის ერთგვარი სარკეა, რომელშიც



ნათლადაა არეკლილი ქართველი ერის თვითმყოფადობა, მაღალი ესთეტიკური სახე და მხატვრული გემოვნება. მოდის ინდუსტრიასა და სამოსის დიზაინში მნიშვნელოვანად გამოიკვეთა ტრადიციული სამოსის მდიდარი მემკვიდრეობისადმი ინტერესი და, როგორც მოდის თანამედროვე ტენდენციების ანალიზმა აჩვენა, დიზაინერთა შემოქმედებაში ერთგვარ პიკს მიაღწია კოლექციებმა ტრადიციული სამოსის ელემენტებით. ამ მიმართულებით ქართული ტრადიციული სამოსის ფორმებისა და სახეების მრავალფეროვნება, კონსტრუქციულ-კომპოზიციური გადაწყვეტილებების უჩვეულობა, დეკორისა და განსაკუთრებით ნაქარგობის სინატიფე უდაოდ შთამბეჭდავი მასალა და შემოქმედებითი იდეების შთაგონების უშრეტი წყაროა თანამედროვე ტანსაცმლის სპეციალისტებისათვის.

თანამედროვე ტანსაცმლის დაგეგმარებისათვის საჭირო და აუცილებელი ინფორმაციის მისაღებად ჩატარებულ იქნა მოსახლეობის სოციოლოგიური კვლევა, რომლის მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე კოლექციის დამუშავებისას გასათვალისწინებელი ეთნოსამოსის ნიშან-თვისებების, კონსტრუქციულ-კომპოზიციური მახასიათებლებისა თუ სხვადასხვა ნიუანსების გამოვლენა. აღნიშნული კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დიზაინერების მიერ თანამედროვე კოლექციის შექმნისათვის.

საკითხის გადაჭრისათვის დასახულ იქნა ამოცანა, რომლის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობაში ტრადიციული კოსტუმის ცნობადობის დონის გამოვლენა და იმ ნიშან-თვისების დადგენა, რომლის მიხედვით ხდება მისი გარჩევა. ბოლოს კი მიღებული შედეგების გაანალიზების საფუძველზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება მივიწყებული ელემენტების გამოყენების შესახებ, რადგან თითოეული ეთნოკომპლექსი შეუდარებელი წყაროა მოდელიორის შემოქმედებითი საქმიანობისათვის.


მოსახლეობის სოციოლოგიური კვლევის ჩატარებისათვის შედგენილ იქნა ანკეტა, რომელიც შედგებოდა 8 კითხვისა და გრაფიკული დანართისაგან. მასში წარმოდგენილი იყო ტრადიციული ეთნოკოსტიუმის ფერადი ფოტოილუსტრაციები. ანკეტური გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობაში ქართული ტრადიციული სამოსის ცნობადობის დონის დადგენა. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ასაკის, პროფესიისა და სხვადასხვა რეგიონის წარმომადგენელმა. მონაცემების რანჟირება წარმოებდა ერთდროულად რამოდენიმე მიმართულებით – პროფესიის, ასაკის, ეროვნების მიხედვით.

ძიება მიმართული იყო შემდეგი ფაქტორების გამოსავლენად:


- ✓ სამოსის ცნობადობის ხარისხი რესპოდენტების საერთო რიცხვში, ასაკისა და პროფესიული სფეროს მიხედვით;
- ✓ საკუთარი საცხოვრებელი რეგიონის ეთნოსამოსის ცნობადობის ხარისხი სხვა რეგიონების კოსტუმებს შორის;
- ✓ კომპოზიციურ-კონსტრუქციული ხერხები, რომლის მიხედვით რესპოდენტის მიერ ხდებოდა ტრადიციული სამოსის ამოცნობა;
- ✓ მოსახლეობის აზრის გამოვლენა – სამოსის შემადგენლობისათვის (კომპლექტი, ერთეული) უპირატესობის მინიჭების შესახებ.

ანკეტირების შედეგების მიხედვით დადგენილ იქნა რესპოდენტთა პროცენტული რაოდენობა საცხოვრებელი რეგიონის, მოღვაწეობის სფეროს, ასაკის მიხედვით; განისაზღვრა ასევე კონკრეტული კომპლექსებისადმი უპირატესობის მინიჭების კატეგორიები.


კვლევის შედეგები შესაბამისად დაფიქსირებულია დიაგრამებზე (ნახ: 1,2,3,4,5,6,7,8,9).




ნახ. 1. რესპოდენტთა პროცენტული რაოდენობა საცხოვრებელი რეგიონის მიხედვით




ნახ. 2. რესპოდენტთა პროცენტული რაოდენობა პროფესიული სფეროს მიხედვით




ნახ. 3. რესპოდენტთა ასაკის პროცენტული მაჩვენებელი




ნახ. 4. რესპოდენტთა პროცენტული რაოდენობა გარდერობში ეთნოკულტურების გამოყენების მიხედვით




ნახ. 5. რესპოდენტთა აზრი (%) ტრადიციული სამოსის უპირატესობის შესახებ




ნახ. 6. რესპოდენტთა მიერ ეროვნული სამოსის ცნობადობის პროცენტული მაჩვენებელი



ნახ. 7. ეროვნული სამოსის ცნობადობის განმსაზღვრელი მახასიათებლების პროცენტული მაჩვენებელი



ნახ. 8. თანამედროვე ტანსაცმელში ეთნოელემენტების გამოყენების მსურველთა რაოდენობის პროცენტული რაოდენობა



ნახ. 9. რესპოდენტთა პროცენტული რაოდენობა სამოსის შემადგენლობის უპირატესობის მიხედვით

- ქართული ტრადიციული სამოსის ინფორმაციული კვლევის შედეგად გამოვლინდა:
- ანკეტაში მითითებულ ქართულ ტრადიციულ კომპლექსებს შორის ყველაზე ცნობადია მთიულური სამოსი (74%), ყველაზე ნაკლებ ცნობადია თუშური (22%);
 - რესპოდენტთა უმრავლესობის მოქონება დაიმსახურა აფხაზურმა და გურულმა ეთნოკომპლექსებმა;
 - რესპოდენტთა უმრავლესობას (94%) აქვს სურვილი გამოიყენოს საკუთარ გარდერობში კოსტიუმი ტრადიციული სამოსის ელემენტებით;
 - რესპოდენტთა უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს სამოსს კომპლექტური შემადგენლობით.

მიღებული შედეგები მნიშვნელოვანია დიზაინერების მიერ ეთნოელემენტების გამოყენებით ტანსაცმლის თანამედროვე კოლექციების დაგეგმარების დროს.

ლიტერატურა

1. ნ. დოლიძე, მ. დათუაშვილი, ი. უგრეხელიძე, ი. ჩარკვიანი, ქ. ჩირგაძე, ლ. ლურსმანაშვილი, გ. კვანტიძე „ქართული ეროვნული სამოსის ილუსტრირებული ცნობარი“ აწეს გამომცემლობა ქუთაისი, 2017. 380 გვ.
2. Н.Ф. Яковлева Социологическое исследование ФЛИНТА, 2014 г. 502 стр.
3. საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემა - მომხმარებლის სახელმძღვანელო <http://egmc.fas.ge/>

INFORMATIONAL RESEARCH OF TRADITIONAL CLOTHING

N. Dolidze. KH. Darsavelidze.
Akaki Tsereteli State University, Kutaisi
Summary

The article reviews the results of the social survey of the population whose goal was to identify the Georgian traditional clothing and its characteristics to use ethno elements in modern costumes. The results of the sociological survey have shown that among the kits shown in the card are the most popular moths, and the least recognizable and almost forgotten traditional Tushian clothing.

As a result of the survey, the respondents' opinion about the advantages of specific clothing and use of ethnic elements in their wardrobe. The results of the research will be important for the designer using modern elements in the planning of modern clothing.



ОПРЕДЕЛЕНИЕ ОСОБЕННОСТЕЙ ДИЗАЙНА ШКОЛЬНОЙ ФОРМЕННОЙ ОДЕЖДЫ

О.С. Васильева, К.Л. Пашкевич, И.В.Васильева
Киевский национальный университет технологий и дизайна

В статье представлены результаты анализа структуры внутренних связей процесса создания дизайна школьной форменной одежды. Проведены исследования потребительских требований к дизайну форменной одежды для детей младшего школьного возраста. На основе проведенных исследований определены предпочтения потребителей к школьному форменному комплекту для детей младшего школьного возраста и его композиционным решениям.

Процесс проектирования изделий легкой промышленности состоит из набора базовых проектных составляющих, каждый из которых содержит определенную базовую информацию. Дизайнерский проект школьной форменной включает в себя первичную разработку будущего изделия, состоит из предварительной проработки как образного решения на уровне идеи, так и разработки первичной материальной структуры[1-3]. Сам по себе дизайн изделия состоит из двух этапов (рис. 1): поиск и создания материальной структуры. Внутренние связи этих этапов связаны с эргономикой, которая не только задает и учитывает структуру размеров и форм тела, а также учитывает особенности психологического развития ребенка для создания комфортных и практичных изделий.

Требования к изделиям, применяемые сегодня на производстве, не соответствуют современным потребностям. Основная проблема заключается в том, что проектная информационная база, которые используются для проектирования изделий зачастую не учитывают многих параметров и достаточно устарела и это в конечном итоге приводит к ухудшению качества продукта и снижению уровня спроса на готовое изделие. Сам дизайн школьной форменной одежды должен учитывать не только данные о внешних параметрах тела ребенка, должны учитываться параметры роста, эргономические особенности динамики движения. Особое значение должно быть уделено понятию комфорта: физического и психологического. Создание психологического комфорта является одной из наиболее важных и сложных задач в работе с детьми. Комфорт выступает своеобразным условием, обеспечивающим развитие личности- является наиболее важной задачей дизайнера детской одежды.



Рис. 1. Структура внутренних связей процесса дизайна



Для определения наиболее предпочитаемых характеристик школьной форменной одежды был проведен анкетный опрос потенциальных потребителей, а именно опрошено 150 школьников младшей возрастной группы и их родители в школах г. Киева. Анализ результатов анкетного опроса показал, что более 75% родителей школьников младших классов считают необходимым ношение школьной формы в школе. При проведении анкетного опроса родителей было определено что 60% из них считают необходимым учитывать сезонность при использовании форменной одежды, а сама одежда школьника должна иметь возможность быть адаптированной к изменениям параметров окружающей среды. В ходе исследований было также определено, что только около 14% родителей покупают форменную одежду на один год, 70% – на два года, а 16% – больше чем на два года.

При анализе предпочтений относительно стиля одежды 60% мальчиков и их родителей отдали предпочтение классическому и деловому стилю, до 30% – спортивному, 10% респондентов не смогли ответить на поставленный вопрос. Однако в ходе исследований было определено, что в повседневной носке школьники часто используют в одном комплекте вещи классического и спортивного стиля. В форменной одежде девочек младшего школьного возраста кроме классического (40%), спортивного (28%) и делового (15%) стиля присутствуют блузки, юбки и сарафаны с элементами романтического (рюши, оборки, кружево и т.д.) и этно стилей (вышивка, тесьмы и т.д.), что не характерно для деловой одежды, но часто присутствует в повседневной одежде девочек данной возрастной группы. В ходе исследований также было определено, что потребители предпочитают блузки с длинными широкими рукавами, разнообразными воротниками, рюшами и гипюром. Юбки чаще всего выбирают трапециевидной формы с поясом, накладными карманами, пуговицами и кантами.

Проведенный анализ рынка форменной одежды мальчиков младшей школьной группы и анкетный опрос позволил определить процентное соотношение видов одежды разных ассортиментных групп, которым отдают предпочтение школьники и их родители при составлении комплектов. Было определено, что наиболее распространёнными и востребованными видами форменной одежды для мальчиков являются пиджак, жилет, рубашка, джемпер и брюки (поясная одежда), которые всегда входят в комплекты



Рисунок 2. Цветовые предпочтения основного цвета при выборе школьной формы

Также было проанализированы требования к выбору цвета и цветовых сочетаний в комплектах изделий школьной формы. Результаты анкетного опроса показали, что дети и их родители предпочитают форменную одежду синего, чёрного и серого цветов, а также с удовольствием сочетают их. Одежду бордового и зелёного цвета выбирают, как правило, в том случае, когда данные цвета являются обязательной цветовой гаммой одежды для конкретного



учебного заведения. В комплектах часто используют брюки и юбки чёрного цвета. Стоит также отметить что при выборе достаточно сдержанной и практичной общей цветовой гаммы школьного форменного ансамбля большинство опрошенных (74%) предпочитают дополнять школьный форменный комплект яркими элементами.

Полученные результаты исследований дают возможность совершенствования информационной базы для дизайна форменной одежды для детей младшей школьной группы. Также учитывая то, что для детей данной возрастной группы характерны быстрые изменения роста и других размеров и параметров тела, необходимо предусматривать при проектировании форменной одежды элементы трансформации, которые обеспечат адаптацию одежды в процессе эксплуатации. Так же важно определить основные параметры, характеризующие комфорт.

Литერატურა

1. Пашкевич К. Л. Теоретичні основи дизайну одягу на засадах тектонічного підходу: дис. на соиск. науч. степеней. тех. наук: 05.01.03 «Технічна естетика» / К. Л. Пашкевич. – Київ, 2017. – 310 с.
2. Васильева І.В. Удосконалення дизайн-проектування шкільної форми для дівчат на основі принципів трансформації / І.В. Васильева, О.В. Дорошенко, О.С. Васильєва // Міжвідомчий науково-технічний збірник "Технічна естетика і дизайн". – 2018. – №14. – С.20-24
3. Васильєва О.С. Розробка класифікації видів і принципів реалізації функції трансформації дитячого шкільного одягу і гардеробу / О.С. Васильєва, О.В. Колосніченко, І.В. Васильєва, Н.В. Остапенко // Теорія і практика дизайну: Збірник наукових праць / Технічна естетика – К.: "Дія", 2017. – вип.13. Стор.27-41

DETERMINATION OF THE SPECIAL FEATURES OF THE SCHOOL FORM DESIGN

O.S. Vasilyeva, K.L. Pashkevich, I.V. Vasilyeva
Kiev National University of Technology and Design

Summary

The article presents the results of the analysis of the structure of the internal relations of the process of creating the design of school uniforms. Conducted research of consumer requirements for the design of uniforms for children of primary school age. The basis of the research conducted, consumers' preferences for the school uniform kit for children of primary school age and compositional solutions were determined.

ქართული კინემატოგრაფის თემატური და სტილისტური ტენდენციები XX საუკუნის 20-იანი წლების I ნახევარში (საქართველო არაქართველ რეჟისორთა შემოქმედებაში)

ს. თავაძე

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

XX საუკუნის 20-იანი წლების I ნახევარი ქართული კინოს მნიშვნელოვან ეტაპად აღინიშნება. ამ პერიოდში ეროვნული კინემატოგრაფის ძირითად ბირთვს წარმოადგენენ უცხოელი რეჟისორები: ივანე პერესტიანი, ვლადიმერ ბარსკი და ამო ბეკ-ნაზაროვი, რომლებმაც ქართულ კინოში ძალაუნებურად დაამკვიდრეს ე.წ. „ორიენტალისტური მიმართულება“. მათ შემოქმედებაში საქართველო წარმოჩენილი იყო როგორც ეგზოტიკური ქვეყანა. ფილმები მოკლებული იყო ქართული კულტურის სიღრმისეულ ცოდნას და ეროვნულ თვითმყოფადობას. თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნულმა რეჟისორებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული კინოს განვითარებაში.



მას შემდეგ, რაც 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელი-სუფლება, ქართული კინოს წინაშე განვითარების სრულიად ახლებური პერსპექტივები დაი-სახა. ახალმა წყობამ საკუთარი აზრებისა და ქმედებების ტრიბუნად აქცია კინემატოგრაფი - როგორც ხალხის ფართო მასებზე ზემოქმედებისა და საკუთარი ძალაუფლების წარმოჩენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება. კინოს მიენიჭა განსაკუთრებული სტატუსი კომერციული, პოლიტიკური თუ კულტურული თვალსაზრისით. „20-იან წლებში რთულ და მძიმე ვითარე-ბაში ყალიბდებოდა ქართული კინოხელოვნება. ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმი, რომე-ლიც მაშინ მკვიდრდებოდა საქართველოში, მტკიცე იდეოლოგიურ სახელმწიფოს ქმნიდა. მწერლობა-ხელოვნება ბოლშევიკური იდეოლოგიისთვის მხოლოდ აგიტაცია-პროპაგანდის იარაღი იყო. განსაკუთრებით კი კინო ყველაზე მასობრივი ხელოვნება იყო და ხალხის დიდ ნაწილზე შეემლო ზემოქმედება მოეხდინა, კომუნისტური რეჟიმის თავკაცები მას ყველაზე საჭირო ხელოვნებად მიიჩნევდნენ“ [1]. აღნიშნული პერიოდიდან იწყება ე.წ. ქართული საბ-ჭოთა კინემატოგრაფის ეპოქა.

1921 წლის 11 აპრილს დაფუძნდა კინოსექცია, რომელსაც დაევალა საქართველოში კი-ნოწარმოების ორგანიზება და წარმართვა. კინოსექციაში თავი მოიყარეს როგორც ქართველმა, ასევე მაშინ საქართველოში მყოფმა სხვა ეროვნების კინემატოგრაფისტებმა. აღსანიშნავია, რომ 20-იან წლებში, რუსეთის ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ საქართველოს ბევრმა რუსეთიდან ჩამოსულმა ხელოვანმა შეაფარა თავი. ამ პერიოდში კინოსექციაში ალექსანდრე წუწუნავას და კოტე მარჯანიშვილის გვერდით მოღვაწეობდა რუსული კინოს რამდენიმე, მეტნაკლები ნიჭისა თუ პროფესიული გამოცდილების მქონე წარმომადგენელი: ივანე პერეს-ტიანი, ვლადიმერ ბარსკი და ამო ბეკ-ნაზაროვი (შემდგომში სომხური კინოს ფუძემდებელი).

კინოსექციის პირველი დირექტორები იყვნენ: გერმანე გოგიტიძე (პირველი ქართვე-ლი კინოპროდიუსერი, პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინეს“ გადაღების ინიციატორი) და ამო ბეკ-ნაზაროვი. მუშაობის საერთო კოორდინირება დაევალა ცნობილ მწერალს და საზოგადო მოღვაწეს შალვა დადიანს. შემუშავებული გეგმის მიხედვით, განსაზ-ღვრული იყო როგორც მხატვრული, ასევე საბავშვო ფილმებისა და კინოქრონიკების შექმნა. „თუ 20-იანი წლების ქართულ კინოს გავიხსენებთ, არ შეიძლება თვალში არ გეცეთ ერთი გა-რემოება: იმხანად ფართოდ ხდებოდა ქართული კლასიკური მწერლობის ნიმუშების ეკრანი-ზება. ამ ფაქტით გაოცება უსაფუძვლო არ აღმოჩნდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინ ჩვენს კინოში მარტო ალექსანდრე წუწუნავა იყო ქართული კულტურით ნასაზრდოები. სხვე-ბი კი - ივანე პერესტიანი, ვლადიმერ ბარსკი, ამო ბეკ-ნაზაროვი - უცხო კულტურული სამყა-როდან იყვნენ მოსული. ამ სამეულმა ქართული მწერლობისა არა იცოდა რა და, ცხადია, სა-ინტერესო იყო - რა აპირობებდა მათ დაინტერესებას ქართული კლასიკური მწერლობით“ [2].

ქართული მწერლობის კლასიკური ნაწარმოებების საფუძველზე ფილმების შექმნის ინიციატივა ცნობილი მწერლის - გრიგოლ რობაქიძისგან მოდიოდა, რომელიც იმ პერიოდში სასცენარო განყოფილებას განაგებდა კინოსექციაში. ივანე პერესტიანი თავის მოგონებებში იხსენებს: „ქართული კლასიკური მწერლობის ეკრანიზაციის გეგმა გრიგოლ რობაქიძემ შეა-დგინა. შინაარსსაც თავად გვიყვებოდა და თვითონვე გვეუბნებოდა რაზე გაგვემახვილებინა ყურადღება. გრიგოლ რობაქიძე ჩინებული მთხრობელი იყო. რასაც გიყვებოდათ, ხედავდით კიდეც. ამიტომ მას არ გასჭირვებია ჩვენი დაინტერესება სრულიად უცნობი ლიტერატურით. მით უმეტეს, რომ ეგნატე ნინოშვილიც, ალექსანდრე ყაზბეგიც, გიორგი წერეთელიც საოც-



რად კინემატოგრაფიულია. ბევრია ნაწარმოები, რომელთა მხოლოდ გაგონება შეიძლება. რამდენიც უნდა ეცადო, მათ ვერ დაინახავ. ასეთი ნაწარმოების ეკრანიზაცია თუ შეუძლებელი არა, ურთულესი მაინც არის. ქართველი მწერლები კი ისე წერენ, რომ ყველაფრის დანახვა შეიძლება. მათი კითხვისას, მკითხველს თვალი უფრო სჭირდება, ვიდრე ყური. ამიტომ მათ იოლად მიგვიზიდეს. ჩვენც პატიოსნად ვმუშაობდით. თუ რაიმე ქართველ მაყურებელს არ მოსწონს, ეს ჩვენი უპატივცემულობის ან უგულისყურობის ბრალი არ არის. იგი ჩვენი უცოდინარობის შედეგია. საქართველოში რომ ჩამოვედი, ორმოც წელს კარგა ხნის გადაცილებული ვიყავი. ამ ხნის კაცს ყოველთვის ზუსტად და უცდომლად დანახვა არ შეუძლია. აღარც სწავლა შეუძლია. რაც იცის, იცის. ბევრს ვერაფერს მიუმატებს“ [3].

მიუხედავად იმისა, რომ კინოსექციის ტექნიკური აღჭურვილობა საკმაოდ მწირი იყო, მისი წევრები დიდი მონდომებით და ენთუზიაზმით შეუდგნენ მუშაობას. არჩევანი შეჩერდა რევოლუციურ თემატიკაზე. 1921 წელს ეკრანებზე გამოვიდა ივანე პერესტიანის ფილმი „არსენა ჯორჯიაშვილი“. ფილმის მთავარ გმირს ისტორიული პროტოტიპი ყავდა რევოლუციონერ არსენა ჯორჯიაშვილის სახით, რომელმაც 1906 წელს სიცოცხლეს გამოასალმა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი, გენერალი გრიაზნოვი, ვინც მეთაურობდა ასობით რევოლუციონერის დაპატიმრებას და სიკვდილით დასჯას. ფილმში მთავარ როლს ასრულებდა თეატრის ახალგაზრდა მსახიობი მიხეილ ჭიაურელი. სცენარი დაწერა შალვა დადიანმა, რომელმაც მცირეოდენ შეცვალა ისტორიული სინამდვილე და ცალკეულ გმირთა ბიოგრაფიები. მიუხედავად იმისა, რომ კინოსურათს საფუძვლად უდევს ნამდვილი ამბავი, იგი მხატვრულად ვერ განზოგადდა და ფილმი სუსტი გამოვიდა მხატვრული თვალსაზრისით. მასში არ ჩანს რეჟისორის, ოპერატორისა თუ მსახიობების შემოქმედებითი ძიებები. იგრძნობა პოლიტიკური სიტუაციის შეფასების ერთგვარი გულუბრყვილობა და მსახიობთა თამაშის თეატრალური მანერა. თუმცა, მაშინ მაყურებელი ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

1922 წელს ვლადიმერ ბარსკიმ გადაიღო ფილმი „მოძღვარი“, ალექსანდრე ყაზბეგის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით. სცენარი დაწერა შალვა დადიანმა და თავადვე განასახიერა მოძღვრის როლი. მხატვრული თვალსაზრისით, ფილმი სუსტი გამოვიდა. რეჟისორმა მეტი ყურადღება მიაპყრო ეფექტურ ეპიზოდებს და არა პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს წარმოჩენას. მოთხრობისგან განსხვავებით, რომელშიც მოძღვარი ხალხის წინამძღოლი და ღვთისა და ერის სამსახურში მყოფი პიროვნებაა, რეჟისორმა ფილმში ის რევოლუციური იდეებით ანთებულ, ძალადობისკენ მომწოდებელ პერსონაჟად წარმოსახა. „მოძღვარში“ ჩართული რევოლუციის თემა დროის მიმართ ხარკის გაღებად იკითხება, რადგან რევოლუციის მოტივი იმ პერიოდის ფილმებში მეტად აქტუალური იყო. ვლადიმერ ბარსკიმ ფილმში ჩაამატა სასიყვარულო ინტრიგა, რამაც ყაზბეგისეული თემის სიღრმე შეასუსტა, თუმცა, ეფექტზე გათვლილი ამბების მიმართ მაყურებელი დიდ ინტერესს იჩენდა, რაც სალაროს შევსების კარგი საშუალება იყო. ფილმი დიდი წარმატებით სარგებლობდა მაყურებელში.

იმავე წელს (1922) გადაწყდა დანიელ ჭონქაძის მოთხრობის „სურამის ციხის“ ეკრანიზება. ფილმის რეჟისორი და სცენარის ავტორი გახლდათ ივანე პერესტიანი. მთავარ როლებს ასრულებდნენ: ამო ბეკ-ნაზაროვი, მიხეილ ჭიაურელი, ერთ-ერთი როლი შალვა დადიანმაც განასახიერა. რეჟისორი ვერ ჩასწვდა ქართულ სულს, ვერ მიაღწია მაღალ კინემატოგრაფიულ გამომსახველობას, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაციის ან სცენარის მიხედვით ფილმის შექმნის დროს, ივანე პერესტიანი მიმართავდა კინო-



ლუსტრაციის მეთოდს, რაც სიუჟეტის ფირზე მექანიკურ გადატანას გულისხმობდა და არა კინონაწარმოების ლიტერატურული საფუძვლის სათანადო გააზრებას. აღსანიშნავია, რომ ივანე პერესტიანი, ვლადიმერ ბარსკი და ამო ბეკ-ნაზაროვი ქართულ მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს ორიგინალში არ კითხულობდნენ და მხოლოდ მათ რუსულად ნათარგმნ მოკლე შინაარსს ეცნობოდნენ, რაც განაპირობებდა მათ ფილმებში ქართული კულტურის სიღრმისეულ შრეებში წვდომისა და ეროვნული თვითმყოფადობის უგულვებელყოფას.

20-იანი წლების I ნახევრის კინოპროდუქციაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა 1923 წელს ივანე პერესტიანის მიერ გადაღებული ფილმი „წითელი ეშმაკუნები“. ფაბულის შესაბამისად, კინოსურათში უნდა ყოფილიყო დევნა, სროლა, სხვადასხვა ტრიუკები, ამიტომ რეჟისორმა თეატრისა და კინოს მსახიობების ნაცვლად ფილმში მიიწვია ცირკის აკრობატები, რომლებიც ასრულებდნენ ურთულეს ტრიუკებს: ჯირითობდნენ ცხენებზე, გადადიოდნენ ბაგირზე, დარბოდნენ მატარებლის ვაგონების სახურავებზე და ა.შ. მათმა აკრობატულმა ოსტატობამ ფილმს დინამიკა შესძინა. „წითელი ეშმაკუნები“, თავისი კინემატოგრაფიულობით არ ჩამოუვარდებოდა იმდროინდელ პოპულარულ ამერიკულ ვესტერნებს. „ეს იყო პირველი საბჭოთა ფილმი, რომელზეც რეცენზია [New York Times](#)-ში დაიბეჭდა“ [4].

1923 წლის მარტში კინოსექცია გადაკეთდა სახკინმრეწვად ანუ სახელმწიფო კინომრეწველობის სააქციო საზოგადოებად, რამაც ხელი შეუწყო ქართული კინოს ტექნიკურ და ფინანსურ გაძლიერებას. ამ წელს ვლადიმერ ბარსკიმ გადაიღო ფილმი „არსენა ყაჩაღი“ სახალხო გმირ არსენა ოძელაშვილზე. ზედმეტმა მელოდრამატიზმმა ფილმის მაღალმხატვრულობა და საზოგადოებრივი მნიშვნელობა საგრძნობლად შეასუსტა. რეჟისორმა წინა პლანზე წამოწია სასიყვარულო ინტრიგა, ვიდრე თავისუფლებისათვის ბრძოლა. შესაბამისად, კინოსურათში არსენა სასიყვარულო ინტრიგების მსხვერპლად უფრო არის წარმოჩენილი, ვიდრე ხალხის კეთილდღეობისათვის მებრძოლ გმირად. ეს არც იყო გასაკვირი, ვინაიდან ვლადიმერ ბარსკი სალაროს შემოსავალზე ზრუნავდა. კინოსურათიდან შემოსავლის გაზრდის მიზნით, რეჟისორმა ფილმს „არსენა ყაჩაღი“ უწოდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ ეს ხმაურიანი სათაური უფრო მეტ მაყურებელს მიიზიდავდა. ფილმის სახელწოდებამ კამათი გამოიწვია მოსკოვში, სადაც საბჭოთა პერიოდში წყდებოდა საბჭოთა ფილმების ეკრანებზე გასვლა-არგასვლის საკითხი. თუმცა, საბოლოოდ სათაურიც დატოვეს და ფილმს ეკრანებზე გასვლის საშუალებაც მისცეს. „არსენა ყაჩაღში“ პირველად გამოჩნდა ნატო ვაჩნაძე, რომელიც სულ მალე ქართული კინოს ვარსკვლავად იქცა.

1923 წელს ეკრანებზე გამოვიდა ამო ბეკ-ნაზაროვის სარეჟისორო დებიუტი „მამის მკვლელი“, რომელსაც საფუძვლად დაედო ალექსანდრე ყაზბეგის ამავე სახელწოდების რომანი. ცხადია, ფილმი ვერ დგას მისი ლიტერატურული პირველწყაროს მხატვრულ სიმაღლეზე. რეჟისორმა თავად დაწერა სცენარი, რომელშიც შეეცადა რომანის ძირითადი სიუჟეტური ქარგის შენარჩუნებას, აგრეთვე დაამატა რამდენიმე ეპიზოდი, რომელიც ასახავდა რუსეთის იმპერიაში ხალხთა სასტიკ ჩაგვრას. ბეკ-ნაზაროვმა სოციალური და პოლიტიკური უთანასწორობის ამსახველი ეპიზოდებით გააჯერა კინოსურათი, რაც იმ პერიოდის ფილმებისათვის სახასიათო იყო და 20-იანი წლების რევოლუციურ განწყობას პასუხობდა. ფილმში ჭარბობდა ეგზოტიკის ელემენტები, წინა პლანზე წამოწეული იყო სასიყვარულო ინტრიგა, თუმცა, მსახიობების დახვეწილმა, ანსამბლურმა თამაშმა გადაფარა ფილმის ნაკლოვანებები. „მამის



მკვლელში“ მაყურებელმა მეორედ იხილა ნატო ვაჩნაძე. მას პარტნიორობას უწევდა ცნობილი საოპერო მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, რომლის სახეც ეკრანზე მხოლოდ აღნიშნულმა ფილმმა შემოგვინახა. უხმო კინოს სპეციფიურობიდან და ტექნიკური შეზღუდულობიდან გამომდინარე, ფილმის მოქმედება, გარდა მსახიობთა პლასტიკისა, ტიტრებით გადმოიცემოდა, თუმცა, ცხადია, ტიტრები მწერლის სათქმელს ბოლომდე ვერ გადმოცემდა. „ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა მძაფრი ემოციური ნაკადი ერთსაათიან ფილმში ვერ თავსდება იმიტომ, რომ კინემატოგრაფს თავისი საკუთარი მეტყველება არ გააჩნდა, ეკრანიდან იგი, უმთავრესად, ლიტერატურის ენით მეტყველებდა“ (ამირეჯიბი, 1990:33). ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა კინოილუსტრაციები მეტად „მომგებიანი“ აღმოჩნდა. ყაზბეგისეული სოციალური თუ პოლიტიკური კონფლიქტების, მთიელი ხალხის ზნე-ჩვეულებების ჩვენება ეკრანზე, მაყურებელში დიდ ინტერესს იწვევდა და ემოციურ ზეგავლენას ახდენდა მათზე. მაგრამ, მწერლის ნაწარმოებების ძირითადი არსი ხელშეუხებელი რჩებოდა.

ეკრანიზაციებისადმი ინტერესი გრძელდებოდა. 1924 წელს ივანე პერესტიანმა გადაიღო ფილმი „სამი სიცოცხლე“ გიორგი წერეთლის რომანის „პირველი ნაბიჯი“ მიხედვით. მასში მოთხრობილია ერთი ქართული ოჯახის დრამატული ისტორია XIX საუკუნეში, როცა საქართველოში ფეხს იკიდებდა ახალი სოციალური ფენა - ბურჟუაზია. ფილმში მონაწილეობდნენ მსახიობები: ნატო ვაჩნაძე, მიხეილ გელოვანი, კოტე მიქაბერიძე, მიხეილ კალატოვიშვილი, თამარ ბოლქვაძე, ზაქრო ბერიშვილი და სხვები. „სამი სიცოცხლე“ ეკრანიზაციის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევა 20-იანი წლების I ნახევრის ქართულ კინოში. რეჟისორი კარგად ჩასწვდა რომანის დედააზრს, მის სოციალურ მოტივს, შეძლო ეპოქის გააზრება, რის საფუძველზეც კინემატოგრაფიულად გადმოსცა იმ პერიოდის საზოგადოებრივი ცხოვრება, მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით. თუმცა, ლიტერატურული პირველწყაროსგან განსხვავებით, ფილმში პერსონაჟთა მხატვრული სახეები შედარებით გამარტივებულია.

1924-1925 წლებში გაფართოვდა ქართული კინოს შემოქმედებითი და ტექნიკური პოტენციალი. ფილმების გაქირავებიდან შემოსული თანხა ახალი კინოსურათების შექმნის საშუალებას იძლეოდა.

1925 წელს ეკრანებზე გამოვიდა ივანე პერესტიანის მორიგი ეკრანიზაცია „ტარიელ მკლავადის მკვლელობის საქმე“, ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ მიხედვით. ფილმში მთავარ როლებს ასრულებდნენ ნატო ვაჩნაძე და კოტე მიქაბერიძე. სცენარის ავტორმა შალვა დადიანმა, მოთხრობისგან განსხვავებით, პერსონაჟების მოგონებებზე, ე.წ. „ფლეშბექებზე“ ააგო სცენარი, რაც სიახლე იყო იმდროინდელ ქართულ კინოში. ფილმის ავტორებმა მნიშვნელოვანი ფუნქცია დააკისრეს ტიტრებს, რომელთა მეშვეობითაც გადმოსცემდნენ ცალკეულ გმირთა ვინაობას, ხასიათს, შინაარსის საკვანძო მომენტებს.

1926 წელს ამო ბეკ-ნაზაროვმა გადაიღო ისტორიული ფილმი „ნათელა“. ფილმი ასახავს XIX საუკუნის 50-იანი წლებში სამეგრელოში მომხდარ გლეხთა აჯანყებას, რომელიც ისტორიაში ცნობილია უტუ მიქავას აჯანყების სახელით. უტუ მიქავას როლი შეასრულა ცნობილმა თეატრის მსახიობმა აკაკი ხორავამ, რომელსაც პარტნიორობას უწევდნენ: ნატო ვაჩნაძე, მიხეილ ჭიაურელი, ალექსანდრე ჟორჟოლიანი და სხვები. ბეკ-ნაზაროვი ცდილობდა ისეთი ფილმების შექმნას, რომლებშიც გადმოცემული იყო წარსული დროება, ხალხის გაჭირვებული ყოფა და ამით გამოწვეული პროტესტი. „ასეთი სიუჟეტი „სალაროს“ ფილმის შექმნის



საშუალებას იძლეოდა და მეც გადავწყვიტე, ჭკუისათვის ძალის დაუტანებლად, ნაკლები ხარჯებით, დამედგა აშკარად ეგზოტიკური, ორიენტალისტური სურათი. ამ სურათში სრულიად გავიღე ხარკი აღმოსავლეთზე ადრე გამოშვებული ფილმების „ესთეტიკის“ მიმართ. ჩემში „კომერსანტმა“ აჯობა მხატვარს და უნდა ითქვას, რომ „ნათელასაგან“ მიღებულმა შემოსავალმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა“ [4]. „ნათელა“ - საქართველოში გლეხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის თემაზე შექმნილი პირველი ფილმი იყო, რომელიც დამაჯერებლად გადმოსცემდა ეპოქის თავისებურებებს. აღნიშნული ფილმი ამთავრებს ე.წ. ქართულ საბჭოთა კინემატოგრაფის პირველ ეტაპს.

20-იანი წლების I ნახევარში შექმნილი ქართული ფილმების ნაწილი არ გამოირჩევა განსაკუთრებული იდეურობით, მაღალმხატვრობით და კინემატოგრაფიულობით. ეს აიხსნება როგორც სცენარების სისუსტით, ასევე უცხოური კინოშტამპების გავლენით. ამ პერიოდის კინონაწარმოებთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელი იყო ეგზოტიკით გატაცება და ეროვნული სინამდვილის ზედაპირული ასახვა.

ქართულმა მწერლობამ დიდი როლი შეასრულა ქართული კინოს ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაში. ალექსანდრე ყაზბეგი, ეგნატე ნინოშვილი, დანიელ ჭონქაძე, გიორგი წერეთელი, ნინო ნაკაშიძე - ეს ის ძირითადი მწერლებია, რომელთა ნაწარმოებების ეკრანიზება ხდებოდა 20-იანი წლების I ნახევარში. „1921-1924 წლების ეკრანიზაციების წარმატება ქართული ლიტერატურული ნაწარმოებების პოპულარობითაც იყო განპირობებული, ხალხს აინტერესებდა პროზის ეკრანული ნაირსახეობა, ილუსტრაცია, მისი წარმოსახვითი გმირების ეკრანზე განსხეულება“ [6]. თუმცა, ივანე პერესტიანის, ვლადიმერ ბარსკისა და ამო ბეკ-ნაზაროვის ფილმების დრამატიზმი ხშირ შემთხვევაში, დაბალმხატვრულ მელოდრამატიზმამდე ეშვებოდა, მათ შემოქმედებაში საქართველო წარმოჩენილი იყო, როგორც ეგზოტიკური ქვეყანა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ აღნიშნული რეჟისორები (როგორც თავადაც აღიარებდნენ) ეროვნულ კულტურას და ქართულ სინამდვილეს ნაკლებად იცნობდნენ. ივანე პერესტიანი, ვლადიმერ ბარსკი და ამო ბეკ-ნაზაროვი, მოგეხსენებათ, რევოლუციამდელი რუსული კინოს მოღვაწეები იყვნენ. შესაბამისად, მათ მიერ საქართველოში შექმნილ ფილმებზე იგრძნობა იმ პერიოდის რუსული კინოს თემატური და სტილისტური პრინციპების, რუსულ კინემატოგრაფში პოპულარული სენტიმენტალური მელოდრამის ჟანრის ელემენტების გავლენა.

მიუხედავად იმისა, რომ 20-იანი წლების I ნახევარი ქართულ კინოში ადგილი ჰქონდა როგორც იდეურ, ისე მხატვრული სახის ჩავარდნებს, აღნიშნული პერიოდი ეროვნული კინემატოგრაფის მნიშვნელოვან ეტაპად აღინიშნება, რომელიც ამასთანავე ცხადყოფდა, რომ საჭირო და აუცილებელი იყო მნიშვნელოვანი გარდატეხა, ახალი ტიპის რეჟისურა, რომელსაც უნდა განესაზღვრა ქართული კინოს მომავალი. 20-იანი წლების II ნახევარში ახალი თაობის რეჟისორებმა (ნიკოლოზ შენგელაია, მიხეილ კალატოზიშვილი, კოტე მიქაბერიძე, მიხეილ ჭიაურელი) თავიანთი შემოქმედებით ეროვნული კინემატოგრაფი ახალი ჟანრებითა და ორიგინალური გამომსახველობითი საშუალებებით გაამდიდრეს და ქართული კინოს სრულიად ახალ ეტაპს დაუდეს სათავე.



ლიტერატურა:

1. ბაქრაძე ა., ქართული კინო. „გარღვეული შეგნების“ ანარეკლი. თბ., უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001, 34 გვ;
2. ბაქრაძე ა., კინო, თეატრი. თბ., ხელოვნება, 1989, 398 გვ;
3. Перестиани И. 75 лет жизни в искусстве. М.: Искусство, 1962, 346 стр.
4. მახარაძე ი., დიადი მუნჯი. თბ., ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2014, 179 გვ;
5. Бек-Назаров А. Советскому кино 20 лет, в сб.: Национальное кино СССР. М.: Госкомиздат, 1940, 272 стр;
6. ამირეჯიბი ნ., დროთა ეკრანი. თბ., ხელოვნება, 1990, 197 გვ;

**THEMATIC AND STYLISTIC TENDENCIES IN GEORGIAN CINEMATOGRAPHY
IN THE 1ST DECADE OF XX C.**

(Georgia in Non-Georgian Directors' Works)

S. Tavadze

Associate Professor of Batumi Art State University

Summary

The 20s of the XX c. is considered to be an important period in Georgian cinematography. In 1921, after the establishment of the Soviet authority, Georgian cinema set forth completely new perspectives for the development. A cinematographer became a platform of ideas and action for a new regime as the best means of influencing a large number of people and demonstrating their power.

The core of the national cinematography in the 1st decade of XX c. consisted of foreigner directors: Ivan Perestiani, Vladimir Barsky and Amo Bek-Nazarov. They established a so-called “Oriental Direction” in Georgian cinema. Georgia was represented as an exotic country in their works. Their films suffered from a lack of deep knowledge of Georgian culture and national identity. Although Georgian cinema of this period is characterized by ideological and artistic failures, the 1st decade of XX c. is recognized as an important stage in the development of national cinema.

ლადო მესხიშვილი ქუთაისის თეატრში

თ. კეჭერაძე

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული თეატრის ისტორიაში ქუთაისის თეატრის 1896 – 1905 წლების სეზონები ერთი ბრწყინვალე ფურცელთაგანია. სწორედ ამ პერიოდში ხელმძღვანელობდა თეატრს გენიალური ქართველი მსახიობი, რეჟისორი, ქართული თეატრალური პედაგოგიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი და თეატრის უდიდესი რეფორმატორი ლადო მესხიშვილი. ქუთაისის თეატრის რეპერტუარი ლადო მესხიშვილის მოღვაწეობის პერიოდში მდიდრდებოდა კლასიკური რეპერტუარით, იგი ქუთაისის თეატრში დგამს იბსენის „ექიმ შტოკმანს“, მონტის „კაი გრახს“, ჰიუგოს „ლუი ბლაზს“, მირბოს „ჟან და მადლენს“, შექსპირის „ჰამლეტს“, შილერის „ყაჩაღებს“, მარიამ სტიუარტს“, „ვერაგობა და სიყვარულს“. იგი ქუთაისში აქტიურ პედაგოგიურ - აღმზრდელობით საქმიანობას ეწევა, მის შემოქმედებით მაგალთზე აღიზარდა შემდგომში ქართული თეატრის კორიფეები: იუზა ზარდალიშვილი, ალექსანდრე იმედაშვილი, ივანე მჭედლიშვილი, ნუცა ჩხეიძე და სხვები.

ლადო მესხიშვილი აღზრდილი იყო სამოციანელთა ტრადიციებზე. ცარისტული რეჟიმის დამხობა და კოლონიური ჩავვრისაგან საქართველოს გათავისუფლების იდეა აისახებოდა არა მარტო მის შემოქმედებით მოღვაწეობაში, არამედ პრაქტიკულ რევოლუციურ ბრძოლაში. როგორც მისი მოღვაწეობის ამსახველი წყარობიდან ჩანს ლადო მესხიშვილის თეატრმა არა მარტო მხატვრულ – ესთეტიკური, არამედ სავანმანათლებლო ფუნქცია შეასრულა. სწორედ ასეთი თეატრისაკენ ისწრაფოდა ეროვნული იდეის მატარებელი ქართველი მოღვაწეები.



ლადო მესხიშვილი განსაკუთრებული მოვლენაა ქართული თეატრის ისტორიაში. მისი მოღვაწეობა მოიცავს თეატრალური საქმიანობის ყველა სფეროს, დაწყებული სამსახიობო და დამთავრებული სარეჟისორო, პედაგოგიური თუ ორგანიზაციული საქმიანობით. თუ შეიძლება რომელიმე თეატრალურ მოღვაწეზე ითქვას ლეგენდარულიო, პირველ რიგში ეს ლადო მესხიშვილს ეკუთვნის. იგი მართლაც ლეგენდარული მსახიობი იყო. მაღლიერმა მაყურებელმა მისი მოღვაწეობის შესახებ უამრავი მითი და ლეგენდა შეთხზა. მას ბაძავდნენ მისი თანამედროვეები და შემდგომი თაობები, მასზე აღფრთოვანებით წერდნენ ქართველი და უცხოელი თეატრის მოღვაწეები.

ლადო მესხიშვილი ილია ჭავჭავაძემ, დავით ერისთავმა და მიხეილ ბებუთაშვილმა 1881 წელს აღმოაჩინა რუსულ დრამატულ დასში. იგი ი. ჩერნიშევსკის პიესაში „დაქვეული ოჯახი“ ანდრია კურჩევის მეორეხარისხოვან როლს ასრულებდა. ქართული თეატრისათვის მანამდე უცნობმა მსახიობმა აღაფრთოვანა ილია ჭავჭავაძე და მისი თანმხლები პირები. ანტრაქტის დროს ილია ასულა სცენაზე და ლადო მესხიშვილისთვის უთქვამს: „როგორი ქართველი ხარ, ყმაწვილო, როდესაც შენ სამშობლო სცენას გაურბიხარ და რუსულ სცენაზე თამაშობ? არ ეკადრება ქართველს ასეთი საქციელი. ჩვენი სცენა ჯერ-ჯერობით მეტად ღარიბია და ვისაც ნიჭი და უნარი აქვს, მოვალეა მის აყვავებას ემსახუროს“ [1]. ლადო მესხიშვილმა სიმოვნებით მიიღო დიდი ილიას მიწვევა და ქართულ თეატრში გადასულა სამოღვაწეოდ.

ლადო მესხიშვილი იმ დროს მოვიდა ქართულ თეატრში, როდესაც მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობდა არა მარტო თეატრში, არამედ საზოგადოებრივ აზროვნებაში. ორ გუბერნიად დაყოფილ (ქუთაისისა და ტიფლისი) ქვეყანას კავკასიის მეფისნაცვალი მართავდა. საქართველო საქართველოდ აღარ მოიხსენებოდა. „ამ დროისათვის საქართველოში ქართული ენა უკვე დისკრედიტირებულია, იგი იდევენება სასწავლო სისტემიდან, იკრძალება მისი საჯარო გამოყენება (ღვთისმსახურება რუსულ ენაზე მიმდინარეობს!). როგორც ცნობილია, 1881 წელს ბრძანებაც კი გამოსცეს, რომლის თანახმადაც ქართველს ეკრძალებოდა საჯაროდ თავის სამშობლოდ საქართველოს მოხსენიებაც კი!“ [2]. ქვეყნის ეკონომიკური სადავეები არაქართველთა ხელში იყო. ეროვნული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებისათვის არანაერი ეკონომიკური საფუძველი არ არსებობდა. ფინანსებისა და მატერიალური სახსრების უქონლობის გამო თეატრის მუშაობა ძირითადად ენთუზიაზმს ემყარებოდა.

ლადო მესხიშვილი 1895-1896 წლების თეატრალურ სეზონს ხელმძღვანელობდა თბილისის თეატრში. თბილისის თეატრში შექმნილ მძიმე ვითარებას ვერ ეგუება ლადო მესხიშვილი და 1896 წელს სამოღვაწეოდ ქუთაისის თეატრში გადადის. „ქართული თეატრის ისტორიაში ქუთაისის 1896 – 1905 წლების სეზონები ერთი ბრწყინვალე ფურცელთაგანია. ლადო მესხიშვილის მოღვაწეობის პერიოდი, ეს ქუთაისის თეატრის აღმავლობის ხანაა. თეატრის რეპერტუარი განახლდა. გამოვლინდნენ ნიჭიერი მსახიობები. სპექტაკლებს ეტყობოდა დიდი რეჟისორის მტკიცე ხელი, ხოლო ის პიესები, რომლებშიც ლადო იღებდა მონაწილეობას ხელოვნების ნამდვილ ზეიმად გადაიქცეოდა ხოლმე [3].

ლადო მესხიშვილის შემოქმედებითი ინტერესი მრავალმხვრივი იყო, მისი „ფართო შემოქმედებითი დიაპაზონი მისი კულტურის, მისი ტალანტის სიღრმეებიდან მომდინარეობს. ეს ხელოვანი ერთი სკოლის, ერთი მიმართულების ჩარჩოებში ვერ თავსდებოდა, მუდამ სიახლის გრძნობით იყო შეპყრობილი, მუდამ ახალ სცენურ საშუალებებს ელტვოდა“ [4], მაგრამ მას განსაკუთრებით იტაცებდა ტრაგედიები და ფსიქოლოგიური ჟანრის პიესები. მას



უდიდესი დამსახურება მიუძღვის ევროპული კლასიკური დრამატურგიის ქართულ სცენაზე დამკვიდრებაში. მისი ხელოვნება საოცარი ძალით მოქმედებდა მაყურებლის ფსიქიკაზე, ერთი გრძნობითა და აზრით მსჭვალავდა ყველას, ხალხს უღვიძებდა ეროვნულ თვითშეგნებას.

ქუთაისის თეატრში ლადო მესხიშვილი თავის ძველ რეპერტუარს ამდიდრებს ახალი დადგმებით. გამოცდილი მსახიობი სათავეში უდგება არა მარტო თეატრის შემოქმედებით საქმიანობას, არამედ ახალგაზრდა მსახიობების აღზრდას. როგორც აკაკი ფაღავა წერს: „მესხიშვილის პიროვნებაში გაერთიანებული იყო ორი საწყისი – პროტაგონისტიკა და დიდასკალოსი – მასწავლებლის, ხელმძღვანელის, მწვრთნელის, ამ სიტყვების საუკეთესო გაგებით. ქუთაისში მესხიშვილის ხელმძღვანელობით არსებული ქართული თეატრის პერიოდს მესხიშვილის ეპოქას ტყუილად კი არ ვუწოდებთ” [1].

ქუთაისის თეატრი მდიდრდება კლასიკური რეპერტუარით. ლადო მესხიშვილი აქ დგამს იბსენის „ექიმ შტოკმანს“, მონტის „კაი გრაკსს“, ჰიუგოს „რუი ბლაზს“, მირბოს „ჟან და მადლენს“ და სხვას. თეატრის რეპერტუარშია ერისთავის „სამშობლო“, შექსპირის „ჰამლეტი“, შილერის „ყაჩაღები“. ლადო მესხიშვილი „ყაჩაღებში“ ახალგაზრდა მსახიობებს აკისრებს ისეთი მნიშვნელოვანი როლების შესრულებას, როგორცაა კარლ მოორი, ამალია და ფრანც მოორიც კი. თავის საყვარელ როლებზე ნიშნავდა ახალგაზრდა მსახიობებს, „ლადოს ძალიან უყვარდა თავისი მოწაფეების დაწინაურება, ხშირად ახალგაზრდებს თავის საყვარელ როლებს ათამაშებდა და გულმოდგინედაც ეხმარებოდა მათ ამ როლების დაძლევაში. ლადომ იუზა (ზარდაშვილი) ათამაშა ყაჩაღებში ფრანცის როლში და მოწაფის წარმატება დიდად უხაროდა“ [5]. მსგავსი მაგალითები უამრავია: ალექსანდრე იმედაშვილი, ივანე მჭედლიშვილი, ნუცა ჩხეიძე და სხვები. ლ. მესხიშვილმა, რომელმაც თავისი მოღვაწეობით დიდი ავტორიტეტი მოიპოვა, ცდილობდა სათანადო დონეზე დაეყენებია სასცენო ხელოვნების შესწავლის საქმე. თეატრის სიყვარული გაელვავებინა ახალგაზრდობაში. იგი ახალგაზრდობის ნამდვილი კუმირი იყო.

ლადო მესხიშვილს მაყურებელი ყველგან აღტაცებული ხვდებოდა. „დიდი აქტიორული ნიჭის წყალობით, სცენაზე შექმნილ რეალურ ატმოსფეროსა და სრული გარდასახვის შედეგად, ლადო მესხიშვილს შეეძლო მაყურებლის გამოთიშვა ყოფიერებიდან, სპექტაკლში წარმოქმნილ კონფლიქტურ სიტუაციებში ჩარევა და, აქედან გამომდინარე, მასში შესატყვისი ფსიქოლოგიური განწყობილების შექმნა. ამ დროს მაყურებელი, ცალკეულ შემთხვევაში, ემოციური განცდების მოძალეების გამო კარგავდა ზომიერების გრძნობას, საკუთარ მოქმედებაზე კონტროლის გაწევის უნარს და ერთგვარ დანაშაულის ჩადენამდეც კი მიდიდოდა (ერთხელ იუდუშკას როლის შესრულებისას პარტერიდან მაყურებელმა ლ. მესხიშვილს პორტსიგარი ესროლა)” [6]. ლადო მესხიშვილი თავისი ტემპერამენტითა და განცდათა გამოვლინების უნარით ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა არამარტო მაყურებელზე, არამედ მსახიობებზედაც, სცენაზე მყოფ პარტნიორებზე.

ლადო მესხიშვილი, რომელიც თავის ძირითად, სამსახიობო მოღვაწეობასთან ერთად სპექტაკლებსაც დგამდა, დიდ ყურადღებას უთმობდნეს სპექტაკლის მთლიანობაში გააზრებას, იდეურ ჩანაფიქრს, მხატვრულ პოზიციას, რომელშიც უნდა გამოვლენილიყო სათქმელი. ევროპის ქვეყნების თეატრალურ კულტურაში კარგად გათვითცნობიერებული ლ. მესხიშვილი თავის პრექტიკულ სარეჟისორო და სამსახიობო საქმიანობაში უდიდეს მნიშვნელობას



ანიჭებდა ყურადღების ხელოვნებას, დუმილის, პარტნიორთან ურთიერთობის, მსახიობის როლზე მუშაობის მეტყველების საკითხებს.

ლადო მესხიშვილის სახელთანაა დაკავშირებული XIX საუკუნის ქართულ სცენაზე შილერის „ვერაგობა და სიყვარულის“ დადგმა. სპექტაკლი ლ. მესხიშვილმა ქუთაისის თეატრში დადგა 1895 წელს. სიუჟეტი შილერის თანამედროვე გერმანიის ერთ-ერთ საპერცოგოში იშლება. მევიოლინე მილერის ქალიშვილის ლუიზასა და პრეზიდენტის ვაჟის ფერდინანდის სიყვარულის ისტორიაა ასახული დრამაში. თეატრმა სოციალური ტრაგედიის დონემდე აიყვანა ერთი შეხედვით საყოფაცხოვრებო ხასიათის დრამა.

შილერის “მარიამ სტიუარტი” ლადო მესხიშვილმა 1896 წელს დადგა ქუთაისის თეატრში. მაყურებელს გულთბილად მიუღია სპექტაკლი. განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა მარიამის როლის შემსრულებელმა, ახალგაზრდა ნინო ჩხეიძემ.

ლადო მესხიშვილი აღზრდილი იყო სამოციანელთა ტრადიციებზე. ცარისტული რეჟიმის დამხობა და კოლონიური ჩაგვრისაგან საქართველოს გათავისუფლების იდეა აისახებოდა არა მარტო მის შემოქმედებით მოღვაწეობაში, არამედ პრაქტიკულ რევოლუციურ ბრძოლაში. 1905 წლის მარტში გაიმართა ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა ყრილობა, რომელმაც მთავრობას წაუყენა მოთხოვნა დამფუძნებელი კრების მოწვევის, სიტყვის, სინდისის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლების შესახებ, იმპერიაში ეროვნული და რელიგიური ჩაგვრის მოსპობის შესახებ. ქუთაისში მოსწავლეთა გამოსვლებს მხარს უჭერდა ლადო მესხიშვილი. როდესაც ქუთაისის დარბევით ემუქრებოდა ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიცია, ქუთაისის თეატრი ლადო მესხიშვილის მეთაურობით მონაწილეობდა ბარიკადების აგებაში და შეიარაღებული იცავდა ქალაქს.

ლადო მესხიშვილის შემოქმედებამ, ქუთაისის თეატრში მისმა მოღვაწეობამ უდიდესი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა თაობაზე. მისი „მოღვაწეობის ზეგავლენა მოზარდ თაობისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ როგორც კი გაიგებდნენ კლასიკური პიესა იდგმებო, შექსპირი, შილერი თუ სხვა, მაშინვე დაიწყებდნენ პიესის ძებნას ბიბლიოთეკებში. ეძებდნენ კრიტიკა თუ რაიმე იყო ამა თუ იმ ნაწარმოებზე. ცდილობდნენ გაეგოთ, რომელ დიდ მსახიობს უთამშნია ესა თუ ის როლი, როგორი ინტერპრეტაციით და ასე მომზადებულნი მოდიოდნენ თეატრში, რომ ენახათ თავისი საყვარელი მსახიობი” [3]. ნინო ჩხეიძის ამ მიგონებიდან ჩანს, რომ ლადო მესხიშვილის თეატრმა არა მარტო მხატვრულ – ესთეტიკური, არამედ საგანმანათლებლო ფუნქცია შეასრულა. სწორედ ასეთი თეატრისაკენ ისწრაფოდა ეროვნული იდეის მატარებელი ქართველი მოღვაწეები.

ლიტერატურა:

1. ფაღვა ა. „ლადო მესხიშვილი“. თბილისი, გამომ. „ფედერაცია“, 1938 წ. 288 გვ.
2. არველაძე ნ. „მომავლის გადასარჩენად“. თბილისი, გამომ. „ახალი საქართველო“, 2008 წ. გვ.
3. ჩხეიძე ნ. „მოგონებანი“. თბილისი, გამომ. „ხელოვნება“, 1956 წ. 148 გვ.
4. ვასაძე ა. „მოგონებები, ფიქრები“ ტ.1. თბილისი, გამომ. „კენტავრი“. 2010 წ. 469 გვ.
5. ბურთიკაშვილი ა. „სცენის ოსტატები“. თბილისი, გამომ. „ხელოვნება“, 1951 წ. 272 გვ.
6. კასრაძე. „კვალი ნათელი კაცისა“. თბილისი, გამომ. „ხელოვნება“. 1984 წ. 288 გვ.



LADO MESKHISHVILI KUTAISI THEATER

T. Kezheradze

Batumi Art Teaching University

Summary

The Kutaisi Theater of 1896-1905 is one of the brilliant sheets in the history of Georgian theater. In this period the theater was run by the genius Georgian actor, director, one of the founders of Georgian theatrical pedagogy and great theater reformer Lado Meskhishvili. The repertoire of Kutaisi Theater is enriching with classical repertoire during the period of Lado Meskhishvili's work. He is staging "Dr. Stockmann" by Ibsen, "Kai Gracht" by Monti, "Ruy Blas" by Hugo, "Jean and Madeleine" by Mirbo, "Hamlet" by Shakespeare, „The Robbers“, „Mariam Stewart“, „Love and Intrigue“ by Schiller at Kutaisi theater. He is actively involved in pedagogical-educational activities, his work was inspiration for many Georgian coryphaeus: Iuza Zardalishvili, Aleksandre Imedashvili, Ivane Mchedlishvili, Nutsa Chkheidze and others.

Lado Meskhishvili grew up on the traditions of 60ies. The idea of overthrowing the Tsarist regime and releasing Georgia from colonial oppression was reflected not only in his creative work but in a practical revolutionary struggle. According to the sources about his work, the Lado Meskhishvili Theater performed not only the artistic - aesthetic but educational function as well. Georgian public workers used to strive to such a theater.

ვაზის მოტივი ქართულ საერო-სამეცნიერო ნაქარგობაში

გ. კვანტიძე, ე. ბერელაშვილი.
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სტატიის კვლევის ობიექტია საქართველოს მუზეუმებში დაცული XVIII-XX საუკუნეების საერო და სასულიერო ნაქარგობა. შესწავლის საგანია ვაზის ორნამენტი, როგორც ესთეტიკური მოსაზრებით დატანილი დეკორი სამოსზე. მისი შესრულების ტექნიკა, მასალა, დომინანტი ფერები და სიმბოლური მახასიათებლები.

ორნამენტი სიმბოლური დატვირთვის მქონე ელემენტია, რომელიც ქსოვილს გამორჩეულ ელფერს მატებს. მას აქვს თვისება, საზოგადოებრივი აზრის ცვალებადობის კვალდაკვალ, შეიცვალოს სემანტიკური ბუნება და სხვა დატვირთვის საგნად იქცეს. ქართულ საერო ნაქარგობაში წარმოდგენილი ორნამენტი, როგორც დაკვირვება გვაჩვენებს, არქაული შინაარსისგან დაცლილი, წმინდა ესთეტიკური ღირებულების მქონე ფიგურათა ფართო სპექტრია.

ქართულ საერო სამოსსა და აქსესუარებში არსებული ორნამენტის კვლევაში დიდია გიორგი ჩიტაიას, ვერა ბარდაველიძის, გიორგი ბოჭორიძის, ირაკლი სურგულაძის, ნინო აბაკელიას, გულნაზ ბარათაშვილის, იზოლდა სამსონიას, ჯემალ ვარშალომიძის, გიორგი კალანდიასა და სხვათა ნაშრომები. ქართულ საერო სამოსსა და აქსესუარებს ამკობდნენ ხელითა და მანქანური წესით შესრულებული ნაქარგობით, თვალ-მარგალიტით, მძივ-ბისერებით, კილიტებით, ვერცხლისა და უბრალო ლითონის სამკაულებით, მონეტებით, ღილებით, აპლიკაციებითა და ნაფთულებით. კოსტიუმში შემავალ ელემენტთა შორის ხშირია ყაისნადითა და ჩხირით ნაქსოვი დეტალები.

ოქრომკედით, ვერცხლმკედითა და აბრეშუმის ძაფებით ხელით ქარგვისას, ძირითადად გამოყენებულია „ნამაგრი“, „რელიეფური“, „გვირისტულა“ და „ყაისნალური“ სითვი, რომელშიც მეტ-ნაკლები სიხშირით ამაგრებდნენ თვალ-მარგალიტებს, კილიტებსა და მოგვიანე-



ბით (XIX საუკუნის II ნახევარი) მძივ-ბისერებს.

ქართველი ქალები კარგად ფლობდნენ *მძივური ქსოვის* ხელოვნებას, იცოდნენ ტანისამოსის *მონეტებით, დილებითა და ნაფთულებით* შემკობა,

ქართული ხელნაქარგი ნივთები განთქმული იყო მახლობელ აღმოსავლეთში და საკმაოდ ძვირად ფასობდა, განსაკუთრებით მოსწონდათ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შექმნილი პროდუქცია.

ქართული სამოსში, მასალიდან გამომდინარე, სამი ძირითადი ფერი – შავის, თეთრი და წითელი დომინირებს. თითოეულ მათგანს თავისი სიმბოლური დატვირთვა გააჩნდა. დიდი ყურადღება ეთმობოდა ფერთა შეხამებას, რომელსაც მკაცრად იცავდნენ საქართველოში, განსაკუთრებულად კი აღმოსავლეთ მთაში.

ტიპოლოგიურად, ქართულ საერო ნაქარგობაში წარმოდგენილია როგორც ერთსახოვანი – გეომეტრიული, მცენარეული, ანთროპომორფული და ზოომორფული სახეები, ასევე შერეულსახა – გეომეტრიულ-მცენარეული, მცენარეულ-ანთროპომორფული, გეომეტრიულ-ანთროპომორფული, მცენარეულ-ზოომორფული და გეომეტრიულ-ზოომორფული მოტივები. ხშირია მცენარეთა სტილიზებული დეკორები.

ამჯერად, შევჩერდებით მცენარეულ, კერძოდ კი ვაზის ორნამენტის დეკორზე. რა დროიდან ჩნდება იგი ქართულ ქსოვილზე და როგორი სიხშირითაა წარმოდგენილი. ზოგადად, მცენარეული დეკორით სამოსის შემკობა უფრო ქალაქური ყოფისთვის იყო დამახასიათებელი და მას ძირითადად, სოციალურად დაწინაურებული ფენა მოიხმარდა. მცენარეული მოტივი იმ რეგიონებში იყო გავრცელებული, სადაც სარტყელ-გულისპირიან კაბებს ატარებდნენ.

ვაზის კულტურა უძველესია საქართველოში, რასაც თვალნათლივ მოწმობს არქეოლოგიური და ისტორიული არქტეფაქტები – საქართველოში, მარნეულის ველზე, დანგრეული გორის ნასახლარზე ძვ.წ. მე-6 ათასწლეულის ვაზის რამდენიმე წიპწა აღმოაჩინეს და მორფოლოგიური და ამპელოგრაფიული, მორფოლოგიური და ამპელოგრაფიული ნიშნების მიხედვით, ვაზის კულტურულ სახეობას – „Vitis Vinifera Sativa“-ს მიაკუთვნეს.

ამ სამეურნეო დარგის დიდი ხნის ტრადიციაზე თვალნათლივ მიუთითებს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული და ნაწილობრივ დღემდე შემორჩენილი სარიტუალო ქმედებები, რომელთა დიდი ნაწილი ვაზის ბარაქიანობისადმი იყო მიძღვნილი.

ვაზის თემა ხშირია ხეზე კვეთილობაზეც – სახლის ფასადებზე, აივნებზე, შიგა ინტერიერსა და დეკორატიულ ნივთებზე, მას გამოსახავდნენ ასევე ლითონის ჭურჭელზე, იარაღსა და სამკაულზე.

ვაზის დეკორის ფართო გამოყენების მიუხედავად, მისი ქართულ საერო სამოსზე გამოსახვა გვიანდელ პერიოდს (XIX საუკუნის II ნახევარი) უკავშირდება, იგი უმეტესად ქართული ჩაცმულობის ელემენტებზეა გამოსახული, როგორებიცაა სარტყელ-გულისპირები, ყურთმაჯები, თავსაკრავები და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვადასხვა ნივთები (ქისები, საფულეები, ბუდეები და სხვ). მასალისა და შესრულების ტექნიკით თუ ვიზუალურად, აღნიშნული ექსპონატები გვიანდელ პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს.

მე -17 საუკუნემდე ზოგადად საეკლესიო შესამოსელზე წამყვანი მნიშვნელობა სახოვან გამოსახულებებს ენიჭებოდა, ამ პერიოდიდან მოყოლებული კი, საეკლესიო დანიშნულების ნაქარგ ნივთებზე (დაფარნა, ენქერი, საბუხარი, ოლარ-ომოფორი, მიტრა) ორნამენტი გაბა-



ტონდა. უფრო მეტიც, მცენარეულმა ორნამენტმა მთლიანად ჩაანაცვლა ფიგურული გამოსახულება. ნაქარგობის შესამკობად გამოყენებული ორნამენტული დეკორი მრავალფეროვანია და ეფუძნება ქრისტიანულ მოტივებს. საეკლესიო ნაქარგობაზე მრავალგვარი ძვირფასი მასალით (ოქრომკედი, ვერცხლმკედი, ოქროსა და ვერცხლის თმა, ზეზი, აბრეშუმის ფერადი ძაფები, მალათინი, კლაპიტონები და კლანჭურები. კილიტები) უხვად ქარგავენ სხვადასხვა სიმბოლური მნიშვნელობის მქონე მცენარეულ სახეებს. ასევე ღრმა სიმბოლიკის მატარებელი მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით ამკობენ, აღნიშნული ელემენტების გამოყენების წყალობით ორნამენტული მოტივები არაჩვეულებრივად გამომსახველს და მიმზიდველს ხდის ჩვენამდე მოღწეულ საკლესიო ქმნილებებს.

ვინაიდან ჩვენი დღევანდელი მოხსენების თემაა ვაზის ორნამენტი და მისი სიმბოლიკა, ამიტომ სხვა ორნამენტულ მოტივებზე აღარ შევჩერდები და მოგახსენებთ თუ რა დანიშნულებით გამოიყენება საეკლესიო ნაქარგობაზე ვაზისა და ყურძნის ორნამენტი.

„ვაზის-ვენახის“ თემას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს ქრისტიანულ სიმბოლიკაში. თემამ განსაკუთრებული ასახვა ჰპოვა ქართულ ორნამენტიკაში. თემას საფუძვლად დაედო იოანეს სახარება (იოანე 15:1,5). ძველ აღთქმაშივე „რქა და ტევანი ყურძნისა“ აღთქმული ქვეყნის სიმბოლოა, მინიშნება ზეციურ სასუფეველზე (რიცხვთა: 13:23)

კლიმენტი ალექსანდრიელის განმარტებით: „ძველ აღთქმაში ვაზის ლერწმისაგან წარმოიშვა წინასწარმეტყველური მტევანი, ეს დიდებულიმტევანი, რომელიც ჩვენთვის დაიწერა, ნიშანია ლოგოსისა.“

წმ. იპოლიტე რომაელის თანახმად: „სულიერი ვენახი მაცხოვარია, რტოები და ლერწები – მორწმუნე წმინდანები, მტევნები – მოწამენი.“

ეტვიფანე კვიპრელი მაცხოვრის შესახებ წერდა: „რომელ არს წყაროდ ცხორებისა და მშვიდობისა ჩუენისა სიხარული, ახლისა ვენახისა კვირტი, რომელმან ტევანი გამოიღო კურთხევისა და დაჰხსნა საღმობანი ჩუენნი დღითიდღენი სუმიტა მით სისხლისა ქრისტესითა, რომელმან მოგვანიჭა ჩუენ ჭეშმარიტი.“

ქრისტიანული ხელოვნება ზოგადად და მათ შორის ქართული მხატვრული ქარგულობაც, წმ. წერილთა პარალელურად მჭიდრო კავშირშია საგალობლებთან:

„ქრისტემან ღმერთმან, ვენახმან ჭეშმარიტმან ტევანი ნაყოფად გამოგიხუნათ, რომელთა ცხორების ღვინო აღმოგიცენენ ჩუენ, ღმერთშემოსილნო მოციქულნო“.

ანალოგიური აზრის მომცველია თანამედროვე მკვლევართა ნაშრომებიც. მ. გველესიანის განმარტებით, შემოდგომის რთველი არის სიმბოლო ქრისტეანთა მოწამეობისა. ე. ნადირაძის აზრით, ვაზი სიმბოლოა ეკლესიისა და მრევლისა, ასევე ღვინისა და სისხლის სახით გაღებული მსხვერპლისა. „ვენახი რქამშვენიერი“ არის ღვთისმშობელი, ხოლო მისი აყვავება იესოს ჩასახვას მოასწავებს.

საერთო წესი, რომ ერთ რომელიმე სიმბოლოში რამდენიმე სიმბოლური აზრია ჩადებული, უცილობლად ვრცელდება ვაზისა და მტევნის მიმართაც. მაგ: როგორც წმ. იერონიმე ამბობს, მტევანში უშუალოდ განსახიერებულია მაცხოვრისა და წმინდა წამებულთა სისხლი, იგი არცთუ იშვიათად მიუთითებს მოწამეს, მარტვილს და ნებისმიერ კეთილმორწმუნე ქრისტიანს. ვენახი და სამოთხე ერთმანეთთან ასოცირდება. დემეტრე მეფის ცნობილი იამბიკო, რომელიც შემდგომ უბრწყინვალეს საგალობელს - „შენ ხარ ვენახი“- დაედო საფუძვლად, ვენახის სახოტბო ჰიმნია, რომელშიც ალევორიულად ღვთის-



მშობელია ნაგულისხმევი.



ნახ.1 ვახის გამოსახულება ქართულ საერო-საეკლესიო ნაქარგობაში

„შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული, მორჩი, კეთილი ედემს დანერგული, ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული, ღმერთმან შეგამკო ვერავინ გჯობს ქებული, და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული“.

ქრისტიანულ მწერლობაში ვენახი არის სულიწმინდით ავსებული ღმრთისმშობელი, რომელსაც მოაქვს სამუდამო საგზალი სულიერად დაკნინებული საზოგადოებისათვის, იგია მაცოცხლებელი სითხით აღვსილი უდიდესი სიწმინდე: „გიხაროდენ ქალწულთა სიქადულო, გიხაროდენ ვენახო რქაშუენნიერო, გიხაროდენ ტევანო, რომლისაგან მოვისუთულეთ სიტკბობაჲ.“ ღირსი მამა ბასილი კესარიელი, წარღვნის შემდგომი ბუნების აღორძინებას ვენახთან აკავშირებს- „მსწრაფლ გამოვიდა ბუნებისაგან ძირი ვენახისაჲ და გარემო ამისა, რტონი მისნი ჩრვილნი დათხეულნი ქვეყანასა ზედა, და რქად მისი და მასკნე და მჭახე და ტევანი“. ვენახის ხილვამ აქ უნდა მოგვავსონოს ბუნების აღორძინება, ახალი სიცოცხლის დაბადება, რომელიც ასოცირდება იესოს შეგონებასთან, იგი ყოველ ჩვენთაგანს გვიწოდებს რტოს და „ითხოვს ჩვენგან ნაყოფისა გამოღებად“ (ნახ.1)

ლიტერატურა

1. ნ. აბაკელია, „მარადიულობასთან ზიარების მოტივი ქართულ ტრადიციაში (იკონოგრაფიული პროგრამებისა და საკრალური პოეზიის მიმართების საკითხი)“. ელ. მის.: <http://saunje.ge/index.php?id=1328>, თბილისი, 2007, 5 გვ.
2. არჩილი, თხზულებათა სრული კრებული, „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ გამომცემლობა „ნაკადული“, თბილისი, 1989. 330 გვ.
3. გ. ბარათაშვილი, „ბატონიშვილ თამარის დაფარნის იკონოგრაფიული თავისებურებანი.“ შ . ამირანაშვილის სახ. ხელოვ. სახელმწ. მუზეუმის ჟურნალი *ნარკვევები* №6, თბილისი, 2000, 125 გვ.



4. ი. ბარათაშვილი, „ცხოვრება-ანდერძი“, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონებითა და საძიებლით ა. იოსელიანმა. თბილისი, 1950, 121 გვ.
5. ვ. ბარდაველიძე, გ. ჩიტაია, „ქართული ხალხური ორნამენტი“, ხევისურული, ტ. I. თბილისი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1939, 128 გვ.
6. ბასილი კესარიელი, „სინანულთათვის“: *მამათა სწავლანი*. თბილისი. გამომცემელი ილია აბულაძე. 1955, 96 გვ. მ. გველესიანი, „მზე-ქრისტესა და ჟამთა გამოსახულებების შესახებ აკურას ბაზილიკის აღმოსავლეთ ფასადზე“. ჟურნალი *ლიტერატურა და ხელოვნება* №1-2, თბილისი, 1997, 90 გვ.
7. ეპუფანე კვპრელი, „ქალწულის მარიამისათვის. სინური მრავალთავი 846 წლისა“. *ძველი ქართული ენის კათედრის შრომები*. 5. სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით. თბილისი. სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1959, 47 გვ.
8. ჯ. ვარშალომიძე, „ორნამენტი ხეზე“, აჭარის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ბათუმი, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, 1979, 94 გვ.
9. ნ. თოფურია, კრებ. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, „მასალები ვაზის კულტურის ისტორიისათვის საქართველოში“, თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1953, 131-138 გვ.
10. იპოლიტე რომაელი, „ისააკისა და იაკობის კურთხევათა შესახებ“. თარგმანი ედიშერ ჭელიძისა. *საღვთისმეტყველო კრებული*. №3. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, 1987, 314 გვ.
11. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. II. ნაწ. II. ქსოვა, ლეზვა, ქარგვა. თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1982, 285 გვ.
12. ე. ნადირაძე, *მემორიალურ ძეგლთა სიმბოლიკა*. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. 1998, 131 გვ.
13. „ნევემირებულნი ძლისპირნი“, *ძველი ქართული მწერლობის ძეგლები 3*. გამოსცა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო გ. კიკნაძემ. თბილისი. გამომცემლობა „მეცნიერება“. 1982, 675 გვ.
14. ჟ. შარდენი, „მოგზაურობა საქართველოში“. თბილისი, გამომცემლობა „სახელგამი“, 1935, 217 გვ.
15. რ. შმერლინგი, „ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტი“, თბილისი, სახელმწიფო გამომცემლობა, 1854, 180 გვ.
16. J. Flemming, „Der Lebensbaum in der georgischen Kunst und sein Verhältnis zu Byzanz und einigen byzantinischen Einflussgebieten.“ (თარგმანი გ. ბარათაშვილისა). თსუშ. №162. 1975, 90 გვ.
17. *Творения учителя церкви Климента Александрийского. Педагог*. „Ярославь“. 1980, გვ. 24
18. <http://georgianwine.gov.ge/geo/text/121/>

THE MOTIVE OF THE VINE IS IN GEORGIAN SECULAR ECCLESIASTICAL EMBROIDERY

G. Kvantidze, E. Berelashvili

Georgian National Museum

Summary

The article focuses on the Ecclesiastical and Secular Embroidery (XVIII-XX cc.) which are preserved in Georgian Museums. We study the wine ornament, as the esthetic decoration. Its technique, material, dominant colours and symbols. despite that wine ornament was widely spread, its depiction on the secular cloth belongs to the late period (XIX c.), generally it is depicted on the elements of Georgian dress such as lady's girdle, lady's V-neck embroidered piece, cuffs, headband and purse, case and e. t.

Until 17 century on the ecclesiastical embroidery mainly was depicted figural images, from this period on the ecclesiastical embroidery (aer, epigonation, liturgical cuffs, orarion, omoporion, mitra) dominant became ornament. and later it replaced figural images at all. ornaments which adore ecclesiastical embroidery is various and bases on the Christian motifs. For adornment of ecclesiastical embroidery is used various material (golden wire on silk thread, gold and silver thread, coloured silk thread, spoons, pearls and precious stones).



**ქართული ეთნო-ფეხსაცმლის ევოლუციის კანონზომიერ
შაბლონთა კვლევის საფუძველზე დომინანტი ფორმების
ანალიზის შედეგები**

ლ. კიკნაველიძე, მ. გრძელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ეთნო-ფეხსაცმელი ერის მატერიალური კულტურის მნიშვნელოვანი მიღწევების გამოვლინებაა, რადგან კონსტრუქციის განვითარების შესწავლისას გამოიკვეთა, რომ საქართველოში ფეხსაცმლის წარმოებას და კონსტრუქციის განვითარებას ხანგრძლივი ისტორია აქვს. სწორედ მრავალსაუკუნოვანი ტრადიციის არსებობის საფუძველზე, გაჩნდა სურვილი, შექმნილიყო ფეხსაცმელი, ქართული ეთნო-ელემენტებით, თანამედროვე სტილის და კომფორტული მახასიათებლებით, რომელიც კონკურენციას გაუწევს ბაზარზე არსებულ ერთფეროვან და დაბალი სამომხმარებლო მახასიათებლების მქონე პროდუქციას.

ფეხსაცმელი ისევე არქაულია, როგორც საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების ისტორია. საზოგადოების განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა მატერიალური კულტურის ყველა სფერო და მათ შორის ფეხსაცმელიც. ფეხსაცმლის წარმოება ყველა ქვეყნის ისტორიაში ვითარდებოდა და განიცდიდა სრულყოფას საზოგადოებრივი ფორმაციისა და ტექნიკური საშუალებების განვითარებასთან ერთად.

ფეხსაცმელი მნიშვნელოვანი ფუნქციონალური დატვირთვის მატარებელი, ფართოდ მოხმარებადი ნაკეთობაა, რომელიც გამოირჩევა სამომხმარებლო თვისებების მრავალფეროვნებით, სახასიათო კონსტრუქციით, მასალათა პაკეტით, ფერიტა და ორნამენტუზაციით. ამიტომ, ამ თვისებათა გაცნობა აუცილებელია ქართული ეთნო-ფეხსაცმლის კონსტრუქციის განვითარების დინამიურობის შესასწავლად.

საუკუნეების მანძილზე ქართული ეთნო-ფეხსაცმლის სახეობებისა და კონსტრუქციების განვითარების დინამიურობის მეცნიერული კვლევებსა და ანალიზისათვის საჭიროა დადგინდეს საქართველოში ეთნო-ფეხსაცმლის კონსტრუქციის განვითარების საფეხურები. საქართველოში ფეხსაცმლის პირველი კონსტრუქციის არსებობის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ძვ.წთ.ად. II ათასწლეულიდან მოგვეპოვება, ამიტომ კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო განვსაზღვრეთ ამ პერიოდიდან XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე[1], ისტორიული პერიოდის ფეხსაცმლის ნიმუშების, კონსტრუქციული თავისებურებების, მასალათა პაკეტისა და წარმოების საშუალებების შესწავლით.

კვლევის შედეგების რელევანტურობისათვის მთავარი ამოცანაა ქართული ეთნო-ფეხსაცმლის ტიპების მოკვლევა და კომპლექსური, საფუძვლიანი შესწავლა, მისი კონსტრუქციულ-ევოლუციური ეტაპების ისტორიულ-ანალიტიკური ანალიზი და მოკვლეული მასალების ანალიზის საფუძველზე, ქართული ეთნო-ფეხსაცმლის კონსტრუქციისა და ფეხსაცმლის დომინანტი ფორმის მიგნება. ინფორმაციის მთავარ წყაროდ გამოვიყენეთ სამუზეუმო ექსპონატები, იკონოგრაფიული და წერილობითი ძეგლები. ისტორიული ფეხსაცმლის ესკიზის სახით აღდგენის საფუძველზე, დომინანტი ფორმების სამომხმარებლო თვისებების გაანალიზების შემდეგ შესაძლებელი ხდება თანამედროვე ფეხსაცმლის დიზაინში მისი გამოყენება, სამომხმარებლო და საექსპლუატაციო თვისებების ოპტიმალური მახასიათებლების შემუშავება და პრაქტიკული რეალიზაცია, რაც ხელს შეუწყობს ქართული ეთნო-კულტურის პოპულა-



რიზაციას მსოფლიო ბაზარზე, მისი საყოველთაო მოხმარების პროდუქციად გარდაქმნასა და საერთაშორისო მოდის ინდუსტრიაში ჩართვას, რომელიც გამდიდრებული იქნება სახასიათო ქართული ეთნო-ელემენტებით.

ჩვენს მიერ მოკვლეული და აღდგენილი იქნა საქართველოში ვრცელი ისტორიული პერიოდის მანძილზე წარმოებული ფეხსაცმლის სახეობები. ნახ. 1, 2, 3-ზე ნაჩვენებია ფეხსაცმლის ის ძირითადი ტიპები, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა გამოიყენებდა განვითარების თითქმის ყველა საფეხურზე და დღემდე შემორჩენილია ეთნოგრაფიული მუზეუმების ექსპოზიციაში.



ნახ. 1. ძვ.წთ.აღ. II ათასწლეულიდან ჩვ. წთ. აღ. V-VI საუკუნეები.



ნახ. 2. V-XII საუკუნეები.



ნახ.3 XIII-XIX საუკუნეები.



ქართული ეთნო-ფეხსაცმლის ტიპების ევოლუციის კანონზომიერ ფაქტორთა დინამიურობის შესწავლის, აღდგენისა და ანალიზის შედეგად, ზემოთ აღნიშნული ქრონოლოგიური ჩარჩოს ჭრილში შესწავლილი იქნა საქართველოში წარმოებული ფეხსაცმლის ორმოცამდე ნიმუში, სახეობათა სამი ტიპის: ტუფლი, წაღა და ჩექმის თითქმის ყველა ვარიანტი, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდა საუკუნეთა მანძილზე საქართველოში წარმოებული ფეხსაცმლის დომინანტური ფორმის ანალიზი და დადგინდა, რომ აღნიშნულ ფორმას წარმოადგენს ქართული ეთნო-ფეხსაცმლის ცხვირის გრძივი ღერძის გასწვრივ მომრგვალებული, ანუ ე. წ. ჭვინტიანი ცხვირის ფორმის კონსტრუქცია [2].

ქართული ეთნო-ფეხსაცმლის დომინანტი, ჭვინტიანი ცხვირის ფორმა განაპირობა საუკუნეების მანძილზე ევოლუციის კანონზომიერმა ფაქტორებმა, რაც გულისხმობს არა მარტო მეზობელი ქვეყნების პოლიტიკურ თუ კულტურულ ზეგავლენას, არამედ რელიეფისა და სამეურნეო საქმიანობის ტიპს, რამაც ხელი შეუწყო ფორმამდეგი საქესპლუატაციო თვისებებით გამორჩეული ფეხსაცმლის ცხვირის ფორმირებას. საქართველოში ფეხსაცმლის ცხვირის ასეთი ან მსგავსი ფორმის კონსტრუქციამ, დროთა განმავლობაში შეიძინა სამომხმარებლო თვისებები, გაუძლო საუკუნეებს და სამუზეუმო ექსპონატების სახით დღემდე ამშვენებს საქართველოს სახვადასხვა მუზეუმის ექსპოზიციას, საიდანაც კარგად ჩანს მათი კონსტრუქციულ-ტექნოლოგიური შესრულების სურათი, რამაც გვაფიქრებინა ქართული ეთნო-ფეხსაცმლის შესწავლილ ფორმათა დომინანტი ცხვირის ფორმის ე. წ. ჭვინტის ფორმის კონსტრუქციის გამოყენება თანამედროვე ფეხსაცმელში [3]. ამ მიზნით აუცილებელი გახდა საფეხსაცმელე კალაპოტის კონსტრუქციის შექმნა (რომელიც საკმაოდ შრომატევადი და საპასუხისმგებლო პროცესია). მის დასამზადებლად, გათვალისწინებული იქნა თანამედროვე ფეხსაცმელში ეთნო-დიზაინის ელემენტების შემოტანით ფეხსაცმლის მოხერხებულობის საკითხი, სტატიკასა და დინამიკაში ტერფზე და ფეხსაცმელზე მოქმედ ძალთა განაწილების ოპტიმიზაციის მიზნით [4]. აღნიშნული კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული იქნა კალაპოტის და შესაბამისად ფეხსაცმლის რაციონალური კონსტრუქცია და მასალაში რეალიზაცია, საცდელი ექსპლუატაცია და ფართო აუდიტორიის წინაშე დემონსტრირება.

ქართული ეთნო-ფეხსაცმლის კონსტრუქციის ევოლუციის კვლევის საფუძველზე შემუშავებული ეთნო-ფეხსაცმლის კონსტრუქციები ერთდროულად პასუხობს მოდის ტენდენციებს და გამორჩევიან სახასიათო თავისებურებებით, თვითმყოფადი, განუმეორებელი ფორმათწარმოქმნით, ტრადიციული, დეკორატიულ-ტექნოლოგიური დამუშავებით და ოპტიმალური სამომხმარებლო თვისებებით. თანამედროვე ფეხსაცმელში ოპტიმალური ეთნო-კონსტრუქციის ელემენტების დომინანტი ფორმების შემოტანით და ფასონის ოპტიმიზაციით იზრდება ფეხსაცმლის მოხერხებულობის ხარისხი, ფეხსაცმლის სამომხმარებლო თვისებები და ექსპლუატაციის ხანგრძლივობა. შემუშავებული რაციონალური ფასონის კალაპოტის კონსტრუქციული მაკეტი მისი სერიული გრადირების და ქართული ეთნო-სტილის ფეხსაცმლის წარმოების საშუალებას იძლევა.

ლიტერატურა:

1. Kiknavelidze L.G. Grdzlidze M.G. Systematization of constructive-technological and regular factors of georgian ethno-shoe, «Theoretical & Applied Science» Philadelphia, USA 2 Impact Factor ICV = 6.630 Impact Factor ISI = 0.829 based on International Citation Report (ICR). SOI: 1.1/TAS. DOI: 10.15863/TAS.018, 05(61) 2018 338-342.



2. Grdzelidze M.G. Kiknavelidze L.G. Optimizing the style and constructional parameters of women footwear, «Theoretical & Applied Science» Philadelphia , USA2 Impact Factor ICV = 6.630 Impact Factor ISI = 0.829 based on International Citation Report (ICR). SOI: 1.1/TAS. DOI: 10.15863/TAS.018, 05(61) 2018, 331-337
3. Grdzelidze M.G. Kiknavelidze L.G Modern Conditions of the Study of Leather Ethno-Crafts Evolution in problematics of researching Georgian Material Culture heritage. International Scientific Journal - Theoretical & Applied Science. Philadelphia, USA. Impact Factor ICV = 6.630 Impact Factor ISI = 0.829 based on International Citation Report (ICR). SOI: 1.1/TAS. DOI: 10.15863/TAS. 57 (1). 24-28.
4. Kiknavelidze L.G. Grdzelidze M.G. The modern aspects of research evolution of Georgian leather ethno-crafts. International Scientific Journal - Theoretical & Applied Science. Philadelphia, USA. Impact Factor ICV = 6.630 Impact Factor ISI = 0.829 based on International Citation Report (ICR). SOI: 1.1/TAS. DOI: 10.15863/TAS. 57 (1). 29-32.

RESULTS OF ANALYSIS OF DOMINANT FORMS BASED ON THE STUDY OF THE NATURAL FACTORS OF EVOLUTION OF GEORGIAN ETHNO-SHOE

L. Kiknavelidze, m. Grdzelidze
Akaki Tsereteli State University

Summary

Georgian ethno-shoe represent a significant achievement of the material culture of the nation, as the study of the development of the construction has shown that the development of the shoe in Georgia and the development of the construction has a long history. Based on the existence of centuries-old tradition, there was a desire to create shoes, Georgian ethno-elements, modern style and comfortable features that would compete with the products of the market with low and low consumer characteristics.

АНАЛИЗ СОВРЕМЕННЫХ ТЕНДЕНЦИЙ ДИЗАЙН-ПРОЕКТИРОВАНИЯ ПАРКОВОЧНЫХ МАШИНО-МЕСТ ДЛЯ ХРАНЕНИЯ ЭЛЕКТРОМОБИЛЕЙ

Кисиль С. С.

Киевский национальный университет технологий и дизайна

Развитие технологий с использованием солнечной энергетики стали в основе популяризации внедрения экологических методов хранения и питания электрических транспортных средств. Происходит трансформация традиционных АЗС в зарядные станции, работающие на солнечных батареях. Эти технологии мотивируют к поиску новых дизайнерских форм автостоянок для хранения электромобилей – крытых машино-мест с прямолинейной или криволинейной конструкцией и тентовым покрытием в основе и с солнечными зарядными станциями вмонтированными на их покрытиях.

С ростом числа электрических автотранспортных средств (далее – электромобилей), увеличивается потребность в развитии и распространении специализированных автостоянок с машино-местами, в которые внедрены электрические зарядные станции для их хранения и подзарядки. В свою очередь, автостоянки с электрическими зарядными станциями в их структуре должны стать равноправными элементами инфраструктуры городов наравне с существующими АЗС. По прогнозам Э.Маска зарядные станции «Tesla» в ближайшем будущем получат лидирующее место и в них будут заряжаться кроме электромобилей и грузовые электромобили «Tesla Semi».

Многие уже из построенных зарядных станций – это уличные объекты, что внедряются



электрическими коммунальными предприятиями. Некоторые из этих электрических зарядных станций обеспечивают один или несколько специальных разъемов и / или зарядку без физического подключения, используя машино-места для стоянки, оборудованные индуктивными зарядными площадками [1-3].

На сегодня уже разработано много дизайн-решений машино-мест для хранения электромобилей. Самый простой из них – дизайн автостоянки на 1-2 машино-место для хранения и зарядки электромобилей, что имеет вид открытой площадки отмеченной на плоскости принятой в международной практике маркировкой и со встроенным элементом зарядного устройства (рис. 1).



Рис. 1. Простейшее дизайн-решение машино-места для хранения электромобилю с зарядной электрической станцией в его структуре

Более целесообразными и удобными в эксплуатации считаются дизайн-решения конструкций крытых тентовых автостоянок для хранения электромобилей. Самые известные из них:

1) с прямолинейной конструкцией в основе, где эта конструкция покрыта 12 солнечными батареями для хранения 2-х электромобилей, разработанная для Международного экологического фестиваля «GREENDAY» в 2016 г. (рис. 2);



Рис. 2. Дизайн-решение машино-места с прямолинейной конструкцией в основе для хранения электромобилей, Санкт-Петербург, 2016




Рис. 3. Дизайн-решение машино-места с криволинейной конструкцией в основе для хранения электромобилей

2) с криволинейной тентовой конструкцией в основе, где эта конструкция площадью $5,3 \times 5,3$ м стилизованная под «бутон тюльпана» в центре которого вмонтирована стальная колонна-мачта. Под данной конструкцией тента, оборудованной 15 солнечными батареями общей мощностью 4 кВтп, возможно хранить 2 электромобила, заряд которых возможен до 80% в течение 3 часов. Несмотря на горизонтальное расположение солнечных батарей на поверхности конструкции покрытия стоянки, что немного уменьшает потенциал сбора ими энергии, а минималистичный дизайн конструкции будто скрывает их от созерцания, однако делает данную структуру уникальной для сбора энергии (рис. 3) [4].

Требованиями к эксплуатации таких крытых машиномест для хранения электромобилей являются: быстрый монтаж конструкции, ее уникальный запоминающийся и универсально вписывающийся в существующую архитектурную среду города дизайн; работа круглосуточно и круглый год; работа зарядной станции независимо от погодных условий; одновременная зарядка до двух электромобилей; надежность оборудования.

Еще одним примером дизайн-решения машино-места для хранения 1 электромобиля с криволинейной тентовой конструкцией в основе стала автостоянка «Point.One S». Это уникальная параметрическая конструкция zaproektirovannaya как инновационный символ новой электромобильности.



Рис. 4. Дизайн-решение машино-места «Point.One S» с криволинейной конструкцией в основе для хранения электромобилей, «LAVA», 2013



Отсутствие развитой инфраструктуры – наиболее важная проблема в развитии экологически чистого транспорта. В ближайшем будущем прогнозируется европейскими странами строительство нескольких тысяч электрозаправочных станций. В свою очередь, они станут полноправными элементами городской инфраструктуры. Поэтому дизайн-решения существующих примеров зарубежного опыта автостоянок для хранения и подзарядки являются важной отправной точкой для развития данных объектов транспортной инфраструктуры. А проведенный анализ зарубежного опыта по проектированию автостоянок для хранения и подзарядки электромобилей и основные выводы относительно состояния данного вопроса могут быть использованы при проектировании генеральных планов городов, при внесении изменений в действующие нормативные документы, в учебном процессе высших учебных заведений архитектурно-строительного профиля, и т. п.

Литература:

1. А. З. Жук, Б. В. Клейменов, В. Е. Фортов, А. Е. Шейндлин. – Электромобиль на алюминиевом топливе. – Москва: Наука, 2012. – 171 с.
2. Vermaak, H.J.; Kusakana, K. Design of a photovoltaic-wind charging station for small electric Tuk-tuk in DR Congo. *Renew. Energy* 2014, pages 67, 40–45.
3. Nunes, Pedro & Figueiredo, Raquel & Brito, Miguel C. [The use of parking lots to solar-charge electric vehicles](#), *Renewable and Sustainable Energy Reviews*, Elsevier, vol. 66 (C), 2016, pages 679–693.
4. Energy Harvesting: Charge Your Car in 3 Hours at This Solar Powered Electric Station [Электронный ресурс] // archdaily.com. – 2013. – Режим доступа к ресурсу: <https://www.archdaily.com/897606/energy-harvesting-charge-a-car-in-3-hours-at-this-solar-powered-electric-station>

ANALYSIS OF MODERN TRENDS IN THE DESIGN ENGINEERING OF PARKING SPACES FOR THE STORAGE OF ELECTRIC CARS

S.S. Kisil

Kiev National University of Technology and Design

Summary

With the growing number of electric cars, there is an increasing need for the development of specialized parking lots with car spaces, where electric charging stations are introduced for car charging, that should become equal elements of cities infrastructure along with existing gas stations.

Electric vehicles can be very energy efficient and clean, as long as they charge using renewable electricity. However, they need to overcome some challenges, including short driving range, the high price, and the lack of a charging infrastructure.

Today, many design solutions have been developed for the storage of electric vehicles. The simplest of them is the parking lot design with 1-2 parking spaces for storing and charging of electric cars. This parking lot has the appearance of an open area labeled with markings and with an element of built-in charger.

Design solutions of indoor tent parkings for storage of electric cars are considered more expedient and convenient in operation. The most frequent of them are: with a rectilinear construction and with a curved awning design at their base.

Absence of developed infrastructure is the most important problem in the development of environmentally friendly transport. That's why, the design solution of the construction of storage sites and electric charging stations fulfill an important role and will allow us to experience the potential of electric mobility, which is the future.



კულტურული ინტეგრაციები ბათუმის მუზეუმში

ე. მესხია

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მუზეუმის სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ახალი სამუზეუმო პროექტების განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხი.

მიუხედავად აზრთა პოლარიზაციისა, მუზეუმებში ნელ-ნელა მკვიდრდება „არასამუზეუმო“, განსხვავებული მიმართულებისა და შინაარსის პროექტების განხორციელების ტრადიცია.

ბათუმის მუზეუმები რამდენიმე წელია აწყობენ კულტურულ ინტერაქციებს: თეატრალიზებული წარმოდგენები, სპექტაკლები, კონცერტები და სხვა სახის კულტურული აქტივობები.

თანამედროვე სამუზეუმო სამყარო მიებისა და განახლების პროცესშია. მუზეუმები ცდილობენ იპოვონ დამთვალიერებელთა მოზიდვის გზა და საშუალებები.

ფაქტია, რომ უახლესმა საინფორმაციო ტექნოლოგიებმა მოქალაქეთა ნაწილს დაუკარგა ინტერესი კულტურის ინსტიტუციების მიმართ. ადამიანები ბინიდან გაუსვლელად იღებენ მათთვის საჭირო ინფორმაციას და იკმაყოფილებენ ინტერესს ამა თუ იმ კულტურულ სანახაობებზე.

როგორც უცხოეთში, ასევე ჩვენშიც მუზეუმის სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ახალი სამუზეუმო პროექტების, კერძოდ, მუზეუმებში კულტურული აქტივობების განხორციელების მიზანშეწონილობის საკითხი [1]. მიუხედავად აზრთა პოლარიზაციისა, მუზეუმებში მაინც ნელ-ნელა მკვიდრდება „არასამუზეუმო“, განსხვავებული მიმართულებისა და შინაარსის პროექტების განხორციელების ტრადიცია.

ბათუმის არქეოლოგიის, ძეგლები ნობელების ტექნოლოგიების, მხარეთმცოდნეობისა და ხელოვნების მუზეუმები, გონიოს მუზეუმ-ნაკრძალი უკვე რამდენიმე წელია აწყობენ კულტურულ ინტერაქციებს: თეატრალიზებული წარმოდგენები, სპექტაკლები, კონცერტები და სხვა სახის კულტურული აქტივობები. ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს აჭარის ხელოვნების მუზეუმთან. ბოლო პერიოდში ერთობლივი ძალისხმევით არაერთი საინტერესო საგანმანათლებლო და კულტურული აქტივობა განხორციელდა მუზეუმში.

როგორც შესრულებული პროექტების ანალიზმა გვიჩვენა, მოქალაქეთა ის კატეგორია, რომელიც არ ამყდვენება მუზეუმის მიმართ ინტერესს, ან ცალმხრივი წარმოდგენა ჰქონდა მუზეუმებზე, კულტურულ აქტივობებში მონაწილეობით ან დასწრებით, სულ სხვა ინტერესი გაუჩნდა მუზეუმის მიმართ.

კულტურული აქტივობები არ არის ერთადერთი გამოსავალი პრობლემის გადასაწყვეტად. როგორც ჩატარებული გამოკითხვები გვიჩვენებს, ახალგაზრდობაში არის მოლოდინი სხვა ტიპის აქტივობებზე - კორპორატიული და სხვა სახის შეხვედრები მუზეუმებში, სამუზეუმო კაფეების გახსნა და ა.შ.


როგორც აღვნიშნეთ, საზოგადოებაში სამუზეუმო პროექტების მიმართ არაერთგვაროვანი აზრი არსებობს, არიან როგორც კლასიკური სამუზეუმო პროგრამების, ასევე არატიპიური, „არასამუზეუმო“ პროექტების იდეის მომხრეები.

ბათუმის საზოგადოებაში მუზეუმის თანამედროვე როლის დადგენის მიზნით კვლევა ჩავატარეთ რამდენიმე საჯარო დაწესებულებაში. ერთის მხრივ, გამოიკითხა მუზეუმების თა-



ნამშრომლები, მეორეს მხრივ, არასამუზეუმო დაწესებულების წარმომადგენლები, სულ - 140 რესპოდენტი, თითოეული დაწესებულებიდან თანაბარი რაოდენობით, გარდა ხელოვნების უნივერსიტეტისა. ამ უკანასკნელში, თანამშრომლების (20 რესპოდენტი) გარდა, გამოკითხვა ჩატარდა სტუდენტებში (40 რესპოდენტი).

კითხვაზე, თანამედროვე მუზეუმის პროექტებს შორის, რომელ მიმართულებას მიანიჭებდით უპირატესობას, მომზადებული იყო ოთხი სავარაუდო პასუხი. საერთო შედეგები ასე გადანაწილდა:



1. საერთო გამოკითხულთა 5.7%-ს მიაჩნია, რომ მუზეუმი უნდა ახორციელებდეს მხოლოდ საგამოფენო პოლიტიკას. ასეთი პოზიცია დაფიქსირდა ხელოვნების უნივერსიტეტში - 5%, ბათუმის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში - 10%, სტუდენტებში - 12.5%. როგორც მოსალოდნელი იყო მუზეუმებში მსგავსი პასუხი არ დაფიქსირებულა.

2. რესპოდენტთა 72.8% თვლის, რომ მუზეუმს შეუძლია განახორციელოს მხოლოდ საგამოფენო, კვლევითი და მრავალმხრივი კულტურულ-საგანმანათლებლო პროექტები. თითოეული დაწესებულების თანამშრომელთა უმრავლესობა (90-95%) ფიქრობს ასე, გარდა არქეოლოგიის მუზეუმისა. აქ თანამშრომელთა 47.5% ეთანხმება ამ კითხვას.

3. საინტერესოა, რომ გამოკითხულთა 12.9%-ის აზრით, მუზეუმს შეუძლია განახორციელოს როგორც საგამოფენო, საგანმანათლებლო-კვლევითი და კულტურული პროექტები, ასევე, შემოსავლების გაზრდის მიზნით, ადგილი დაუთმოს სხვა ისეთ აქტივობებს, როგორცაა ჯგურისწერა, ნათლობა, დაბადების დღეებისა და კორპორატიული ზეიმების აღნიშვნა და სხვა მსგავსი ღონისძიებები. დაწესებულებებს შორის ამ კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა მხოლოდ არქეოლოგიის მუზეუმის თანამშრომელთა 30 პროცენტმა და სტუდენტების 30 პროცენტმა, მაშინ, როცა სხვა დაწესებულებებს არ მიაჩნიათ მიზანშეწონილად მუზეუმში დასახელებული „არასამუზეუმო“ პროექტების განხორციელება.

4. 8.6% რესპოდენტებისა თვლის, რომ შემოსავლების გაზრდის მიზნით, მუზეუმს შეუძლია ადგილი გამოყოს ყველანაირი ღონისძიების ჩასატარებლად, მიუხედავად პროფილისა და შინაარსისა. ასე თვლის არქეოლოგიის მუზეუმის თანამშრომელთა 25%, ხელოვნების უნივერსიტეტის თანამშრომელთა - 5%, ხელოვნების მუზეუმის - 5%, აჭარის სახელმწიფო



მუზეუმის - 5%, სტუდენტების - 10 %.

როგორც წინამდებარე კვლევამ გვიჩვენა, ბათუმის მუზეუმების თანამშრომელთა და დაწესებულებათა დიდი ნაწილი მხარს უჭერს ტრადიციული პროექტების განხორციელებას მუზეუმში, ხოლო მცირე ნაწილს, სტუდენტებში კი თითქმის ნახევარს (40%) მიაჩნია, რომ შემოსავლების გაზრდის მიზნით შიძლება სამუზეუმო სივრცის გამოყენება ყველანაირი ღონისძიების ჩასატარებლად. როგორც უცხოეთში, ასევე ჩვენშიც, აქტუალურია თავისუფალი დროის გატარების ინდუსტრია, მაგრამ თავისუფალი დროის სივრცე ყველგან შეზღუდულია [2]. მუზეუმები სხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ცდილობენ ეს სივრცე აითვისონ და „არაპოპულარული“, მუზეუმისათვის „არატიპური“ პროექტებით გაამრავალფეროვნონ სამუზეუმო სივრცე. თუ ადრე მუზეუმი ორიენტირებული იყო მხოლოდ შინაარსზე, თანამედროვე ეპოქამ მოიტანა შინაარსთან ერთად აუდიტორიაზეც იყოს მუზეუმი ორიენტირებული მათი აქტიური ჩართულობით [3].

ყველა სახის პროექტის განხორციელება, სურვილთან და ადამიანურ რესურსებთან ერთად შესაბამის დაფინანსებასაც მოითხოვს. ამ უკანასკნელის გარეშე, ვერანაირი იდეა ვერ განხორციელდება. ჩვენში ხშირად მოჰყავთ მაგალითი აშშ-ის მუზეუმების გამოცდილებიდან, მაგრამ როცა დაფინანსების თემას შეეხება საქმე, მაშინ გვერდს უვლიან ამ საკითხს. ცნობილია, რომ აშშ-ის „მუზეუმების ხელმძღვანელებს, საქართველოსაგან განსხვავებით (ე.მ.), არ უჭირთ დაფინანსების მოზიდვა და ძალიან ხშირად ეს დაფინანსება შერეული ტიპისაა და მათ იმის საშუალებაც აქვთ, რომ ამოირჩიონ მათთვის სასურველი სპონსორები და უარი თქვან ზოგიერთებზე გარკვეული მოსაზრებების გამო [4]. ცხადია, ასეთ შემთხვევაში მომზადებული პროექტები, შესაბამისი სარეკლამო და მარკეტინგული უზრუნველყოფით წარმატებით ხორციელდება.

ჩვენ გვავალდებენ, მწირი დაფინანსებით, ან დაფინანსების გარეშე მოვამზადოთ თანამედროვე პროექტები, ვეძებოთ დამთვალიერებელი და ვიპოვოთ მათთან მისასვლელი გზა, რომ მუზეუმი გავხადოთ სიცოცხლით სავსე სამყაროდ, სადაც მისვლის სურვილი მოთხოვნილებაა და არა ვალდებულება. რა თქმა უნდა რთულია, მაგრამ ჯერჯერობით სხვა არჩევანიც არ გვაქვს.

ლიტერატურა

1. ICOM CECA ANNUAL CONFERENCE, Museums, Education and Cultural Action: Between Old and New Meanings, 24-28 September 2018, Conference materials, Tbilisi, 2018
2. ნ. გედევანიშვილი, მუზეუმები 21-ე საუკუნის გამოწვევების პირისპირ, ელვერსია
3. ნ. გედევანიშვილი, განათლება და მუზეუმი, ელვერსია
4. ი. კოშორიძე, მუზეუმმცოდნეობის შესავალი. ევროპული და ამერიკული მუზეუმების მართვის თანამედროვე მეთოდები. თბ., 2009

CULTURAL INTERACTIONS IN BATUMI MUSEUMS

E. Meskhia

Batumi Art State University

Summary

Museum specialists have various opinions about appropriateness of implementation of new museum projects. Some respondents believe that museums should implement only traditional projects.

In spite of contradictory ideas, new “non-museum” projects with different directions and contents have been gradually implementing in Batumi museums.



As it appeared after analyzing the implemented projects, those citizens who had expressed no or partial interest toward museums, got interested in museums after participating and attending cultural activities.

Cultural activities are not the only solution for the mentioned problem. According to a survey young people have expectations about another activities, such as organizing corporative and other sort of meetings in museums, opening museum cafes, etc.

ფანდური და ჩონგური, როგორც სარიტუალო ატრიბუტი ქართულ ეთნობრაფიულ სინამდვილეში

ი. ოქრუაშვილი; ნ. ხარაიშვილი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სტატიაში განხილულია ქართული ჩამოსაკრავი სამსიმიანი ქართული და ოთხსიმიანი ჩონგური. აღწერილია საკრავთა აღნაგობა, მათი დამზადების წესები, ხალხური ცოდნა-გამოცდილება, ფუნქცია და სპეციფიკური როლი ქართულ ტრადიციულ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში.

ქართულ ინსტუმენტარიუმში ჩამოსაკრავი სამსიმიანი ფანდური და ოთხსიმიანი ჩონგური ყველაზე მეტად გავრცელებული საკრავებია. ტერმინი-ფანდური ქართულ წერილობით წყაროებში X ს-დან დასტურდება, გამოსახულება კი XI ს-ის მაცხვარიშის ეკლესიის კარებზეა გამოსახული, რომელიც ანალოგს ძველადმოსავლური საკრავების სახეობებთან პოულობს.

ფანდური დღეს მთელს საქართველოშია გავრცელებული, უფრო დამა-ხასიათებელი კი აღმოსავლეთ საქართველოს ყველა კუთხისთვისაა. საკრავები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ფორმით, სიმებისა და ნახვრეტების რაოდენობით, აქედან გამომდინარე, დადასტურებულია ფანდურის ორ სახეობა: მთისა (ხევსურული) და ბარისა. ფანდურზე უკრავენ მჯდომარე მდგომარეობაში. შემსრულებელს საკრავი უდევს მუხლებზე ჰორიზონტალურად, ოდნავ აწეული მარცხენა მხარეს.

საქართველოს ყველა რეგიონში ფანდურს ამზადებენ იმ ხისგან, რომელიც ადგილზე მოიპოვებოდა. ფანდურის ნაწილები ზოგჯერ ერთი რომელიმე მასალისგან კეთდება, მაგრამ ამჟობინებენ თავფიცრის გაკეთებას განსხვავებული მერქნისგან (ფიჭვი, ნაძვი, ვერხვი). საფანდურე ხეს ჭრიან ზაფხულში, როდესაც ხალხურ ოსტატთა დაკვირვებით, ხე ბუნებრივადაა გამომშრალი. მოჭრისას ითვალისწინებენ მთვარის ფაზებს (სავსე მთვარეზე). საფანდურედ იყენებენ ხის წვერის ნაწილს. გაპობილ ხეზე კონტურს შემოხაზავენ ფანქრით ან ნახშირით და იწყებენ გამოთხრას, ამასუფთავებენ ხოწით და ფანდურის ფორმის მიღების შემდეგ იწყებენ გარედან გასუფთავებას დანით. თავფიცარს აჭედებენ წვრილი ლურსმნით, ხოლო სახმო ნახვრეტებს ამოწვავდნენ გახურებული წინდის ჩხირით. ფანდურის კეთებისას არ ხელმძღვანელობდნენ ტრაფარეტული ზომებით, მზადდებოდა დიდიცა და პატარა ფანდურიც. სიმონ ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმში ხის ფონდში დაცულია ფანდურების უნიკალური კოლექცია.

ქართული ფანდურების ანალოგია ჩერქეზული „აფა ფმინ“, ჩეჩნურ-ინგუშური „დეჩიგ ფონდურ“, დაღესტნური „აგაჩ ყომუზ“, ოსური „დალა ფანდირ“, აფხაზური „აფანდურ“ და „აჩამგურ“, რომლებიც ქართული ფანდურითაა შთაგონებული.



ფანდურზე უკრავდნენ ქალებიცა და მამაკაცებიც. იგი ძირითადად სიმღერის თან-მხლები საკრავია. მისი თანხლებით სრულდება საგმირო, სატრფიალო, სახუმარო შინაარსის ლექსები. აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ძირითადად საგმირო ჟანრის ლექსები იმღერება. ფანდური მონაწილეობს იმ წეს-ჩვეულებებში, რომელიც დაკავშირებულია „ბატონების“ კულტთან. ამ დროს ოჯახში სრულდებოდა გარკვეული წესები. ავადმყოფსა და მის საწოლს „ბატონების“ საყვარელი ფერებით რთავდნენ. ფანდურზე დაკვრის პარალელურად, სრულდებოდა ავადმყოფის გარსშემოვლა, აღქმა, მსხვერპლშეწირვა, „მობოდიშება“ და ლოცვები.

ხევსურეთში, ჯვარში, წმინდა ლუდის დაღვევის რიტუალი, სოფლის მცხოვრებთა დალოცვა და „მიცვალებულთა შანდობა“ ფანდურზე დამღერების თანხლებით სრულდებოდა. რიტუალს თან ახლდა „ფეხზე მღერა“ ან „თაოზა და ნამუსი“. ერთი ზედამდეგი იღებდა ფანდურს, მიდიოდა სუფრის ბოლოს და ან მდგომი ან ცალ მუხლზე დაჩოქილი იწყებდა დაკვრას და მღერას, ხოლო დანარჩენი ახალგაზრდები იმეორებდნენ გუნდურად თითოეულ სტროფს. დღეობის ერთ-ერთი რიტუალი იყო „თასებში მოგონება სახელის ჩამდენი კაცისა“, რომელიც შემდეგნაირად სრულდებოდა: უფროსი ადგებოდა, აიღებდა ფანდურს და სუფრის ბოლოს ცალ მუხლზე ჩოქვით იწყებდა დაკვრას. დამღერებული სიმღერა წინაპრის გმირობას ყვებოდა. პირველ დამკვრელს მეორე და მესამე მოჰყვებოდა და გრძელდებოდა მანამ, სანამ მომღერალი სავსე თასით ხელში ნელა არ მიუახლოვდებოდა დაჩოქილს, ამის შემდეგ, მეფანდურე ადგებოდა და ლუდით სავსე თასით ხელში ლოცვას წარმოსთქვამდა: „ჯვარ დაგიწერს ღმერთმ“ მერე დაიჩოქებდა და განაგრძობდა შეწყვეტილ დაკვრას და მღერას. ამ რიტუალში კარგად ჩანს სიმღერის შესრულების წესი-„ჩოქვით მღერა“.

საგმირო სიმღერის ფანდურის თანხლებით შესრულება ხატში დასტურდება თუშეთში, ხატში ქორბეღელას შესრულების დროს. ქორბეღელა საწესო-საფერხულო სიმღერაა, რომელიც მამაკაცთა მიერ სრულდება საკრავის გარეშე. „ქორბეღელაში“ ზოგჯერ წრის შუაში მდგომი მამაკაცი ფანდურის თანხლებით იმღერებდა და „ლექსს იმახებდა“.

უძველესი წარმოშობის რიტუალებში ფანდურის გამოყენებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს საგანგებო ჰანგი-„ბელლისკრული“, სადაც ხალხი უმღერის გმირს მიდიაურს. „ბელლისკრული“ ფუნქციით უახლოვდება თუშეთში ახალწლის დღესასწაულთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებას.

განსაკუთრებით საინტერესოა, თუშური როტუალი, სადაც ფანდურის თანხლებით ქალებიც იღებენ მონაწილეობას „თავმოკრულაყის საწდეზე“ ანთებდნენ სანთლებს და შვიდი ქალი ჩონგურის (ფანდურის) დაკვრით შემოუვლიდა გარს.

ფანდურის მონაწილეობა, სხვადასხვა აგრაგულ დღესასწაულშიც გვხვდებოდა, ასეთთა რიგს განეკუთვნება საგანგებო ჰანგი „ბერიკული“.

ფანდურის თანხლებით სრულდებოდა სიმღერები ქალების მიერ კოლექტიური შრომის დროს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მთაში „მჩეჩლობის“ (ხევსურეთი, თუშეთი, ხევი) ან „საქმის საღამოს“ (გუდამაყარი) სახელითაა ცნობილი.

ზემოთ აღნიშნულ რიტუალებში ფანდურს გამხიარულების ფუნქცია ჰქონდა. ფანდური მიჰქონდათ ცხვარში თავისუფალ დროს გასართობად. იგი ყველა ოჯახში ინახებოდა და მხიარულების სიმბოლოდ ითვლებოდა.

ფანდური გამოიყენებოდა აგრეთვე მგლოვიარე ოჯახში, მას „წლის ხარჯამდე“ გადა-მალავდნენ და არ გამოაჩენდნენ ხოლმე. წლისთავზე კი, სუფრასთან მჯდომი ოჯახის უფრო-



სი ფანდურს თითებს ჩამოჰკრავდა და სხვას გადასცემდა, რასაც „ლხინის გატეხა“ ეწოდება, რის შემდეგაც ოჯახში გლოვა სრულდებოდა და ლხინი დაშვებული იყო.

ფანდურის სინონიმად მოგვიანებით ჩონგურიც გვხვდება. ჩონგური ფანდურის მონათესავე, მაგრამ რამდენადმე განსხვავებული საკრავია. იგი ქართულ ქორდოფონთა ჯგუფში ყველაზე მეტად განვითარებული სახეა. ფანდური და ჩონგური ერთი ტიპის საკრავის ორი სახესხვაობაა.

ქართული წერილობითი წყაროების მიხედვით, ჩონგური კარგადაა ცნობილი საქართველოში XVII ს-ში, ხოლო სიტყვა-ჩონგური, წერილობით წყაროებში შედარებით გვიან გვხვდება. ივანე ჯავახიშვილის აზრით, ეს სახელი უფრო გვიანდელია და მანვე მიუთითა, რომ იოანე ბატონიშვილი განასხვავებს ქართულსა და ყიზილბაშურ ჩონგურებს. ეს საკრავი მას მოხსენიებული აქვს „კალმასობაშიც“ ხოლო ალექსანდრე ხახანაშვილი ჩონგურს სპარსეთიდან შემოტანილ საკრავთა რიცხვს მიაკუთვნებს.

ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებით, „ჩონგური“ (სპარს.)-მომცრო საზი ოთხძალი ანუ ხუთძალი „ფანტურა-საკრავია, ჩონგურივით, ბანდურა“.

ჩონგური გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში – გურიაში, აჭარაში, იმერეთში და სამეგრელოში. იმერეთში ცოცხალი ყოფიდან თითქმის გამქრალია, მაგრამ ამ რეგიონში მის გავრცელებას მოწმობს ხალხური ტერმინოლოგია, რომელიც ლიტერატურიდან არის ცნობილი და დღესაც მოწმდება ყოფაში. „აჩამგურის“ „ჩონგურის“ სახელწოდებით საკრავი გავრცელებულია აფხაზეთში. სხვადასხვა კუთხეების ჩონგურებს შორის კონსტრუქციის მხრივ არსებითი განსხვავება არ ჩანს, ჩონგურის შემთხვევაში საინტერესოა, ოთხ სიმთაგან ერთის სიმოკლე, რომლის სიმოკლე ერთი სიმალლის ყველაზე მაღალი ბგერის გამოცემის აუცილებლობამ განაპირობა.

ჩონგურს რამოდენიმე წყობა აქვს. სხვადასხვა სიმღერა სხვადასხვა წყობაში სრულდება, მაგრამ ყოველი მათგანი თავიდან ბოლომდე ერთ წყობაშია. როგორც ფანდურზე, ჩონგურზეც ორივე სქესი უკრავს. მისი თანხლებით სრულდება ერთი, ორი და სამხმიანი სიმღერები. ტრადიციულ საჩონგურო რეპერტუარს ერთხმიანი სატრფიალო და სახუმარო ლექსები წარმოადგენს. ჩონგური ტრადიციულად არ ერთიანდება ანსამბლად სხვა რომელიმე საკრავთან. თუნდაც ორი ჩონგურის ანსამბლში ერთდროულად გამოყენებაც არ ხდებოდა.

ჩონგური ოჯახისთვის წარმოადგენდა უმვირფასეს ნივთს და ინახებოდა თვალსაჩინო ადგილას. ეთნოგრაფიული მასალის თანახმად, მარბელი საგანგებოდ აღნიშნავდა გასათხოვარი ქალის ღირსებათა შორის ჩონგურის ცოდნას.

ეთნოგრაფიულ ყოფაში ჩონგურის ადგილი მეტად დიდია. იგი გამოიყენება უძველესი წარმოშობის წეს-ჩვეულებებსა თუ რიტუალებში.

საწესო რიტუალებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ბატონების“ კულტთან დაკავშირებული რიტუალი, სადაც სრულდება სპეციალური საგალობელი „საბოდიშო“ ჩონგურის თანხლებით, რომელიც თავისი მაღალმხატვრული დონით ქართული ხალხური სასიმღერო შემოქმედების შედეგთაგანია. მეტად საინტერესოა თ. სახოკიას მიერ დაფიქსირებული სამეგრელოს სინამდვილეში შემონახული წესი: თუ ავადმყოფს ჩაეძინა, ყველანი გაჩუმდებიან და ჩონგურს ავადმყოფის ახლოს, კედელზე ჩამოჰკიდებენ, ამბობენ, „ბატონები“ თავის მხრივ ჩუმად უკრავენ ჩონგურზე და გამოსცემენ საოცნებო ხმებს ყველა მნახველთა სასიხარულოდ. ამ წესის ანალოგიურია აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მთაში (თუშეთში) ცნობი-



ლი სახალწლოდ „თავმოკრულაყზე“-ხის საწდეზე ჩონგურის დადების წესი.

ზავშის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალის დროს, ჩონგურის თანხლებით სრულდება საწესო სიმღერა „მზე შინა და მზე გარეთა“. მას ძეობის სიმღერასაც უწოდებენ. ამ სიმღერას წრიული ფერხულის სახით ასრულებდნენ.

ეთნოგრაფიული მასალით, ჩონგურზე დაკვრა დასტურდება მიცვალებულთა დატირებისას (დაკრძალვის დღეს) როგორც გურიაში, ასევე სამეგრელოში. სიმღერას საკრავის თანხლებით ასრულებდა 4-6 კაცი, რომლებიც გარდაცვლილის ახლო ნათესავები არ იყვნენ.

ქართული ჩონგურის ანალოგებია აფხაზური „აჩამგურ“, ჩეჩნურ-ინგუშური „დეჩიგ-ფონდურ“, დაღესტნური „თამურ-აგაჩ ყუმუზ“, ოსური „დალა ფანდირი“, რომლებიც მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი კავკასიის სხვადასხვა ხალხებში.

ამგვარად, ჩონგური და ფანდური, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მრავალფუნქციურ საკრავად გვევლინება. მისი ძირითადი დანიშნულებაა გასართობი ფუნქცია, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს მას სარიტუალო ქმედებებში. რადგან მისი თანხლებით სრულდებოდა როგორც სამგლოვიარო, ასევე სამხიარული და რელიგიური დატვირთვის სიმღერები.

ლიტერატურა

1. დ. არაყიშვილი, ხალხური სამუსიკო საკრავების აღწერა და გაზომვა. თბილისი, გამომცემლობა „ტექნიკა და შრომა“, 1940 წ. 42-43 გვ.
2. ვ. ბარდაველიძე, „ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან“, ღვთაება (ბარბარ-ბაბარ), თბილისი, საქართველოს სსრ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941 (II გამოცემა), თბილისი, „კავკასიური სახლი“, 2006. გვ.58-69
3. ლ. ბედუკიძე, „ხალხური ავეჯი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1973. 112 გვ
4. გ. გასიტაშვილი, „ხის დამუშავების ხალხური წესები“, თბილისი, 1962 წ. 33 გვ.
5. ჯ. რუხაძე, „ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დაღესასწაული საქართველოში“, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1999 122 გვ.
6. მ. შილაკაძე, „ქართული ფანდურის წარმომავლობის შესახებ“, გამომცემლობა „მაცნე“ (ისტორიის სერია 1), 1974, 150 გვ.
7. მ. შილაკაძე, „ტრადიციული სამუსიკო საკრავები და ქართულ-ჩრდილოკავკასიური ეთნოკულტურული ურთიერთობანი“, გამომცემლობა „კავკასიური სახლი“, თბილისი, 2007. 81-93
8. მ. ხაზარაძე, „ქართული ხალხური ხის ჭურჭელი“, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“ 1988, 53 გვ.

**PANDURI AND CHONGURI AS A RITUAL ATTRIBUTE IN GEORGIAN
ETHNOGRAPHICAL REALITY**
I. Okruashvili, M. Kharaishvili
Georgian National Museum
Summaey

The article talks about Georgian three and four string "Chonguri". It describes the structure and form of the instruments, rules of thier production, folk knowledge – experience, function and the specific role of these instruments in Georgian customs and rituals.



МУЖСКАЯ МОДА XXI ВЕКА: ОСНОВНЫЕ ТЕНДЕНЦИИ И НАПРАВЛЕНИЯ

К.Л.Пашкевич¹, Ю.А.Костогрыз², Е.Д. Герасименко³, Лю Цзянсинь⁴

^{1,2,3} Киевский национальный университет технологий и дизайна

⁴ Чанчуньский педагогический университет, Китай

Рассмотрены основные тенденции развития мужской моды XXI века. Проведен анкетный опрос мужчин, как потребителей одежды, с целью изучения их предпочтений. Дан прогноз тенденций развития мужской моды в XXI веке, эволюции ассортимента мужской одежды, а так же изменения модных предпочтений мужчин на ближайший период.

Ключевые слова: мужская мода, классический стиль, дизайнерские решения, мода XX-XXI века, анкетный опрос.

Мужская мода XX – начала XXI веков довольно многогранна и разнообразна, однако, можно проследить тенденции к общемировой универсализации костюма. Технологии производства одежды в различных странах развиваются приблизительно в одном направлении и, по наблюдениям исследователей различных торговых марок, замечено, что во всём мире дизайнеры пользуются идеями и патентами друг друга. Следует отметить, что климатические условия, экономическая ситуация того или иного региона, а так же структура внутреннего рынка диктуют определённые условия его развития. Для правильной расстановки приоритетов в создании и реализации дизайнерских коллекций в конкретном регионе необходимо проводить анализ модного рынка, особенности его формирования, исследовать потребительские предпочтения.

Исследованием тенденций развития мужской моды в XXI вв. занимались учёные: Елизаров А.А. [1] описал эволюцию мужского классического костюма в XX – начале XXI вв., Пашкевич К.Л. [2] предложила метод прогнозирования изменения основных параметров мужских пиджаков, Масленцева Н.Ю. [3] выполнила социологический анализ молодёжной моды в России.

Цель исследования. История развития мужской моды насчитывает несколько тысячелетий. Тем не менее, мужской костюм, в современном понимании и комплектации, существует относительно недавно. В связи с этим, нами была поставлена задача, рассмотреть основные тенденции развития мужской моды в XX – XXI веках, проанализировать основные предпочтения мужчин в одежде и, на основе проведённых исследований, спрогнозировать эволюцию ассортимента мужской одежды и модные предпочтения на ближайший период.

Результаты исследования и их обсуждение. Родоначальницей мужской моды считается Англия. Именно здесь, в XIX веке, сложился мужской костюм-тройка, состоящий из брюк, жилета и пиджака. В начале XX века весь мир был занят, в большей или меньшей степени, проведением военных действий, что отразилось и на предпочтениях в одежде, которые сводились к военной форме цвета хаки и её атрибутам. С середины XX века, вместе с мирными настроениями, царящими в обществе, происходят кардинальные изменения в мужской моде. В одежде используются изобилие ярких принтов, сочных красок и их неожиданные комбинации, образуются и развиваются различные стили и направления в моде. Мужчины подражают звёздам кино и музыки, перенося их яркие образы в повседневный образ. Со второй половины XX века в мужскую моду возвращаются мужественность, лаконичность и классический стиль, который занимает лидирующие позиции в повседневной жизни представителей сильного пола. Эти тенденции сохраняются так же и в начале XXI века.

Было проведено анкетирование среди мужчин с целью определить, одежду какого стиля они предпочитают носить на сегодняшний день. Проведённый опрос и последующий анализ



результатов, показал, что около 60% мужчин предпочитают классический стиль в одежде в рабочее время и для торжественных мероприятий. В нерабочее время большинство выбирают более свободную и неформальную одежду: классический стиль (12%), кежуал (38%), спортивный (15%), милитари (17%), прочие стили и направления (18%).

Тенденции, в пользу выбора мужчинами для работы и официальных мероприятий демократичного костюма, наблюдаются в большинстве стран «цивилизованного» мира, иногда, с использованием национальных деталей в одежде. В Украине, например, это сочетание национальной сорочки-вышиванки с классическим костюмом. Это показывает, что для успешного продвижения и реализации коллекции модной одежды, необходимо учитывать особенности региона, в котором планируется реализация моделей одежды. Следует обратить внимание не только на климатические и географические условия данного региона, но и художественные и этнические традиции в искусстве и костюме, образ жизни, особенности быта, менталитет.

Не смотря на разнообразие необычных дизайнерских решений и стилевых направлений, большинство мужчин выбирают одежду классического стиля во многом благодаря его универсальности и лаконичности, добавляя в костюм модные аксессуары и интересные детали. Таким образом, классический костюм продолжает оставаться лидером выбора большинства представителей сильного пола.

На европейских модных показах осень-зима 2018-2019 дизайнеры предлагали сочетать классический костюм со свитером, джемпером или водолазкой. По прогнозам популярными будут двубортные пиджаки.



Рис.1 Сочетание классического костюма со свитером: а, б – Versace, в – Alexander McQueen; двубортные пиджаки от: г – Balenciaga, д – Paul Smith, е – Giorgio Armani

На показах осень-зима 2018-2019 в Европе популярностью пользовались костюмы в клетку. Много моделей было представлено из велюра и вельвета.

Анализ коллекций дизайнеров сезона осень-зима 2018-2019 показал, что классический костюм продолжает быть популярным. Изменяются форма, силуэт, конструктивно-декоративные элементы и их оформление, цвет, рисунок и фактура тканей, количество использования отделочных материалов и способы отделки, но классический костюм – это официальный выбор для торжественных мероприятий и деловых встреч, а так же дресс-код большинства бизнес-организаций и компаний.



ა ბ ვ გ დ ე

Рис.2 Костюмы в клетку: а, б – Ermenegildo Zegna, в - Dries Van Noten; костюмы из вельвета: г, д – Giorgio Armani; костюм из велюра: е – Giorgio Armani

Не смотря на то, что подиумы всё чаще представляют мужские образы сложных стилистических решений, объёмных пространственных форм и необычных дизайнерских предложений, в повседневной жизни у большинства мужчин пользуется популярностью классический стиль. Нестандартные модели одежды с необычным дизайном, объёмно-пространственным решением или расцветкой интересны, но большинство выбирают классику, добавляя в костюм модные элементы. Дизайнеры принимают во внимание предпочтения мужчин, предлагая варианты костюмов, с большей или меньшей степенью креативности, сложности форм, объёмно-пространственного решения, используемых материалов, способов обработки и отделки.

Выводы. Рассмотрены основные тенденции развития мужской моды в XX – XXI веках. На основе анкетирования проанализированы основные предпочтения мужчин в одежде. Рассмотрены модные предложения известных дизайнеров и составлен прогноз эволюции ассортимента мужской одежды и модные предпочтения на ближайший период.

Литература:

1. Елизаров А.А. Эволюция мужского классического костюма в XX – начале XXI вв.: монография – Санкт-Петербург – 2015 – 224 с.
2. Пашкевич К.Л. Прогнозування композиційно-конструктивних параметрів моделей чоловічих піджаків // Вестник ХНТУ – 2014 г. – №4 (51). – с. 102-108.
3. Масленцева Н.Ю. Молодёжная мода в одежде в условиях современной России: Социологический анализ: автореф. дис. на соискание уч. степени канд. соц. наук – Екатеринбург. – 2003. – 135 с.
4. Официальный сайт Vogue [Электронный ресурс]: Режим доступа: <https://www.vogue.com>

MEN'S FASHION OF THE XXI CENTURY: MAIN TRENDS AND DIRECTIONS
K.L.Pashkevich¹, Yu.A.Kostogryz², E.D. Gerasimenko³, Liu Jiangxin⁴
1,2,3 Kiev National University of Technology and Design
4 Changchun Pedagogical University, China

Summary

Abstract. The main trends in the development of men's fashion in the XXI century was considered. A questionnaire survey of men, as consumers of clothing, was conducted in order to study their preferences. Based on the obtained results, the trends of the men's fashion development in the XXI century and the men's clothing assortment evolution was forecasted, as well as changes in men's fashionable preferences for the coming period were given.



ქართული ნაციონალური კერძები, ტრადიციულობა და მასთან დაკავშირებული სამეურნეო შედეგები

რ. ხაჭაპურიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კულტურის ისტორიის საკითხების კვლევისას გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება უძველესი რწმენა-წარმოდგენების შესწავლას. ამგვარ საკითხთა რიგს განეკუთნება ხალხური აგრარული კალენდრის დღეობა-დღესასწაულები, ქართული ნაციონალური კერძები, თავისი სამეურნეო შედეგებით, რომელთა თავდაპირველი არსისა და მნიშვნელობის გამოვლენას შეუძლია სიცხადის შეტანა მათ თანდათანობით ტრანსფორმაციასა თუ რელიგიური აზროვნების საფეხურების დადგენაში.

ყოველი ხალხის ტრადიციული სუფრა ყოფითი კულტურის ერთ-ერთ ელემენტს შეადგენს, მით უფრო როდესაც ამა, თუ იმ კუთხეში სხვადასხვა სახის კერძებს ვხვდებით და საერთო ჯამში კი, საქართველოს ნაციონალურ კერძებს წარმოადგენს, რომლითაც ქართველი ხალხი მსოფლიოში ცნობილი ხდება. ყოფითი კულტურა კი რთული, სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში მრავალი ფაქტორის ურთიერთზემოქმედების შედეგად წარმოშობილი დანამკრებებისაგან შედგება. ყოფითი კულტურიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა სამხარეულოს მთლიანობაში შესწავლა საშუალებას იძლევა გავითვალისწინოთ, თუ როგორ სოციალურ გარემოში ჩაეყარა საფუძველი მის ამა თუ იმ ელემენტს, რა ცვლილებები განიცადა თითოეულმა მათგანმა სხვადასხვა ეპოქაში და როგორი სახით მოაღწია დღემდე.

ქართული სამხარეულო ისეთივე უძველესია, როგორც თვით ქართველი ერი. მოგესვენებათ, საქართველო პატარა ქვეყანაა და მიუხედავად ამისა, საკვების საოცრად მდიდარი პალიტრა აქვს. სწორედ ამან განაპირობა ის, რომ კახეთში, ქართლში, იმერეთში, ფშავ-ხევსურეთში, გურიაში, სამეგრელოში, რაჭაში, სვანეთში, აჭარაში, ლეჩხუმში, სამცხე-ჯავახეთსა თუ სხვაგან ერთი და იგივე დასახელების კერძების დამზადების უამრავი რეცეპტი არსებობს.

ქართველი ხალხის ქართული სუფრა მეტად რთული და მრავალფეროვანია. მისთვის, საერთო ქართულთან ერთად, ცალკეული რეგიონალური, ცალკეული კუთხეების სპეციფიკურობაც არის დამახასიათებელი. საინტერესოა, რომ ქართულ კერძებში მჭიდვანდება არქაული ელემენტები და მასზე როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე რელიგიური ფაქტორების ზემოქმედება ჩანს.

ქართული სამხარეულო, კულინარიის სტილი, რომელიც საქართველოდან მომდინარეობს და ქვეყანაში საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა. საგრძნობი განსხვავებაა ქვეყნის რეგიონულ სამხარეულოებს შორის. აღმოსავლეთ საქართველოში ხორცის, ღვინის, პურეულისა და ცხოველური ცხიმების სიჭარბე შეინიშნება, დასავლეთ საქართველოს სამხარეულო კი ნივთიერება და წიწაკით შეზავებული საწებლების, მხალეულის და რძის პროდუქტების კერძებით გამოირჩევა. საქართველო ღვინის სამშობლოა, აქ ვაზი თითქმის ყველგან ხარობს, ქართულ ღვინოს ქვევრში აყენებენ.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ რაც უფრო სერიოზულ ყურადღებას აქცევს ადამიანი სწორ კვებას, რაც უფრო გონივრულადაა შედგენილი მისი მენიუ, მით უფრო ჯანმრთელია იგი და თავს მხნედ და ხალისიანად გრძნობს.



ქართული სამხარეულოს მრავალფეროვნებაზე არაერთი რამ თქმულა თუ დაწერილა. ეროვნული სამხარეულოს ჩამონათვალის სათავეში, კი მუდამ საცივი, მწვადი და ხინკალია მოქცეული.

კახეთი განთქმულია ვენახებითა და შესანიშნავი ღვინით, კახური სამხარეულოს ტრადიციული კერძებია: მწვადი, ხაშლამა, ჩაქაფული, ჩიხირთმა და სხვ. კახური მწვადი ვაზის ლერწზე იწვება, რაც მწვადს განუმეორებელ გემოს ანიჭებს. ყურძნის წვენის - ბადაგისაგან ამზადებენ ტრადიციულ ტკბილეულს: ჩურჩხელასა და თათარას (ფელამუში). კახეთში ცხვება მოგრძო ფორმის შოთის პური.

სამცხე-ჯავახეთში დელიკატესად ითვლება აპოხტი - დამარილებული და გამომშრალი ხორცი. ტრადიციული კერძია თათარბერაკი - წვრილად დაჭრილი ცომის მოხარშული ნაჭრები, რომელსაც ერბოში მოშუშულ ხახვთან ერთად მიირთმევენ. თუთის ნაყოფისგან ამზადებენ თაფლს სახელად - ბაქმაზი. მესხური სამხარეულოს სიამაყეა ტენილი ყველი. განვითარებულია აგრეთვე მეფუტკრეობა. აქ არის ხორბლის დიდი ასორტიმენტი და მრავალფეროვანი ცომეული საკვები: კაკალა, სომინი, ჩაწეკილი პური, ბაზლავა ხმიადი და სხვა.

სამცხე-ჯავახეთის რამდენიმე სოფელში ცხოვრობენ წარმოშობით ფრანგი კათოლიკეები. ისინი მიირთმევენ ლოკოკინებსაც, რომელსაც დეკემბრის თვიდან აგროვებენ. აქვე ამზადებენ გოზინაყს და თაფლის ნაცვლად მასში თუთის თაფლს - ბაქმაზს იყენებენ.

ქართლში განვითარებულია მეხილეობა, დიდი წილი მოდის ვაშლსა და ატამზე. განვითარებულია მევენახეობა. თუმცა ქართლის სამხარეულო მაინც განთქმულია წვნიანებით. აქაურ ტრადიციულ შეჭამადებს მიეკუთვნება შინდის, დოსა და ლოლოს შეჭამანდი, პურის ხარჩო. აქ ისევე როგორც კახეთში გამოიყენება ნაირგვარი მწვანილი და ბოსტნეული. განსაკუთრებით პოპულარულია: ლობიო, კარტოფილი, ხახვი, კომბოსტო, კიტრი, პამიდორი, ბოლოკი, ნიორი, წიწმატი, ქინძი, ოხრახუში და ნიახური. ქართლი განთქმულია აგრეთვე შესანიშნავი მწნილეულობით, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ჯონჯოლის მწნილი.

მთიულეთი, თუშეთი, ფშავი, ხევსურეთი - საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში, კერძოდ თუშეთში პოპულარული და ტრადიციული კერძებია: ხინკალი, გორდილა (წყალში მოხარშული ცომი), ყადი (გამოყვანილი ხორცი), ყაურმა, კონტორი (ხაჭოს გულსართიანი ხაჭაპური). თუშური სამხარეულოს სიამაყეა გუდის ყველი. ფშავ-ხევსურეთში ხინკალი თუმცა შეიძლება დამზადდეს როგორც ხორცი, აგრეთვე ხაჭოთი და კარტოფილითაც. მთიანეთის კიდევ ერთი ტრადიციული კერძია ხაჭოერბო, რომელსაც მოგანში გამომშრალი, დავარგებული ხაჭოს გუნდებისგან აკეთებენ. კიდევ ერთი კერძი - ხავიწი მზადდება ერბოს, ფქვილისა და შაქრისგან, იგი ტკბილი ქადის გულსართადაც გამოიყენება. განთქმულია აქაური ლუდი და არაყი - ჟიპიტაური.

იმერული სამხარეულოს მშვენებაა ჭყინტი ყველი და ხაჭაპური. მჭადს და ხაჭაპურს აქ როგორც წესი კეცზე აცხობენ. იკვებებიან მხალეულითა და ფრინველის ხორცი. მხალეულს იმერეთში ნიგვზითა და ძმრით კაზმავენ, შემწვარ ხორცეულს კი ნიორწყალში ან საწებელში აწყობენ. აქაურების სიამაყეა ცხოველების შიგნეულობისაგან დამზადებული კერძი - კუჭმაჭი. იმერეთში ტრადიციულად ამზადებენ სოკოს კერძებს, გამორჩეულია ქამა და ნიყვის სოკოსაგან დამზადებული საკვები და მანჭკვალას კონსერვი, რომელიც დამარილებული ინახება რამდენიმე ზამთარს. აქაურების უსაყვარლესი საჭმელია ამოზელილი ლობიო, რომელსაც ხშირად ნიგვზით ან კვანარახით ამზადებენ.



სვანურ სამზარეულოში მეგრულის მსგავსად ტრადიციულია სულგუნი. ტრადიციულია აგრეთვე ჭვიმტარი, რომელიც სიმინდის ფქვილისა და სულგუნის ნაზავისაგან მომზადებული კვერია და კუბდარი - პურის ცომში ჩაშუშული, წვრილად დაკეპილი ხორცი. აქ მზადდება თაშმიჯაბი, რომელიც ყველით გადახედილი კარტოფილის პიურეა. ცალკე აღნიშვნის ღირსია სვანეთის სიამაყე სვანური მარილი - სუფრის მარილით, წიწაკითა და სხვადასხვა სურნელოვანი მცენარით შეზავებული სანელებელი, რომელიც კერძებს განუმეორებელ გემოს მატებს.

რაჭა, ლეჩხუმი - რაჭული სამზარეულოს ცნობილი კერძებია - შქმერული, ლობიოს შეჭამანდი და ლობიანი, რომელიც ლორით შეზავებული ლობიოს გულსართით მზადდება. რაჭველები ლობიანებს პურის მსგავსად თონეში აცხობენ. ისინი განსაკუთრებულად ამზადებენ ღორის ლორს, რომლის მომზადებასაც კვირები სჭირდება.

აჭარული სამზარეულო ყველაზე მრავალფეროვანია, იგი ფერთა მთელი პალიტრაა. აქ ერთმანეთშია შერწყმული მთის ხისტი და ზღვისპირეთის ნაზი არომატები. აჭარული სამზარეულო განიცდის თურქული კულინარიის კულტურულ ზეგავლენას. აჭარული ტკბილეულებია: ბაქლავა და შაქარლამა. მთიანი აჭარის სამზარეულოში რძის პროდუქტები ჭარბობს, იგი უფრო ცხიმოვანი და მდიმეა. ცნობილია აჭარული ზღვისპირეთის უცხო სუნელი, ხმელი ქინძი და წიწაკა. თუმცა ყველაზე პოპულარული აჭარული კერძებია: ბორანო (კარაქში ჩამდნარი ყველი), ჩირბული (კვერცხითა და ნიგვზით მომზადებული საუზმე) და სინორი (ნადულითა და უფუარი ცომის ხმელი ფირფიტებით მომზადებული კერძი).

მეგრული სამზარეულოს მშვენიერებაა - სულგუნი, რომელიც სხვადასხვა კერძის მოსამზადებლად გამოიყენება. სამეგრელო გამორჩეულია ისეთი უმშვენიერესი კერძებით, როგორცაა: ღომი (სიმინდის ღერდილის სქელი ფაფა), ელარჯი (ღომში ჩაზელილი სულგუნი), გეხა-ლია (პიტნით შეზავებული ყველის რულეტი), ჯურჯანი (შეზავებული შიგნეული). მეგრელები ცნობილი არიან (დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეების მსგავსად) ცხარე კერძების მომზადებით, გამორჩეულია მეგრული აჯიკა და საწებელი (ტყემალი). ერთერთი ყველაზე პოპულარული ხაჭაპურის ტიპია აჭარულ და იმერულ ხაჭაპურთან ერთად მეგრულიც, რომელიც ქართულ რესტორნებში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

აფხაზური სამზარეულოც მდიდარია ნაირგვარი საწებლით, ნიგვზითა და წიწაკით შეზავებული კერძებით. აფხაზეთში ყოველდღიური საჭმელია აბისტა - სიმინდის ფქვილის ფაფა, რომელსაც ლობიოსთან, ყველთან და ხორცთან ერთად მიირთმევენ. აფხაზური ტრადიციული კერძებია: აშვჩაპანი (გადახედილი ყველი), არიცვმელი (ნიგვზიანი მჭადი), აყრდცა (ლობიოს შეჭამანდი) და სხვა.

გურული სამზარეულოში იმერულის მსგავსად, აქტუალურია ფრინველის ხორცის კერძები და სხვადასხვა მცენარეულობისაგან მომზადებული მხალეულობა, აგრეთვე სიმინდის ფქვილი და ტრადიციული მჭადი. მჭადისა და თევზის შესაწვავად გურულები კეცის ძირში ვაზის ან კაკლის ფოთლებს აფენენ, რაც კერძებს განსაკუთრებულ არომატს აძლევს. კერძების შესაზავებლად ფართოდ გამოიყენება ნოგოზი და მეტწილად თხილი. საყოველთაოდაა ცნობილი გურული ღვეზელი- ნახევარმთვარის ფორმის ხაჭაპური, რომელშიც წინასწარ მოხარშული და შუაზე გაჭრილი კვერცხი დევს. გურულები ამზადებენ აგრეთვე ჯანჯუხას - თხილის გულსართთან ჩურჩხელას [1].

დასავლეთ საქართველოში მეურნეობის განვითარებული დარგებია: მიწათმოქმედება,



მევენახეობა, მესაქონლეობა, მეფრინველეობა და მეაბრეშუმეობა. ხალხი მუხლჩაუხრელი შრომის გარდა სხვადასხვა საშუალებებს მიმართავდა პირუტყვისა და ფრინველის ჯანმრთელობის დაცვისათვის. ზოგისთვის კი ოჯახის კეთილდღეობა სწორედ რომ მათზე (“მარჩენალ” საქონელსა და ფრინველზე) იყო დამოკიდებული.

ადამიანთა ცხოვრებაში მიწის კეთილნაყოფიერებისათვის განკუთვნილ მრავალგვარ რიტუალს ვხვდებით. არსებობდა მიწათმოქმედების ხალხური კალენდარი, რომლის მიხედვითაც, კარგად ჩანს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წელიწადის რა დროს, რომელ რელიგიურ დღესასწაულზე როგორ ხდებოდა სამიწათმოქმედო საქმიანობა: “მე. სტილით 4 დეკემბერი **ბარბარობა** დღე რაჭა-ლეჩხუმში “**დიაღწველობის**” (დღესასწაულთა) თავდღედ, დასაწყისად ითვლება. ვახშმისათვის ოჯახის უფროსი ქალი აცხობდა ჯვარდასახულ სართვიან სამ განატეხს ტაბლას. ვახშმის წინ ამ ტაბლებს და კეცს, რომელზედაც ნაკვერჩხალს ყრიდა და ზედ საკმეველს აკმევდა, დადებდა პატარა სუფრაზე. ამ უკანასკნელს სამჯერ შემოატრიალებდა კერასთან და ღვინით დაილოცებოდა” [2].

ქანტილობა. შობის წინა დღეს ლეჩხუმში, ქვედა რაჭაში ქანტილობა, ზემო რაჭაში კი შობის შემოლოცვა ეწოდება ამ დღეს ხარებს არ აუღლებდნენ [2].

შობა. მაისის დამლევს ხარების მთაზე გარეკვის წინ მათ თავზე ყვინჩილას შემოავლებდნენ, შეავედრებდნენ ღმერთს საქმონლის ნადირისაგან თუ ფათერაკისაგან დაცვას და შინ მშვიდობით დაბრუნებას [2].

ახალი წელი. ჩვენთვის საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში **ახალი წლის** ციკლში და ხვნა-თესვასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებში პურეულისა და ფეტვნარი კულტურების დასაბეველად სხვადასხვა რიტუალები სრულდებოდა, რომლებშიც **კერია-ბერია**, წმ. ბასილი და «ყვინჩილა კვერი» მონაწილეობდა.

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მოპოვებული და საქართველოში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ლიტერატურაში გამოქვეყნებული მასალები შევადარეთ ერთმანეთს და არის როგორც საერთო, ასევე შეინიშნება განსხვავებული ელემენტებიც. რაჭაში ახალ წელს ცხვებოდა რიტუალური კვერები, რამდენიმე „კაცა ბასილა“, სამი „კერია-ბერია“, რომლებსაც „წლის თავს“ ეძახდნენ და „წმ. ბასილი“. „კერია-ბერიას“ ზედაპირზე საჭრეთლით ასტრალური ორნამენტი იყო გამოსახული. ამ კვერებს ზოგჯერ იმდენს აცხობდნენ, რამდენი თვალიც ჰქონდა ბელელს, რომ დოვლათი და ბარაქა არ გამოლეულიყო. „**კერია ბერია**“ მისალოცს წარმოადგენდა, რომელსაც მეკვლე **სამჯერ დაატრიალებდა და ოჯახის ჭირნახულის დოვლათიანობას, საქონლის გამრავლებასა და ოჯახის ბედნიერებას შესთხოვდა.**

ამის შემდეგ მეკვლე ოჯახს „კერია-ბერიათი“ და „ერთი სანთელ-განათეხით“ საქონელის გამრავლებას მიულოცავდა. „კერია-ბერია“ და „ბასილი“ ნათლილებამდე „საპურის თავზე“, ვარცლზე და ბელელში ინახებოდა. ნათლილებას ოჯახის უფროსი დაილოცებოდა, ამ პურებს დაამტვრევდა, ბავშვებს დაურიგებდა. ზოგჯერ „კერია-ბერიას“ პურიდან მრგვალ „ბეჭდებს“ ამოჭრიდა და ბელლის თითოეულ თვალში ჩადებდა, ბარაქიანი მოსავალი იქნებოდა.

თუ შევადარებთ სხვა გამოქვეყნებულ მასალას, ვნახავთ, რომ მაგალითად გურიაში **ახალ წელს** ცხვებოდა „დედო პური“, რომელზეც გამოსახული იყო ხარების უღელი, „პურისა“ და „ღომის თაველი“, „ტარო“, „საცეხელის სალოცავი ხელკავით“, „ლობიოს პარკი“,



„ნამგალი“, „პატარა თოხი“, „ქათმის“, „ინდოურის“ და „იხვინების კვერები“. იცოდნენ აგრეთვე „ხარის კისერის“, „აგუნას პურის“, „ცხემლის ჭრის პურის“, „ბასილის“, „ყვინჩილას“ და სხვა კვერების ღადარში გამოცხობა. ამ კვერებს ახალი წლის წინა ღამეს შემოსალოც გობზე დააწყოდნენ, „ხარის კისერს“ და „ყვინჩილას“ კი ჩიჩილაკზე ჩამოვიდებდნენ. დილით, „შემოლოცვის“ დროს მეკვლე გობს წაღმა დაატრიალებდა და სამჯერ დაილოცებოდა: „ღმერთო, მოგვეცი ბევრი საჭმელი და ბევრი ქონება“ და ოჯახს მიულოცავდა სიტყვებით: „ბედელი ღომით აგვესოს, შავი ღვინით მარანიო“.

„შემოლოცვის“ შემდეგ ოჯახის უფროსი კაცი ხვნა-თესვის დასაბეველად მოთოხნიდა და თესავდა. დიასახლისი ყანაში წაიღებდა ხაჭაპურს, ღორის ხორცის მსუქან ნაჭერს, ღვინოს და მომავალი წლის კარგი მოსავლის აღებაზე დაილოცებოდა, „მოსავალს დაიბედნიერებდა“.

აღსანიშნავია, რომ რაჭაში სახნავში გასვლის დროს ცხვებოდა რამდენიმე რიტუალური პური – „კერია“. მხენელი ერთ „კერიას,, ხვნის დაწყებამდე ხარებს ზურგზე გადაუსვამდა და შეაჭმევდა, მეორე „კერიის“ განატეხს კი სახნავში წაიღებდა, იქ დაილოცებოდა: „ღმერთო გაამრავლე ნახნავ-ნათესი, ამ ყანა-ველის მომხმარებელიო“ და კვერს შეჭამდა.

გურიაში ახალი წლის წინა დღეს „ცხემლის ჭრის დღე“ ერქვა. ოჯახის „სიმსუყის,, დაბევეების მიზნით უფროსი კაცი დილით ნედლ ცხემლას მოჭრიდა და სახლში შეიტანდა. საღამოს მზადდებოდა „ცხემლის ჭრის“ ვახშამი, დიასახლისი აცხობდა „ცხემლის ჭრის“ ხაჭაპურს, მამაკაცი დაკლავდა როგორც საკალანდო „საბასილოზო მამლუჩას“, ასევე „ცხემლის ჭრის“ მამალს, რომელიც იმ ღამესვე უნდა ეჭამათ; ვახშამად აუცილებლად უნდა მოემზადებინათ აგრეთვე საკალანდოდ დაკლული ყველა ქათმის თავ-ფეხი, კუჭ-მაჭი და მოხარშული ღორის „საჯიქიო“.

ახალ წელს, დილით, ოჯახის უფროსი „შემოლოცვის,, შემდეგ გარეთ გავიდოდა და „ხალა, ხალას“ იძახდა, ამასთანავე ანთებულ მუგუზხალს შეანძრევდა, რომ მას ბევრი ნაპერწკალი დასცვენოდა. ოჯახის უფროსს ჯოხის დარტყმით ამ დროს წარმოთქმული სიტყვებით სურდა პურისა და ღვინის დოვლათი, ოჯახის სიმრავლე და კარგი წელიწადი დაეხდებინა. ამავე სიტყვებს ოჯახის ყველა წევრი იმეორებდა [3]. მეკვლე შემოსვლისას ღომის მარცვალს მოაბნევდა სოხანეში, სამჯერ შემოუვლიდა კერას... დაიძახებდა: „ამდენი გოჭი, ამდენი ქათამი“. ახალი წლის „სამეკვირილოში“ შედიოდა ადამიანის სახის ნამცხვარი – კაცი-ბასილა და კერია-ბერად წოდებული დიდი პური. რომლებსაც კერასთან წაღმა შემოატრიალებდნენ და დაილოცებოდნენ, ხარებს შეავედრებდნენ უფალს [3].

ნათლიღება. 6 იანვარს წირვაზე მიჰქონდათ ყოველგვარი მარცვლეულის თესლი, „წირვას მოაყურებინებდნენ“. ამ ნაკურთხ თესლსა და წყალს შეინახავდნენ. გაზაფხულზე თესვის დროს ამ მარცვლისა და ნაკურთხი წყლით შეზედილი ნაცარწმენდილისაგან გამომცხვარ დაფშვნილ კვერებს თესლს შეურევდნენ” [3].

ბოსლოზა. ბოსლოზამდე ერთი კვირით ადრე უქმობდნენ. მიწისმოქმედნნი თმას არ ივარცხნიდნენ, რათა ყანაში ნათესი არ დამპალიყო და არ გამეჩხერებულიყო. თებერვალში ან იანვარში ყველიერის წინა შაბათს კი ბოსლოზას უქმობდნენ” [3].

თედოროზა. შავი ორშაბათიდან შაბათამდე თმობის კვირა (ლექხუმში), თედოროზის კვირაა (რაჭა). შაბათს თოდოროზა დღეა. თედორე, მთხრობელთა აღნიშვნით დიდი მუშა, მიწის მუშა იყო, ამ დღეს სავახშმოდ აცხობდნენ ტაბლა-განატეხებს [3]. ქართველოლოგიის სა-



მეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მასალების მიხედვით რელიგიური დღესასწაულის – “თედორობის” წინა სადამოს ოჯახის უფროსი მწარე კვახს მრგვალად ამოჭრიდა, ჩაყრიდა შიგნად, სიმინდს, ლობიოს, ერთ ცალ ნიგვზის კაკალს, გავიდოდა ყანაში, დაიწყებდა თესვას, მას უკან მიჰყვებოდა დიასახლისი, რომელიც ხის გობზე დააღაგებდა ცხრა თავ საჭმელს, ღვინოს, აანთებდნენ სანთლებს და სამჯერ დაილოცებოდნენ: “ღმერთო, მოგვეცი კარგი მოსავალი, ვენახის მსხმოიარობა, ჰაერის კეთილშეზავება“ [4]. ან კიდევ, დიდ ხუთშაბათს დილით ადრე უბრად ყანას ნაჭით, ან სახნისით ხელში შემოუვლიდნენ და ამბობდნენ:

*“ჯვარი აქეთ, ჯვარი აქეთ, შენი სვი და შენი ჭამე,
ჩვენ ყანას ჯვარი დასწერე, ჰაუ, ჰაუ, ტურა ქალო”.*

ამ შელოცვას გაიმეორებდნენ სამჯერ [4].

მსგავს რიტუალს ასრულებდნენ სვანეთშიც. აქ კალოს ნაჯახით ან სხვა რამე რკინულთ სამჯერ შემოუვლიდნენ და ამბობდნენ: „ღმერთო კალოს ბარაქა მიეცი, ვისაც ჩემს კალოზე ცუდი თვალი და გული ქონდეს, შენ გაახმე, ამოაგდე, მისი ძე და მომავალი, ჩემ კალოს ჯვარი დასწერე“ [5].

აღნიშნულ დღეობათაგან ყურადღებას იქცევს კავკასიასა და ბალკანეთში დამოწმებული თედორობა. მას საქართველოში, სხვადასხვა კუთხის მოსახლეობის ხალხურ კალენდარულ დღეობებს შორის, ეთმობა ერთ-ერთი საპატიო ადგილი. თედორობა დღეს შესასრულებელ წეს-ჩვეულებათა ერთი წყება ცხენისადმია მიძღვნილი; სრულდება ცხენის ლოცვა, ცხევა მისი გამოსახლების რიტუალური კვერები და ა. შ.

აღნიშნულ სათედორობო წეს-ჩვეულებათა საფუძველზე, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიკვეთა მოსაზრება, რომ თედორობა მესაქონლური დღეობაა და თუმცა წმ. თედორეს შესთხოვეს ყველა შინაური პირუტყვის მფარველობასა და გამრავლებას, ეს დღე, უპირატესად, მაინც ცხენისადმია მიძღვნილი (ისე როგორც სხვა მესაქონლური დღეობები ეძღვნება, უმთავრესად, რომელიმე შინაურ ცხოველს, მაგალითად, ბოსლობა-ხარს, გოჭის ხუთშაბათი-ლორს), თავად წმ. თედორე კი ცხენების მფარველია. მაგრამ ეთნოგრაფიული მასალის ჩაღრმავებულმა ანალიზმა მოგვცა დასკვნები, რომ: თედორობა არა მხოლოდ ცხენისადმი ან თუნდაც ზოგადად მესაქონლეობისადმი მიძღვნილი დღეობაა, არამედ იგი ატარებს ფართო აგრარულ ხასიათს [6].

ახალი წლიდან დაწყებული ერთმანეთს მისდევდა დღეობები, რომლებიც მიწის მოსავლიანობის გადიდებისა და გვალვა-დეღამის საწინააღმდეგოდ იყო განკუთვნილი და რომელთა სალოცავი და შესაწირავი ფრინველი მამალი იყო.

ელიობას გურიაში, იმერეთსა და სამეგრელოში ორი კაცი ყანაში წავიდოდა, წაიღებდა ერთ ქოთან რძეს, ოთხ კვერს, მამალსა და ლეკუხას (ხეჭრელი) ჯოხს... მიწას დროგამოშვებით ჯოხს არტყამდა და გაიძახოდა: “წმ. ელია, მაჩუქე ყანაო”; გურიაში ელიობას მამლს ყანის თავზე კლავდნენ. აცხობდნენ საელიობო კვერს...” [7]. ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში ყანის დასაცავი რიტუალების გვერდით გვხვდება მიღებული ჭირნახულის დალოცვის, მშვიდობაში მოხმარების აღსანიშნავი შელოცვებიც. კალოზე პურის ლეწვისას, მინდორს სამჯერ შემოუვლიდნენ და ამბობდნენ [3]:

*“ამოქროლდი ზენა ქარო, მინაკალო ვაჰარჰალო,
გამოვაცხობთ ცხელი პური და ბავშვები გავახაროთ”*

მსგავი შელოცვების ვარიანტებს ვხვდებით თ. შიოშვილის “ქართულ ხალხურ შელოც-



ვებშიც” [8]:

ძველად, საკმაოდ გავრცელებული ყოფილა ვენახის დასაცავი რიტუალები.

“მევენახეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი და ტრადიციული დარგია. იგი არა მარტო ქვეყნის ეკონომიკის საყრდენია, არამედ ქართველი ხალხის თავისებურებათა ჩამოყალიბების ერთ-ერთი საფუძველიც. “მნელია მსოფლიოში მოიძებნოს ქვეყანა, სადაც ვაზის კულტურა ასე მრავალმხრივ, ამომწურავად იყოს გამოყენებული, როგორც ჩვენთან. ხალხი მეღვინეობის ნარჩენებისაგან ნამცეცს არ კარგავდა” [9].

შემოდგომაზე, როცა ფელამუშს მოადულებდნენ, ვენახის ძირში მოასხამდნენ, წლის მოსავალია და გაისად უკეთესად მოისხამსო, ან ყურძნის მოსავლის აღებისას ვაზის ძირში მამალს დაკლავდნენ და სისხლს მიასხამდნენ იმ მიზნით, რომ მომავალ წელს ყურძენს ფრინველი არ შეჭამდა, თედორობა დილით კი ოჯახის უფროსი მწარე ბალის, ასკილისა და ანწლის ტოტებს ერთად შეკრავდა და ვენახის და ეზოს ჭიმკარზე მიამაგრებდა ავი თვალისაგან დასაცავად. ვენახის დამცავ მსგავს შელოცვებსა თუ რიტუალებს დღეს იშვიათად იყენებენ. ჩვენი ერთ-ერთი მთქმელის სიტყვებით რომ ვთქვათ: “ვენახს შელოცვის გარეშე ვაქიმობთ და ვწამლობთ, შელოცვას არ საჭიროებს, რადგან ისედაც დალოცვილია”. აღნიშნული ხასიათის სამეურნეო ლოცვები გვხვდება საეკლესიო წიგნებში: “კურთხევანში” და “თუნში”.

სამეურნეო საქმიანობაში გლეხს ხშირად ხელს უშლიდა ბუნების არასახარბიელო მოვლენები. ოფლით მოწეულ ჭირნახულს ხან წვიმა და ხან გვალვა, ხან ქარი, რიგ შემთხვევაში ჭექა-ქუხილიც აფუჭებდა, ასეთ დროს ხალხი თავდასაცავად კვლავ შელოცვებს მიმართავდა. ქართული მითოსი ოდესღაც იცნობდა ქარების გამგებელს, რომელსაც ჰქონდა სპეციფიკური ატრიბუტი, ცოცხი და მისი საშუალებით მართავდა ქარებს” [10].

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით, ძლიერი ქარისაგან თავდასაცავად ცხრა გვარის ქალი შეიკრიბებოდა და სამჯერ შეულოცავდა [11]:

*“ქარო, ადექი, დადექი, შენს საბუღარში ჩადექი,
შენსა შეილსა მარიაშსა, სამი შეილი ყოლებია,
ერთი ბრუციანი, ერთი კოჭლი,
ერთი ყუელას უკეთესი,
ადრე ჩახვალ, დაგირჩება, გვიან ჩახვალ, მოგიკვდება”.*

გვალვისა და დელგმის რიტუალები რელიგიური პრაქტიკის ერთ-ერთი უძველესი ორიგინალური ნაწილია და ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოს თითქმის ყველა ხალხში. წვიმის გამოწვევის მაგიური საშუალებებიდან საქართველოში ფრიად გავრცელებული ყოფილა ქვის გადაბრუნება და ე.წ. “წყლის მოხვნა” [10].

საქართველოში ჭირნახულის წვიმისა თუ გვალვისაგან დამცავი რიტუალებიდან საყოველთაოდ ცნობილი ლაზარეს შელოცვის გვერდით გვხვდება წმიდა ელიასადმი მიმართული შელოცვებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართულის გარდა, მოგვიანო ხანის სხვა ორთოდოქსალურ ტრადიციებშიც (იგულისხმება სამხრეთ სლავური ორთოდოქსია: რუსული, სერბული, ბულგარული, აგრეთვე სხვა ბალკანური ტრადიციები) ილია წინასწარმეტყველი გამოდის, უპირველეს ყოვლისა, როგორც პერსონაჟი, რომელიც ჭექა-ქუხილთან, წვიმასთან და, აგრეთვე, ნაყოფიერებასთანაა დაკავშირებული [12]. წმ. ილიას კავშირი სეტყვასა-და წვიმასთან ძველი



აღთქმის ტექსტებშიცაა მოცემული [13].

სამეურნეო ხასიათის შელოცვები არ წარმოადგენდა რეგიონების მიხედვით ჩაკეტილ სისტემას. სამეურნეო შელოცვები უძველესი დროიდან დღემდე ემსახურება ქართველი ხალხის მეურნეობის გადარჩენის საქმეს და დროთა განმავლობაში განიცდიდა ტრანსფორმაციას. ერთის მხრივ ხალხში გავრცელებული შელოცვები ითვისებდა და ხალხურ ტრადიციად აყალიბებდა ქართულ შელოცვებს თავისი სამკურნალო საშუალებებით, კერძოდ ამ შემთხვევაში სამეურნეო ხასიათის შელოცვებზეა საუბარი, ხოლო მეორეს მხრივ, ქართული ოფიციალური მედიცინა ეცნობოდა და ხალხური ტრადიციებით ამდიდრებდა კლასიკურ ქართულ სამედიცინო კულტურას, კერძოდ სამეურნეო ყოფაში.

ლიტერატურა:

1. <http://ka.wikipedia.org/wiki/>
2. ნ. ბრეგაძე, 1969, გვ.227
3. ჯ. რუხაძე, ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში; თბ., 1999წ.
4. ქსკი, ფონდი E.ლ. მარდალეიშვილი, 80წ. კასეტა №70,1997.
5. ეთნოგრაფიული წერილები სვანეთზე, თბ., 1973წ.
6. მ. ნადარაია, თედორობა, კრებული "ლეჩხუმი"; თბ., 1985
7. ჯ. რუხაძე, 1976, გვ. 158-159
8. თ. შიოშვილი. ქართული ხალხური შელოცვები. ბათუმი. 1994,
9. ლ. ფრუიძე, ყოფა და ცხოვრება; თბ., 1981წ.
10. (ი. სურგულაძე, 2003, გვ.221
11. ქსკი, ფონდი B.ლ. სულიკო სანოძე, დაბ.1927წ.
12. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის; თბ., 2001წ.ქართული ტადიციული კულტურა; თბ. 2017 წ.

GEORGIAN NATIONAL DISHES ", TRADITIONAL, AND RELATED AGRICULTURAL SPELL

R. Khachapuridze

Akaki Tsereteli State University Kutaisi

Summary

One of the parts of the basic stock of folk incantations relates to farming. Kartvelological Research Institute has collected the materials containing quite a number of incantations related to farming activities such as stock-breeding, chicken-farming, tilling, sericulture, etc., to different aspects of husbandry, in general. The analysis of the vocabulary and ritual activities reveals the differences between the oldest layers of beliefs and of the performance of spell-binding (cf.: incantation against rustling and rustlers in Megrelia), attesting the transformation of incantations and related to them rituals.

One can observe vivid evidences of the incantation transformations when the materials are compared with the church invocations of the same nature i.e. related to farming.

ტრიკოტაჟის ტილოს ორნამენტის სტრუქტურა

ნ. ფაილოძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ისევე როგორც ტრიკოტაჟის ტილოს ორნამენტის ნახატი, ხლართის სტრუქტურაც არის ესთეტიკური ზემოქმედების და დეკორატიული გამომხატველობის ფაქტორი. ის აქტიურად ქმნის ტილოს მხატვრულ სახეს. ამიტომ ტილოს სტრუქტურა კი არ შეინიღებება, არამედ პირიქით გამოაშკარავდება.



ისევე როგორც ორნამენტს, ხლართის სტრუქტურას ახასიათებს სიმეტრია, რითმი და პლასტიკა რომლებიც გათვალისწინებული უნდა იყოს ტრიკოტაჟის ტილოს დამზადებისას.

ტრიკოტაჟის ტილოს ორნამენტის მხატვრული გაფორმება ხდება სხვადასხვა ელემენტების შეთავსების გზით, რომლებსაც გააჩნიათ გეომეტრიული ან წარმოსახვითი ფორმა. ეს ელემენტები განლაგდება ისე რომ წარმოქმნან ორნამენტის ან ნაკეთობის შთამბეჭდავი იმიჯი, რომელიც ემოციურად ზემოქმედებს ადამიანზე.


ორნამენტის კომპოზიცია წარმოადგენს მისი ელემენტების (მოტივების) მხატვრულ წარმოსახვით სისტემას, მათ ერთმანეთთან (და ნაკეთობის ფორმასთან) შეთავსებას. დიზაინს თვალსაზრისით საუკეთესო ტრიკოტაჟული ტილოს მისაღებად საჭიროა ორნამენტული კომპოზიციის კანონების ცოდნა და საკუთარ სამუშაოში მათი გამოყენების უნარი. პირველ რიგში ეს არის პროპორციულობის კანონი, რომელიც გულისხმობს ნაწილების თანაზომიერების დადგენას მთლიანობასთან და ერთმანეთთან მიმართებაში. ეს თანაზომიერება შეიძლება იყოს დაფუძნებული ორნამენტული მოტივების ნებისმიერი მახასიათებლების თანასწორობაზე ან მათი ერთმანეთთან დაპირისპირებაზე.

ორნამენტულ კომპოზიციაში პროპორციები ეხება ნახატის და ფონის ფართების, ცალკეული მოტივების ზომების, მათ შორის მანძილების, ცალკეული წრფივი მახასიათებლების თანაფარდობებს, და განსაზღვრავენ რითმისა და პლასტიკის ხასიათს, სტატიკას და დინამიკას, სიმეტრიას და ასიმეტრიას.

განასხვავებენ ბადისებრ-რაპორტულ, წრფივ-რაპორტულ და მონორაპორტულ ორნამენტებს.

ბადისებრ-რაპორტულ ორნამენტებში გამოიყენებენ ჩვეულებისამებრ მართკუთხა რაპორტს, რომელიც იზომება გადატანების (ტრანსლაციების), ვერტიკალური და ჰორიზონტალური ღერძებით. მართკუთხა (კვადრატული) რაპორტი უზრუნველყოფს ყველა ხუთივე სტრუქტურული ბადის ორნამენტების და სხვადასხვა კომპოზიციური გადაწყვეტილებების მიღებას. ბადისებრი ორნამენტის რაპორტი შეიძლება იყოს არა მხოლოდ მართკუთხედის ან კვადრატის ფორმის, არამედ ნებისმიერი სირთულის გეომეტრიული ფიგურის, რომლითაც შეიძლება შუალედების გარეშე შეივსოს სიბრტყე ერთგვაროვნობისა და პარალელური გამეორებების პირობით.


თუმცა რაპორტს შეიძლება გააჩნდეს აგრეთვე სხვა უფრო რთული ფორმებიც. მაგალითად, რაპორტული რგოლების სახით. ნახ. 1. ამ ფიგურების მეშვეობით სიბრტყე შევსებულია შუალედების გარეშე. რაპორტების უფრო რთული კონფიგურაციის მქონე ფორმები აიოლებენ ორნამენტული კომპოზიციის აგებას, კერძოდ რაპორტში დიდი რაოდენობის მოტივების განლაგებას რთული რითმიულ მოძრაობებში. ორნამენტული სიბრტყე გადაიფარება რაპორტებით, ისინი უერთდებიან ერთმანეთს შუალედების დატოვების გარეშე.



ნახ. 1. რაპორტული რგოლის აგებულობა




ბადისებრ-რაპორტული ორნამენტის ყოველი მოტივი უნდა იმყოფებოდეს ერთნაირ თანაფარდობაში მეზობელ მოტივებთან ორნამენტის ნებისმიერ წერტილში. ამას უზრუნველყოფს კვანძების მართკუთხა სისტემა. ნახ.2. ნაჩვენებია ათი ყველაზე დამახასიათებელი სიმეტრიის სახეები, რომლებიც დაფუძნებულია კვანძების კვადრატულ და მართკუთხა სისტემებზე.



ნახ. 2. ბადისებრ-რაპორტული ორნამენტის ათი სიმეტრიის სახე.

ორნამენტული კომპოზიციის თეორია განიხილავს რაპორტული ბადის (ორნამენტის სიბრტყის) შევსების სხვადასხვა ხერხებს ერთნაირი ან განსხვავებული მოტივებით, ერთნაირ ან განსხვავებულ მანძილებზე, ერთნაირ ან განსხვავებულ შემოსახვევებზე. რაპორტული ბადის შევსების მაგალითები ერთნაირი მოტივებით ნაჩვენებია ნახ. 3-ზე ერთნაირი და განსხვავებული მანძილებით მოტივებს შორის. ნახ. 3(ა)-ზე კომპოზიცია სტატიკურია, ნახ. 3(ბ)-ზე - დახრილი დიაგონალური ზოლები, კომპოზიციამ შეიძინა დინამიურობის წილი. ნახ. 3(გ)-ზე მრავალი მოტივია რთული რითმიული მოძრაობით, დინამიკის შეგრძნება გაიზარდა.



ნახ. 3. რაპორტული ბადის მოტივებით შევსების მაგალითები.

დამატებით აუცილებელია ითქვას მოტივებით ფონის შევსების ხარისხის შესახებ, ანუ ფართების პროპორციული თანაფარდობის შესახებ, რომლებიც შევსებულია ფონით და ნახატით. აქ პირობითად შეიძლება გამოვყოთ სამი ვარიანტი: ა) ფონის ნახატით შევსება უმნიშვნელოა, ფონი ბევრია, ნახატი კი ცოტაა; ბ) ფონის ნახატით შევსება საშუალოა; გ) ფონის ნახატით შევსება მნიშვნელოვანია, მოტივები ურთიერთკავშირშია, ახლოს არიან ერთმანეთთან, ფონი „ჩნდება“ მხოლოდ ცალკეული უბნებით.

წრფივ-რაპორტულ ორნამენტებში აუცილებელი პირობაა სიმეტრიის ღერძი. გადატანების (ტრანსლაციის) ღერძი (ა); გადატანების (ტრანსლაციის) ღერძი და მის მიმართ პარალე-



ლური სიმეტრიის სიბრტყე (ბ); გადატანების (ტრანსლაციის) ღერძი და მის მიმართ პერპენდიკულარული სიმეტრიის სიბრტყე (გ); გადატანების (ტრანსლაციის) ღერძი და მის მიმართ პარალელური და პერპენდიკულარული სიმეტრიის სიბრტყეები (დ); გადატანების (ტრანსლაციის) ღერძი და მოსრიალე ანარეკლის სიბრტყე (ე); გადატანების (ტრანსლაციის) ღერძი და მეორე რიგის სიმეტრიის ღერძი (ვ); გადატანების (ტრანსლაციის) ღერძი და მოსრიალე ანარეკლის სიბრტყე მის მიმართ პერპენდიკულარული სიმეტრიის ორმაგი ღერძით და სიმეტრიის სიბრტყეებით (ზ).

წრფივ-რაპორტულ და ბადისებრ-რაპორტულ ორნამენტებში, გადატანებით (ტრანსლაციებით) გამეორებული ფიგურები შეიძლება დაშორებული იქნან ერთმანეთისგან, თვითონ კი შედგებოდნენ დაცალკევებულ ნაწილებისაგან, შეიძლება გადაკვეთონ ერთმანეთი და ბოლოს შეიძლება უერთებოდნენ ერთმანეთს შეავსებენ რა სივრცეს შუალედების გარეშე.

მონორაპორტულ ორნამენტებში მოტივებს შეიძლება გააჩნდეს ერთი სიმეტრიის ღერძი სიმეტრიის სიბრტყეების გარეშე, ანუ შეიძლება იყვნენ ასიმეტრიულები. მოტივებს ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფი ფიგურებიდან, რომლებშიც განასხვავებენ ზედა და ქვედა ნაწილს, გააჩნიათ სიმეტრიის ღერძი და ერთი სიბრტყე. ფართოდ გავრცელებულია მოტივები, რომლებსაც გააჩნიათ სიმეტრიის სახეები, რომლებიც ხასიათდებიან სიმეტრიის ღერძით მასში ერთმანეთზე გადაკვეთილი სიმეტრიის სიბრტყეებით. მონორაპორტული ორნამენტების კომპოზიციების ანალიზისას განვიხილავთ არ ყველა იმ მრავალრიცხოვან გეომეტრიულ ფიგურებს, რომელთა სახით ისინი შეიძლება იყვნენ წარმოდგენილი, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც დამახასიათებელია ორნამენტებისთვის, რომლებსაც სრულდება სატრიკოტაჟო საქსოვ მანქანებზე. ესენია კვადრატის და მართკუთხედი, უფრო იშვიათად – რომბი და სწორი ექვსკუთხედი. ასეთი ფიგურები შეიძლება დაიყოს თანაბარ ნაწილებად. მონორაპორტულ ორნამენტების მრავალრიცხოვანი კომპოზიციებს შორის შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი ტიპი: სიმეტრიული გადაწყვეტის სიმეტრიის ელემენტებით, მაგრამ ტრანსლაციის გარეშე; ასიმეტრიული გადაწყვეტის; სიმეტრიული გადაწყვეტის ტრანსლაციით და გარკვეული რიცხვის რაპორტებით.

მონორაპორტულ ორნამენტებს შეიძლება მივაკუთნოთ აგრეთვე ცალკე შესრულებული მოტივიც. ორნამენტული მოტივები შეიძლება შედგებოდნენ სწორი ან მრუდე ხაზებისგან წრეებისა და მისი ნაწილებისაგან, მრუდე ხაზებისაგან სიმრუდის სხვადასხვა რადიუსით ან კომბინირებული ხაზებისაგან. მოტივები შეიძლება იყოს მარტივი გეომეტრიული – უფრო ხშირად სიმეტრიულად გარდაქმნილი მარტივი გეომეტრიული ფორმებიდან. მოტივები შეიძლება წარმოადგენდნენ არასწორ გეომეტრიულ ფორმებს და ისინი აგრეთვე შეიძლება იყვნენ კომბინირებული რთული სტრუქტურები, რომლებიც აგებულია სწორი და არასწორი ფორმებისაგან.

გრაფიკული გადაწყვეტის მიხედვით განასხვავებენ წრფივ, სილუეტურ და ლაქის შემცველი ხაზის მოტივებს; გამოსახულებით – გეომეტრიულებს, წარმოსახვითებს და თემატურებს. გარდა ამისა მოტივები შეიძლება განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან ფერში გადაწყვეტით (ტონით, გაჯერებულობით, სიკაშკაშით), ფერების სივრცობრივი გადაადგილების ეფექტის გამოყენებით და მოტივის სხვადასხვა ხაზებით გარშემორტყმით.



ნახ.4. რაპორტული ორნამენტების კომბინირების ვარიანტები

ბადისებრ-რაპორტული, წრფივ-რაპორტული და მონორაპორტული ორნამენტები შეიძლება შეგვხვდეს ნაკეთობებში როგორც დამოუკიდებლად, ასევე ერთმანეთთან სხვადასხვა კომბინაციებში. ნახ. 4 ა, ბ-ზე ნაჩვენებია ორნამენტების კომბინირების ვარიანტები.

ორნამენტი წარმოიქმნება ტრიკოტაჟის ტილოზე ტილოს ძაფების გადახლართვით და მასთან ორგანულად არის დაკავშირებული. ორნამენტში ტრიკოტაჟული ხლართის მიღება ტრიკოტაჟის ტილოს ქმნის განსაკუთრებულად საინტერესოსა და მიმზიდველს.

ლიტერატურა

1. ნ. ფაილოძე. ორნამენტი ტრიკოტაჟში. სახელმძღვანელო- 2015
2. Н.Абесадзе, Н.Пайлодзе, З. Вадачкория, Л.Лурсманашвили - ВЯЗАНИЕ ОРНАМЕНТОВ В ТРИКОТАЖЕ- სამეცნიერო ჟურნალი "ნორვეგიის ჟურნალი საერთაშორისო მეცნიერების განვითარებისათვის"-2018 .<http://www.njdiscience.com/wpcontent/uploads/>.

THE STRUCTURE OF THE ORNAMENT KNITTED FABRIC

N. Pailodze

Akaki Tsereteli State University, Kutaisi

Summary

As well as the ornament of the knitted fabric, the structure of the weave is the subject of aesthetic and decorative factor. He actively creates the artistic side of the fabric. Accordingly, the structure of the fabric does not hide its texture, but on the contrary, it highlights.

As well as an ornament, the structure of the weave is characterized by symmetry, rhythm and plasticity, which must be taken into account when making knitted fabrics.



სამცხე-ჯავახეთის ტრადიციული სამოსის ფორმირების ფაქტორების კვლევა

ი. ჩარკვიანი, მ. დათუაშვილი, ნ. თხელიძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ისტორიულად ყველა ეთნოსს თავისი სამოსი გააჩნია, რომელიც გამოხატავს ერის ტრადიციებსა და კულტურას. ქართული მატერიალური და არამატერიალური კულტურა ჩვენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გამოძახილია, რომელიც კარჩაკეტილად არ ვითარდებოდა, არამედ ითვისებდა და ითავისებდა მეზობელი ერების საუკეთესო ტრადიციებს და საკუთარი წეს-ჩვეულებების ჩარჩოში აქცევდა. იმის მიხედვით, თუ რომელ პერიოდში, რომელი დამპყრობლის გავლენის ქვეშ ვექცეოდით, გარკვეული სახის ცვლილებებს განიცდიდა ტრადიციული კოსტუმიც.

ზოგადად, ქართული ეროვნული სამოსის შესწავლის მიზნით ქვეყანაში მრავალი სამეცნიერო კვლევა განხორციელებული. მიუხედავად ამისა, საქართველოს სამხრეთ რეგიონებში გავრცელებული ტრადიციული სამოსის შესახებ ინფორმაცია შედარებით მწირია და საჭიროებს ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, სოციალურ, სამეურნეო და სხვა ასპექტების ფუნდამენტალურ გამოკვლევებს. კვლევის აქტუალობა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის, მათ შორის მის სამხრეთ რეგიონებში გავრცელებული ტრადიციული სამოსის სრულფასოვნად შესწავლაში, შენარჩუნებასა და მომავალი თაობებისათვის გადაცემის აუცილებლობითაა განპირობებული.

სამცხე-ჯავახეთი - საქართველოს უძველესი ისტორიული მხარე, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში პირველი ეგებებოდა მომხდურ მტერს. იგი XVII ს-დან თურქეთმა დაიპყრო. ისლამის გავრცელებას თან მოჰყვა თურქული ენის გავრცელება და ჩასაცემლის შეცვლა. თითოეული ქალი, რომელიც ცხოვრობდა ოსმანთა იმპერიაში, ვალდებული იყო „ფირმანის“ ბრძანებებს დამორჩილებოდა, იგი მკაცრად მიუთითებდა, ვის როგორი სამოსი უნდა ჩაეცვა. ეს კანონი ვრცელდებოდა ქრისტიანებზეც, საუკუნეების მანძილზე ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იმყოფებოდა საქართველო და სომხეთიც. დიდი აზრეშუმის გზა, გაცხოველებული აღებ-მიცემობის განვითარება კიდევ ერთი სტიმული იყო ჩვენი ერების დაახლოების გზაზე. საინტერესოა ის ფაქტი, რომ სამოსი იყო ის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც აშკარად გამოხატავდა ამ ურთიერთობების ზეგავლენებს [1; 2].



ა



ბ



გ

ნახ.1 ქალის თურქული (ა), სომხური (ბ) და მესხური (გ) კოსტუმები



როგორც კვლევებმა გვიჩვენა, მესხეთ-ჯავახეთის ქალთა სამოსი ძირითადად ერთნაირი იყო, მაგრამ იგი განსხვავდებოდა საქართველოს სხვა ეთნიკური კუთხისა და მთლიანად ზოგადად ქართული კოსტუმისაგან, არა მხოლოდ კომპლექტაციით, არამედ ასევე კოსტუმის შემადგენელი ნაწილების სახელწოდებებითაც, რაც განპირობებული იყო თურქეთთან სიახლოვეთა და მჭიდრო ურთიერთობებით სომხურ ეთნოსთანაც. ამასთანავე იგი თავის თავში მოიცავდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გავრცელებული ტანსაცმლის ელემენტებსაც.

მესხი და ჯავახი ქალის კოსტუმის მნიშვნელოვან ელემენტი გახლდათ მუხლამდე სიგრძის გრძელსახელოებიანი, შავი ძაფით მორთული თეთრი ქსოვილის პერანგი, რომელიც მკერდსა და მაჯის ხაზზე იკვრებოდა ღილებით. „დიზდის-დუზლუქი“ სამუხლეს ნიშნავს, ასე უწოდებდნენ გამაჰმადიანებული მესხი ქალები წელიდან კოჭებამდე სიგრძის ქვედა საცვალს, რომელსაც ხონჯარგაყრილი სათავე ჰქონდა მიკვრებული, ტოტის ბოლოებიც ხონჯრებით იყო დამაგრებული კოჭებთან. ქვედატანი (ათაქლული ანუ საკალთე) ახალგაზრდებისათვის ვიწრო იყო, ხოლო გათხოვილი და მოხუცი ქალებისა მრავალნაკეციანი. კაბა „ყაფთან“ - ქალის ზედა სამოსი, მკერდამდე ჩახსნილი ან ზურგზე ჩაჭრილი, იკვრებოდა ღილებით. კოსტუმის ძირითად დეტალს წარმოადგენდა წინსაფარი ანუ „ფეშთამალ“ – ჩაცმულობის ერთ-ერთი ძველი ელემენტი., იგი გვხვდება როგორც თურქული, ასევე სომხური (ნახ.1ა,ბ) და საქართველოს ზოგიერთი ეთნიკური კუთხის ტრადიციული სამოსის შემადგენლობაში. კაბის ზედა ნაწილი ორმაგი ქსოვილისაგან იკვრებოდა, წინა მხრიდან წითელი, მოკაზმული ხავერდითა და შიგნიდან უბრალოდ შავი, ან ლურჯი ქსოვილით (ნახ.1.გ). გულისპირსა და მაჯებზე გაფორმებული იყო თეთრი ან შავი ბამბის ძაფით შესრულებული ნაქარგით. ფარჩის ქსოვილისაგან იკვრებოდა „იალაგი“- ელეგი, სქესის, ასაკის და გემოვნების მიხედვით. იგი სახელოს გარეშე, მოკლე, გულგახსნილი, წელში დავიწროებული ჩასაცმელია, რომელიც გვხვდება ქალის როგორც თურქული, ასევე სომხური, აჭარული და გურული კოსტუმის შემადგენლობაში. მასთან ერთად აქტიურად გამოიყენებოდა ბამბის შუასადებითა და სარჩულით დამუშავებული, წინ ღილებით შეკრული ფარჩის ზუზუნი და ჭრელი შალის წელსახვევი-ელბალი. ზუზუნი წელს ზემოთ ჩაფრასტებით იყო შეკრული, სახელოს ბოლოებზე კი „ანტივა“ ჰქონდა გადაფენილი, რომელიც მნიშვნელოვნად ჩამოგავდ ქართული კაბის ყოშს. კაბის წელი-ანჯუსტებით იყო შეკრული, მისი სახელო პუჭპუჭათი იყო დამუშავებული, ზუზუნის სახელოს ბოლოში კი წვრილი ვერცხლის მილებით შემოვლებულ-შემოკვერებული ჰქონდა ანტეფითერო. კაბის საგულეს იკრავდნენ „ანჯუსტით და ვერცხლის მეწყვით“[3].

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ თურქი და სომეხი ქალის ტრადიციული კოსტუმის გარეგნული იერის მიღწევისათვის სხვადასხვა ხერხი გამოიყენებოდა. ისევე როგორც ქართული ტრადიციული სამოსის უმრავლეს შემთხვევაში, ნაკეთობის გარეგნული ეფექტის შესაქმნელად სარგებლობდნენ ნაქარგებით, ვერცხლმკედითა და ოქრომკედით. ამასთანავე ყურადღებას იპყრობს ასევე სამკაულების გასაოცარი სინატიფე და სიმრავლე, ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ ამ სამკაულთა სიმრავლემ მოხიბლა მესხი და ჯავახი მანდილოსნები, რომლებიც ასევე დიდი რაოდენობით იყენებდნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში ოქროსა და ვერცხლის სამკაულებს, ე.წ „ჯილ-ჯილებსა“ და „ფიფანურებს“ (ჯავახიშვილი) და ატარებდნენ ქართული ჩიხტის სახეცვლილ ფორმას - კათხას და მარმამისა და ბლონდის ლეჩაქს.



ასაკოვანი ქალები იყენებდნენ გრძელ თეთრ ჩადრს, თავზე ლეჩაქს იხურავდნენ და შუბლს აბრეშუმის მანდილით იკრავდნენ. ზემოაღნიშნულიდან კარგად ჩანს თურქული თავსაბურავის ზეგავლენა. ქართველი და თურქ-სომეხი ქალბატონების სამოსში აქტიურად ფიგურირებდა ასევე ვერცხლის ქამარი. ეს ქამრები საქვეყნოდ იყო ცნობილი მესხური ქამრების სახელწოდებით და გამოირჩეოდა საოცარი სინატიფითა და დამუშავებით მაღალი ხარისხით.

არზრუმიდან სომხების ჩამოსახლების შემდეგ მესხეთში გავრცელდა თხისა და ხბოს ტყავის ფეხსაცმლის ერთ-ერთი სახეობა კონდურა. სომეხი ხელოსნები ამ ფეხსაცმლით ამარაგებდნენ მთელს სამცხე-ჯავახეთს.

კვლევის შედეგად დადგინდა იქნა, რომ სამცხე-ჯავახეთში, ისე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში გავრცელებული ტრადიციული სამოსის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ეთნიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამეურნეო და ყოფითი ფაქტორები, რაც სხვადასხვა ფორმით წარმოჩნდება ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. აღნიშნული ზემოქმედების შედეგები განსაკუთრებით ყურადსაღებია და საინტერესო ფორმებს ღებულობს საქართველოს სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთში გავრცელებულ ტრადიციული სამოსის ფორმირების საკითხებში, რაც შემდგომი კვლევის მიზანშეწონილობას განაპირობებს.

ლიტერატურა

1. Yilmsoy Sivejournal.com/34315.html/Турецкая национальная одежда
2. Wlooks.ru.Армянский национальный костюм.
3. ივ. ჯავახიშვილი „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის განვითარების ისტორიისათვის. ტ. II. მეცნიერება, 1982.

THE STUDY OF THE FORMATION OF TRADITIONAL CLOTHES SAMTSKHE-JAVAKHETI

I. Charkviani, M. Datuashvili, N. Tkheldidze
Akaki Tsereteli state University

Summary

Historically, all ethnicities have their own garments expressing the traditions and culture of the nation. The Georgian material and intangible culture is the long-term history of our people. Who did not resort to a queue, but used it and embraced the best traditions of the neighboring nations and turned into their own customs. Depending on which period we were influenced by the conqueror, there were some changes in the traditional costume.

In general, many scientific researches have been carried out in order to study Georgian national clothes. Nevertheless, the information about traditional clothing in the southern regions of Georgia is relatively scarce and requires fundamental research of historical, ethnographic, social, economic and other aspects.

მიითიური ხელსაწმე საქართველოს მთიანეთში

ე. ჩუბინიძე, ი. უგრეხელიძე, ნ. ქარციძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტატიაში განხილულია საქართველოს მთიანეთში, კერძოდ ხევსურეთში, უძველესი დროიდან გავრცელებული მხატვრული ხელსაწმე – სამოსის ნაქარგობით შემკობის ტრადიცია და ორნამენტული დეკორის სიმბოლური არსი. მოცემულია ნაყმების აღმნიშვნელი ხევსურული ტერმინების შესატყვისი ორნამენტების სახელწოდებები. აღწერილია ნაქარგობისათვის საჭირო მასალები. გადმოცემულია გვრული და შიბით ქარგვის მეთოდი და ტექნიკური ხერხები. სქემატურად არის ნაჩვენები ორნამენ-



ტის თითოეული გვირგვინის შესრულების თანმიმდევრობა, რაც აქტუალურია თანამედროვე ეტაპზე, ტრადიციული სამოსისადმი გაზრდილი ინტერესის პირობებში

საქართველო თავისი კულტურული მრავალფეროვნებითა და უნიკალობით მსოფლიოში გამორჩეული ქვეყანაა. იგი უძველეს ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული ორიგინალური კულტურის კერა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გადებული თავისებური ხიდაა. სხვადასხვა დროს საქართველოზე ნაირგვარ კულტურულ მიმდინარეობათა გზები გადიოდა, ჩვენს მიწა-წყალზე ყოველი მათგანი თავისებურ კვალს ტოვებდა, რაც ერთგვარ სტიმულს აძლევდა ხელოვნების ტრადიციული დარგების განვითარებას. ერთერთი ასეთი დარგი მხატვრული ქარგვაა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში უხსოვარი დროიდან იღებს სათავეს. ქართველი ხალხი ოდითგანვე ფლობდა ფეიქრობის, ქარგვის, ქსოვის ხელოვნებას და საუცხოო ნივთებს ქმნიდა. ძველთაგანვე გავრცელებული იყო ქართული ყოფისათვის დამახასიათებელი ნაქარგობის სხვადასხვა სახეობა. ქარგვის უძველესი ტრადიციები განსაკუთრებით საქართველოს მთიანეთში შემოინახა. მთიელთა შორის ორიგინალური ქარგულობით ყველაზე მეტად ხევესურეთი გამოირჩევა. ხევესურები ერთ-ერთი უძველესი ტომია, მისი გარე სამყაროსაგან გარკვეული იზოლირება თვითმყოფადი ტრადიციების ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს, რომლის წყალობით მთებში ჩაკარგულმა ამ კუთხემ მეცნიერული თვალსაზრისით უადრესად მნიშვნელოვანი უძველესი ქართული კულტურის მრავალი ძეგლი შემოინახა. ხევესურეთში დღემდე შემორჩენილი სამოსის (ტანსაცმელი – სადიაცო, ჩოხა, ქოქლო, ფაფანაგი, პერანგი, შარვალი-მუქასარი, ხელთათმანები, საფუხრე-სამაჯეები; თავსაბურავი – მანდილი, სათაურა, ქუდი; ფეხსამოსი – ბაჭიჭები, საწვივეები, წინდები) და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების (ქისა, აბგა, ხურჯინი და სხვ) უძველესი ორნამენტული სახეებით დეკორირების და მასალის ბუნებრივი საღებავებით შეღებვის ხალხური ტრადიცია. ამ ტრადიციის წყალობით ხევესურული „ტალავარი“ ეთნოგრაფიულ სამოსთა შორის იშვიათ, ორიგინალობით გამორჩეულ ნიმუშს წარმოადგენს. შემორჩენილია ასევე ნაქარგი ორნამენტების ხალხური სახელწოდებანი: კუთხა, კიმხა, კეხა, ჯვარი, ბორჯღალა, ვარსკვლავა, მარტულელა, თვალა, კბილა, თავნახარა, ხატულა, ხვეულა, რქანახარა, დაკავკაულა, კუდიქეულა, მწკალა, და ა.შ. ტერმინების უმრავლესობა ქართული სიტყვის ძირებიდანაა წარმომდგარი, რაც უდაოდ ამჟღავნებს ხევესურული ორნამენტის ელემენტების დიდი უმრავლესობის წარმოშობას ქართულ ეთნიკურ წრეში და გამორიცხავს მათ სესხებას უცხო, გარეშე ტომთაგან.

ხევესურული ორნამენტი მკაცრად გეომეტრიულია და მის მთავარ ფიგურას ჯვარი წარმოადგენს, რომელიც სამოსზე მაგიურ-ანთროპული მნიშვნელობითაა გამოხატული და ხევესურთა გვაროვნული საზოგადოების რელიგიასთან და მდიდარ მითოლოგიასთანაა დაკავშირებული. უძველესი დროიდან ჯვარი გამოისახებოდა, როგორც სამყაროს ოთხი მხრის აღმნიშვნელი სიმბოლო-ნიშანი და ამასთანავე, ბოროტი ძალებისაგან თავდაცვის ფუნქციაც გააჩნდა. ხევესურთა უძველესი მსოფლმხედველობა დუალიზმის საფუძველზე იყო აგებული. ხევესურს სამყარო კეთილი და ბოროტი ძალების ჭიდილის ასპარეზად ჰქონდა წარმოდგენილი. ბოროტი ძალა მუდმივად ზიანის მიყენებას ცდილობდა ადამიანისათვის. მისგან თავდასაცავად წარმართი ხევესური სხვადასხვა აპოტროპული საშუალებების გამოყენებას მიმართავდა. ერთ-ერთი ასეთი საშუალება სწორედ ჯვარი იყო და ჯვრის საშუალებით და ფორმით ასახული ყველა ორნამენტი და თავად ხელსაქმეც, ხევესურთა მითიურ წარმოდგენებს უკავშირდე-



ბოდა.

განსაკუთრებით უხვად ჯვრული ორნამენტი წარმოდგენილია სამოსის იმ ნაწილზე, რომელიც გულმკერდს ფარავს და საგულეს დანიშნულებას ასრულებს. კოსტიუმის საგულეზე ჯვრის ორნამენტი წინა აზიის, კერძოდ ასურეთ-ბაბილონის უძველეს კულტურაშია წარმოდგენილი და ისეთივე დანიშნულება (დაცვითი ფუნქცია) აქვს, როგორც ხევსურთა კოსტიუმზე [1, 2]. მეცნიერთა აზრით, ზოგადად, ხევსურული სამოსი შუმერულ, აქადურ, მიდიურ სამყაროს უკავშირდება, რადგან მისი ფორმა, ფერადოვნება, თავად დეტალების მოქარგვა, ამ ძველ სამყაროსთან გარკვეულ მსგავსებას ავლენს.

ხევსურულ ორნამენტებს სახელწოდებებიც თვითმყოფადი აქვთ, მსგავსი ტერმინები სხვაგან არ გვხვდება, მაგალითად „შატი“ ყასნალურა გვირისტის შესატყვისია, „შიბის გვერდაი“ – ღეროსებრი გვირისტის, „მომწიკვლებაი“ – კილოურის, იგივე მარყუჟისებრი გვირისტის; „წეროს მხარაი“ – სრულდება სამკუთხა გვირისტით, „ცივიკვაკვა“ – სრულდება ტეხილი გვირისტით, კუდიქცეულა“ – მანქანური გვირისტით და ა.შ.

ხევსურული ტალავარისათვის დამახასიათებელია კაშკაშა ფერებით ნაქარგი, იგივე „ნაჭრელას“ და მუქი ფერებით ნაქარგი, ანუ „ბურმას“ ტონალობანი. ნაჭრელა ორნამენტით განსაკუთრებით მრავალფეროვანია და რთული სისტემისაგან შედგება, ამიტომ გათვალისწინებული იყო ფონისა და ფერის შერწყმის რამოდენიმე წესი:

1. მუქი შინდისფერი ფონის შემთხვევაში (ძირითადად ასეთი იყო ხევსურული სამოსის ფონი) ნაჭრელის კონტურს მოქარგავდნენ შავი ძაფით. დანარჩენ ორნამენტებს შეავსებდნენ ლურჯი, მწვანე, წითელი ფერებით (ხშირად ნაჭრელას გასაცოცხლებლად ჩართულია თეთრი და ყვითელი ფერის ელემენტებიც).

2. შავი ფონის შემთხვევაში ნაჭრელას კონტურს მოქარგავდნენ შინდისფერით ან ლურჯით, დანარჩენს იმავე ფერებით, როგორც პირველ ვარიანტში იყო მოხსენიებული.

3. მუქი ლურჯი ფონის შემთხვევაში კონტური მოქარგულია შინდისფერითა და შავით, დანარჩენი კი ტრადიციული ფერებით, როგორც სხვა შემთხვევაში.

4. თუ ფონი თეთრი იყო, ნაქარგის ფერადოვნება მაშინ დამოკიდებული იყო ოსტატის გემოვნებაზე. საერთოდ თეთრ ფონს მთიანეთში იშვიათად ხმარობდნენ. როდესაც იქარგებოდა თეთრი ხელთათმანი, წინდა, ხელსახოცი, ან სხვა რამ, აქაც ტრადიციული ფერები მწვანე, შავი, ლურჯი, წითელი, შინდისფერი დომინირებდა.

ორნამენტების შესასრულებლად ძირითადად გამოიყენებოდა ჯვრული ქარგვა, შიბით ქარგვა, დალიანდაგებით ქარგვა – „განემსვა“ და სკლატის აპლიკაციით ორნამენტირება.

ჯვრული ნაქარგობისათვის დამახასიათებელია დამატებით მძივებით (ძირითადად თეთრი ფერის), ღილებით, ლითონის სამკაულებით, მონეტებით შემკობა, რასაც ნაქარგობის დაცვითი დანიშნულების გასაძლიერებლად მიმართავდნენ. საინტერესო ტრადიციას წარმოადგენდა, ასევე მქარგველის მიერ ბეჭის არეში საკუთარი თმის პატარა ნაწილის ჩატანება, იმ ადამიანის მიმართ გრძნობის გამოსახატად, ვისთვისაც განკუთვნილი იყო ეს სამოსი.


ხევსურები საქარგავ მასალად ტილოს, ბამბისა და შალის სხვადასხვა სახის უჯრიან ქსოვილებს იყენებდნენ, რომლებზეც კარგად ჩანდა ქსელისა და მისაქსელის განლაგება (თვლის გაადვილებისათვის). ხევსურეთში დღესაც ამზადებენ ტილოსებრი ხლართით ნაქსოვ შალის ქსოვილს, რომელსაც „ტოლს“ უწოდებენ. ტოლის ქსოვა მაღალ დონეზე იყო აყვანილი. საქსელავ დაზგაზე სამგვარი შალი მზადდებოდა: „ცალ-პირა“, ორ-პირა“ და წაღმა-უ-



კულმა“. თითოეული მათგანის დამზადება ქსელის და მისაქსელის ძაფების რაოდენობაზე იყო დამოკიდებული. კარგი ღირსების შალის მიღებას ძაფის ხარისხზე იყო დამოკიდებული. ხევესურები ამზადებენ, ასევე, ბამბის ქსოვილს – შინაქსოვ „შილას“. შილა ჯვრული ქარგვისათვის აუცილებელ ყველა კომპონენტს მოიცავს – წმინდად ნაქსოვია, თანაბარი სისქისა და სიგრძის თვლები აქვს, სწორედ ამის გამო მასზე ქარგვა ადვილად ხდება. ხევესურული ორნამენტის ურთულესი სახეები სწორედ შილაზეა ამოქარგული. საქარგავად იყენებდნენ ბლაგვწვერიან ნემსს, ფერად ძაფებს, პატარა მაკრატელს და ქარგას ქსოვილის გადასაჭიმად. თუმცა ჯვრული ნაქარგობის შესრულებისას ზოგი ოსტატი ქარგას არ ხმარობდა .

ორნამენტის მოქარგვამდე ითვლიდნენ „შილას“ თვლებს. აუცილებლად აითვლიდნენ კენტ თვალს და შუა თვლიდან იწყებდნენ სათანადო სახის გამოყვანას. ქარგვის დროს მნიშვნელოვანია ძაფიანი ნემსის მოძრაობის მიმართულება. გასათვალისწინებელია, რომ ნაქარგობის წაღმა პირზე ბმულადები სწორხზოვნად იყოს განლაგებული; ნემსზე აგებული ძაფის სიგრძე, ძაფის დაბურდვის ასაცილებლად, არ უნდა გასცილდეს იდაყვს, გასათვალისწინებელია ასევე, რომ ხელში ქსოვილის ხშირმა ტრიალმა შეიძლება ნაქარგობის გამრუდება გამოიწვიოს, ხოლო ჯვრის არასწორმა ჩამაგრებებმა – უსუფთაო და დაღრეცილი ნაყშები.


ჯვრული ნაქარგობა მიიღება ორი დიაგონალური გვირისტის ურთიერთგადაკვეთით, გადაჯვარედინებით. როდესაც ჯვარი ჰორიზონტალურ ხაზს მიჰყვება, ყველა გვირისტი სრულდება ჯერ ერთი მიმართულებით, შემდეგ კი გადაიხურება საწინაარმდეგო მიმართულების გვირისტით (ნახ. 1).



ნახ.1. ჰორიზონტალური მიმართულების ჯვრული ნაქარგის შესრულების თანმიმდევრობა

როდესაც ჯვარი ვერტიკალურ ხაზს მიჰყვება, პირველი გვირისტი კეთდება ქვევიდან ზევით, დიაგონალზე, მარცხნიდან მარჯვნივ. შემდეგ უკულმა პირით გადასვლა ხდება მარცხენა კვადრატის კუთხეში, ნემსი ამოყვანილია წაღმა პირზე და გაკეთებულია მეორე გვირისტი დიაგონალზე – მარცხნიდან მარჯვნივ და ასე შემდეგ (ნახ. 2, ა).

საპირისპირო მიმართულებით ქარგვისას პირველი გვირისტი კეთდება ზევიდან ქვევით, დიაგონალზე - მარცხნიდან მარჯვნივ. შემდეგ უკულმა პირზე ისევ ხდება გადასვლა მარჯვნივ, კვადრატის კუთხეში, ნემსი ამოყვანილია წაღმა პირზე და გაკეთებულია მეორე გვირისტი ზევიდან ქვევით, დიაგონალზე - მარცხნიდან მარჯვნივ და ა.შ. (ნახ. 2, ბ).




ნახ.2. ვერტიკალური მიმართულებით ქარგვის თანმიმდევრობა: ა – ქვევიდან ზევით;
 ბ – ზევიდან ქვევით


ორნამენტების შიბით ქარგვა „ცაღპირ ტოლზე“, შინნაქსოვ კარგ შალზე სრულდება. ამ წესით ქარგვის დროს ოსტატს თვალის ხაზის სწორად გაყვანა უნდა ჰქონოდა გამომუშავებული, თვლებით გამოთვლას იქ იშვიათ შემთხვევაში აქვს ადგილი. შიბით ქარგვა ერთ-ერთ უძველეს სახეობას წარმოადგენს და უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ მხოლოდ ხევისურეთშია გავრცელებული და სხვაგან არ გვხვდება. სიტყვა „შიბი“ ერთმანეთში გრეხილს გულისხმობს. ვიზუალურად შიბით ნაქარგი ნაწნავისა და გრეხილის შთაბეჭდილებას ტოვებს. შიბვა ერთი შეხედვით ჯვრულ ნაქარგობას მოგვაგონებს, მაგრამ ძაფიანი ნემსი შიბვისას სწორ ხაზზე ირიბად განლაგებული ბმულადებით მოძრაობს. ძაფიანი ნემსის მოძრაობა განპირობებს შიბის სხვადასხვა სახეობას:

1. „ჩოხის შიბა“ – მარჯვენაგან ხდება ტოლის ქსოვილის დაჭერა, ხოლო მარჯვნიდან მარცხნით ძაფიანი ნემსის ამოყრა ნახატზე ნაჩვენები სქემის მიხედვით (ნახ. 3);
2. „ორმაგი შიბა“ – ორმაგად გაკეთებული ჩოხის შიბა, ძაფიანი ნემსის ისეთივე მოძრაობით, როგორც ჩოხის შიბის დროს, მხოლოდ უფრო ბრტყელი და ნალეზად ამობურცული, რადგან ირიბად განლაგებული ბმულადები ერთმანეთთან მჭიდროდ, მიჯრით არიან განლაგებულნი;
3. „ტომრის შიბა“ – კეთდება ისე, რომ ამობურცული და მსხვილი გამოდის; იგი ნაკლებ მოჭიმულია და ისეთი თანმიმდევრობით სრულდება, როგორც მოცემულია შემდეგ ნახატზე (ნახ. 4).

აღწერილი ხერხების გამოყენებით ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული ხევისურული ტალავრის ნიმუშებიც უხვად არის შემკული. ეს ნიმუშებია: სადიაცო, პერანგი, ქოქლო და ფაფანაგი. მათზე ხევისურული ტრადიციული ორნამენტის სახეებიდან ჯვრული ნაქარგობით შესრულებულია „მგზავრა“, „რქახრილი“, „თავნახარა“, „ხატულა“, თვალი“, „ჯვრიანა“, „ყელგრძელა“ „თავგრაგნილი ხატი“ და სხვ. (ნახ. 5).



ნახ. 3. ჩოხის შიბის შესრულების თანმიმდევრობა



ნახ. 4. ტომრის შიბის შესრულების თანმიმდევრობა



ნახ. 5. ჯვრული ნაქარგობით შესრულებული ორნამენტები ხევისურულ სამოსზე



როგორც ვხედავთ, ხევსურული ნაქარგობის სახეობები – ჯვრული ქარგვა და შიბით ქარგვა ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულია. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს შიბით ქარგვის ხერხებისა და ტექნიკის დამუშავებას და ფართო საზოგადოების წინაშე წარმოჩენას, რადგან დღეისათვის ის მხოლოდ ვიწრო წრისთვისაა ცნობილი. მხატვრული ქარგვის ხერხების პოპულარიზაცია აქტუალურია თანამედროვე ეტაპზე, როდესაც მნიშვნელოვნად გამოიკვეთა ინტერესი მდიდარი ტრადიციული მემკვიდრეობისადმი და ერთგვარ პიკს მიაღწია კოლექციებმა ტრადიციული სამოსის ელემენტებით. ამ მიმართულებით ქართული ტრადიციული დეკორისა და განსაკუთრებით ნაქარგობის სინატიფე უდავოდ შთამბეჭდავი მასალა და შემოქმედებითი იდეების შთაგონების უშრეტი წყაროა თანამედროვე ტანსაცმლის სპეციალისტებისათვის.

ლიტერატურა

1. ბარდაველიძე ვ., ჩიტაია გ. ქართული ხალხური ორნამენტი I, ხევსურული. თბ. 1939 160 გვ.;
2. ჩიტაია გ. ხევსურული კოსტუმი, გამომცემლობა „ხელოვნება“ თბ., 1955;
3. არაბული ე. ხევსურული ნაჭრელას სახეთა სისტემა // ჟურნალი „მითი და ტრადიცია“ თბ. 2008;
4. ჩუბინიძე ე. უგრეხელიძე ი. ქართული ნაქარგობის ტექნიკა, ქუთაისი აწსუ, 2017. 120 გვ.

MYTHICAL HANDICRAFT IN THE MOUNTAINOUS REGION OF GEORGIA

E. Chubinidze, I. Ugrekhelidze, N. Kartsidze
Akaki Tsereteli State University

Summary

The article deals with artistic handicraft – the *ancient tradition* of hand embroidery, which has been particularly preserved in the mountainous region of Georgia, especially in Khevsureti. Decorating by means of ancient decorative ornamental patterns and ancient folk painting traditions based on natural paints still makes Khevsurian “Talavari” outstanding by its originality.

Khevsuretian ornament is strictly geometrical and cross is one of the most prominent figures. Cross symbol carries magic-anthropic sense and it is associated with religious belief of Khevsurians. The most amount of cross model figures are gathered on the part of clothes that covers the chest area and fulfils the function of chest piece. The article encompasses a glossary of Khevsurian terms corresponding to patterns. The materials used for handicraft are also described. Khevsurian embroidery differentiated common types of embroidery stitches: cross stitch and chain stitch. The patterns of each ornamentation are performed in a meticulous way and sequences of stitches as well as techniques are schematically shown. Analyzing mentioned techniques and processing schemes seem to gain high topicality in the modern stage, when particular attention is drawn to the rich traditional heritage and collections with the elements of traditional clothing has reached the peak.

АССОЦИАТИВНЫЕ ОСНОВЫ ТВОРЧЕСТВА В ДИЗАЙН-ДЕЯТЕЛЬНОСТИ И ДИЗАЙН-ОБРАЗОВАНИИ

Н.В Чуприна, Т.В Струминская, С.И. Прасол
Киевский национальный университет технологий и дизайна

В статье рассмотрены основные аспекты дизайн-образования и принципы комплексной подготовки дизайнеров в различных сферах проектирования. Очерчены требования к профессиональности дизайнера в контексте национальной и европейской культуры проектирования. Описаны понятия «воображение» и «творческое воображение» в контексте современной дизайн-деятельности. Рассмотрены вопросы использования случайных стимулов и импульсов, ассоциативных методов поиска творческих решений в дизайне.



Как известно, дизайн - это творческая деятельность, которая объединяет в процессе проектирования достижения различных отраслей человеческой деятельности - техники, конструирования, технологии, экономики, социологии, искусства [1].

Соответственно, она направлена на создание эстетически совершенных и высококачественных серийных изделий. Объектами профессиональной деятельности специалиста-дизайнера являются образцы промышленной продукции, средства транспорта, предметы культурно-бытового назначения, эстетичные качества которых и их конкурентоспособность обеспечивается дизайн-проектированием, цель которого - создание новых образцов промышленной и индивидуальной продукции, анализ основных закономерностей развития дизайна в теоретическом, историческом, культурном, инженерно-техническом, творческом и других аспектах. [2]

Таким образом, комплексная всеобъемлющая подготовка специалистов по дизайну находится на стыке всех сфер дизайн-деятельности. В результате дизайнер должен ориентироваться в гуманитарных, социо-культурных, экономических, профессионально-ориентированных аспектах создания предметной среды. Кроме того, профессиональность дизайнера должна опираться на знания исторического и искусствоведческого опыта общества, основные направления развития и социо-культурную сущность разных видов художественной и проектной деятельности, знания и понимания произведений выдающихся художников, как в сфере искусства, так и научного творчества или промышленного формообразования изделий. Специалист-дизайнер должен владеть навыками анализа, систематизации и трансформации различных аспектов художественного процесса, с использованием разнообразных средств, методов и техник, а также внедрять компьютерные технологии в дизайн-деятельность для решения проектных заданий различной степени сложности.

Занимаясь проектной деятельностью, дизайнер должен учитывать взаимосвязь элементов в пространственном и конструктивно-структурном отношении. Из этого следует необходимость постановки аналитической задачи и методики ее решения в творческой работе дизайнера. Дизайнер должен уметь анализировать средствами формообразования и композиции логику и закономерности структуры, конструкции формы, формообразования в пространстве и реализовывать эти свойства в своих творческих разработках. Кроме того, дизайн-деятельность предусматривает ощущение формы, умение ее организовывать и изменять в соответствии с проектным замыслом [3].

Соответственно, одним из основных заданий проектирования необходимо определить не только точную передачу особенностей объектов природы, а творческое их переосмысление и преобразование, с выявлением пластико-ритмических, формообразующих, декоративных и других качеств. Следовательно, к подготовке будущих дизайнеров нужно относиться чрезвычайно ответственно, потому что дизайнер формирует визуальный образ вещей, и таким способом способствует эстетично-культурному прогрессу промышленности.

Чрезвычайно важно формировать взгляд на дизайн-образование с точки зрения художественных ценностей собственного народа, возрождать первоисточники украинского национального дизайна. Каждое небольшое заведение должно стать ячейкой сохранения народных традиций своего региона, а его выпускники - обеспечить продолжение этих традиций.

Украинская школа изобразительного искусства и дизайна имеет твердую и самобытную основу. Она объединяет в себе наилучшие принципы художественного образования, которые десятилетиями выкристаллизовались, и являются, по сути, уникальным явлением в мировой художественно-проектной культуре. Это способствует формированию профессиональных знаний и умений и обеспечивает будущему специалисту в его дизайн-деятельности достойное воплощение творческих замыслов. Таким образом, сущность образования дизайнеров в Украине



должна отвечать двум современным критериям: европейским ориентирам проектной культуры вообще и современной дизайн-деятельности в частности, с одной стороны; а с другой стороны - выражать национальные особенности и воплощать принципы самоидентификации, опираясь на традиционные основы дизайн-образования.

Дизайнерская деятельность должна стать высокоинтеллектуальной, нужно совершенствовать содержание таких специальностей, как промышленный, графический, ландшафтный дизайн, фитодизайн, web-, motion- и фотовидеодизайн, дизайн мебели и интерьеров, костюма, стиля и моды и т.д.

С другой стороны, все эти практические средства учебного процесса не могут дать желаемого результата без главного - развития ассоциативного мышления, что является самым главным фактором в творческом процессе вообще. Необходимым условием для работы по усовершенствованию ассоциативного виденья является достаточно развитое воображение.

В своем труде "Дианетика" исследователь Л.Рон Хаббард достаточно полно раскрывает понятие "воображение" с точки зрения современной науки об уме человека:

«Существует ряд вторых видов умственной деятельности, которые можно отнести к таким категориям, как «воображение» и «творческое воображение». Они также представляют собой богатый материал для исследования.

Воображение - это рекомбинация того, что человек ранее ощущал, думал или создавал посредством интеллектуальных расчетов и что необязательно существует в действительности. Это способ, используемый разумом для того, чтобы представили себя желаемые цели и предсказывать будущие события». [4]

Следовательно, исходя из понятия о "воображении" на уровне современной науки и исследуя процесс развития "творческого воображения" в непосредственном наблюдении на примере конкретных творческих дизайн-проектов можно сделать вывод, что удачное применение практических навыков развития ассоциативного виденья и необходимая творческая основа - это большая сила, которая способствует росту "воображения" а тем самым и творческой личности - маленького кирпичика большого общества.

В современной дизайн-деятельности большое значение отводится этапу формирования концептуального образа как основы для создания последующих форм дизайн-объектов и их комплексов. Это очень ответственный этап, где от дизайнера зависит успех не только на уровне идеи, а также на уровне последующей ее реализации. Бесспорно, важным является технический уровень реализации, реклама и продвижение товара на рынке, но удачный дизайн - это первооснова последующего процесса.

Не менее важной является и такая сфера деятельности человека как художественные и социо-культурные события. На этом визуальном культурологическом пространстве формируется не только эстетичное воспитание человека но и вообще его общественная позиция. Потому деятельность художника в этой сфере творческой деятельности непосредственная и особенно ответственная. Только творческий человек с большим потенциалом и развитым ассоциативным виденьем способен выполнять такую работу на уровне лучших всемирных образцов.

Способность мышления устанавливать и адаптировать в дизайн-деятельности взаимозависимости между объектами или понятиями, даже если те не имеют традиционных ассоциативных связей, тем больше у дизайнера, чем сильнее его творческая и проектная подготовка, в том числе и образование. А у дизайнеров с богатым творческим и профессиональным опытом даже возникают осложнения в поиске нетривиальных ассоциативных связей, поскольку оказывается, что в окружении или сознании и так все взаимосвязано.

Соответственно, случайные стимулы или импульсы в творческом процессе не всегда бывают результативными или полезными. С другой стороны, во многих ситуациях именно они способны



изменить сущность дизайн-деятельности, поскольку могут сгенерировать идею, частично или даже полностью готовую к реализации. Хотя, наиболее часто ассоциативное применение случайных импульсов в дизайн-деятельности приводит к расширению взгляда на проектное задание, уменьшение стереотипности или усиление оригинальности дизайнерского решения.

Следовательно, способность трансформировать и адаптировать случайные импульсы и стимулы под потребности проектного задания составляют основу ассоциативных методов поиска творческих решений в дизайн-деятельности. Ведь именно непригодные, на первый взгляд, явления или предметы окружающей среды, при их профессиональной ассоциативной адаптации приводят к разработке художественно оригинальных, однако функционально целесообразных творческих или проектных решений. Дизайнер при этом должен проявить наблюдательность, внимательность и креативность, не пренебрегать любой информацией, а воспринимать ее за случайный импульс, который, при условии его творческой адаптации, приведет к ассоциативному концептуальному решению поставленной проектной задачи.

Изложенные выше мысли и выводы дают толчок для развития ассоциативных методов активизации дизайн-деятельности и поиска творческих решений в дизайне. Эти методы основаны на анализе применения новых перспективных средств художественно-проектного творчества, разработке картотек художественно-композиционных признаков и генерировании новых проектных решений или разработке объектов дизайна с усовершенствованными художественно-эстетическими и функционально-практическими характеристиками.

Следовательно исходя из того, что раскрывает в потенциале нашего ума дианетика и на наблюдениях собственного опыта при работе с конкретными проектными задачами можно сделать вывод, что есть направления, которые можно использовать с целью развития таких качеств ума как "воображение" и, собственно, "творческое воображение". Действительно, ассоциативные методы поиска творческих решений в дизайне, осуществленные средствами изобразительного искусства, в том числе графическими средствами, в определенных условиях могут стать основой для расширения вариативности дизайн-деятельности.

Литература:

1. Валковская К. Культура и искусство [Эл. ресурс]: Режим доступа: http://wiki.lik590.ru/doku.php/tema:kultura_i_iskusstvo_valkovskaja_ksenija
2. Студопедия: ваша школопедия [Эл. ресурс]: Режим доступа: http://studopedia.ru/2051443_forma-obucheniya-zaochnaya.html
3. Савинов А.М. Методические принципы академического рисунка при подготовке дизайнеров // Концепт. – 2014. – Спецвыпуск №06. [Эл. ресурс]: Режим доступа: <http://e-koncept.ru/2014/14571.htm>
4. Хаббард Л.Р. Дианетика [Эл. ресурс]: Режим доступа: <http://kob-media.ru/wp-content/uploads/2014/12/Dianetika.pdf>
5. Чуприна Н.В. Роль сучасних технологій дизайн-діяльності у формуванні компетентностей дизайнера одягу в сучасній індустрії моди // Вісник КНУТД, 2015, № 5, С. 233 – 238
6. Колосніченко М.В., Зубкова Л.І., Пашкевич К.Л., Остапенко Н.В., Васильєва І.В., Колосніченко О.В. Ергономіка і дизайн. Проектування сучасних видів одягу: Навчальний посібник. К.: ПП «НВЦ «Профі», 2014, 386 с.
7. Чуприна Н.В., Струмінська Т.В. Сучасні технології дизайн-діяльності: Навчальний посібник.К.:КНУТД, 2017, 416 с.

**ASSOCIATED BASES OF CREATIVITY
IN DESIGN ACTIVITIES AND DESIGN EDUCATION
N.V Chuprina., T.V Struminskaya., S.I. Prasol
Kiev National University of Technology and Design
Summary**

In the article the basic aspects of design-educations and principles of complex design-education in the different spheres of planning are considered. The requirements to professionalism of designer in the context of national and European culture of planning are outlined. The concept of «imagination» and «creative imagination» in



the context of modern design-activity is described. The questions of the using of casual stimuluses and impulses, associative methods of search of creative decisions in a design are considered.

In modern design activities, great importance is given to the formation of a conceptual image as the basis for the creation of subsequent forms of design objects and their complexes. This is a very crucial stage, where success depends on the designer not only at the level of the idea, but also at the level of its subsequent implementation. Undoubtedly, the technical level of implementation, advertising and product promotion on the market is important, but a good design is the fundamental principle of the subsequent process.

სასცენო დისკურსი და ცოცხალი მიტყველება როგორც სტუდენტის „რიჩარდ მესამის“ მახლობელი

თ. ცაგურია

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

სასცენო მიტყველება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ერთად მჭიდროდ უკავშირდება ერის კულტურას, მხატვრულ ლიტერატურას, სალიტერატურო ენის მდგომარეობას.

თანამედროვე თეატრში ითვლება, რომ მიტყველება სცენაზე მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული სასაუბრო ენასთან, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ სცენაზე მსახიობის სასაუბრო სტილი იყოს არა მკაფიო, გაუგებარი, გაუბრალოებული და მდაბიო, მას მოეთხოვება ესთეტიკურობაც.

თეატრი თანადროულ ეპოქას და საზოგადოებას უნდა იყოს მორგებული, მას უნდა შეეძლოს წარსულისა და მომავლის აწმყოდ ქცევა.

სასცენო მიტყველება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან ერთად მჭიდროდ უკავშირდება ერის კულტურას, მხატვრულ ლიტერატურას, სალიტერატურო ენის მდგომარეობას. აქ ხშირად თვალსაჩინოა დრამატურის ეროვნული კულტურაც, ავტორისაც და იმ ერი-საც, ვისთვისაც იქმნება ის.

თანამედროვე თეატრში ითვლება, რომ მიტყველება სცენაზე მაქსიმალურად უნდა იყოს მიახლოებული სასაუბრო ენასთან, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს რომ სცენაზე მსახიობის სასაუბრო სტილი იყოს არა მკაფიო, გაუგებარი, გაუბრალოებული და მდაბიო, მას მოეთხოვება ეს-თეტიკურობაც.

„პიტერ ბრუკი თავის წიგნში „ცარიელი სივრცე“ აღნიშნავს, რომ „სათეატრო ენა უნდა იყოს მარტივი, მაგრამ ყოველთვის სხვადასხვა, დამოკიდებული იმაზე, თუ სად და ვისთან თამაშობ“ (Брук, 2003:143).

სასცენო დისკურსი სხარტია: „რეჟისორის სათეატრო ენისთვის დამახასიათებელია სცენური თხრობის არაჩვეულებრივი დინამიკურობა“ (ვასაძე, 2015: 190).

ჩვენი მიზანია, განხილული სპექტაკლების მიხედვით გამოვკვეთოთ, რა გავლენას ახ-დენს სასცენო დისკურსზე ცოცხალი მიტყველება.

პიესა „რიჩარდ მესამეში“ ვკითხულობთ:

- ვეღარ ვიტყვი, ეს ქვეყანა გაუკუღმართდა

და სადაც არწივნი ვერა ბედავენ დასხდომასაც კი,

იქ ჭინჭრები ნავარდობენ; სად წუწკნი გლეხნი

გააზნაურდნენ, დიდებულნი იქ გლეხდებიან“ (შექსპირი, 1953:35).



სპექტაკლში გვესმის:

-**მე ვერაფერი ვერ გავიგე, ისე როგორ გათახსირდა ეს ქვეყანა,
სადაც ჭინჭრაქები ნადირობენ, იქ არწივები დასხდომასაც ვერ ბედავენ,
სადაც გლეხუჭები გააზნაურდნენ, იქ აზნაურებს აღარ დაგვედგომება!**

პიესაშიც და სპექტაკლშიც წინადადებათა პარალელური გადაბმვა გამოყენებული. ერთგვარი მოწოდებაა, თხრობითი წინადადებები ძახილის წინადადებებითაა შეცვლილი.

სპექტაკლში ფაქტებია გადმოცემული, პიესაში კი ჩანს დამოკიდებულება ამ ფაქტებისადმი. **გაუყუღმართდა** შეცვლილია **გათახსირებით**, აზნაურებს ქვეყნის გათახსირებად მიაჩნიათ გლეხების (აქ: **გლეხუჭების** - კნინობითი ფორმა) გააზნაურება, ეს მათთვის შეურაცხმყოფელია. ამ ნიშნებით სასცენო დისკურსი ექსპრესიულობას იძენს. ამგვარ ხერხს რ. სტურუა ხშირად მიმართავს:

-„შენის ცდით ჩემი ძმა ციხეში ჩამწყვდეულია
მე მფარველობა ამაყარეს და დიდებულთ გვარებს
უღირსად სჯიან, ამცირებენ ...“ (შექსპირი, 1953: 35).

სპექტაკლში ტექსტი დაუახლოვდა სასაუბრო მეტყველებას:

-**ჩემი ძმა კლარენსი ციხეში ჩააგდეთ, მე შემრისხეთ
გლეხუჭები გაგვიაზნაურეთ და თავზე წამოგვასხით.
ან კიდევ:**

-ყბედი მოსაქმე როდი არის. მაგაზედ გვენდეთ,
ჩვენ ხელეებს უფრო ვამუშავებ, ვიდრე ენას (შექსპირი, 1953: 51).

სპექტაკლში: -**მილორდ, ჩვენ სალაცხოდ კი არ მივდივართ, ჩვენ ხელით ვაკეთებთ საქმეს და არა ენით!**

ანალოგიურია შემდეგი მაგალითიც „რიჩარდ მესამიდან:“

პიესა-აბა გამოჩნდნენ ხელმწიფესთან რომ მაბეზღებენ... ვინც კი ხელმწიფეს ყურს აწვეთებს ამ **შფოთის ხმებსა** (შექსპირი, 1953: 34).

სპექტაკლი -**მაბეზღებენ, ათას აბდაუბდას აწვეთებენ ყურში**

შფოთის ხმები პიესაში შეცვლილია სასაუბრო სტილის სიტყვა **აბდაუბდით**.

ზოგჯერ წინადადებას მოკლე რეპლიკა ცვლის, რაც დამახასიათებელია სასაუბრო სტილისთვის.

-განა გადაწყდა, რომ მფარველად ის ინიშნება? (შექსპირი, 1953: 32)

სპექტაკლში: -**როგორ, უკვე გადაწყდა?** - ასეთნაირადაა გადმოცემული ძირითადი ტექსტის რთული ქვეწყობილი წინადადება რეპლიკით.

რამდენიმე ტაქტიკა ერთდროულად არის გამოყენებული ტექსტის გასამარტივებლად, მეტი ეფექტურობისა და ექსპრესიულობის მისაღწევად იმავე სპექტაკლში.

-რაკი პირმოთნედ ლაპარაკი არ შემიძლია

არ შემიძლიან **მოქარგულის ენით ლაქუცი**

პირში ღიმილი, ფრანგთა წესით დაბლა თავდახრა

და სხვა ამგვარი პრანჭვა-გრეხვა მაიმუნური,-

მტერი ვყოფილვარ, მოძულე და გულ-ჩახვეული! (შექსპირი, 1953: 34)

სპექტაკლში კი გვაქვს:

-**პირმოთნე რომ არ ვარ და ლამაზ-ლამაზი სიტყვებით ლაპარაკი რომ არ ვიცი,**



ფრანგების მსგავსად არ ვმამუნობ და ფეხქვეშ არავის ვეგები,
ამის გამო არა? უბორტეს მტრად უნდა გამომაცხადოთ?

სასაუბრო სტილისთვის ნიშანდობლივია ვულგარიზმების, ჟარგონების გამოყენება. მხატვრულ ლიტერატურაში კი ისინი სტილიზაციის მიზნით გამოიყენება, იხმარება პერსონაჟის მხატვრული სახის შესაქმნელად. სასცენო დისკურსშიც მას იგივე ფუნქცია ეკისრება.

საგანგებოდ მიუთითებენ თანამედროვე ქართულში ვულგარიზაციის ტენდენციის ზრდაზე. „ამას შიდა პროცესებთან ერთად დასავლური, ე. წ. მასკულტურის ფართოდ შემოჭრამაც შეუწყო ხელი. ენის ვულგარიზაციის აღნიშნულმა ტენდენციამ, ოფიციალური ურთიერთობების ფამილიარიზაციამ არა მხოლოდ სახელისუფლებო, საპარლამენტო და სატელევიზიო მეტყველებაში იჩინა თავი, არამედ ცენტრალური გაზეთების ისეთ პუბლიკაციებშიც გამომჟღავნდა, რომლებიც ოფიციალურ-საქმიანი სტილის ჩარჩოებში უნდა თავსდებოდნენ“ (არაბული, 2005: 237).

სასცენო დისკურსში ხშირია ამგვარი ლექსიკა, მაგალითი „რიჩარდ მესამიდან“: პიესაში ვკითხულობთ:

-**ბუმბუმედ** ვამბობ, ჩემო ტირელ, ციხეს რომ სხედან

და რომელთ ეხლავ ვანდობ მაგ შენს ხელოვნებასა (შექსპირი, 1953: 159).

სპექტაკლში- ტაურეში რომ **ნაბიჭვრები** სხედან, იმათზე გეუბნები

იმავე პიესაში:-მწყალობელი ხარ, ვიცი, შენ იმ **უნამუსოსი** (შექსპირი, 1983: 194)

სპექტაკლში-**იმ ბოზ დედაკაცს** იცავ?

რეჟისორის მთავარი მიზანია, თეატრმა არ დაკარგოს კონტაქტი მაყურებელთან. თეატრი თანადროულ ეპოქას და საზოგადოებას უნდა იყოს მორგებული, მას უნდა შეეძლოს წარსულისა და მომავალის აწმყოდ ქცევა. შორეული წარსულიდან „მოსული“ პერსონაჟი მაშინ არის საინტერესო მაყურებლისთვის, როცა იგი მახლობელია და მისი მეტყველება გასაგები, ცოცხალი და უშუალოა, თუმცა აუცილებელია არ დაირღვას ბალანსი ცოცხალსა, უშუალოსა და უბრალოსა და მდარეს შორის რისი ბრწყინბაღე მაგალითიც გახლავთ რობერტ სტურუას რეჟისორული ინტერპრეტაციები.

ლიტერატურა:

1. არაბული ა. „ქართული მეტყველების კულტურა“. თბილისი, გამომ. „უნივერსალი“. 2005წ. 308 გვ;
2. ვასაძე მ., კლასიკის თანამედროვე ინტერპრეტაციები რ. სტურუას ქართულ შექსპირიანაში, „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები VI“. ბათუმი ხელოვნების უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015წ. 397გვ;
3. შექსპირი უ., ტრაგედიები I ტ. თბილისი, გამომცემლობა, „საბჭოთა მწერალი“, 1953, 443 გვ;
4. Брук П. Пустое пространство, секретов нет. Москва изд. „Наука“, 2003, 195 с; Stage discourse

STAGE DISCOURSE AND LIVE SPEECH ON THE EXAMPLE OF “Richard III” of Robert Sturua Batumi Art Teaching University Summary

The stage speech together with the universal values is closely linked to the culture of the nation, artistic literature, condition of the literary language.

In modern theater it is considered that the speech on the stage should be as close to the casual language as possible, however this doesn't mean that the conversational style of the actor must not be distinct, ambiguous, simplified and common, it is desirable to be aesthetic as well.

The theater should be fit to the epoch and society, it should turn the past and future into the present.



კვლევი ქართული სათამაშოები და ბართობა-თამაშობანი XVIII-
XIX სს. საქართველოში

მ. ხინთიბიძე, თ. დიდებაშვილი
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

სტატიაში განხილულია ქართული ხალხური სათამაშოების სახეობები, დამზადების ტექნიკა და სიმბოლური მახასიათებლები. ნაჩვენებია დედოფალების როლი, ფუნქცია და დანიშნულება სხვადასხვა სარიტუალო ქმედებებში. მიმოხილულია ის დადებითი მუხტი, რომელსაც სათამაშო მოზარდს აძლევდა.

სტატიაში ნაჩვენებია სათამაშო, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეთნოგრაფიული წყარო მატერიალური კულტურის კვლევის საქმეში.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის ისტორიისა და ეთნოგრაფიის კოლექციებში არსებულ მნიშვნელოვან ექსპონატებს შორის დაცულია ექსპედიციების, შესყიდვებისა თუ შემოწირულობების გზით შემოსული დიდი რაოდენობით სათამაშოები, როგორც საქართველოდან, ასევე კავკასიის სხვადასხვა რეგიონებიდან. ესენია, როგორც თავშესაქცევი, ასევე სარიტუალო დანიშნულების დედოფალები, მოძრავი თეატრები, აკვნები ქვეშაგებით, თოფები, ხმლები, შურდულები, მშვილდ-ისრები და ა.შ.

წინამდებარე სტატიის მიზანია, ეროვნულ მუზეუმში დაცული არტეფაქტების საფუძველზე მოხდეს გართობა-თამაშობათა ერთი მცირე ნაწილის რეკონსტრუქცია, რაც გულისხმობს სათამაშოების სახეობის, მასალის, ოსტატისა და იმ დადებითი ენერგეტიკის მიმოხილვას, რომელიც უდიდეს გავლენას ახდენდა ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბებაზე.

სიტყვა თამაში თათრულიდან (სპარსულიდან) მომდინარეობს და ქართულად სანახაობის, სიმღერა-შექცევის სინონიმია. თამაში გულისხმობდა აგრეთვე სპორტულ და სამხედრო ვარჯიშებს, რომელიც მნიშვნელოვანი იყო ადამიანის ფიზიკური განვითარებისათვის. თამაშობათა ისტორიის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ ხალხის ტრადიციული კულტურის შესწავლაში, რადგან თამაშის პროცესი და გამოყენებული ნივთიერი მასალა პირდაპირ ირეკლავდა ადამიანთა ყოველდღიურ საქმიანობას, საყოფაცხოვრებო კულტურას, წეს-ჩვეულებებს, რწმენა-წარმოდგენებს და ა.შ.

დედოფალათი თამაში საოჯახო ყოფის მეტნაკლებად ზუსტ სურათს განასახიერებდა. პატარა გოგონები თავს დასტრიალებდნენ დედოფალებს, ღვიძლი შვილივით უვლინდნენ მათ. ამგვარი კონტაქტი ხელს უწყობდა დედობრივი გრძნობების გაღვივებასა და მომავალში დედობრივი პასუხისმგებლობისათვის ამზადებდა.

სათამაშო დედოფალებს ბავშვებს ძირითადად ოჯახის წევრები უმზადებდნენ, ან თავიანთი ფანტაზიისა და შემოქმედების მიხედვით, თავადვე ქმნიდნენ. მასალად გამოიყენებოდა ყველაფერი, რისი მარტივად მოპოვებაც შეიძლებოდა, ხის ნაჭერი, სიმინდის ფუჩეჩი, მცენარეები, ბუნებრივი თუ ხელოვნური თმის ნაწილი, ღილები, მატყლი, ბამბა, ლითონის სამკაულები და ა.შ.

საქართველოს მთიან მხარეებში, უფრო მეტად ფშავ-ხევსურეთში, გავრცელებული იყო დედოფალების დამზადება მცენარეებისაგან. კავკასიური ტანსაცმლისა და ქსოვილების ფონდში დაცულია მცენარისაგან, დაყის ფოთლებისაგან გაკეთებული პატარა დედოფალა, რო-



მელსაც წელზე სარტყელივით შემოხვეული აქვს ბალახი. სიმაღლე 11 სმ-ია და ახლავს წარწერა, საიდანაც ვიგებთ, რომ დედოფალა გაუკეთებია 90 წლის მარიამ ბეწინტურის ასულ ხორნაულ-ბალიაშვილისას სოფელ მიგრიაულთაში (ფშავი) 1962 წლის 3 აგვისტოს. იშვიათად, მაგრამ გვხვდება თიხისაგან გამოძერწილი ან ცომისაგან გაკეთებული დედოფალები, თუმცა მათ უფრო მეტად რიტუალური დანიშნულება ჰქონდათ და სათამაშოდ ნაკლებად იყენებდნენ.

უძველესი პერიოდიდან მოყოლებული, ადამიანი მიმართავდა სხვადასხვა სახის რიტუალს უკეთესი მოსავლითვის, რაც თავის მხრივ დაკავშირებული იყო ამინდთან. ამინდის გამოწვევის რიტუალები გავრცელებული იყო მთელს საქართველოში და „ლაზარობა-გონჯაობის“ სახელით არის ცნობილი. რიტუალის მთავარი პერსონაჟი კი იყო თოჯინა, რომელიც ამინდის ღვთაებას განასახიერებდა. ეს რიტუალი ორმხრივი დაიშნულების გახლდათ და სრულდებოდა როგორც დარის, ასევე წვიმის დროსაც. რიტუალი თითქმის ყველა კუთხეში ერთი სახისა იყო, თოჯინას კარდაკარ ჩამოატარებდნენ, იმღერებდნენ და კართან მოსულ მომღერლებს გაწუწუვდნენ. შემდეგ მოაგროვებდნენ პროდუქტს და გაიმართებოდა საერთო პურობა. იცოდნენ თოჯინის წყალში გადაგდებაც.

სარიტუალო თოჯინებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული სახელით მოიხსენიებდნენ და შესაბამისად, მუზეუმის კუთვნილი დედოფალებიც სამუზეუმო დავთარში მსგავსი სახელებით არის გატარებული: „ლაზარე“, „კუკა“, „გუგა“, „გონჯი“ და სხვა.

ჩვენს ხელთ არსებული მასალით თუ ვიმსჯელებთ, დედოფალების ტანის გასაკეთებლად ძირითადად გამოიყენებოდა ხის მასალა, ჯოხი, ჩხირი ან ფიცრის ნაჭერი, გვხვდება ასევე ნაჭრებისაგან შეკერილი ტანიც. რამდენიმე ნაჭერი ისეა დაკეცილი და დაწყობილი, რომ სხეულის მოხაზულობას ქმნის, თუმცა დედოფალების უმრავლესობას მაინც ხის ნაჭრების გადაჯვარედინებით შექმნილი ტანი აქვს. შემდგომ კი მას შემოსავდნენ სხვადასხვა ფერის ნაჭრებით და ალამაზებდნენ აქსესუარებით, მძივებით, ლითონის სამკაულებითა და მონეტებით.

საინტერესოა დედოფალების თავისა და სახის შემკულობაც. ზოგიერთ მათგანს სახის ნაკვთები ამოქარგული აქვს შავი მატყლის ძაფით, ან დახატული აქვს შავი ფანქრით ან მელნით, რაც ყველაზე გვიან შემოსული წესია. თოჯინების უმეტესობა სახის ნაცვლად გაკეთებული აქვს ღილი ან ლითონის ფული, რომელზეც მჭიდროდ გადაკრულია თეთრი ნაჭერი და ზედ ჯვარედინად ამოქარგულია ფერადი ძაფები. იშვიათად, მაგრამ გვხვდება დედოფალები, რომლებსაც სახის ნაცვლად მხოლოდ უბრალო ნაჭერი აქვს გადაკრული.

საკმაოდ ხშირად, დედოფალებს გაკეთებული აქვთ თმა და თავსაბურავები. ამისათვის გამოიყენებოდა უბრალო შავი ქსოვილი, სიმინდის ფოჩები ან თუნდაც ნამდვილი თმა. საქართველოში თავბურვისა და თმის დაყენების წესი ხშირად გამოხატავდა ქალის ოჯახურ მდგომარეობას, ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა გათხოვილი და გასათხოვარი ქალის თმის გაკეთების წესი. საინტერესოა, რომ ფონდში დაცულ კოლექციაში გვხვდებიან დედოფალები, რომლებსაც ოჯახური მდგომარეობის გამომხატველი ვარცხნილობები აქვთ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ მუზეუმში დაცული დედოფალების კოლექცია მნიშვნელოვანი მატერიალური წყაროა ქართული ეთნოგრაფიული კულტურით დაინტერესებული მკვლევარებისათვის. როგორც არა ერთხელ აღინიშნა, დედოფალების ჩაცმულობა ასახავს იმ კონკრეტული ქვეყნისა თუ რეგიონის სამოსისა და აქსესუარების ტარების





სტილს, სადაც დამზადებული იყო თითოეული მათგანი. საინტერესოა აგრეთვე დედოფალე-
ბი, რომლებსაც თან ახლავთ მზითვი, პატარა ნაჭრებისაგან დამზადებული ზეწარი, საბანი
და ბალიშისპირი, რაც ასევე ეპოქის ერთგვარ გამოძახილად უნდა მივიღოთ. მსგავსი თამაშო-
ბები, თავის მხრივ, დადებით გავლენას ახდენდნენ ბავშვის აღზრდასა და ჩამოყალიბებაზე,
ხელს უწყობდა მათ არსებულ სოციალურ გარემოსთან ადაპტაციასა და მომავალში იმ მნიშ-
ვნელოვანი პასუხისმგებლობისათვის მომზადებაში, რასაც დედობა ერქვა.

ლიტერატურა

1. ც. ბეზარაშვილი, „ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, თბილისი, გამომცემ-
ლობა „მეცნიერება“, 1974, 120 გვ.
2. გ. კვანტიძე, „ეთნოგრაფიული სურათები XVII-XVIII სს. საქართველოს ისტორიიდან“ ისტორიულ-
ეთნოგრაფიული კვლევა, თბილისი, 2014, 428 გვ.
3. ი. სურგულაძე, „მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში“, თბილისი, უნივერსიტეტის გამომ-
ცემლობა, 2003, 336 გვ.
4. ნ. ლოლობერიძე, „ქართული ხალხური დედოფალების კატალოგი“, თბილისი, გამომცემლობა „მეც-
ნიერება“, 1968, 49 გვ.
5. საქართველოს ეროვნული მუზეუმის საინვენტარო დავთრები

OLD GEORGIAN TOYS AND FUN-PLAYING XVIII-XIX CC. IN GEORGIA

M. Khintibidze, T. Didebashvili

Georgian National Museum

Summary

The article talks about different types of Georgian folk toys. Them being: dolls, wooden guns, shields, puppetry etc. Discusses different kinds of dolls, techniques of production and symbolic characteristics. Attention is drawn to their primary purpose, function and the positive energy that had a massive influence on a child's formation as a person.

The article depicts a toy as an important ethnographic source in the case of material study.

მსოფლმხედველობითი ტენდენციები თანამედროვე საზოგადოებაში

მ. ჯორბენაძე

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

*თანამედროვე ადამიანის მსოფლადქმა სულ უფრო მეტად ექცევა მაღალტექნოლოგიური ინ-
ფორმაციული სამყაროს გავლენის ქვეშ და ნაკლებად ეყრდნობა სოციალურ და ეგზისტენციურ გა-
მოცდილებას. ადამიანი წყვეტს ბიოლოგიურ არსებობას ბუნებრივ სივრცეში და ტექნიკისა და მეცნიერ-
ებების გარემოში გადადის, რაც გვათავსებს პოსტ-ჰუმანურ მომავალში, რომლის მზარდი შესაძლებ-
ლობებისა და საფრთხეების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.*

კაცობრიობა, მთელი თავისი არსებობის მანძილზე, ცდილობს სამყაროს გააზრებას და
მასში თავისი არსის განსაზღვრას. ტრადიციულ საზოგადოებებში, სადაც ცოდნის შენახვისა
და გადაცემის დაუწერელი, სახეობრივი, ემოციურად დატვირთული საშუალებები დომინი-
რებს, რიტუალი ქმნის და განუწყვეტლივ აახლებს სიმბოლური უნივერსუმის მთლიანობას.
ტრადიციული კულტურების სიმბოლურ უნივერსუმებში ჩართულია არამარტო ინფორმაცი-



ის მატარებელი ჩვეულებრივი, ვერბალური საშუალებები, არამედ ფიზიკური სამყაროს მოვლენები. ამ ტიპის საზოგადოებებში ინდივიდის ან ადამიანთა ჯგუფის სიმბოლური მოქმედება ან მოქმედებათა თანმიმდევრობა დაკავშირებულია მათთვის ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ და ეგზისტენციალურ გამოცდილებასთან.

ტრადიციულ აგრარულ საზოგადოებაში კულტურული პარადიგმა დაეფუძნა ქვეყნიერების შეცნობისა და აღწერის ტოტალურ მეტაფორულობას. ინდუსტრიული საზოგადოებაში ინდივიდუალობა იქცა შემეცნების ძირითად მსოფლმხედველობით კატეგორიად. თანამედროვე სამყაროს პოსტმოდერნის-ტული გარდასახვის პირობებში კი უკვე აღარ არსებობს ინდივიდი. „პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელია ირონია, ეკლექტიზმი, კალიდოსკოპურობა, თამაშის ელემენტის გაძლიერება, დისტანციურობა ავტორსა და ქმნილებას შორის. იგი მხოლოდ სტილური ძიებით არის დაკავებული. მისთვის უცხოა კანონზომიერების პრინციპი. სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია“ „ჩვენ განწირულნი ვართ გადავითამაშოთ ყველა სცენარი, რაც კი ოდესმე შექმნილა. ჩვენ ვცხოვრობთ გაუთავებელი იდეალების რეპროდუქციაში, ფანტაზიებსა და ოცნებებში, რომელთა ორიგინალები წარსულში დარჩა“. „გაქრა პროგრესის იდეა, მაგრამ პროგრესი გრძელდება“ – წერს ფრანგი კულტუროლოგი და ფილოსოფოსი ჟან ბოდრიარი.

მიშელ ფუკოს შრომებმა განსაკუთრებული ზეგავლენა მოახდინა პროგრესივიზმის დაცემაზე. ფუკოს აზრით, ისტორია უწყვეტ ნაკადის ნაცვლად უფრო მეტად ჩავარდნებისა და ერთი ფორმაციიდან მეორეზე მკვეთრი გადასვლების რიგს წარმოადგენს, მაგრამ, ჩვენთვის ცნობილია, რომ პროგრესივიზმის მერყეობამ ვერ შეძლო დაებრუნებინა ისტორიის იმდაგვარი გაგება, სადაც იგი წარმოდგენილია და აღიქმება ციკლურ, წინასწარგანსაზღვრულ, მესიის მოლოდინში მყოფ პროცესად.

კაცობრიობა მთელი თავისი არსებობის მანძილზე დაკავებული იყო ჭეშმარიტების ძიებით. მილიონობით თეზა და ანტითეზა იქმნებოდა საუკუნეების განმავლობაში და მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი ყოველთვის უწყობდა ხელს პროგრესს, ყოველი ეპოქის დასასრულს შეიმჩნეოდა ჩიხი, კრიზისი, რომლიდანაც გამოსავალი დიდხანს არ ჩანდა. ეს აჩენდა ნიჰილიზმს, უიმედობას. თუ მოდერნიზმის ეპოქა ჩაიკეტა საკუთარ თავში და მარტო დარჩა, პოსტმოდერნიზმი უფრო ელასტიური გამოდგა. მან გაიაზრა მარკიზ დე სადის მოსაზრება: „ჩვენ ვერასოდეს ვერ მივაგნებთ ჭეშმარიტებას, საკუთარი თვალთ დასაჯული და განცდილი ცვალებადი ჭეშმარიტების გარდა“.

თავისი პროგრესულობის მიუხედავად, ჰუმანიტარული მეცნიერებები ყოველთვის, თუნდაც ქვეცნობიერად, უფრო წარსულისკენ იყვნენ მიმართულნი, ვიდრე მომავლისკენ. როდესაც მომავლისკენ იყვნენ ორიენტირებულნი, მათ, ძირითადად, ფილოსოფია და აბსტრაქტული ჰუმანიზმი ამოძრავებდათ. თეორიულად მაინც, ყოველთვის არსებობდა პიროვნებათა სრული და დაბალანსებული პოტენციალის შექმნის იდეალისტური პროექტი იმისთვის, რომ სამომავლოდ, შემდეგი თაობისათვის უფრო ცივილიზებული და ერთიანი საზოგადოება შეექმნათ. მეცხრამეტე საუკუნის კულტურის კრიტიკოსებმა ტრადიციულ ჰუმანიზმს დაამატეს თეზა, რომ კულტურა შეიძლება სოციალური ცვლილებებისთვის შესაფერის ნიადაგად ქცეულიყო. დაახლოებით იმავე დროს, იდეალისტი მოაზროვნეები (როგორც იყო, მაგალითად, ტ. ჰ. გრინი) ამტკიცებდნენ, რომ კულტურა სწორედ ის სფერო იყო, სადაც ჩვენი საუკეთესო ნაწილის არსებობა და ცხოვრებაც კი შეიძლება წარმოგვედგინა.



ბრიტანელი კულტუროლოგის საიმონ დიურინგის შეხედულებით, კულტურამ უტოპიური მნიშვნელობა შეიძინა და ჰუმანიტარული დარგები აღარ წარმოადგენენ მომავლის ფორმირების უმნიშვნელოვანეს ძალას, რადგან უკვე არ გააჩნიათ საერთაშორისოდ აღიარებული იმედები საზოგადოებისა და კულტურის ახალი ფორმების შექმნასთან დაკავშირებით.

მომავალი არსებობს მომავლის შესახებ ჩვენი წარმოდგენებისა და სურათების სახით. ის არსებობს, აგრეთვე, დაგეგმვაშიც, რომელიც მომავლისთვის მზადების მცდელობას აღნიშნავს. პროგნოზირება იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, თითქოს რაღაც ხარისხით მომავლის გაკონტროლება შეგვიძლია და ამის გაკეთებას ალბათობის კალკულაციების გამოყენებით ვცდილობთ კიდევაც, არამედ იმას, რომ თუ თავიდანვე გვეცოდინება, რა გველის მომავალში, მატერიალური უპირატესობის მოპოვებას შევძლებთ. ნებისმიერ შემთხვევაში, მომავლის შეფასება დამოკიდებულია ჩვენს მიერ როგორც წარსულის, ისე მომავლის შესახებ საკმარისი ინფორმაციის მოპოვებაზე.

კულტუროლოგია ღრმად არის დაკავშირებული დაგეგმვის პროცესებთან, რაც კულტურული პოლიტიკის რუბრიკით არის წარმოდგენილი, მაგრამ მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, თუ როგორ წარმოგვიდგენია მომავალი დღეს. პოსტმოდერნისტული ეპოქა, რომელიც მოდერნიზმს ჩაენაცვლა, კრახგანცდილი კაცობრიობის ეპოქაა, რომელიც უტოპიებით აღარ ცხოვრობს და არ ცდილობს სამყაროს გადაკეთებას, პირიქით, ის ცდილობს მიიღოს სამყარო ისეთი, როგორც არის. დღესდღეობით, ადამიანს აქვს სრულიად ახალი შესაძლებლობები, სპეციალური კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, სხვა რეალობის შესაქმნელად. რას ასრულებს ეს შესაძლებლობა? რა არის ეს ახალი ტექნოლოგიები? რა გავლენას ახდენენ ისინი თანამედროვე საზოგადოებასა და კულტურაზე? ეს საკითხები ძალზედ აქტუალურია კულტუროლოგიური კვლევებისათვის.

პროგრესივიზმის მერყეობამ მიგვიყვანა ხშირ შემთხვევაში ფარულ, ერთგვარად მოუგვარებელ და არალოგიკურ აზრამდე, რომ ჩვენ ახლა „მომავალში ვცხოვრობთ“. აწმყოს მიერ მომავლის მითვისება მრავალ კულტურულ სფეროში იგრძნობა. მაგალითად, ამ კონცეპტს კარგად გადმოსცემს მომავლის ფუტურისტური სურათები - სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის ფილმები ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული დღემდე. გავიხსენოთ, მაგალითად, სამეცნიერო-ფანტასტიკური ფილმები „დროის მანქანის შესახებ“. სადაც დროში მოგზაურობას კვლევის ფორმა კი არა აქვს, არამედ მიმართულია მომავლის გადარჩენისკენ. ანუ, მომავალში მოგზაურობა იმ აწმყოში ჩარევის უფლებას იძლევა (როგორც მომავლის წარსულში), რომელმაც მომავალი უნდა შეცვალოს. ან ისეთ ფანტასტიკურ ფილმებში - სადაც არა რამდენიმე მილიონის წლის უკან, არამედ ჩვენს თანამედროვეობაში „იურიული პერიოდის პარკში“ - დასახლებული არიან კლონირებული დინოზავრები. ან ფილმები აპოკალიფსური თემატიკით, სადაც უცხოპლანეტელთა კოსმოსური ხომალდები ეშვებიან მეგაპოლისებში და ა. შ. დღევანდელი ყოველდღიური ცხოვრება ჩვეულებრივად მიმდინარეობს და უეცრად არაჩვეულებრივი და ახალი მოვლენებისთვის იხსნება. ამ ჟანრში, დამოკიდებულება წარსულსა და აწმყოს შორის თითქმის წაშლილია და მათ შორის დიდი განსხვავება არ სჩანს.

აწმყოსა და მომავლის გადაკვეთა, როგორც ხშირად ამბობენ, რადიკალური სიახლის საშუალებით ხდება. ცნობილი ფუტუროლოგის, თომას ჰომერ-დიქსონის აზრით: „გასული საუკუნის უთვალავმა, მზარდმა ცვლილებებმა, როგორც მთელი პლანეტის საზოგადოებებში,



ისე ტექნოლოგიებსა და გარემომცველ ბუნებრივ გარემოში, თავი მოიყარეს, რათა ხარისხობრივად ახალი სამყარო შეექმნათ. პარადოქსულია, რომ ეს ახალი სამყარო სწორედ ის მომავლის სამყაროა, რომელშიც ამჟამად ვცხოვრობთ. ეს ის სიახლეა, რომელიც თავისი არსით მხოლოდ პოლიტიკური ან კულტურული არ არის, რადგან პოლიტიკისა და კულტურის ოფიციალური სტრუქტურები რადიკალურად არ შეცვლილან, თუმცა მათი დამოკიდებულება სოციალური ფორმაციების მიმართ ნამდვილად შეიცვალა“.

უილიამ ბეკი თვლის, რომ ჩვენ ვცხოვრობთ შექმნილი რისკის ხანაში. ანუ ის რისკი, რომლის წინაშეც ჩვენ ყოველდღიურად ვდგავართ, ჩვენი ხანისთვის სპეციფიკურია და არ წარმოადგენს ბუნებრივ რისკს. ის წარმოქმნილია ხელოვნურად, ექსპერტთა სისტემების მიერ და არ არის ჩვენი ქმედებებით განპირობებული. შექმნილი რისკი ცოდნაზეა დამოკიდებული და ითხოვს ჩვენგან არარსებული, მომავალი ვითარებების წარმოდგენას, როგორც ჩვენი გადაწყვეტილებებისა ან კანონმდებლობის მიღების საფუძველს. ამიტომაც დღევანდელ საზოგადოებას ბეკი რისკის საზოგადოებას უწოდებს.

ადამიანები უხსოვარი დროიდან სიზმრებში, ფანტაზიებსა და ოცნებებში - საკუთარ წარმოდგენებში ქმნიდნენ სხვა სამყაროებს. რომლის თანამედროვე ინტერპრეტაციავირტუალური რეალობის კონცეფცია მჭიდროდ არის დაკავშირებული კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან. ეს, ნაწილობრივ იმ მსხვილი კომპანიების/კორპორაციების დამსახურებაა, რომლებიც დაკავებულნი არიან ახალ ტექნოლოგიებზე საზოგადოების ყურადღების მიპყრობით. თანამედროვე ადამიანის მსოფლადქმა სულ უფრო მეტად ექცევა მაღალტექნოლოგიური ინფორმაციული სამყაროს გავლენის ქვეშ და ნაკლებად ეყრდნობა სოციალურ და ეგზისტენციალურ გამოცდილებას. ეს სწორედ ის სამყაროა, რომელშიც ბუნება ამ ერთიანი სისტემის ნაწილად მოიაზრება და თითქოს ამით სამყარო კიდევ უფრო ძლიერი და უსაფრთხო გვეჩვენება ვიდრე წინათ. მაგრამ, ამასთანავე, უფრო დაუცველიცაა სერიოზული რისკებისა და ტოტალური კატასტროფების წინაშე. იმის გამო, რომ სისტემა ასეთი ქსელურია, ერთიანი და იმავდროულად შიგნიდან მრავალგვარი და რთული. წინააღმდეგობრივი სურათი, რომელიც პროგრესული კრიტიკოსების მიერ არის წარმოდგენილი, მათ სხვადასხვაგვარ შიშს ასახავს, იმ ხარისხით, რამდენადაც სწორად აფასებენ ისინი სამყაროს“.

მომავლის შესახებ ჩვენი წარმოდგენის ყველაზე დიდი საფუძველია აზრი, რომ ადამიანი წყვეტს ბიოლოგიურ არსებობას ბუნებრივ სივრცეში და ტექნიკისა და მეცნიერების გარემოში გადადის. სხვანაირად რომ ვთქვათ, არსებული განსხვავება ორგანულსა და არაორგანულს შორის ქრება, რაც გვათავსებს პოსტ-ჰუმანურ მომავალში, რომლის მზარდი შესაძლებლობებისა და საფრთხეების წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელია.

ლიტერატურა

1. ნინო ლიპარტიანი, პოსტმოდერნისტული თეატრალური ხელოვნება, როგორც სოციო - კომუნიკაციური საშუალება, დისერტაცია, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2012 ; 104 გვ.
2. საიმონ დიურინგი, კულტურის კვლევები: კრიტიკული შესავალი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. 2009; 321 გვ.
3. Бодрийяр, Жан. «Прозрачность зла». Перевод на русский язык: Л. Любарская, Е. Марковская
4. https://www.e-reading.club/bookreader.php/102799/Bodriiyyar_-_Prozrachnost%27_zla.html
5. მარია ასათიანი, კულტურის სოციოლოგია, სოციალურ მეცნიერებათა სერია, თბ. 2016, 86 გვ.



WORLDVIEW TENDENCIES IN A MODERN SOCIETY

M. Jorbenadze

Batumi State Teaching University

Summary

The whole of humanity has been engaged in the search for the truth. Millions of thesis and antithesis have been created over the centuries. This process has always promoted progress, but there was a dead end of the crisis at the end of the epoch from which the solution was not in sight. This gave rise to nihilism, despair. If the epoch of modernism is closed in itself and left alone, postmodernism has become more elastic in this regard. The perception of the world of the modern humans is becoming increasingly influenced by the high tech informational world and less dependent on social and existential experience. The human is ceasing his existence in natural space and moving into technical and scientific environment, leading to the post-human the future prospects and threats of which can't be predetermined.



შინაარსი – CONTENTS - СОДЕРЖАНИЕ

თანამედროვე ტექნოლოგიები, ტექნიკა,
 მასალები და ინოვაციური პრაქტიკა
**MODERN TECHNOLOGIES, ENGINEERING,
 MATERIALS AND INNOVATIVE PRACTICES;
 СОВРЕМЕННЫЕ ТЕХНОЛОГИИ, ТЕХНИКА,
 МАТЕРИАЛЫ И ИННОВАЦИОННАЯ ПРАКТИКА**

А.М. арзумян, О.С. Манукян – МЕТАЛЛООБРАБОТКА БЕЗ ПРИМЕНЕНИЯ СОТС И МИНИМАЛЬНЫМ КОЛИЧЕСТВОМ СОЖ	9
ე. ბაკურაძე, ბ. ზივზივადე, ვ. ბაკურაძე – გამონაკოლქვი აირების გამწმენდი ახალი სახისა და სტრუქტურის ფილტრები	12
Е. Буадзе, Т. Пественидзе, Р. Бочоришвили, А. Тавберидзе, Н. Чхаидзе – НОВЫЕ ДОСТИЖЕНИЯ В ТЕХНОЛОГИИ УМНОГО ТЕКСТИЛЯ, НАНОТЕХНОЛОГИИ В ЗАКЛЮЧИТЕЛЬНОЙ ОТДЕЛКЕ	14
დ. გვენცაძე, ლ. შამანაური, ჯ. ანელი – კომპოზიტები მემორადი პოლიპროპილენისა და საქართველოს მინერალური ნედლეულის ბაზაზე	18
ქ. გოგინოვი, ლ. ხვადაგანი, მ. შარაბიძე – მოდიფიცირებული შალის ბიოლოგიური დუსტრუქციისადმი მდგრადობის კვლევა	21
მ. გოგოლაძე, ქ. გოგინოვი – ახალი კონსტრუქციის ქუდების მუშაობის კვლევა საჩქარო მანქანაზე	24
მ. გოგოლაძე, ნ. აბესაძე – საჩქარო მანქანის ბრტყელი ქუდების ზობიერთი კონსტრუქციული ხარვეზები	27
ნ. დოლაბერიძე, ნ. ხაზარაძე, მ. ნიყარაძე, ნ. მირბეელი, თ. შარაშენიძე, ზ. ამირიძე, ზ. ჩუბინიშვილი – საქართველოს ბუნებრივი ფილიპიტის ბაზაზე მიკროელემენტთშემცველი ცეოლითური მასალების შექმნა	31
ნ. დოლიძე, ქ. ჩირგაძე – საქართველოს ბავშვთა ტანადობის ანთროპომეტრული კვლევა	34
М.С.Винничук, Д.В.Выдолоб, Н.В.Остапенко – ИСПОЛЬЗОВАНИЕ КОМПЬЮТЕРНО-ОРИЕНТИРОВАННЫХ ТЕХНОЛОГИЙ В ДИЗАЙН-ПРОЕКТИРОВАНИИ ЮВЕЛИРНЫХ ИЗДЕЛИЙ	37
ნ. თხელიძე – ტანსაცმლის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის როლი წარმოების მენეჯმენტისათვის	40
Х. Купрашвили – РАЗРАБОТКА ЗУБНОГО ЭЛИКСИРА- ОПОЛАСКИВАТЕЛЯ ДЛЯ ПРОФИЛАКТИКИ И ЛЕЧЕНИЯ ЗАБОЛЕВАНИЙ ПАРАДОНТА	44
ლექვინაძე ი., კიკალიშვილი ხ. – კაცობრიობის ისტორია ენერჯის ჰრილში ენერჯის მიღება ვაკუუმიდან	47
გ. ლოლაძე, ნ. რაჭველიშვილი – დაბალღობადი მაიოლიკის ჰიქურები მინის ტარის ბაზაზე	49
ლ. ლურსმანაშვილი, ლ. კაპანაძე, თ. კუდავა – ტყავის სამოსის ძირითადი დეტალების ფართობების გამოსათვლელად ახალი მეთოდის შემუშავება და მისი სანდოობის დასაბუთება	53



Б.М. Мамиконян, Т.А. Меликян – БЕСКОНТАКТНОЕ ПРЕОБРАЗОВАНИЕ ПОСТОЯННОГО ТОКА В ДЛИТЕЛЬНОСТЬ ИМПУЛЬСОВ	59
З.А. Минасян, А.Р. Оганнисян – ИССЛЕДОВАНИЕ ТЕПЛОФИЗИЧЕСКИХ ХАРАКТЕРИСТИК СМЕСОВЫХ ТКАНЕЙ РАЗЛИЧНОГО ВОЛОКНИСТОГО СОСТАВА	62
З.А. Минасян, Н.К. Манасян – ОЦЕНКА ТЕПЛОЗАЩИТНЫХ СВОЙСТВ ОДЕЖДЫ ХОЛОДНОГО ПЕРИОДА ГОДА ПО МЕТОДУ РЕГУЛЯРНОГО РЕЖИМА ОХЛАЖДЕНИЯ	66
T. Moseshvili, D. Dzadzamia – INVESTIGATION OF STRUCTURE AND POROSITY OF LAYERS OF MULTI-LAYER TEXTILE COMPOSITES	69
В. Г. Мурадян, А. Р. Папоян – ИССЛЕДОВАНИЕ ХАРАКТЕРИСТИК ТКАНИ, ПОЛУЧЕННОЙ МЕТОДОМ ОДНОВРЕМЕННОГО ПРОКЛАДЫВАНИЯ В ЗЕВ ДВУХ УТОЧИН	74
ვ.გ. გორდელაძე, მ.ჯ. შვილდაძე, მ.ბ. კაპანაძე, ა.ვ. სარუხანიშვილი, ნ.მ. ქებაძე – მინანქრის მწვანე ავანტიურინისებრი საფარი	76
ნ.ნათბილაძე, მ.ყიფშიძე, ქ.ეგორიშვილი – სარემკლამო ნაწარმის კონსტრუქციები და თანამედროვე ტექნოლოგიები	81
ნ.იაშვილი, ა.ფრანგიშვილი, ი.ხუტაშვილი – ბაზის მომხმარებელთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მოწყობილობის შემდგომი საკითხები	84
Г.Н. Токарь, А.И. Рубанка, Т.В. Луцкер, Н.В. Остапенко, В.О. Дубчак – АНАЛИЗ СПОСОБОВ НАНЕСЕНИЯ ИНФОРМАЦИИ НА ЗАЩИТНУЮ ОДЕЖДУ	87
ნ. ფაილოძე, ნ. აბესაძე, ზ. ვადაჭკორია – სამედიცინო დანიშნულების ტრიკოტაჟის საშენისათვის საჭირო ხლართის დადგენა	91
გ.ფურცხვანიძე, ა.ვარშანიძე, თ. თურმანიძე – საზღვარო გადაზიდვებში გამოყვანული ტანკემბის მოწყობილობა	96
ქათამაძე ა. გ. – ჯარისკაცთა სპეცფუნსაცემლის ასორტიმენტის ფორმირების პრობლემა და მისი გადაჭრის მეთოდი	102
М.Каркашадзе, Н.Ломтадзе – СРАВНИТЕЛЬНАЯ ХАРАКТЕРИСТИКА МЕТОДОВ ОПРЕДЕЛЕНИЯ ДЕФОРМАЦИОННО-ПРОЧНОСТНЫХ СВОЙСТВ МАТЕРИАЛОВ ДЛЯ ВЕРХА ОБУВИ	106
М.Каркашадзе, Н.Ломтадзе – СРАВНИТЕЛЬНАЯ ХАРАКТЕРИСТИКА МЕТОДОВ ОПРЕДЕЛЕНИЯ ДЕФОРМАЦИОННО-ПРОЧНОСТНЫХ СВОЙСТВ МАТЕРИАЛОВ ДЛЯ НИЗА ОБУВИ	109
K. Karchkhadze, N. Khetsuriani – BIODIESEL PRODUCTION TECHNOLOGIES	111
ლ.შამანაური, დ.გვენცაძე, ჯ.ანელი – კომპოზიტები მემრადი პოლიმერიზაციისა და სექსტრუმელოს მინერალური ნედლეულის ბაზაზე	116
თ. ჭეიშვილი, მ. შვილდაძე – თიხაშიფლიდან მიღებული ფოროვანი მასალების წყალმეღებობის და სიმტკიცის დადგენა	119
Prudnikova Nataliia, Pervaya Nataliia, Lobanova Galina – INNOVATIVE APPROACH TO THE DEVELOPMENT OF SPECIAL PRODUCTS WITH AN ACTIVE INFLUENCE ON THE REFLEX POINTS OF THE FOOT	122



მატერიალური კულტურა, ხელოვნება და დიზაინი
 MATERIAL CULTURE, ART AND DESIGN
 МАТЕРИАЛЬНАЯ КУЛЬТУРА, ТВОРЧЕСТВО И ДИЗАЙН

თ. ბერიძე – სხვადასხვა რიტმისა და მოძრაობის თანხვედრის მნიშვნელობა სამსახიობო ხელოვნებაში	129
ა. გვეტაძე – სახვითი ხელოვნება	132
მ. დათუაშვილი; ი. ჩარკვიანი – კაბის დეტალების კონსტრუქტორული დაგეგმარების თანმიმდევრული მეთოდი	135
ნ. დოლოძე, ხ. დარსაველიძე – ტრადიციული სამოსის ინფორმაციული კვლევა	140
О.С. Васильева, К.Л. Пашкевич, И.В.Васильева – ОПРЕДЕЛЕНИЕ ОСОБЕННОСТЕЙ ДИЗАЙНА ШКОЛЬНОЙ ФОРМЕННОЙ ОДЕЖДЫ	145
ს. თავაძე – ქართული კინემატობრაფის თემატური და სტილისტური ტენდენციები XX საუკუნის 20-იანი წლების I ნახევარში (საქართველო არაქართველ რეჟისორთა შემოქმედებაში)	147
თ. კუჭერაძე – ლაღო მუსიკის მიხედვით ქართული ტანსაცმელი	153
გ. კვანციანი, ე. ბერუაშვილი – ვაზის მოტივი ქართულ სამკვამრებო ნაქარბობაში	157
ლ. კიკნაველიძე, მ. გრბელიძე – ქართული ეთნო-ფუნქციონის ევოლუციის კანონზომიერ ფაქტორთა კვლევის საფუძველზე დომინანტი ფორმების ანალიზის შედეგები	162
Кисиль С. С. – АНАЛИЗ СОВРЕМЕННЫХ ТЕНДЕНЦИЙ ДИЗАЙН-ПРОЕКТИРОВАНИЯ ПАРКОВОЧНЫХ МАШИНО-МЕСТ ДЛЯ ХРАНЕНИЯ ЭЛЕКТРОМОБИЛЕЙ	166
ე. მესხია – კულტურული ინტერაქციები ბათუმის მუზეუმში	169
ი. ოქრუაშვილი; ნ. ხარაიშვილი – ვანდუნი და ჩონჩხი, როგორც სარიტუალო ატრიბუტი ქართულ ეთნობრაფიულ სინამდვილეში	172
К.Л.Пашкевич, Ю.А.Костогрыз, Е.Д. Герасименко, Лю Цзянсинь – МУЖСКАЯ МОДА XXI ВЕКА: ОСНОВНЫЕ ТЕНДЕНЦИИ И НАПРАВЛЕНИЯ	176
რ. ხაჭაპურიძე – ქართული ნაციონალური კერძები, ტრადიციულობა და მასთან დაკავშირებული სამეურნეო შედეგები	179
ნ. ფაილოძე – ტრიკოტაჟის ტილოს ორნამენტის სტრუქტურა	186
ი. ჩარკვიანი, მ. დათუაშვილი, ნ. თხელიძე – სამცხე-ჯავახეთის ტრადიციული სამოსის ფორმირების ფაქტორების კვლევა	191
ე. ჩუბინიძე, ი. უგრეხელიძე, ნ. ქარციძე – მითითური ხელსაწმე საქართველოს მთიანეთში	193
Н.В Чуприна, Т.В Струминская, С.И. Прасол – АССОЦИАТИВНЫЕ ОСНОВЫ ТВОРЧЕСТВА В ДИЗАЙН-ДЕЯТЕЛЬНОСТИ И ДИЗАЙН-ОБРАЗОВАНИИ	199
თ. ცაგურია – სასცენო დისკურსი და ცოცხალი მემკვიდრეობა როგორც სტრუქტურა „რიჩარ მესამის“ მუზეუმში	203
მ. ხინთიბიძე, თ. დიდუბაშვილი – ძველი ქართული სათამაშოები და ბართობა-თამაშობანი XVIII-XIX სს. საქართველოში	206
მ. ჯორბენაძე – მსოფლმხედველობითი ტენდენციები თანამედროვე საზოგადოებაში	209

კომპიუტერული უზრუნველყოფა ლევან იოზაძე

ქალაქის ზომა 1/8
ნაბეჭდი თაბახი 13. 5
ტირაჟი 60

დაიქვეჭდა ი.მ. მარიაშ იოზაძის მიერ

ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი 25-ა
ტელ. 579 10 13 23; 599 18 20 98; 592 02 25 55